საკითხები საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ისტორიიდან

მე-20 საუკუნის 20-იანი წლები

პროექტის ხელმძღვანელი და
მთავარი რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
გიორგი ბერიძე
ნათია დვალი
თამარ კახეთელიძე
მანანა ლილუაშვილი
ქეთევან სამადაშვილი
გიორგი ყუშიტაშვილი
თამარ ხეტაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024
© ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2024

ISBN 978-9941-36-290-3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

საკითხები საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ისტორიიდან

XX საუკუნის 20-იანი წლები

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ
ებერტის ფონდის მხარდაჭერით

*პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.
დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების
კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.*

შინაარსი

რედაქტორისგან 7

გიორგი ყუშიტაშვილი, ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) 9

გიორგი ბერიძე, მონოპოლია ახალგაზრდობაზე? კომკავშირის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში: XX საუკუნის 20-იანი წლები (საქართველოს მაგალითი) 93

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ემიგრაციაში და მიხეილ ხუნდაძე 199

დანართი 259

რედაქტორისაგან

რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაღვივების (1890-იანი წლები), პირველი (1905) და მეორე (1917) რევოლუციების შემდეგ, საქართველოში პოლიტიკურად აქტიური საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელშიც ახალგაზრდებს მონწინავე როლი ეკავათ და მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ როგორც რევოლუციურ, ასევე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის წინაპირობა პირველ რიგში პირველი მსოფლიო ომი (დიდი ომის) და ამის შედეგად, რუსეთში მონარქიის რევოლუციური გზით დამხობა იყო, როდესაც იმპერიის ნანგრევებზე ბევრმა სხვადასხვა ერმა შეძლო სახელმწიფოს შენების დაწყება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფოებრივმა მოწყობამ, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული იმ ეპოქის ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ საზოგადოებად, საქართველოს ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩართულობა კიდევ უფრო გაზარდა.

პარტიულ პოლიტიკაში ჩართული ახალგაზრდები, აარსებდნენ პოლიტიკურთან ერთად, სხვადასხვა სახელოვნებო, სამეცნიერო და სხვა სახის წრეებს, მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ პირველი ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში. პირველი რესპუბლიკის დაცემამ და საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წელს, ცხადია, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ახალგაზრდების აქტივობებს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მათი ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა (ან, სასწავლებლად მანამდე წასული – უცხოეთში დარჩა) და იქედან ცდილობდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, ნაწილი კი გასაბჭოებულ საქართველოში აღმოჩნდა.

1920-იანი წლების საბჭოთა ძალაუფლება საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო სრულად ტოტალიტარული მმართველობა. ბოლშევიკურ ელიტაში, ჯგუფებს შორის მრავალწლიანი ბრძოლა მთელი 20-იანი წლების განმავლობაში გრძელდებოდა, რაც საბოლოოდ სტალინის ხელში ძალაუფლების აბსოლუ-

ტური კონსოლიდაციით და ტოტალიტარიზმით (მათ შორის, კოლექტივიზაციის და ინდუსტრიალიზაციის დაწყებით) დაგვირგვინდა. თუმცა, 1921-1929 წლებში, ჯერ კიდევ შეინიშნებოდა გარკვეული პლურალიზმი, გამოხატვის თავისუფლების, ორგანიზების ნიშნები. ქართველი ახალგაზრდობა 1921-1929 წლებში აქტიურობდა და ბევრ სხვადასხვა ჯგუფში იყო გადანაწილებული.

წარმოდგენილ გამოცემაში, რომელიც ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ახალგაზრდული მოძრაობები საქართველოში: 1920-იანი წლები" ფარგლებში მომზადდა, ცალკე წარმოდგენილია საქართველოში 1918-1921 წლებში ახალგაზრდული პოლიტიკური ჯგუფები, მოძრაობები, ახალგაზრდების ნებისმიერი ორგანიზებული აქტივობა პირველ რესპუბლიკაში, მათი როლი დამოუკიდებელი საქართველოს შენებაში; ცალკე ნაწილი ეძღვნება ქართველ ახალგაზრდობას გასაბჭოებულ საქართველოში, 1921-1929 წლების საბჭოთა ძალაუფლების გამყარების და ასევე, ჯერ კიდევ შემორჩენილი პოლიტიკური მრავალფეროვნების დაპირისპირების კონტექსში, გადმოცემულია საბჭოთა ხელისუფლების მიდგომა ახალგაზრდებისადმი, ახალგაზრდების როლი და მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს ჩამოყალიბებაში.

მკითხველი ასევე გაეცნობა ახალგაზრდული ჯგუფების, მოძრაობების და ცნობილი ახალგაზრდა ქართველი მოღვაწეების აქტივობას ევროპულ ემიგრაციაში 1921-1929 წლებში, კერძოდ, ამ პროცესებში გამორჩეული სოციალ-დემოკრატების ახალგაზრდა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მიხეილ ხუნდაძის წვლილს. თსუ ბიბლიოთეკაში დაცულია მიხეილ ხუნდაძესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლები. ცნობილია, რომ მიხეილ ხუნდაძე იყო მარქსიზმის მოწინავე თეორეტიკოსის და მეორე ინტერნაციონალის ლიდერის, კარლ კაუცკის მეგობარი, შესაბამისად, კაუცკის და ხუნდაძის თანამშრომლობის გაცნობა ამ გამოცემის საინტერესო ნაწილია.

ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)

შესავალი

XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მეფის რუსეთში შემავალ საქართველოში პოლიტიკური გამოცოცხლება შეინიშნებოდა. მართალია, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება უკვე საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, თუმცა ორგანიზებული პოლიტიკური გაერთიანებებისა და პარტიების გაჩენა „მესამე დასის" სახელით ცნობილი მოძრაობის გამოჩენით დაიწყო.

1892 წელს მარქსისტული იდეებით შთაგონებულმა რამდენიმე პირმა პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია დააარსა. 1903 წელს ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუერთდა, თუმცა აქტიურ საქმიანობას განაგრძობდა საქართველოში, მაგალითად, 1905 წელს, რუსეთის იმპერიის რევოლუციისას, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე გამოსვლებში.

1904 წელს ჟენევაში დაარსდა პირველი ქართული პოლიტიკური პარტია – „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია". იგი იმ პერიოდისათვის მემარცხენე, ნაციონალისტურ და ანარქისტულ ჯგუფებს აერთიანებდა.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ დაწყებული რეაქციის ხანაში ანტიმონარქიული პოლიტიკური საქმიანობა მეტად გართულებული იყო. რევოლუციამ, მიუხედავად იმისა, რომ წარუმატებელი გამოდგა, მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა. როგორც რონალდ გრიგორ სუნი აღნიშნავს, XX საუკუნის II ათწლეულში ამიერკავკასიაში ცარიზმისადმი წინააღმდეგობრივი მოძრაობა „უწყვეტი" რეალობა იყო.[1] ამასთან, რევოლუციამ რეაქციასთან ერთად, რუსეთის აბსოლუტურ მონარქიას, სახელმწიფო სათათბიროს სახით, კონსტიტუციურობის ელემენტიც შესძინა. მიუხედავად იმისა, რომ I და II მოწვევის სათათბირო მცირე დროში დაშალეს და უფლებრივად III და IV

[1] რონალდ გ. სუნი. *ქართველი ეროვნული ჩამოყალიბება.* (ზიარი, 2022 [1988]). გვ. 269.

სათათბიროც ნაკლებად წარმოადგენდა კონსტიტუციურ ორგანოს, ის მაინც აჩენდა ერთგვარი პოლიტიკური ასპარეზის არსებობის საშუალებას.

ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში ცარიზმთან დაპირისპირება ძირითადად ორ ნიადაგზე წარმოებდა: სოციალისტ-ფედერალისტური პარტია მონარქიული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის, მუშათა და გლეხთა წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გარდა, საქართველოს რუსეთის მიმართ ეროვნული ნიშნით დაქვემდებარებულ მდგომარეობასაც აპროტესტებდა და საქართველოსთვის პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვდა; სოციალისტ-ფედერალისტებისაგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატები საქმიანობას კლასობრივი ბრძოლის კონტექსტში წარმართავდნენ და სრულიად რუსეთის მასშტაბით სოციალური რევოლუციისათვის იღვწოდნენ.

XX საუკუნის დასაწყისშივე ევროპის პოლიტიკური პარტიების გარშემო უკვე არსებობდა პირველი ახალგაზრდული ორგანიზაციები, თუმცა მათ ჩამოყალიბებას საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობა უძღოდა წინ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ერთი მათგანის – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზა. 1900 წლიდან მოყოლებული პოლიტიკური პარტიები და, მათ შორის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, ახალგაზრდათა მხარდაჭერის მნიშვნელობას აცნობიერებდნენ და ცდილობდნენ მათ მიმხრობას. საკუთარ პროგრამებში საუბრობდნენ მოზარდებისა და ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებსა და მათთვის განათლების მიცემის პრიორიტეტებზე, თუმცა ეს ისე, რომ ცალკე, პარტიასთან მდგომი, ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის საკითხი არ დასმულა.[1]

1900 წელს პარიზის სოციალისტთა საერთაშორისო კონგრესის მიერ სამხედრო ხარჯების მხარდაჭერაზე უარის

[1] Gilbert Krebs, *Les avatars du juvénilisme allemand 1896-1945,* (Presses Sorbonne Nouvelle, 2018).

თქმა და გადაწყვეტილება ახალგაზრდებისათვის ანტიმილიტარისტული განათლების მიცემის თაობაზე მნიშვნელოვან გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა. გერმანულმა სოციალ-დემოკრატიამ ამ საკითხის მნიშვნელობა უარყო, სანამ 1904 წელს კარლ ლიბკნეხტმა არ განაცხადა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთავარი საყრდენი ჯარი იყო, რომლის გამოყენებაც პროლეტარიატის წინააღმდეგ ნებისმიერ დროს შეეძლო. ამიტომ, მისი მტკიცებით, საჭირო იყო ჯარში ჩაწერამდე მომავალი ჯარისკაცებისთვის პროპაგანდის გაწევა და ხელისუფლებისთვის არმიის საყრდენის გამოცლა. ლიბკნეხტის იდეას მხარდაჭერა მაშინვე არ ჰქონია. ცენტრალიზმის მომხრენი პარტიის შიგნით გარკვეულწილად დამოუკიდებელი ორგანიზაციის გაჩენას უარყოფითად შეხვდნენ. 1904 წელს გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა, ლუდვიგ ფრანკმა ბელგიური ორგანიზაციის „ახალგაზრდა სოციალისტური გვარდიის“ მაგალითზე მანჰაიმში 25-წევრიანი ჯგუფი შექმნა, რომელსაც მსგავსი სხვა ჯგუფების გაჩენაც მოჰყვა. 1906 წელს ეს ჯგუფები „გერმანიის ახალგაზრდა მშრომელთა ასოციაციის“ (Verband junger Arbeiter Deutschlands) სახელით გაერთიანდნენ და საკუთარი გაზეთი გამოსცეს. ამან კიდევ უფრო დააჩქარა ორგანიზაციის ზრდა და გაზეთის ტირაჟმა მალე 4000-ს მიაღწია.[1]

1906 წლის 30 ოქტომბერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანჰაიმის ყრილობაზე ბრუნო ვაგნერმა ისაუბრა ახალგაზრდა მშრომელების გათვითცნობიერებულ, სინდისიერ პროლეტარებად დარჩენის მნიშვნელობის თაობაზე სამხედრო მოვალეობის შესრულების დროსაც კი და ასეთი თაობების აღზრდა სწორედ ახალგაზრდულ ორგანიზაციას დააკისრა. მათ, სანამ სამხედრო სამსახურს დაიწყებდნენ, ანტიმილიტარისტული პროპაგანდა უნდა გაევლოთ. ბ. ვაგნერის მოხსენების შემდეგ შემუშავდა ტაქტიკა: სოციალისტური აღზრდის შინაარსსა და მიზანზე მეტად საჭირბოროტო მისი პრაქტიკაში განხორციელება იყო, რაც კანონების მეტ-ნაკლე-

[1] იქვე.

ბი დაცვით უნდა მომხდარიყო – კონფერენციებით, პუბლიკაციებით, პირადი კონტაქტებითა და საჯარო მანიფესტაციებით, რა საშუალებებითაც საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდა...

ამავე კონფერენციაზე ლუდვიგ ფრანკმა წამოჭრა ახალგაზრდული ორგანიზაციისა და პარტიის ურთიერთმიმართების საკითხიც: ახალგაზრდულ მოძრაობებს, პარტიის მხრიდან დაცვისა და მხარდაჭერის იმედით, ორი მთავარი მიზანი უნდა ჰქონოდა: ახალგაზრდა მუშების ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ახალგაზრდების სოციალისტური განათლება, რაც არა მხოლოდ სრული სასკოლო განათლების მიღებას ნიშნავდა, არამედ ანტიმილიტარისტული პროპაგანდის მოსმენასაც. იმავე კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მუშა ტანმოვარჯიშეთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის თაობაზე; ქალთა გაწევრიანების გაადვილების მიზნით, შეიცვალა სახელწოდებაც.[1]

საქართველოში 1918-1921 წლებში მოქმედი დემოკრატიული ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციების გაჩენასა და განვითარებაზე საუბრისას აღმოვაჩენთ, რომ ორგანიზაციათა ნიმუშად, მთავარი მიზნის განსაზღვრის, მოქმედების ფორმებისა თუ „მშობლიურ“ პარტიასთან კავშირისას, უმეტესად ფრანკის მიერ დაარსებული ორგანიზაცის მოდელი იქნება გამოყენებული. თუმცა ქართულ კონტექსტს ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი ახასიათებდა, რაც ქართულ პარტიებზეც აისახა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებზეც: XX საუკუნის პირველი 17 წლის განმავლობაში საქართველო პოლიტიკურად დაქვემდებარებულ სუბიექტს წარმოადგენდა და 100 წელზე მეტი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ჰქონდა გატარებული. ეს პოლიტიკური პარტიებისა და ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორად იქცა, ზოგიერთათვის კი – უმთავრეს ფაქტორადაც კი.

---

[1] იქვე.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, გამოკვეთოს 1918-1921 წლებში საქართველოში მოქმედი დემოკრატიული ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქმედების ფორმები და მათი პროგრამის საკვანძო მნიშვნელობის საკითხები, მეორე მხრივ კი, წარმოაჩინოს მათი დამოკიდებულება ეროვნული და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის მიმართ. შესაბამისად, პირველ საკითხს პირველი თავი დაეთმობა, უკანასკნელს კი -მეორე თავი. მესამე თავში განხილული იქნება ახალგაზრდული ორგანიზაციების მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ორგანიზაციებზე, მათ სტრუქტურაზე, მოქმედების ფორმებსა თუ პოლიტიკურ შეხედულებებზე საუბრისას, ძირითადად, მათივე მოღვაწეობის თანადროულ პერიოდულ პრესას დავეყრდნობით. ქართული ახალგაზრდული ორგანიზაციების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ნაკვლევია – პირვანდელი ნაშრომები საბჭოთა კავშირის პერიოდშივე შესრულდა. ამდენად, ბოლშევიკურ ფრაქციასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ შექმნილი ნაშრომები ნაკლებ თუ იქნება ობიექტური. პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებობს საკითხის საკმაოდ სიღრმისეული საარქივო გამოკვლევა შოთა ვადაჭკორიას ნაშრომის, *„საქართველოს ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევების (1917-1921),“* სახით. წინამდებარე ნაშრომი, ძირითადად, ზევით ხსენებულ ორ საკითხზე იქნება კონცენტრირებული.

18 ივნისი, 1919 წ.

ფასი 2 მანეთი

ახალი კვალი

ორ-ყოველთვიური სამეცნიერო, სამოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

№ 3 (12) ორგანი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა. № 3 (12)

1. მომავლის პერსპექტივები—ა. ბენდერეშევი; 2. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია—ს. ბიბლიძე; 3. ორტოდოქსალური მარქსიზმი და ბერნშტეინი—ვ. გოგიბერიძე; 4. დიალექტიკური მეთოდი—ე. ი—ძე; 5. ანტიკური ეთიკის კიბეზე ადამიანის ბედი; 6. ამ ეანი ეფენტის ზრდა—ა. ბერეზინი; 7. ანტ. კეკელის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე თავისუფალი კონფერენცია—მ. ბ. 8. სამეცნიერო ეგზეთ—ს. ა. 9. ორგ. ცენტრალური კომიტეტი; 9. ბიუნ ორგანიზაციებში.

ანტონ-კეკელის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე თავისუფალი კონფერენციის დელეგატები 26 ოქტომბერი 1919 წ.

მომავლის პერსპექტივები

ვინაც შეხვედა ეანაი ოდნავ მაინც ობიექტიურად შეხედვია ეა ანალიზისა, ვინ ეანეფაც ან ანის დამბენელები რაიმე ნინასწარ ალბული ანალიზი ან ტენდენციით, იგი ფიქრობს—მოსალოდნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ჟურნალი „ახალი კვალი“.
1919 წელი N3.
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

თავი 1. ორგანიზაციათა ფორმირება და საქმიანობა

1.1. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია

ა) დაფუძნება და საკვანძო საკითხები

1917 წელს ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიულ ორგანო გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა წერილი: „სოციალ-დემოკრატია და მოზარდი თაობის შეკავშირება“. მასში ავტორი საუბრობს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ახალგაზრდული ორგანიზაციის საჭიროებაზე, რომლის მიზანი ნორჩი კადრების გამოზრდა და უფროსი თაობის მუშათა რიგებში ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და დაუშრეტელი ენერგიით რევოლუციური შემართების შეტანა უნდა ყოფილიყო. სტატიის ავტორი დეტალურად განიხილავს ახალგაზრდული ორგანიზაციების ამოცანას: პროლეტარული ზრდა-განვითარება და სამომავლო პროგრესი მხოლოდ მუშათა ახალი თაობის, ახალი კადრების თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებით შეიძლებოდა.[1]

აღსანიშნავია, რომ 1917 წლისათვის საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამოაზრე ახალგაზრდათა პოლიტიკური გაერთიანების პრეცედენტები უკვე არსებობდა: ჯერ კიდევ 1912 წელს შეიქმნა „ქუთაისის მარქსისტ მოწაფეთა გაერთიანება“. მის შესახებ მოხსენება წაიკითხა ს. ტაბიძემ 1918 წლის ”ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა“ პირველ კონფერენციაზე. „ქუთაისის მარქსისტ მოწაფეთა გაერთიანება“ 5 საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს აერთიანებდა. მას 9 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი წესდება, სამეცადინო გეგმა და სამკითხველო. ის გამოსცემდა საკუთარ ჟურნალსაც, სახელწოდებით – „ჩვენი მიზანი.“[2]

---

1 გაზ. *ეროობა*, 1917 N28, გვ. 4.

2 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N6, გვ. 16.

ქუთაისის ორგანიზაციის პარალელურად, საქართველოს სხვა ქალაქებშიც – ხაშურში, ჭიათურაში, ლანჩხუთსა და ხიდისთავში – არსებობდა ადგილობრივი ორგანიზაციები. 1916 წელს ქუთაისის ორგანიზაციის მოწვევით გაიმართა მარქსისტ მოწაფეთა კონფერენცია, სადაც „ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირი“ დაფუძნდა. 1905 წლის რევოლუციის შემდგომი რეაქციისა და ომის მდგომარეობის გამოისობით, ამ პერიოდისთვის ორგანიზაციებს პოლიტიკური დატვირთვა ნაკლებად ჰქონდა და ისინი, ძირითადად, საგანმანათლებლო გაერთიანებას წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მეფის ხელისუფლების მხრიდან იდევნებოდნენ. მაგალითად, 1916 წელს ხაშურის ორგანიზაციას გამოაშკარავების შემდეგ საქმიანობის შეჩერებაც კი მოუწია.[1]

თებერვლის რევოლუციამ სოციალისტურ და, არა მხოლოდ სოციალისტურ, პარტიებს მოქმედების თავისუფლება მისცა. სწორედ ამ ფაქტის გამოძახილს წარმოადგენს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი სტატია, სადაც ნათქვამია, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სხვადასხვა ლექციით, კურსითა და დისკუსიის წყალობით, უნდა გაავრცელონ მარქსის ძირითადი ცნებები, მისი მოძღვრება გააცნონ ახალგაზრდებს და კლასობრივად გათვითცნობიერებაში დაეხმარონ.

1917 წლის 26-27 მარტს „კავშირის“ მეორე კონფერენცია უკვე თბილისში გაიმართა. მას ესწრებოდნენ დელეგატები როგორც საქართველოს, ისე – ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდანაც. კონფერენციამ ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, აქტუალური საკითხები განიხილა. როგორც გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ვიგებთ, განსახილველ თემებს შორის იყო: „თანადროული მომენტის“ გარჩევა, ეროვნული საკითხი, ომისა და ზავის პრობლემები. ნიშანდობლივია, რომ კონფერენციაზე წამოიჭრა აზრთა სხვადასხვაობა თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებით. კამათი ეხებოდა ბურჟუაზიის ადგილს რევოლუციაში: დელეგატთა ერთი ნაწილი აღიარებდა ბურჟუაზიის რევოლუციურ

[1] იქვე.

და პროგრესულ როლს და მხარს უჭერდა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას მასთან ერთად; მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ მუშათა კლასს დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებინა ბრძოლა ძალაუფლების ხელში აღებისათვის, დამოუკიდებლად გასძღოლოდა რევოლუციას და მიეყვანა ის „ლოგიკურ დასასრულამდე“. ეს ცხადყოფს, რომ ორგანიზაცია დამოუკიდებელი იყო და მას თავისუფლად შეეძლო გადაწყვეტილების მიღება საკვანძო საკითხებზეც კი. საბოლოოდ, რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ ბურჟუაზია იმჟამინდელ რევოლუციაში მონაწილეობას იღებდა, როგორც მისი მამოძრავებელი ერთ-ერთი ფაქტორი, ამიტომ კავშირი მუშათა კლასს მოუწოდებდა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის ბურჟუაზიასთან და ჯარისკაცებთან ეთანამშრომლა.[1]

“მარქსისტ მოსწავლეთა კავშირის“ მეორე კონფერენციაზე განიხილეს სხვა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხიც. მოსე გოგიბერიძის მოხსენების შემდეგ, რომელიც „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ ბრძოლას შეეხებოდა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, დადგინდა, რომ კავშირს მეტი ენერგიით უნდა ებრძოლა მარქსისტული იდეების გასავრცელებლად და „ნაციონალისტების პროვოკატიულ გამოსვლების ფარდის ასახადათ“.[2] ასევე, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც, უნდა დაწყებულიყო კავშირის საერთო პარტიული ორგანოს გამოცემა. ორგანო რუსულენოვანი და ორკვირეული უნდა ყოფილიყო. ხსენებული ორგანოს შესახებ სხვა ინფორმაცია არ არსებობს. სავარაუდოა, რომ მისი გამოცემა ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, 1917 წლის სექტემბრიდან დაიწყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის პრესის ორგანოს, „მებრძოლთა ხმის“ გამოცემა. ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი 10 დეკემბერს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე ვენე ნიკურაძის გამოსვლისა, რომელზეც მან „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საერთო ორგა-

---

1 გაზ. *ეხთობა*, 1917 N15, გვ. 4

2 გაზ. *ეხთობა*, 1917 N214, გვ. 4

ნიზაციის შექმნის საჭიროებაზე ისაუბრა. იმავე კრებაზე დადგინდა 1918 წლის იანვრიდან ორგანიზაციის ქართულენოვანი ორგანოს, „ახალი კვალის“ გამოცემა (სწორედ იმ გაზეთის დასახელების სახეცვლილი ფორმით, რომელსაც ერთ დროს ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი რედაქტორობდნენ).[1]

თბილისის ორგანიზაციის კრებაზე დასახული ამოცანის გადაწყვეტა 1918 წლის 17, 18 და 19 იანვარს დედაქალაქში ჩატარებულ კონფერენციაზე გადაწყდა. ახალი ერთიანი ორგანიზაციის შექმნის დასაბუთების საკითხი თბილისის ორგანიზაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, მიხეილ ხუნდაძემ აიღო საკუთარ თავზე. მისი თქმით, რუსეთის რევოლუციამდე არსებულ პირობებში ორგანიზაციებში მხოლოდ მოსწავლეთა გაერთიანება იყო შესაძლებლი, რაც აუცილებლობით გამოწვეულ ნაკლს წარმოადგენდა. ახლა კი, როცა უზრუნველყოფილი იყო თავისუფალი გაერთიანების უფლება, ორგანიზაციას საკუთარ რიგებში მოსწავლეებთან ერთად მუშებიც უნდა მიეღო, ამ უკანასკნელებთან ერთად მოწაფეთა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში სტუდენტებიც მიეზიდა. „ინტელიგენტურ ძალების და მუშების ეს კავშირი მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა თავიდანვე დაუახლოვდება იმ ძალას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემდეგს თავის მუშაობაში, ე.ი. – მუშებს. – ჩვენი ორგანიზაცია თავისი ტიპით უნდა დაემსგავსოს ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაციებს...“ – აღნიშნავდა მიხეილ ხუნდაძე.[2] მისივე მოწოდებით, ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა მარქსისტული იდეების გამზიარებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც მუშათა განთავისუფლებისთვის იბრძოდა. ორგანიზაცია ემხრობოდა ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც არ იქნებოდა ფრაქციულად დაყოფილი მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, თუმცა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს შეუძლებლად მიაჩნდა, ამიტომ საჭიროდ თვლიდა, რომ ახალ ორგანიზაციას ეღიარებინა მენშევიკური მიმართულება.

---

1 იქვე.

2 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N4, გვ. 15,.

კონფერენციაზე დამსწრე დელეგატებმა, სოფრონ მიხელიძემ და ბიძინა რამიშვილმა ორგანიზაციების გაყოფას მხარი არ დაუჭირეს იმ არგუმენტით, რომ მთავარ მიზნებს (რომლებშიც, დელეგატ ჟღენტის თქმით, გაერთიანების მისწრაფება შეინიშნებოდა) – მარქსიზმის ახალგაზრდებში გავრცელებასა და მუშათა კლასის ინტერესების დაცვას, ორგანიზაციის ფრაქციული კუთვნილება არ სჭირდებოდა, თუმცა მიხეილ ხუნდაძე პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარ პოზიციას შემდეგნაირად ასაბუთებდა: ბოლშევიკების ორგანიზაციაში დარჩენა დაბრკოლებებს შეუქმნიდა მის გამართულ მუშაობას, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული დაპირისპირების გამო გაყოფა კი ისედაც მოხდებოდა.

საბოლოო დადგენილებით, გადაწყდა შემდეგი: 1. ორგანიზაცია გააერთიანებდა ახალგაზრდებს (და არა მხოლოდ მოსწავლეებს); 2. ორგანიზაციას არ ექნებოდა ფრაქციული ხასიათი (ამდენად, ოფიციალურად არ მომხდარა ორგანიზაციის მენშევიკურ და ბოლშევიკურ მხარეებად დაყოფა, თუმცა, პრაქტიკულად, მასში მენშევიკები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ისევე, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქართულ სექციაში); 3. ორგანიზაციის სახელწოდება იქნებოდა: „ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“.[1]

„ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ მოქმედების არეალის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1918 წლის იანვრის კონფერენციაზე გამოცხადებული ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამონათვალი: თბილისის, ხაშურის, ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ხიდისთავის, ხონის, ყვირილის, ბახვის, სუფსის, ლაშისღელისა და ლიხაურის. ადგილობრივი ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვი, რომელთა დელეგატებიც კონფერენციას ესწრებოდნენ, ჯამში 2300 ახალგაზრდამდე აღწევდა. რადგან ყველა დელეგატი ქართველი იყო, სხდომა ქართულად წარიმართა.[2]

---

1 იქვე, გვ. 16.

2 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N4, გვ. 15.

კონფერენციაზევე მიიღეს რეზოლუციები 19-25 წლამდე ახალგაზრდების ჯარში გაწვევის შესახებ. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წევრებს დაავალეს ამ გადაწყვეტილების ხელშეწყობა, თუმცა ახალგაზრდებს სამხედრო მოვალეობის შესრულების გარდა, უნდა ემუშავათ ორგანიზაციაშიც და ეწარმოებინათ პროპაგანდა მარქსისტულ და რევოლუციურ იდეათა გასავრცელებლად.

ბიძინა რამიშვილი და მიხეილ ხუნდაძე
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

კონფერენციაზე „ახალი კვალი“ აღიარეს ამიერკავკასიის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოდ.[1] ორგანიზაცია ფინანსურად საწევრო გადასახადზე იყო დამოკიდებული, რაც 1918 წლისათვის ქალაქში თვიურად 50 კაპიკს შეადგენდა, სოფლად კი – 25 კაპიკს (არსებობდა ერთჯერადი გადასახადიც: ქალაქში – 1 მანეთი, სოფლად – 50 კ.).[2] „ახალი კვალის“ ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად გა-

[1] იქვე, N3, გვ. 16.

[2] იქვე, N6, გვ. 14.

დაწყდა ფოთისა და ოზურგეთის ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოების დახურვა და მათი შემოსავლის ნაწილის ცენტრალური ორგანოსთვის (10%) გადაცემა, ხოლო ერთდროული შემოწირულების სახით უნდა გადაეხადათ 3000 მან. ქუთაისის დელეგატმა, ს. ტაბიძემ, უარი განაცხადა ცენტრალური ორგანოსთვის 3000 მან. შემოწირულების გაღებაზე,[1] ამიტომ გადაწყდა, რომ ორგანიზაციის ყველა წევრს უნდა შესძლებოდა თავისი მოსაზრების გამოხატვა ცენტრალურ ორგანოში. გაზეთში დაიბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც უმრავლესობის შეხედულებებს არ ეწინააღმდეგებოდა, სიტყვა უნდა მიეცათ უმცირესობებისთვისაც, თუნდაც უმრავლესობის საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონოდათ. ასეთი წერილები სარედაქციო შენიშვნებით გაიშვებოდა. ადგილობრივი ორგანოების გამოსვლის შემთხვევაში, გაზეთი უნდა გამოცემულიყო ჯგუფის სახელით, ცენტრალური ორგანო დახმარებას არ გაუწევდა ასეთ გამოცემას. კონფერენციაზე, აგრეთვე, დაადგინეს რომ პოლიტ. ეკონომიის სწავლების მიზნით, სასწავლებლებში უნდა გაეწიათ აგიტაცია ახალგაზრდებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ მოეთხოვათ ხსენებული კურსის სწავლებაში შეტანა.

არსებობის განმავლობაში „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას“ არაერთ დაბრკოლებასთან მოუხდა გამკლავება, რაზეც მისი ორგანოს, „ახალი კვალის“ გამოცემის სპორადული ხასიათიც მეტყველებს: ბეჭდვა პირველი ნომრის გამოსვლიდან სამ თვეში, 1918 წლის 2 აპრილს, მე-8 ნომრით შეწყდა და 22 დეკემბრამდე მე-9 ნომრის დაბეჭდვა ვეღარ მოხერხდა. ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ორგანიზაციისა და საკონტროლო კომისიის 24 სექტემბრის გაერთიანებულ კრებაზე ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე სოფრონ მიხელიძე აღნიშნავდა, რომ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებშიც მუშაობა შეჩერებული იყო, მდგომარეობა კი უნუგეშო ჩანდა. კრებაზე დაისვა ახალი კონფერენციის მოწვევის საკითხიც და დადგინდა, რომ კონფერენციამდე საჭირო იყო მუშაობის განახლება; უნდა აღდგენილიყო „ახალი კვალის“ გამოცემაც.[2]

---

1 იქვე, N5, გვ. 15.

2 გაზ. *ეხთობა*, 1918 N206, გვ. 3.

„ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ მეორე თავისუფალი კონფერენცია 1919 წლის 25 თებერვალს გაიმართა. კონფერენციაზე, რომელსაც 44 დელეგატი ესწრებოდა, დაადგინეს სამეცადინო გეგმა და ორგანიზაციის მეორე წესდება. დაისვა სახელწოდების შეცვლის საკითხიც: არჩილ მექანარიშვილი აღნიშნავდა, რომ „ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ – რომელიც 1918 წლის კონფერენციაზე შეირჩა, აღარ შეესაბამებოდა ორგანიზაციის რეალურ შინაარსს, ამიტომ უნდა შეცვლილიყო ამგვარად – „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“. „ჩვენ უნდა უკუ ვაგდოთ სიტყვების ფეტიშიზმი, ანგარიში უნდა გაუწიოთ არსებულ მდგომარეობის ფაქტს – უკანასკნელი კი აქეთკენ მოგვიწოდებს, თუ ჩვენ გვწამს საქართველოს რესპუბლიკა, ჩვენ უნდა შეუფარდოთ ამას ჩვენი მოქმედებაც. ყოველივე ეს იქნება ფაქტის აღიარება და მეც აქეთკენ მოგიწოდებთ.“ - აცხადებდა მექანარიშვილი.[1] განსხვავებულ აზრზე იდგა დ. ყიასაშვილი. იგი შენიშნავდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ იყო კულტურული და არა პოლიტიკური შინაარსის მატარებელი, ამიტომ აუცილებელი არ იყო, მისი საქმიანობა პოლიტიკური საზღვრებით შემოფარგლულიყო. საბოლოოდ, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ვინაიდან ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია არა მარტო თეორიულ მიზნებს ისახავს, არამედ პრაქტიკულსაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ვინაიდან მისი ორგანიზაციული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რეალურ მდგომარეობას – კონფერენცია ადგენს: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაცია იწოდებოდეს: „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“-თ, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურ იდეას“.[2]

კონფერენციაზე კვლავ იდგა ორგანიზაციის ფრაქციულობის საკითხი, რის შესახებაც გადაჭრით მიიღეს დადგენი-

---

1 გაზ. *ეროობა*, 1919 N49, გვ. 3.

2 იქვე.

ლება და განისაზღვრა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ მენშევიკური მიმართულების დაუსახელებლად იქნებოდა სოციალ-დემოკრატიული გეზის. სადავო იყო ორგანიზაციის პარტიული კუთვნილება. დელეგატთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან უფრო მჭიდრო კავშირს, მეორე ნაწილი პარტიასთან შეერთებას დამოუკიდებლობის დაკარგვად მიიჩნევდა. საკითხი კონფერენციის მესამე დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის, კირილე ნინიძის სიტყვამ გადაჭრა. მისი თქმით, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ იდეურად დაკავშირებული იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, აქედან გამომდინარე, პარტია ვალდებული იყო, გაეწია დახმარება. საბოლოოდ, დადგინდა, რომ შეიქმნებოდა შესაბამისი კომისია და ორგანიზაცია წარადგენდა გეგმას, რომლის მიხედვითაც მას აღმოუჩენდნენ დახმარებას.

1919 წლის 24 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის შენობაში ჩატარდა საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ მეორე (მესამე) რიგგარეშე კონფერენცია, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოფრონ მიხელიძე. კონფერენციას ესწრებოდა 41 დელეგატი, მათგან 4 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენელი იყო. აქედან დაიბადა უნივერსიტეტში ცალკე ორგანიზაციის დაარსების იდეა, რომელიც გააკრიტიკეს ალექსანდრე (შურა) დუდუჩავამ, დ. ყიასაშვილმა და სოფრომ მიხელიძემ. ამგვარად, დამტკიცდა 37 მანდატი.[1]

კონფერენციაზე გაიმართა კამათი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოწყობის შესახებ. სოფრონ მიხელიძე მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ ევროპაში სოციალისტური რევოლუცია უკვე მიმდინარეობდა, ამიტომ მოითხოვდა, ორგანიზაციას უარი ეთქვა პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმებზე, პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმად კი საბჭოთა მთავრობა ეღიარებინათ. მიხელიძეს არ ეთანხმებოდნენ ერმონკრატ თალაკვაძე და დ. ყიასა-

[1] *ჟურ. ახალი კვალი*, 1920 N1, გვ. 14.

შვილი. მათი თქმით, ომისშემდგომ ევროპაში ბურჟუაზიულ კლასთან თანამშრომლობაზე, პარლამენტარიზმსა და დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უარის თქმა ანარქიასა და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებას გამოიწვევდა. გამომდინარე აქედან, საჭირო იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ კვლავ დემოკრატიზმის მხარდაჭერად დარჩენილიყო. კონფერენციამ 18 ხმით 13-ის წინააღმდეგ მიიღო ერმონკრატ თალაკვაძის რეზოლუცია.[1]

დემოკრატიული რესპუბლიკისა და პარლამენტარიზმისადმი ორგანიზაციის ერთგულებაზე მოწმობს დ. ყიასაშვილის წინადადებაც, კონფერენციას მისასალმებელი წერილი გაეგზავნა კარლ კაუცკისთვის. იმხანად სწორედ კარლ კაუცკი წარმოადგენდა ევროპის სოციალისტურ მოძრაობებში დემოკრატიის ერთგულ და უკომპრომისო დამცველს და რუსი ბოლშევიკების მთავარ ოპონენტს სოციალისტურ წრეებში. კონფერენციამ კ. კაუცკისადმი მისასალმებელი წერილის დაწერა პრეზიდიუმს მიანდო. იგი „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ იმ წევრების შუამავლობით უნდა გაგზავნილიყო, ვინც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მიემგზავრებოდა ევროპის უნივერსიტეტებში სასწავლებლად. 1919 წლის 9 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტიპენდიატთა სიაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ რამდენიმე წევრს ვხვდებით, მათ შორის: არჩილ მექანარიშვილს, გიორგი მგელაძეს, სოფრონ მიხელიძეს, ერმონკრატ თალაკვაძეს, მიხეილ ხუნდაძესა და ბიძინა რამიშვილს.[2] წერილში „ახალგაზრდა მარქსისტები“ კ. კაუცკის „ძვირფას მასწავლებელსა“ და „მარქსიზმის უბადლო თეორეტიკოსს“ უწოდებენ და გერმანიაში პროლეტარიატის გამარჯვებას უსურვებენ. წერილის ბოლოს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი კ. კაუცკის რჩევა-დარიგებასაც სთხოვდა „შორეულ საქართველოში“ „პროლეტარიატის პრაქტიკულ მოღვაწეობისთვის სახელმძღვანელოდ.“[3]

---

1 იქვე, გვ. 15.

2 გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 N254, გვ. 2.

3 ჟურ. *ახალი კვალი*, 1920 N2, გვ.8.

ბ) საქმიანობა და სწავლების მეთოდები

როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს მარქსიზმის შესწავლა და გავრცელება, ახალგაზრდათა შეკავშირება და თეორიული ცოდნით აღჭურვილი კადრების აღზრდა წარმოადგენდა; ორგანიზაციის თავდაპირველი ხასიათიც შესაბამისი იყო – მასში, ძირითადად, საშუალო საფეხურის სასწავლებელთა მოწაფეები იყვნენ გაწევრებულნი. 1918 წლის წესდების მიხედვით, ორგანიზაცია აარსებდა სამეცადინო წრეებს და ქმნიდა სახელმძღვანელო პროგრამას; სისტემატურად უნდა გამართულიყო ლექციები და რეფერატების წარდგენა, უნდა დაარსებულიყო ბიბლიოთეკები. ორგანიზაციაში გაწევრიანება შეეძლოთ 15-25 წლამდე ახალგაზრდებს სამი წევრის თავდებობით. ორგანიზაციის საერთო საქმიანობას ცენტრალური კომიტეტი განაგებდა, იგი იწვევდა საერთო კონფერენციას და ქმნიდა სარევიზიო კომისიას, რომელსაც ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა ეკონტროლებინა.[1]

სამეცადინო წრეების მოწყობაზე პასუხისმგებელნი იყვნენ ადგილობრივი ორგანიზაციები. ისინი, როგორც წესი, მოსწავლეთა წინარე ცოდნის მიხედვით, ორ ან სამ საფეხურად იყოფოდა, მაგალითად, ზესტაფონის (1920 წლამდე – ყვირილის) ორგანიზაციაში პირველი საფეხური გიმნაზიის IV კლასის მოწაფეებისაგან შედგებოდა, რომელზეც „პოლიტიკური ეკონომიის ანბანი“ ისწავლებოდა; II საფეხური საოსტატო სემინარიისა და სამოქალაქო სასწავლებლების მე-4 კლასის მოსწავლეებს აერთიანებდა. ამ საფეხურზე ისწავლებოდა ალექსანდრ ბოგდანოვის „მოკლე კურსი პოლიტეკონომიაში.“ მესამე საფეხურზე, რომელზეც ვაჟთა გიმნაზიის მე-7-8 კლასის მოსწავლეები სწავლობდნენ, ისტორიულ მატერიალიზმისა და სოციოლოგიური საკითხების შესახებ იღებდნენ ინფორმაციას.[2]

---

1 იქვე, 1918 N6, გვ. 16.

2 იქვე, 1921 N1, გვ. 15.

საინტერესოა, რომ 1921 წლისთვის, პირველი კონფერენციის დადგენილების თანახმად, ორგანიზაციას მუშები, ნოქრები და ახალგაზრდა გვარდიელებიც უნდა შეერთებოდნენ, ვინც მეორე საფეხურის პროგრამას გადიოდა. გარდა სამეცადინო წრისა, ყვირილაში კითხულობდნენ რეფერატებს, რომელთა წარდგენაში ჩართულნი იყვნენ როგორც ადგილობრივ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ წევრები, ისე – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანოს წევრებიც. ზესტაფონის ორგანიზაცია ჯამში 100-მდე წევრს ითვლიდა, რომელთა 20% ქალი ყოფილა.[1]

ორ საფეხურად იყოფოდა ბათუმის ორგანიზაციის სასწავლო ჯგუფებიც: პირველ საფეხურზე სწავლობდნენ „მრეწველობის განვითარებას“, ზედა საფეხურზე კი ალექსანდრე ბოგდანოვის „პოლიტეკონომიასა“ და ნოე რამიშვილის „ისტორიულ მატერიალიზმს“.[2]

ჭიათურაში სწავლება იწყებოდა კულტურის ისტორიიდან, მნიშვნელოვანი საგანი იყო პოლიტიკური ეკონომია. ხაშურის ორგანიზაციაში კითხულობდნენ კარლ კაუცკის „ერფურტის პროგრამასა“ და „მოკლე კურსს პოლიტეკონომიაში.“[3]

თითოეულ საფეხურზე მეცადინეობები ჯგუფურად მიმდინარეობდა. ქუთაისში, სადაც 1919 წლისთვის ორგანიზაციას 300 წევრზე მეტი ჰყავდა, არსებობდა 7 სამეცადინო ჯგუფი. სარგებლობდნენ შემდეგი სახელმძღვანელოებით: ალექსანდრე ბოგდანოვის „მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა“, ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“, ალექსეი ბახის „შიმშილი“ და სხვ. პარალელურად იკითხებოდა ლექცია-რეფერატები.

1920 წლის პირველ თებერვალს ალექსანდრე დუდუჩავასა და დ. ყიასაშვილის მიერ ქუთაისში წაკითხულ მოხსენებებს ფილოსოფიურ და ისტორიულ მატერიალიზმზე „ახალი კვალი“ ეხმაურებოდა. მოხსენებებს ცხარე კამათი მოჰყოლია

---

1 იქვე, 1919 N5, გვ. 13.

2 იქვე, გვ. 16

3 იქვე, 1918 N6

დამსწრე სოციალისტ-ფედერალისტებთან.[1]

როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების „ახალ კვალში“ დაბეჭდილ მოხსენებებში ვკითხულობთ, პირველ ეტაპზე სასწავლო გეგმა ერთიანი არ იყო, სწორედ ამიტომ, 1919 წლის კონფერენციაზე გამოიყო და დამტკიცდა ცალკე კომისია, რომელსაც ერთიანი სასწავლო გეგმა უნდა შეემუშავებინა. გეგმის მიხედვით, ყველა ორგანიზაციას ახალგაზრდები ორ სამეცადინო ჯგუფად უნდა დაეყო. პირველ სამეცადინო ჯგუფში კითხვითი მეცადინეობის სისტემა შემდეგნაირად განისაზღვრა: „ამ ჯგუფში მომაცადინე ახალგაზრდანი ეცნობიან კულტურის ისტორიას, თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობას მისი უარყოფითი მხარეების გაცნობით და აქედან სოციალიზმის აუცილებლობას.“[2] გეგმაშივე აღინიშნებოდა, რომ ყოველი წიგნის წაკითხვის შემდეგ საჭირო იყო წიგნის მოკლე შინაარსის დაწერა და შემდეგ წიგნის გარშემო საერთო საუბრის მოწყობა. პირველი საფეხურის პროგრამა შემდეგი თემებისგან შედგებოდა: კულტურის ისტორია, კაპიტალიზმი (კურსზე, სხვა შეხედულებებთან ერთად, პ. ლაფარგის „ოქროს თაყვანისცემასაც“ ეცნობოდნენ) და პოლიტეკონომიის შესავალი. გეგმაში გათვალისწინებული იყო ალექსანდრა კოლონტაის, კლარა ცეკტინისა და ემილ ვანდერველდეს ნაშრომები სინდიკატებისა და ქალთა საკითხის შესახებ.

მეორე სამეცადინო ჯგუფი აერთიანებდა იმ ახალგაზრდებს, ვისაც საერთო წარმოდგენა ჰქონდათ თანამედროვე საზოგადოებაზე. მათი მეცადინეობის სისტემა შერეული სახის იყო: კითხვის პარალელურად რთულ საკითხებზე უნდა დაეწერათ რეფერატები; ყურადღება უნდა გაემახვილებინათ მარქსიზმის ეკონომიურ მხარესა და პოლიტეკონომიაზე. ჯგუფის წევრებს პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მონაწილეობის უფლებაც ჰქონდათ. სწავლობდნენ სპეცსაკითხებს: პროფესიონალური მოძრაობა, კოოპერაცია და სხვ. მეცადინეობა ბოგდანოვის „პოლიტიკური ეკონომიის შესწავლით“ უნდა

1 იქვე, 1920 N2, გვ. 14.

2 იქვე, 1919 N3.

№ 16 კვირა, 28 იანვარი 1918 წელი № 16

მებრძოლთა ხმა

ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲮᲛᲐ

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ მოწაფეთა კავშირის ჟურნალი „მებრძოლთა ხმა“ 1918 წელი N16.
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

დაეწყოთ. კითხულობდნენ მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებსაც.

ორგანიზაციის ფრაქციულობასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ახალგაზრდა მარქსისტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები პარტიას დახმარებას უწევდნენ დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნების მიმდინარეობისას. ოზურგეთში 7 თებერვლის კრებაზე ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერებმა საკუთარ წევრებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდეს. აგრეთვე, შედგა 30-კაციანი ჯგუფი, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბანში უნდა განაწილებულიყო და არჩევნებამდე და არჩევნების დღეებში პარტიისათვის დახმარება გაეწია.[1] პარტიის მხარდამხარ მდგომ ჭიათურის ორგანიზაციის სოფლებში გაიგზავნნენ ორგანიზაციის წევრები საარჩევნო პროცესში დასახმარებლად.

1.2. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციები

წევრთა რაოდენობის მიხედვით ახალგაზრდა მარქსისტების შემდეგ მეორე ადგილზე „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია“ იყო, რომელსაც საკუთარ იდეოლოგიად, პარტიის მსგავსად, სოციალიზმისა და ნაციონალიზმის ერთგვარი სინთეზი ჰქონდა არჩეული. აღნიშნული რუსეთის იმპერიაში სისტემის დემოკრატიული რეფორმირებისა და საქართველოსთვის თვითმმართველობის უფლების მოთხოვნაში გამოიხატებოდა. სოციალისტ-ფედერალისტები სოციალიზმის მარქსისტულ გაგებას ემიჯნებოდნენ, პარტიაში არსებობდა ანარქისტული ტენდენციებიც. ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა მარქსისტთა წინააღმდეგ გამართულ დებატებში. ხშირად კამათის საგანი სწორედ ისტორიის მარქსისეული მატერიალისტური

[1] იქვე, 1919 N2, გვ. 16.

გაგება და ეროვნული საკითხი იყო. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია თავდაპირველად სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეთა ორგანიზაციების კავშირს წარმოადგენდა. მოგვიანებით სტუდენტური ორგანიზაცია შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსწავლეთა და სტუდენტური ორგანიზაციები 1920 წლამდე, მათ გაერთიანებამდე დამოუკიდებლად არსებობდნენ.

ა) დაფუძნება და საორგანიზაციო საკითხები

ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ჩანასახები საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სასწავლებლებში შექმნილი პარტიის მხარდამჭერ მოწაფეთა გაერთიანებების სახით რუსეთის რევოლუციამდეც არსებობდა, თუმცა ერთიანი ორგანიზაცია 1917 წლის მაისში ქუთაისში გამართულ პირველ კონფერენციაზე დაფუძნდა. კონფერენცია 1917 წლის 30 აპრილს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში უნდა გამართულიყო, თუმცა არსებობდა მისი გადატანისა და გაუქმების საშიშროება, რადგან წინა დღეს დარბეული ოთახის გამოყენება შეუძლებელი გახდა და საბოლოოდ კრება მეორე დღეს დილის 10 საათზე ფარულად გაიმართა რეალური სასწავლებლის ერთ-ერთ ოთახში.[1] პირველ დღეს მას სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა 22 დელეგატი ესწრებოდა, ხოლო მეორე დღეს – 27 დელეგატი: თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ბაქოდან, ხონიდან, ხაშურიდან, ლანჩხუთიდან, ბათუმიდან, ყვირილადან (ზესტაფონი) და ოზურგეთიდან. კრება „ქუთაისის სოც.-ფედერალისტ მოწაფეთა კომიტეტის“ თავმჯდომარემ, ფილიპე შარაძემ გახსნა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა კავშირის წესდება, ორგანიზაციის ხასიათი და მეცადინეობის წესი. გადაწყვიტეს, რომ ქალაქის კომიტეტში თითო სასწავლებლიდან თითო წარმომადგენელი უნდა შესულიყო.[2]

---

1 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1917 N4, გვ. 15.

2 იქვე, N7, გვ. 14.

„ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისგან“ განსხვავებით, „ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციები,“ ძირითადად, სასწავლებლების ბაზაზე ყალიბდებოდა. მათში მოსწავლეები, შემდეგ კი სტუდენტებიც ერთიანდებოდნენ. მათ შორის არ იყვნენ მუშები, გლეხები, გვარდიელები და სხვა სოციალური ფენების წარმომადგენელნი.

თითოეულ სასწავლებელში შექმნილ ორგანიზაციას საკუთარი კომიტეტი (სასწავლებლის კომიტეტი) ჰყავდა, რომელიც ადმინისტრაციულ საქმეებსა და მათთან ერთად მოსწავლეთა პოლიტიკურ მეცადინეობას უძღვებოდა. სასწავლებლის კომიტეტები ქალაქის კომიტეტში ერთიანდებოდა, სადაც თითოეულ სასწავლებელს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ის მთელი ქალაქის მასშტაბით უზრუნველყოფდა სისტემატური მეცადინეობების მოწყობასა და ქალაქის ორგანიზების საქმიანობის კოორდინირებას.

„სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციის“ სათავეში იყო შვიდწევრიანი კავშირის გამგეობა, რომელიც მთლიანი ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე იყო პასუხისმგებელი – იწვევდა კავშირის კონფერენციას და სათავეში ედგა ორგანიზაციის პრესის ორგანოს, „მებრძოლთა ხმას“. აქედანვე ირჩევდნენ ორგანოს სარედაქციო კოლეგიის ორ წევრს.[1]

აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია“ „ახალგაზრდა მარქსისტებთან“ შედარებით ნაკლებად იერარქიულ გაერთიანებას წარმოადგენდა, რაც მათ წესდებაშიც იყო აღნიშნული. ისინი მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მოწყობის ფედერალურ პრინციპს, სადაც სახელმწიფოს შემადგენელი ფედერალური სუბიექტები დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მაღალი დონით სარგებლობდნენ. საკუთარი ორგანიზაციის მოწყობისასაც ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტები იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ.

პირველ კონფერენციაზევე გადაწყდა ჟურნალის დაარსებაც, თუმცა კამათი გამოიწვია საკითხმა, თუ სად უნდა გამოცემულიყო ჟურნალი. კონფერენციაზე მყოფი ქუთაისელი

---

[1] იქვე, 1918 N19, გვ. 16.

დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ ქუთაისის ორგანიზაციები, თბილისის ორგანიზაციასთან შედარებით, უკეთ იყვნენ მომზადებულნი, ამიტომ ჟურნალის ქუთაისში გამოცემას ითხოვდნენ. საბოლოოდ, ხმათა უმრავლესობით კონფერენციამ ჟურნალის გამოცემა თბილისში გადაწყვიტა.[1] ჟურნალის დასახელებად „მებრძოლთა ხმა“ შეარჩიეს.

სექტემბერში გამოცემულ პირველ ნომერში გამოკვეთილი იყო ჟურნალის დანიშნულება, მოსწავლეები გაეთვიცნობიერებინა და გაერკვია „ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ გზებში,“ შეეკავშირებინა „მტკიცე რაზმებად“ და დედამიწაზე სამართლიანობის დასამყარებლად ეროვნულ-სოციალისტური დროშით გასძღოლოდა წინ. სტატიაში ყურადღება იყო გამახვილებული იმ ახალგაზრდებზე, ვინც სკოლის მიღმა დარჩა და ვერ ახერხებდა განათლების მიღებას. „მებრძოლთა ხმა“ მათაც უნდა დახმარებოდა დანაკლისის შევსებაში.[2] კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სკოლების გაქართულებაში წვლილის შეტანა იყო.

1918 წლის თებერვალში კავშირის მეორე კონფერენცია ჩატარდა. მის შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაცია მოიპოვება, რაც, სავარაუდოდ, „მებრძოლთა ხმის“ გამოცემის შეჩერებამ განაპირობა (ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომია ჟურნალის მხოლოდ პირველი ოცი ნომერი).

1919 წელს „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას“ „ანარქისტული ჯგუფი“ გამოეყო და „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია“ დააფუძნა. აგრეთვე, გაიყო „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა კავშირშიც“ და „მაშვრალთა“ ჯგუფის სტუდენტთა საერთო კრებამ 1919 წლის 23 ნოემბერს ხუთი წევრისგან შემდგარი გამგეობა აირჩია.[3] ორგანიზაციის შემდგომი ბედი დღეისათვის უცნო-

---

1 იქვე, 1917 N8, გვ. 15.

2 იქვე, N1 გვ. 13.

3 შოთა ვადაჭკორია, საქართველოს ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები (1917-1921 წწ.). წიგნში: *საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) წიგნი II*. („მემატიანე“, 2006). გვ. 671.

ბია, თუმცა, სავარაუდოდ, „სოციალისტ-ფედერალისტებისა“ და „მაშვრალთა“ პარტიის გაერთიანების შემდეგ, იმავე წელს კვლავ ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა კავშირს უნდა შეერთებოდა.

მანამდე კი, 1919 წლის 24 აპრილს, „მოწაფეთა კავშირმა“ III კონფერენცია გამართა. მას გ. კიკნაძე თავმჯდომარეობდა. კონფერენციას ესწრებოდა „სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა ორგანიზაციის“ წარმომადგენელი შალვა ასათიანიც.[1] გადაწყდა, რომ კავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდა, იარსებებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საგუბერნიო კომიტეტებიც. ამდენად, კავშირის მანამდე არსებულ ნაკლებად იერარქიულ სამმართველო სტრუქტურას კიდევ ერთი რგოლი შეემატა.[2] კონფერენციაზე იმსჯელეს სოც.-ფედერალისტთა მოწაფეთა და სტუდენტური ორგანიზაციების გაერთიანებაზეც, რაც უარყოფითად შეაფასეს, თუმცა აღინიშნა, რომ საჭირო იყო უფრო მჭიდრო კავშირი ამ ორ ორგანიზაციას შორის. მოსწავლეთა და სტუდენტური ორგანიზაციების გაერთიანება, საბოლოოდ, 1920 წელს კავშირის IV ყრილობაზე გადაწყდა.[3] ბოლოს კონფერენციამ განიხილა ჟურნალის გამოცემის განახლების საკითხიც, რაზეც შეთანხმდნენ, რომ იგი აუცილებლობას წარმოადგენდა და ამისათვის საჭირო იყო 20 ათასი მანეთის თავმოყრა. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, ჟურნალის გამოცემა მაინც ვერ მოხერხდა.

„სოც.-ფედერალისტთა მოწაფეთა კავშირის“ შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის III კონფერენციის მოხსენებები ადგილობრივი ორგანიზაციებიდან. მოხსენებების მიხედვით, 1919 წლისათვის ქუთაისის ორგანიზაციას მეხუთე კლასიდან 1500 ნამდვილი წევრი ჰყავდა, ტფილისის ორგანიზაციას – 600 წევრი; პარტიული ბიბლიოთეკა 200-მდე წიგნად ერთეულს ითვლიდა. ხაშურის ორგანიზაციაში 62 წევრი ირიცხებოდა; ზესტაფონის ორგანიზაციაში 150 წევრი იყო გა-

---

1 გაზ. *სახალხო საქმე*, 1919 N511, გვ 3.

2 იქვე, N514, გვ. 3.

3 ვადაჭკორია, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 672.

წევრიანებული. თერჯოლასა და სხვა სოფლებშიც უკვე არსებობდა ახალგაზრდათა ორგანიზაციები.[1]

ბ) საქმიანობა და ძირითადი მიმართულებანი

1917 წლიდან ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ სასწავლებლებში გამართულ კრებებზე მთავარი განსახილველი საკითხი სკოლის ნაციონალიზაცია და სწავლის პროცესის მოწესრიგება იყო. მოწაფეთა მთავარ მოთხოვნას სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლება წარმოადგენდა, რაც პროტესტისა და გაფიცვების მთავარ მიზეზად იქცა. „მებრძოლთა ხმაში“ დაბეჭდილი სტატიების უმრავლესობა აღნიშნულ საკითხებს ეხება. მოხსენებებს კითხულობდნენ ისეთი თემების შესახებ, როგორებიცაა ფედერაციისა და ავტონომიის საკითხი და სოციალიზმის მათეული გაგება. იმართებოდა ღია კრებები, სადაც დებატებისთვის სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც იწვევდნენ. ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე სხდომის მაგალითი წარმოდგენას გვიქმნის ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოწაფეთა ორგანიზაციის მოქმედებასა და ფუნქციებზე.

თბილისის საეპარქიო სასწავლებელში 13 ოქტომბერს გაიმართა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის“ წარმომადგენლებისა და სასწავლებლის „სოციალ-ფედერალისტ თანამოაზრე ქალთა“ კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ანა ღვინიაშვილი. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე მოხსენება წაიკითხა სოციალისტ-ფედერალისტმა შ. ასათიანმა. მან დაასკვნა, რომ პიროვნების ცხოვრებისათვის საუკეთესო გამოსავალი ფედერაციაა, რადგან საზოგადოება, გარკვეულწილად, ზღუდავს ადამიანს, თუმცა, მეორე მხრივ, ის აუცილებელიცაა, რადგან მაქსიმალურად შეუძლია პიროვნების დაკმაყოფილება.

მომდევნო დღეს ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში ჩატარებულ ქართველ მოწაფეთა საერთო კრებაზე წაიკითხეს

---

1 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, N513, გვ. 3.

მოხსენება „ავტონომია და ფედერაცია“. კრებას ესწრებოდნენ სოციალ-ფედერალისტები, გ. სვანიძე, შ. ასათიანი და ეროვნულ-დემოკრატი ოთხი მოსწავლე.

16 ოქტომბერს, თბილისის კულტურულ ტექნიკურ სასწავლებელში ქართველ მოწაფეთა საერთო კრებაზე, რომელსაც თბილისის რკინიგზის სასწავლებლის მოწაფეებიც ესწრებოდნენ, „სოც.-ფედერალისტთა მოწაფეთა ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა, გ. კიკნაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ეროვნება და სოციალიზმი“. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ნაციონალიზმისა და სოციალიზმის იდეალებს თანაარსებობა შეუძლიათ და საქართველოსთვის სწორედ ასეთი მიმართულება იყო უკეთესი. დებატებზე სოციალისტ-ფედერალისტები აკრიტიკებდნენ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა მიერ წაკითხულ პარტიულ რეზოლუციას, რადგან მასში გათვალისწინებული არ იყო საქართველოს ავტონომიის საკითხი.[1]

24-25 ოქტომბერს ხონში გაიმართა ყველა პარტიის ახალგაზრდობის საერთო კრებები. განიხილეს სოციალიზმის, ნაციონალიზმის, ფედერალიზმის, პროფკავშირების, გლეხობისა და სხვა თემატური საკითხები. შ. ასათიანმა მოხსენებები წაიკითხა ფედერალიზმისა და „სოციალიზმის ორი გზის“ შესახებ, სადაც გააკრიტიკა სოციალიზმის მარქსისტული გაგება. სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის აღნიშნულ საკითხებზე კამათი 13 საათს გაგრძელდა.[2]

სოციალისტ-ფედერალისტი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სკოლის ნაციონალიზაციის თემას, რაც კარგად ჩანს „მებრძოლთა ხმის“ 1917 წლის ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებში. IV ნომერში საუბარია ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის ქართულ ენაზე დაწყების მიზნით ბრძოლის შესახებ. სტატიის ავტორის თქმით, სკოლის რუსულენოვანი მასწავლებლები სემინარიის დასაკუთრებას ცდილობდნენ სხვადასხვა გზით: უცხოელი მოსწავლეების მიღებით, ქარ-

---

1 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1917 N4, გვ. 13.

2 იქვე, N6, გვ.15.

თველი მდივნის გადაყენებით, რუსი მასწავლებლის არჩევითა და სწავლის ენად რუსულისათვის უპირატესობის მინიჭებით. მოსწავლეებმა 4 ოქტომბერს საკითხის გარშემო სამსჯელოდ მოიწვიეს სემინარიის მოსწავლეთა კრება, რომელსაც „ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა“ წევრი გედეონ სვანიძე თავმჯდომარეობდა. უნდა შეემუშავებინათ მოქმედების პრაქტიკული გეგმა. მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ყველა რუსულენოვან მასწავლებელს უნდა დაეტოვებინა სემინარია. მოთხოვნებს შორის იყო: სკოლის ნაციონალიზაციაში ხელის არშეშლა, სემინარიის დატოვება და სწავლის საჩქაროდ დაწყება ეროვნულ ნიადაგზე. 5 ოქტომბერს რეზოლუცია ყველა მასწავლებლისათვის უნდა გაეცნოთ. მოსწავლეთა გამოსვლას რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკება მოჰყვა ეროვნებით რუს მასწავლებლებთან, რომლებიც უარს ამბობდნენ სემინარიის დატოვებაზე, მაგრამ, საბოლოოდ, იძულებულნი გახდნენ, ასე მოქცეულიყვნენ.[1]

„ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა მოწაფეთა კავშირი“ პარტიის ცხოვრებაშიც აქტიურად იყო ჩართული. 1917 წლის 22 ოქტომბრის თბილისის სასწავლებლების სოციალისტ-ფედერალისტ თანამოაზრე მოსწავლეთა საერთო კრებაზე გამოიტანეს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ცენტრალური პარტიისათვის დახმარების აღმოჩენის დადგენილება. არჩევნებში მოწაფეების მუშაობის სახელმძღვანელოდ შექმნეს ხუთკაციანი გუნდი. თითოეული მოწაფისათვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კონკრეტული ქუჩა უნდა მიებარებინათ.[2] ამასთან, დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე, „მებრძოლთა ხმის“ მე-6, მე-7 და მე-8 ნომრებში თითო გვერდი ეთმობოდა მოწოდებას, რომ მოსახლეობას არჩევნებში მე-6 ნომრად წარმოდგენილი სოციალისტ-ფედერალისტებისთვის მიეცა ხმა. იქვე პარტიის საარჩევნო სიის წევრთა სახელები და რიგითობა იყო ჩამოთვლილი.

პარტიის ახალგაზრდა წევრთა მიმართ მოწოდება იყო გაჟღერებული 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრე-

---

1 იქვე, N4, გვ. 12.

2 იქვე, N6.

ბის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრეც, სოციალისტ-ფედერალისტთა პრესის ორგანო „სახალხო საქმეშიც“. მოწოდებაში გამოიკვეთებოდა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა საქართველოს საბოლოო გათავისუფლების საქმეში და აღინიშნებოდა, რომ გამარჯვებისათვის „არაჩვეულებრივი ენერგიის გამოჩენა“ და „გაცხოველებული მუშაობის წარმოება“ გარდაუვალი იყო. ამიტომ პარტია ახალგაზრდა წევრებს მოუწოდებდა, მისულიყვნენ პარტიის ბიუროში და გაენაწილებინათ საქმე, რათა ხელი შეეწყოთ იდეების გამარჯვებისათვის.[1]

საინტერესოა „ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტ მოწაფეთა ორგანოში“ 1917 წლის „მებრძოლთა ხმის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებული მოწაფეთა სამეცადინო გეგმის (*„წესი მეცადინეობისა სოც.-ფედ. მოწაფეთა წრეებში“*) შინაარსობრივი ანალიზიც. პარტიისა და ორგანიზაციის იდეოლოგიის კვალდაკვალ, სამეცადინო გეგმაც სოციალიზმისა და ნაციონალიზმის თემატიკის ნაზავს წარმოადგენდა. წესის თანახმად, პირველ სასწავლო წლის პირველ ხუთ გაკვეთილში უნდა შეესწავლათ: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, რუსეთის მიერ საქართველოს „მიერთების,“ XIX საუკუნის I მეოთხედის მოძრაობებისა და ქართველი ინტელიგენციის მოსაზრებების საკითხები; მეხუთე-მეათე გაკვეთილები ალექსეი ბახის სახელმძღვანელოს მიხედვით პოლიტეკონომიის საწყისების შესწავლას ეთმობოდა; მე-11 გაკვეთილის თემას მშრომელთა კლასი (გლეხობა და პროლეტარიატი) და კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური ემანსიპაციის საკითხები წარმოადგენდა; მე-12 გაკვეთილი სახელმწიფო მოწყობის პერსპექტივებსა ეხებოდა, მას მოჰყვებოდა მიწისა და სოციალიზაციის, კოოპერატიული წარმოებისა და პროფკავშირების საკითხები. პირველივე წელს ისწავლებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური წყობა და რევოლუცია; რუსეთის რევოლუციათა მოკლე ისტორია; ერთა ჩაგვრა და მათი სამართლიანი მოთხოვნები; კლასთა ბრძოლა და ეროვნული ბრძოლა, როგორც მათი ხელისშემშლელი ფაქტორი; ეროვნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობა რუსეთში;

---

[1] გაზ. *სახალხო საქმე*, 1919, N442.

ეროვნული ემანსიპაციის, ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

პირველი წელიწადი სულ 28 გაკვეთილისგან შედგებოდა, მეორე – 34 გაკვეთილისგან. მეორე წელს უფრო სიღრმისეულად ისწავლებოდა „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის“ პროგრამა და პროგრამის ხედვებთან დაკავშირებული სხვადასხვა ფილოსოფიური საკითხი.[1]

ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ჟურნალი



„ახალი ძალა“. 1918 N2
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)

[1] ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1917 N5, გვ. 14.

1.3. ახალგაზრდული ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის“ ფესვები, სხვა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების მსგავსად, ცალკეულ სასწავლებლებში უნდა ვეძიოთ. როცა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია გაიმართა, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ ოფიციალურად დაფუძნებულიც არ იყო. მისი წინარეისტორიის ათვლა ჯერ კიდევ 1905-1906 წლებიდან იწყება, როცა „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას“ მემარჯვენე ფრთა გამოეყო და მომდევნო წლებში ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთების გამოცემა წამოიწყო, თუმცა 1917 წლამდე პარტიად არ შემდგარა.

1917 წლის 25 აპრილის ეროვნულ-დემოკრატთა პარტიული პრესის ორგანო „საქართველო“ ქალაქ ქუთაისში გამართულ ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა და მოწაფეთა კონფერენციის შესახებ წერდა. მას თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთის, ზესტაფონისა და სხვა ქალაქების სულ 39 წარმომადგენელი ესწრებოდა. კრებას მიხეილ ხერხეულიძე თავმჯდომარეობდა. კონფერენციაზე, სხვა თემებთან ერთად, განიხილეს ავტონომიის სტატუსი, ავტოკეფალიის, პარტიის მომავალი ორგანიზების, პროგრამისა და პარტიის მომავალი დამფუძნებელი კონფერენციის საკითხები. კრება 6 დღეს გაგრძელდა. კონფერენციაზე პარტიის დამფუძნებელი კრებისთვის, რომელიც იმავე წლის 4 ივნისს გაიმართა, ორი დელეგატი შეირჩა: მიხეილ ხერხეულიძე და კალ. მირაბიშვილი.[1]

იმავე წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას რადიკალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატთა სახით, მალევე გამოეყო ორი ჯგუფი. შოთა ვადაჭკორიას შეფასებით, ამ მოვლენას ახალგაზრდულ ორგანიზაციაზეც უნდა ემოქმედა. მართლაც, ნოემბერში გაზეთ „კლდის“ ჯგუფი საკუთარ ორგანოში დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატთა

---

1 გაზ. *საქართველო*, 1917 N95, გვ. 3.

ცალკე ახალგაზრდული ჯგუფის შესახებ წერდა, რომელსაც ხუთი კაცისგან შემდგარი კომიტეტიც ჰქონდა.[1] პარალელურად, იმავე თვეში გამოიცა ჟურნალი „ახალი ძალა“ – ეროვნულ-დემოკრატთა ახალგაზრდული ორგანიზაციის პრესის ორგანო.

ორგანიზაციის შესახებ არასაკმარისი მონაცემი არსებობს. საკმაოდ მოკლეა მისი წესდებაც, რომელიც „ინსტრუქციის“ სახელწოდებით „ახალი ძალის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა. წესდების მიხედვით, ორგანიზაციას მთავარი კომიტეტი ხელმძღვანელობდა, რომელიც მდებარეობდა თბილისში და მოქმედებდა ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაცია დაბა-ქალაქებში არსებული ორგანიზაციების ერთობას წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს ჰქონდა ცალკე ცენტრი ქუთაისის კომიტეტის სახით, რომელიც იყო შუამავალი მთავარ კომიტეტთან. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში ჩაწერა შეეძლოთ როგორც მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ისე – არამოწაფეებსა და არასტუდენტებსაც.[2]

ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაცია, პარტიის მსგავსად, ნაციონალისტური და ანტისოციალისტური მიმართულებისა იყო. პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში მიხეილ ხერხეულიძე პოეტურად აღწერს მათეულ მსოფლმხედველობას. სტატიაში ვკითხულობთ:

„ასეთი „ძალა“-კი უკვე არსებობს... იგი ერის გადაგვარებით სვლის დროს დაიბადა... ამ ახალ ძალამ თავისი სახე გამოიჩინა...

ახალი ძალა – ერის დამღუპველ მორევს გასცურავს...

ახალი ძალა – სამშობლოს მტრობისათვის ყველას მოიმდურებს...

ახალი ძალა – სამშობლოს სიმდიდრისათვის ღონეს მოიკრეფს...“[3]

მისი შეფასებით, საქართველო „გადაგვარების გზას“ ადგა და მხოლოდ მათი მეშვეობით გადაიქცეოდა „სხვა სახეობად“

1 ვადაჭკორია, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 748.

2 იქვე, გვ. 14.

3 ჟურ. *ახალი ძალა*, 1918 N1, გვ. 3.

და ქვეყნის წინაშე კვლავ „მზიურობით“ წარდგებოდა, მაშასადამე, დაიბრუნებდა ნამდვილ სახეს. „სახის წაშლაში,“ ცხადია, რუსეთის მმართველობის ქვეშ ყოფნა იგულისხმებოდა, ხოლო „ახალ ძალაში“, რომელსაც მისი ნამდვილი სახე უნდა დაებრუნებინა – თავად ეროვნულ-დემოკრატები.

ეროვნულ-დემოკრატები ერს ორგანულ ერთობად მოიაზრებდნენ, როგორც უხსოვარ დროში დაბადებულს, მარადიულსა და ერთიანს. მათი ხედვით, კაცობრიობას ყოფდა სწორედ ეროვნული დიფერენციაცია და არა კლასობრივი, როგორც ეს სოციალისტურ პარტიებს მიაჩნდათ. „ახლო წარსულ ისტორიის ფაქტები გვასწავლის, რომ ერი როგორც მთლიანი მოვლენა ცხოვრებაში კრიტერიუმად უძევს მთელი ხალხის ჯგუფურად დაყოფას. თანამედროვე გამწარებული ბრძოლა მთელი ქვეყნის თითქმის ყველა სახელმწიფოებისა არის ბრძოლა წმინდა ეროვნული და არა კლასიური.“-ნათქვამი იყო კიდევ ერთ სტატიაში, სათაურით – „ჩვენი მრწამსი.“[1]

ეროვნულ-დემოკრატი ახალგაზრდები თავს „ზეკლასიურ“ გაერთიანებად მიიჩნევდნენ. სწამდათ, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესს იმ დროისათვის ძლიერი ეროვნული ბურჟუაზიის არსებობა წარმოადგენდა, რომელსაც ქვეყნისათვის სიმდიდრე და ძლიერება უნდა მოეტანა. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ: „დამცველნი ქართველი ერის და ეროვნულ ბურჟუაზიისა, მტრები ვართ და ვებრძვით იმათ, ვინც მტერია და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიასა!“[2]

ორგანიზაციის პოზიციებზე წარმოდგენას გვიქმნის 1919 წელს „ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატთა“ კონფერენციაზე იასონ ჯავახიშვილის მომენტისა და ტაქტიკის შესახებ წაკითხული მოხსენების შემდეგ მიღებული დადგენილება, რომელშიც დადასტურებული იყო ორგანიზაციის ერთგულება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისადმი. დადგენილების მიხედვით, საჭირო იყო: 1. ერის ძალების ორგანიზაცია, განსაკუთრებით, ჯარის გაძლიერება,

---

1 იქვე.

2 იქვე.

შინაური წეს-წყობილების მოწესრიგება; 2. საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღიარებისათვის ადგილობრივად და საზღვარგარეთ მუშაობა; 3. მესამე ძალის მიერ შინაურ საქმეებში ჩარევის მცდელობის აღკვეთა და აზერბაიჯანთან ერთად მტრის შემოსევასთან გამკლავება.

ზემოთქმულის აღსასრულებლად მთავრობას უნდა დახმარებოდნენ აღმშენებლობით მუშაობაში და შეეფერხებინათ იგი „მცდარი“ ნაბიჯების გადადგმაში: „ყოველ საკითხს შეეხება იგი, საქართველოს საგარეო, თუ საშინაო მდგომარეობას, პარტია უნდა მიუდგეს იმ მხრივ, თუ რამდენად მისაღებია იგი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ჩვენი მსოფლმხედველობა მოითხოვს, რომ პარტიის პოზიციაა ყოველთვის, მაშინაც როცა ამა თუ იმ შემთხვევაში იგი ოპოზიციაში[ა], იყოს პასუხისმგებელი, სახელმწიფოებრივ საზღვრებში.“[1]

---

1 გაზ. *საქართველო*, 1919, N129, გვ. 3.

თავი 2. **საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული საკითხი ახალგაზრდულ ორგანიზაციებში**

2.1 წინაისტორია – ფედერაცია, ავტონომია, ცენტრალიზმი

ქართულ პოლიტიკურ სივრცეს XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში ფონად გასდევდა ეროვნული საკითხის გარშემო დისკუსია, არსებობდა როგორც პარტიათაშორისი, ისე – შიდაპარტიული აზრთა სხვადასხვაობა. იგი თვალსაჩინო იყო ქართულ ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორისაც, მეტიც, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილვადი საკითხი იყო ორგანიზაციათა ბეჭდურ ორგანოებში და ორგანიზაციათაშორისი დავებისა თუ დისკუსიების საგანიც ხშირად გამხდარა.

1801 წლიდან, მას მერე, რაც რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსირება მოახდინა, საქართველო რუსეთის იმპერიაში შემავალ პროვინციულ სუბიექტს წარმოადგენდა, რამაც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა იმპერიების თავდასხმისგან დაიცვა, ქვეყანაში დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური თვითმმართველობის ტრადიცია მოსპო. დამპყრობელი იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის კულტურულ მთლიანობასა და, ზოგადად, კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. 1870 წლისათვის ბევრი ქართველი თავადი უკვე რუსულ ენაზე საუბარს ამჯობინებდა და შვილებიც რუსულ სკოლებში დაჰყავდა. იმპერიის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა უფრო დაბალი რანგის აზნაურობაც, გლეხობა კი ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც დაყოფილი იყო.[1]

1860-იან წლებში რუსულ იმპერიასთან მეტ-ნაკლებად შერიგებულ ინტელიგენციას დაუპირისპირდა „თერგდალეულე-

---

[1] სტივენ ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფეხებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* (ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), გვ. 18-20.

ბის“ სახელით ცნობილი ინტელექტუალთა ახალი თაობა, რომელიც საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამოსწორებას შეეცადა. სწორედ „თერგდალეულები“ იყვნენ საქართველოში ნაციონალისტური პროექტის ჩამომყალიბებელნი.[1] მოგვიანებით გაჩენილი კლასიფიკაციით, „პირველ დასად“ შერაცხილი ეს მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ქართული საზოგადოების კულტურულთან ერთად პოლიტიკური კონსოლიდაციასაც შეეცადა. „პირველი დასის“ წევრები ერთდროულად იბრძოდნენ ქართული ენის გავრცელების, დამკვიდრებისა და ქართველი ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერებისთვისაც, თუმცა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის ან პოლიტიკური ავტონომიის საკითხი არასდროს წამოუყენებიათ.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით ღიად გამოვიდა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო. იგი ქართველი ხალხის წინაშე მდგარ სოციალურ პრობლემებთან ერთად ეროვნული ავტონომიის არქონის საკითხსაც აყენებდა, რომლის გადაჭრის გზასაც ფედერალიზმში ხედავდა. საქართველოს ავტონომიის საკითხი პარტიის თავდაპირველმა ლიდერმა, არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა პარიზში დაარსებულ ცენზურისგან თავისუფალ გაზეთ „საქართველოში“ წამოჭრეს 1903 წელს. გაზეთის პირველ ნომერში ხაზგასმულია, რომ საქართველო კულტურულად და პოლიტიკურად მომწიფებული იყო საკუთარი ინტერესების წამოყენებისა და დაცვისათვის. ისინი მიზნად ისახავდნენ, როგორც მთლიანად რუსეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლას, ისე „საქართველოს ეროვნული ვინაობის აღდგენისა და განმტკიცებისთვის“ ხელის შეწყობას.[2]

სოციალისტ-ფედერალისტები ითხოვდნენ ეროვნულ ავტონომიას, რომელიც საქართველოს შიდა საქმეებში დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მოპოვების საშუა-

---

1 ირაკლი ჩხაიძე, *ნაციონალიზმის მოდეჰნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი («თერგდალეულები»)*, (ახალი აზრი , 2009).

2 გაზ. *საქართველო*, 1903 N1, გვ.2

ლებას მისცემდა. ამგვარი ავტონომია კონსტიტუციის მქონე ფედერალური ერთეულის სახით წარმოედგინათ დემოკრატიული რუსეთის შიგნით, რომელსაც თავადაც ფედერაციის სახე ექნებოდა. პროექტის მიხედვით, საქართველო კავკასიის ფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო, რითაც საქართველოსა და ფედერაციის დანარჩენ წევრებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება ექნებოდათ. „ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ თვით-მოქმედებას ანიჭებს და მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენიმე მეზობელ ერს ერთ გამაერთიანებელ პოლიტიკურ მართველობის ფორმას აძლევს." – ნათქვამი იყო სტატიაში.[1]

ჯერ კიდევ 1901 წელს არჩილ ჯორჯაძემ ქართულ პოლიტიკურ ძალებს გაერთიანებისა და საქართველოს ეროვნული განვითარებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა, რომელსაც მის მიერვე შემუშავებული „საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია" უნდა დასდებოდა საფუძვლად. ა. ჯორჯაძე გამოჰყოფდა სამ ძირითად საკითხს, რომლის გარშემოც საქართველოში არსებული სხვადასხვა „დასი" უნდა გაერთიანებულიყო და საერთო ბრძოლა ეწარმოებინა: „ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა."[2]

სწორედ ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელებას წარმოადგენდა 1904 წელს ჟენევაში გამართული კონფერენცია, სადაც ქართული რევოლუციური ორგანიზაციები იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის, ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებიც ერთი წლით ადრე, 1903 წელს, რუსეთის სოციალი-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეერთებოდნენ. კონფერენცია, რომელზეც სოციალისტ-ფედერალისტური პარტია დაარსდა, სოციალ-დემოკრატებმა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით,

---

1 გაზ. *საქართველო*, 1904 N9, გვ. 2.

2 არჩილ ჯორჯაძე, *თხზულებანი. წიგნი მეოთხე,* (ტფილისი, 1911), გვ. 7-8.

ნაადრევად დატოვეს – მათ მიუღებლად მიაჩნდათ საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა.

ეროვნული და საქართველოს მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხი 1917 წლის რევოლუციებამდე (განსაკუთრებით, თებერვლის რევოლუციამდე) პრინციპული უთანხმოების საგანს წარმოადგენდა სოციალისტ-ფედერალისტებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის. სოციალ-დემოკრატები, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას, თუმცა ისინი ბოლომდე მაინც არასდროს უარყოფდნენ ეროვნულ საკითხსა და ავტონომიის მიმართ მათი პოზიციაც ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა.

ეროვნულ საკითხზე ნოე ჟორდანიას ჯერ თერგდალეულთა ძველ თაობასთან ჰქონდა პოლემიკა, შემდეგ კი – თერგდალეულების იდეური გავლენის ქვეშ მყოფ სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებთან. ეროვნულ საკითხთან მიმართებით ქართველ სოციალ-დემოკრატებს განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შიგნითაც, როგორც ბოლშევიკებთან, ისე – რუს მენშევიკებთან, რომელთა ნაწილად თავადაც ითვლებოდნენ. დაბოლოს, თავად ქართველ სოციალ-დემოკრატებშიც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ამ თემასთან დაკავშირებით.

სტივენ ჯონსი პარტიის შიგნით ეროვნულ საკითხთან მიმართებით გამოჰყოფს ოთხ გამოკვეთილ პოზიციას: მარცხნივ ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე იდგნენ, რომლებიც ეროვნულ საკითხს საქართველოსთვის უფრო მეტად კულტურულ პრობლემად განიხილავდნენ და მის გადაწყვეტას რუსეთის ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით ხედავდნენ; მარჯვენა ფრთას ვლადიმერ დარჩიაშვილი და ივანე გომართელი ემხრობოდნენ, რომლებიც საქართველოს ავტონომიას უჭერდნენ მხარს; მემარჯვენე და მემარცხენე თანაბარზომიერ პოზიციებზე ჯონსი, შესაბამისად, აკაკი ჩხენკელსა და ნოე ჟორდანიას განიხილავს.[1]

---

[1] ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფეხებში*, გვ. 287.

ეროვნული საკითხის მიმართ დამოკიდებულების უკეთ წარმოსაჩენად შეგვიძლია, თვალი მივადევნოთ XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ნოე ჟორდანიას შეხედულებათა პროგრესს. 1908 წელს გამოცემულ სტატიაში, სახელწოდებით, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ნოე ჟორდანია საქართველოსთვის ყველა სახის ავტონომიის საჭიროებას უარყოფდა. მისი ხედვით, ფედერალისტთა მიერ წამოყენებული მოთხოვნა პოლიტიკური ავტონომიისა და საქართველოსთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების შესახებ კონკრეტული კლასების, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებში შედიოდა. სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საქართველოში ბურჟუაზიის როლი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით, ცარისტულმა რუსეთმა შეასრულა და არა ქართულმა ბურჟუაზიამ. ნოე ჟორდანიას მტკიცებით, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში ნაციონალიზმს დასაყრდენი არ ჰქონდა.[1] უფრო გვიანდელ ნაწერებში ნ. ჟორდანია უკვე აღიარებდა ეროვნული საკითხის აქტუალობას, სახელმწიფოს შიგნით ერთი ერის მიერ სხვა ერების დაქვემდებარებული მდგომარეობის პრობლემურობასა და ნებისმიერი ერისათვის თვითგადარჩენისა და გამორკვევის აუცილებლობას.

1913 წლის ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, რომელიც ავსტრომარქსისტული სკოლის წარმომადგენელი მარქსისტი თეორეტიკოსების, ოტო ბაუერისა და კარლ რენერის გავლენითაა დაწერილი, ნოე ჟორდანია ერთმანეთისგან განასხვავებს ტერიტორიულობაზე დაფუძნებულ ნაციონალიზმსა და კულტურულ ნაციონალიზმს — უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს, გამომდინარე იქიდან, რომ პირველს წარსული ეკონომიკური წყობის გადმონაშთებში მოიაზრებს.

---

1 ნოე ჟორდანია, ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი. წიგნში: *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია,* (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015 [1908]), გვ. 28-46.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ჟურნალი ახალი კვალი.
1920 წელი N4
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

აქ მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის საწყის ორ ათწლეულში ევროპის მარქსისტული მიმართულების პარტიებსა და ჯგუფებში ეროვნული საკითხი ზოგადპრობლემურად განიხილებოდა. თავად კარლ მარქსს ნაციონალიზმის შესახებ ჩამოყალიბებული თეორია არასდროს შეუქმნია, თუმცა მის ნაწერებში იკვეთება ორი ძირითადი პარადიგმა: პირველი – ადრეული, რომლის მიხედვითაც ერებს შორის არსებული სხვაობები პრემოდერნულ ფენომენებს მოიცავს, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ნელა-ნელა ქრება და, შესაბამისად, ნაციონალიზმი მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში მნიშვნელობას დაკარგავს; მეორე პარადიგმის მიხედვით, კარლ მარქსი ნაციონალიზმს უფრო პოზიტიურად უყურებს და მხარს უჭერს მის გამოყენებას ინსტრუმენტული მიზეზებიდან გამომდინარე, რადგან ეროვნული მოძრაობების გავლენა 1848 წლის რევოლუციების პროცესში ანგარიშგასაწევია. კ. მარქსს ნაციონალიზმი უკვე მოდერნულ მოვლენად მიაჩნია, რომელიც ერების შეკავშირებითა და აღმშენებლობით

ხელს უწყობს კაპიტალიზმის ჰომოგენურ განვითარებას.[1] იგი უფრო მეტად მაინც ნაციონალიზმის შემაკავშირებელ ეფექტზე საუბრობს, ისეთზე, როგორიც იტალიისა და გერმანიის ერთიან სახელმწიფოებად ჩამოყალიბების პროცესში ჰქონდა და არა მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

ერთა თვითგამორკვევის საკითხი მწვავედ იდგა მრავალეთნიკურ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში (ისევე, როგორც ცარისტულ რუსეთში) და სწორედ ამ პრობლემიდან გამოსავლის მოძებნას წარმოადგენდა ოტო ბაუერისა და კარლ რენერის იდეები. მათ, ერთი მხრივ, ადეკვატური პასუხი უნდა ეპოვათ იმპერიაში შემავალი ერების თვითგამორკვევის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრივ – ავსტრიის იმპერიის პოლიტიკური ერთიანობაც შეენარჩუნებინათ. ამიტომ რენერმა და ბაუერმა ერთმანეთისგან განაცალკევეს ერისა და სახელმწიფოს გაგება. მათი თეორიის მიხედვით, შესაძლებელი იყო ერთიანი პოლიტიკური ერთეულის შიგნით გვერდიგვერდ ეარსება რამდენიმე ერს ისე, რომ ამ ერების კულტურული და პოლიტიკური ჩაგვრა აღმოფხვრილიყო, ეს კი ერებისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭებით უნდა უზრუნველეყოთ.[2]

ბაუერის მსგავსად, ნოე ჟორდანიას ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა ტერიტორიულობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნია, რაც, მისი მტკიცებით, სახელმწიფო ძალაუფლების ერებში გაბატონებული მდიდარი კლასების ხელში გადასვლას გამოიწვევს, რადგან ყველა ერში შეძლებული კლასები ბატონობენ. დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობით ეს კლასები ახალი იარაღით აღიჭურვებიან და მას სხვა ერების შესავიწროებლად გამოიყენებენ.

ზემოთქმულის საპირისპიროდ, ნოე ჟორდანია მხარს უჭერს კულტურულ ავტონომიას, რომლის გამოვლინებადაც ეროვნული ენის დაცვა და მისი გავრცელება მიაჩნია. იგი ცდილობს, ერთმანეთს შეუფარდოს კლასობრივი თეორია და

---

1 Shlomo Avineri, Marxism and Nationalism. In Journal of Contemporary History. 26:3/4, The Impact of Western Nationalisms. pp. 637-657. (1991) გვ. 640.

2 Ewa Czerwińska-Schupp, *Otto Bauer (1881-1938) – Thinker and Politician*, (Brill, 2016), გვ. 119.

ეროვნული პრობლემატიკა. მისი შეხედულებით, ეროვნება კულტურული განვითარების შედეგად ყალიბდება, რისი საფუძველიც თანამედროვე მატერიალურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ; საერთო კულტურული აღორძინების საჭიროება კი ერისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის საჭირო იარაღის მიცემაში მდგომარეობას. ნ. ჟორდანიას ხედვით, განათლებაზე ხელმისაწვდომობამ და „ახალ ევროპიულ საარსებო პირობებში ჩადგომამ" საჭირო გახადა განვითარება, მეტი ცოდნა და მეტი კულტურული მომზადება. შინაარსით კულტურული მომზადება საერთაშორისოა, თუმცა თითოეული ერის კულტურული კონტექსტის შიგნით ის ეროვნულ ხასიათსაც იძენს. მისი განხორციელების ერთადერთ საშუალებად ეროვნული („მშობლიური") სკოლის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება მოიაზრება.

ერის თანამედროვე ეროვნებად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, იდეა გაზიარებულ იქნას ერის უმრავლესობის მიერ. შესაბამისად, ნოე ჟორდანია ეროვნული აღორძინებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა არა მხოლოდ კულტურის განვითარებას, არამედ, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის წვდომის გაზრდას კულტურასა და განათლებაზე.[1]

ოტო ბაუერი ავტონომიის ამ ფორმას პიროვნულ პრინციპს უწოდებს. მისი ხედვით, ტერიტორიული ავტონომიისგან თავის არიდება შესაძლებელია, თუკი ერთმანეთისგან გაიმიჯნება ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები. ო. ბაუერის მტკიცებით, ერი არა ტერიტორიულ კორპორაციას (Territorial Corporation), არამედ პიროვნებათა გაერთიანებას წარმოადგენს (Association of Persons). მულტიეთნიკურ სახელმწიფოებში კაპიტალიზმი სამუშაო ძალის მობილობის წახალისებით მუდმივად იწვევს ქალაქებისა და თუ რეგიონების ეთნიკურ სიჭრელეს. ასეთ რეგიონებში რომელიმე ერისათვის ავტონომიის ტერიტორიული პრინციპით მინიჭება ავტომატურად

---

1 ნოე ჟორდანია, ნაციონალური კითხვა ჩვენში. წიგნში: *სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. წიგნი I.* გვ. 11-79. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022 [1913]) გვ. 28.

იწვევს სხვა ერების ჩაგრულ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მათ ეროვნული ბრძოლისკენ უბიძგებს. „ერთი ერი, რაც უფრო მეტ მანდატს მოიპოვებს, სხვას მით უფრო ნაკლები რჩება. საუბარია ცალკეული ერის მიზნობრიობისათვის სახელმწიფო შემოსავლების ხარჯვაზე. სახელმწიფო, ერთი ერის კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რაც უფრო მეტს ხარჯავს, სხვისთვის მით უფრო ნაკლები რესურსი რჩება. ამრიგად, თითოეული ერის ბრძოლა სახელმწიფოზე გავლენის მოპოვებისათვის, აგრეთვე, სხვა ერების წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს.“[1]

პიროვნული პრინციპის შემთხვევაში, ეროვნული ავტონომია ექსტერიტორიალურია – ქვეყნის შიგნით ტერიტორიული საზღვრებით არ არის შემოფარგლული და აერთიანებს ყველა იმ ადამიანს, ვინც კონკრეტული ერის წევრად მიიჩნევს თავს. შესაბამისად, ბაუერის ხედვით, ამგვარი ავტონომია მხოლოდ კულტურული ცხოვრების გარანტიებს შეუნარჩუნებს ერს. „ხშირად, შესაძლოა, ერთსა და იმავე ქალაქში ორმა ან მეტმა ერმაც ჩამოაყალიბოს საკუთარი ეროვნული ადმინისტრაცია, გვერდიგვერ გაიხსნას სხვადასხვა ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულება, თუმცა ისინი ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან ისევე, როგორც კათოლიკეები, პროტესტანტები და ებრაელები ესწრებიან საკუთარ რელიგიურ ცერემონიებს ერთ ქალაქში, ერთმანეთის გვერდით“.[2]

1917 წლის 23 თებერვალს რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ამიერკავკასიის სამეფისნაცვლოს გაუქმების შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“) გამოაგზავნა. თუმცა „ოზაკომს“

---

1 Otto Bauer, *The Question of Nationalities and Social Democracy*, (University of Minnesota Press, 2000[1924]) გვ. 281; ოტო ბაუერი, ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია. წიგნში: *სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. წიგნი I.* გვ. 237-403. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022 [1907]), გვ. 359).

2 Bauer, *The Question of Nationalities and Social Democracy*, გვ. 281.

რეალური ძალაუფლება არ ჰქონია, სანაცვლოდ ეწყობოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა არჩეული საბჭოები, რომლებიც რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ.[1]

1917 წლის 30 მაისის კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოს დელეგატთა ყრილობაზე ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საკითხი ახალ პირობებში საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური მოწყობის საკითხი იყო. სოციალ-დემოკრატთა გამოსვლებში ჩანს, რომ მათი დამოკიდებულება საკითხის მიმართ იმ დროისათვის დიდად არ შეცვლილიყო: მათ კვლავ სჯეროდათ რუსეთში დემოკრატიის დამკვიდრების, როგორც იმპერიაში შემავალი ერების უფლებათა დაცვის გარანტის შესაძლებლობისა. მართალია, ჟორდანია დასაშვებად მიიჩნევდა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობას კონკრეტულ ტერიტორიულ საზღვრებში, თუმცა ეს ავტონომია უფლებრივად მეტად შეკვეცილი იყო და კვლავ მხოლოდ კულტურულ საკითხებს მოიცავდა.[2]

ჟორდანია სხვა სოციალ-დემოკრატ დელეგატებთან ერთად დაუპირისპირდა სოციალისტ-ფედერალისტთა დელეგატ შალვა ნუცუბიძის წამოყენებულ მოთხოვნას საქართველოსათვის ფედერალური სუბიექტის მოთხოვნის შესახებ. ნ. ჟორდანიას შეფასებით, ფედერაციული პრინციპი ავტონომიაში სახელმწიფოებრივი ელემენტის შეტანას გულისხმობდა, რასაც ფედერაციული ერთეულისათვის პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემაც მოჰყვებოდა. აღნიშნული ხელს აძლევდა მხოლოდ ბურჟუაზიას, რომელიც, თავის მხრივ, გაბატონებული ერისათვის ძალაუფლების ჩამორთმევით იყო დაინტერესებული, რათა „განამტკიცოს თავისი ბატონობა, დაიპყრას ბაზრები, შემოიერთოს მიწა-წყალი და სხვ. ყველა ამისათვის საჭიროა ძლიერი ძალაუფლება, აქედან მილიტარიზმისა და მარინიზმისაკენ მისწრაფება იბადება. ამნაირათ, ბურჟუაზიის პოლიტიკა აგრესიულია, ამ მხრით არ არის არავითარი გან-

---

1 ფირუზ ქაზემზადე, *ბძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921*, (პოეზია, 2020), გვ. 57

2 გაზ. *ეროვნება*, 1917 N60, გვ. 3.

სხვავება გაბატონებულ და დამონავებულ ერთა ბურჟუაზიის შორის...“[1] ჟორდანიას ხედვით, მუშათა კლასისა და გლეხობისათვის ეროვნული ავტონომია კულტურული მნიშვნელობისა იყო, რადგან მათ მხოლოდ კულტურული თვითმყოფადობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშობლიურ ენაზე მონაწილეობის მიღება ესაჭიროებოდათ, აღნიშნულს კი სოციალ-დემოკრატიების მიერ შემოთავაზებული კულტურული ავტონომიის მოდელი სრულად აკმაყოფილებდა.[2]

1917 წელს ქართული პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის რევოლუციის შემდგომ პერიოდში საერთო მოქმედებისა და კოორდინაციის რამდენიმე მცდელობა განხორციელდა, განსაკუთრებით, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით. აპრილში შედგა საქართველოს სამი ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიის – სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების კრება, რომელზეც საქართველოს წინაშე არსებული შიდა პრობლემები უნდა განხილულიყო; აგვისტოში კრება ინტერპარტიულ საბჭოდ გარდაიქმნა; ბოლშევიკების გამარჯვება ოქტომბერში ნ. ჟორდანიასა და სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის დიდი დარტყმა იყო, რადგან მათ პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში სჯეროდათ რუსეთის დემოკრატიისა და საქართველოს, როგორც თავისუფალი, თვითმმართველი ეროვნული ერთეულის მომავალიც დემოკრატიული რუსეთის შიგნით ესახებოდათ. ბოლშევიკური რევოლუცია ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის დასახული მიზნების საპირისპიროს ნიშნავდა. სწორედ ამიტომ ნოემბერში გადაწყდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა ინტერპარტიული საბჭოს შიგნით. ყრილობას, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების, პროფკავშირების, მუშათა და გლეხთა საბჭოე-

---

1 იქვე.

2 იქვე, N61, გვ. 3

ბის, ჯარის, პრესისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ.[1]

19-24 ნოემბერს გამართული ყრილობის თავმჯდომარედ ნ. ჟორდანია აირჩიეს. მან მიმართვაში აღნიშნა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე ფუნდამენტურ საკითხებში თანხმობა საერთო პოზიციას წარმოადგენდა. ნოე ჟორდანიამ კვლავ დაადასტურა ერთგულება ერთიანი რუსული სახელმწიფოს მიმართ, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ თუ რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის გამო ვერ მოხერხდებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევა, მაშინ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ერებს თავად მოუწევდათ ადგილობრივი დამფუძნებელი კრების მოწვევა და ადგილობრივი კონსტიტუციის შექმნა. ცხადია, ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე უმცირესობაში მყოფი ერისათვის კულტურული ავტონომიისა ან თვითმმართველობის მინიჭება.

ჟორდანიამ წარმოადგინა კავკასიის მოწყობის შესაძლო მოდელიც, გაცილებით მეტი მნიშვნელობის მქონე, ვიდრე – ბაუერისეული კულტურული ავტონომია:

> **„საქართველოს უნდა მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა, უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარ საჭიროებებზე გამოსცეს კანონები, უნდა ყავდეს თავისი ნაციონალური ადმინისტრაცია. თუ იმ დროისთვის იქნება რუსეთში ჯარი, აქ უნდა იდგეს ჩვენი ჯარი, თუ იქნება რუსეთში სისტემა მილიციისა, აქ უნდა მოეწყოს საკუთარი მილიცია. უნდა გვქონდეს სასამართლო, სკოლა, ერთი სიტყვით უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია.“**[2]

ჟორდანიასა და სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების ამგვარი ცვლილება საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ 1918 წლის 26 მაისს სწორედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც 25-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ამ მოვლენის თავიდან არიდებას ცდილობდა, მოუწია საქართველოს

---

1 დიმიტრი შველიძე, *საქართველოს უახლესი ისტორია (1917 – 2012).* (მერიდიანი, 2021), გვ. 17.

2 გაზ. *ეროობა*, 1917 N203, გვ. 2-3.

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. ეს ცვლილება, ერთი მხრივ, იმგვარი ისტორიული და ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, როგორიცაა თებერვლის რევოლუციის უუნარობა, რუსეთში ბოლშევიკების გაბატონება და სასიცოცხლო მნიშვნელობის საფრთხე – ამიერკავკასიის დასაპყრობად მომზადებული ოსმალური არმია. სავარაუდოა, რომ ამ ფაქტორთა გარეშეც სოციალ-დემოკრატიული პარტია ამავე დასკვნამდე მივიდოდა, რისი მიზეზიც კარგად ჩანს ო. ბაუერის ეროვნული თეორიის კარლ კაუცკისეულ კრიტიკაში.

კარლ კაუცკი იზიარებს ბაუერის ხედვებს ეროვნული საკითხის შესახებ, თუმცა აკრიტიკებს კიდეც ეროვნულ საკითხში კულტურული ფაქტორებისადმი ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭების გამო. კ. კაუცკის აზრით, ერის კონსოლიდაციაზე ენაზე არანაკლებ დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიული საკითხები.[1] ბაუერის კაუცკისეული კრიტიკის მიხედვით, ბაუერი ეროვნული საკითხის გადაჭრას მრავალეთნიკურ სახელმწიფოში გარკვეულწილად მიამიტურად უყურებს. კაუცკის შენიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად პარლამენტარიზმის განვითარება კიდევ უფრო ართულებს ავსტრიის მსგავს იმპერიალისტურ სახელმწიფოში პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნებას, ვინაიდან სხვადასხვა ერის პროლეტარიატი ბრძოლას განთავისუფლებისათვის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით აწარმოებს, საკუთარ ენაზე, უცხოურ ბიუროკრატიასთან მუდმივი დაპირისპირება კი სულ უფრო მეტად უბიძგებს გამოყოფისაკენ. კაუცკი ასკვნის, რომ პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის ეპოქაში სახელმწიფოს ერის საფუძველზე უნიტარული ფორმით ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ბიუროკრატიული აბსოლუტიზმის დროს იყო.

შესაბამისად, კაუცკი მხარს უჭერს მუშათა კლასის ბრძოლას პოლიტიკური უფლებებისათვის სწორედ ეროვნულ ნიადაგზე, რაც შესაძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველზე პარლამენტარიზმის საშუალებით. კაუცკი ეწი-

---

1 Karl Kautsky, Nationality and internationality, in *Critique*, 37: 3, (2009 [1908]), გვ. 380.

ნააღმდეგება სოციალისტური მოძრაობის უფრო რადიკალურ ფრთას, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის წინაპირობად სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოსპობას მიიჩნევს და დასაშვებად თვლის მუშათა კლასის ბრძოლას დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით პარლამენტარიზმის საშუალებით.

ესეში „პარლამენტარიზმი და მუშათა კლასი“ კაუცკი აღნიშნავს: „პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის უმთავრესი ამოცანა წარმომადგენლობითი სისტემის აღმოფხვრა კი არაა, არამედ უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს პროლეტარიატისთვის პარლამენტისაკენ მიმავალი ყველაზე ფართო შესაძლო გზის გაკვალვაში ხმის მიცემის საყოველთაო უფლებით, ფარული კენჭისყრის უფლების დაცვით, მოკლე საპარლამენტო ვადებითა და პრესის, შეკრებისა და გაერთიანების სრული თავისუფლებით.“[1]

კაუცკის შეხედულებით, თუკი ამგვარ დემოკრატიულ პირობებში პროლეტარიატი ისე გაძლიერდება, რომ აღნიშნული თავისუფლებებით ძალაუფლების მოპოვება შეძლო, მაშინ კაპიტალისტურ დიქტატურას გაუჭირდება იმგვარი ძალის გამოძებნა, როგორითაც დემოკრატიას კვლავ შეზღუდავს.[2] დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს სოციალური რესპუბლიკის წინაპირობას, რომლის ჩამოყალიბებამდეც საზოგადოება პროლეტარიატის დიქტატურამ უნდა მიიყვანოს. ამავე „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელით გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც რუსეთში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების კონცენტრაციის კონტექსტში დაიწერა, კ. კაუცკი აღნიშნავს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა სხვა არაფერია, თუ არა პროლეტარიატის მმართველობა დემოკრატიულ საფუძვლებზე.“[3]

---

1 Karl Kautsky, Parliamentarism and the Working Classes, In *Karl Kautsky on Democracy and Republicanism*, (BRILL, 2019), გვ. 139

2 Kautsky, K. (1918). The Dictatorship of the Proletariat. In Marxists Internet Archive. https://www.marxists.org/archive/kautsky/1918/dictprole/index.htm, მოძიებულია: 16.11.2024, თავი II.

3 Kautsky, 1918, ციტირებული: J. M. Thompson, *Karl Kautsky and the Theory of Socialist Republicanism*. In Kindheit(en) in formalen, nonformalen und informellen Bildungskontexten. (2019), გვ. 167.

დასკვნით ნაწილში კაუცკი განმარტავს, თუ რატომაა ოპტიმალური სახელმწიფო მოწყობის ფორმად პარლამენტარიზმზე დაფუძნებული დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი და არა აუცილებლად მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა, რომელიც უფრო პოპულარული რუს ბოლშევიკებში იყო და რისი პრაქტიკულად განხორციელებაც ვერასოდეს მოხერხდა. კ. კაუცკის აზრით, „მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა კანონშემოქმედებაში მხოლოდ მეტ გაურკვევლობასა და დაბრკოლებას შეიტანდა [...] იქ, სადაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ პარლამენტში მოსახვედრად იბრძვის."[1] შენიშნულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები საკმარისად ფეხმოკიდებული არაა, მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონსოლიდაციას შეუშლიდა ხელს და გაერთიანების ნაცვლად მოქალაქეთა დაყოფას გამოიწვევდა.

კულტურულ ავტონომიაზე უფრო შორს მიდის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კიდევ ერთი ლიდერი აკაკი ჩხენკელი. იგი 1914 წლით დათარიღებულ წერილში აკრიტიკებს სოციალისტ-ფედერალისტების მიერ წამოყენებულ მოთხოვნას საქართველოს ფედერაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ. უარყოფით შეფასებას აძლევს ჟორდანიასაც ყველა სახის ავტონომიაზე უარის თქმის გამო. იგი დემოკრატიულ რუსეთში მყოფი საქართველოსა და ამიერკავკასიისთვის განსაკუთრებული უფლებრივი გარანტიების მოთხოვნას აყენებს პრიორიტეტად, რადგან საქართველო და ამიერკავკასია რუსეთისაგან ბუნებით, ენითა და კულტურით განსხვავებულ ერთეულებს წარმოადგენენ.[2]

ჩხენკელი 1914 წლისთვის აღიარებს საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის აუცილებლობას, რასაც ეკონომიკური საჭიროებებით ხსნის, იმავდროულად აღნიშნავს, რომ სწორედ ეკონომიკური საჭიროებები მოითხოვს ქართვე-

---

1 Kautsky, *Parliamentarism and the Working Classes*, გვ. 139.

2 აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ. წიგნში: *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია*. (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015 [1915]), გვ. 65.

ლი ერის შეკავშირებას. ჩხენკელის რწმენით, ეს მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია, რომელმაც 1905 წლის რევოლუციისას, ერთი მხრივ, შეძლო ეროვნულობის გამოჩენა, მეორე მხრივ კი – სხვა ერების წარმომადგენელ ჩაგრულ კლასებთან ერთად ბრძოლა. ჩხენკელისათვის ეს იყო ქართველი ერის კულტურული მთლიანობის გამოვლინება, ამიტომ სწორედ მუშათა კლასი იბრძვის და მიუძღვის ქართველ ერს „არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეროვნული თავისუფლების მოპოვების საქმეშიც.“[1]

2.2 ახალგაზრდა მარქსისტთა ხედვები – კულტურული ავტონომიიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკამდე

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანოს, „ახალი კვალის“ პირველივე ნომერში ვხვდებით მიხეილ ხუნდაძის სტატიას სახელწოდებით, „თანამედროვე ერი და ეროვნული მოძრაობა“. გაზეთი გამოცემულია 1918 წლის 10 იანვარს, ბოლშევიკური რევოლუციიდან ორ თვეზე ცოტა მეტი ხნისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევიდან (19-23 ნოემბერი) თვე-ნახევარზე მეტის ხნის შემდეგ. სტატიაში მიხეილ ხუნდაძე განიხილავს ერის რაობის სხვადასხვა განმარტებას – „რასიული თეორიიდან“ ემპირიულ თეორიამდე. მისი შეფასებით, არასაკმარისია „რასიული თეორიის“ მიერ შემოთავაზებული ფაქტობრივი მტკიცება, რომ უბრალოდ არსებობს სხვადასხვა ერი – საჭიროა ერის რაობის მეცნიერული ახსნა.

ხუნდაძის მოსაზრებით, ერის სპირიტუალისტური გაგება მხოლოდ მეტაფიზიკურ ახსნას გვაძლევს, რაც არადამაჯერებელია. ემპირიული თეორია ერის ცნებას სხვადასხვა ობიექტურ ელემენტთა ახსნით ცდილობს, როგორებიცაა: საერთო შთამომავლობა, ზნე-ჩვეულებები, ენა თუ ისტორიული წარსული. მას თვალთახედვიდან რჩება ისეთი შემთხვევები, სადაც

---

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ. წიგნში: *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია*. (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015 [1915]), გვ. 71.

მოცემული ფაქტორები არ განაპირობებენ ერთი ერის წარმოქმნას, ან, პირიქით, ერთი ერის შიგნით განსხვავებულ ელემენტებსაც ვხვდებით, რის მაგალითადაც მ. ხუნდაძეს მუსლიმი ქართველები მოჰყავს.[1]

ერის ხუნდაძისეული გააზრება მარქსისტულია. იგი, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატები, ერს კონკრეტულ ისტორიულ და მატერიალურ პროცესთა განვითარების ნაყოფად მიიჩნევს. „ერი არ არის ერთი დამთავრებული მოვლენა, რომელიც წარმოშვა განსაკუთრებულმა მეტაფიზიკურმა სუბსტანციამ, არა, ერი – ეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნაყოფია ისტორიულ პროცესისა, რომლის უკანასკნელ, საბოლოო მიზეზებს შეადგენს საწარმოვო ძალთა განვითარება."-ამბობს ის.[2]

ხუნდაძის მტკიცებით, ერის წარმოქმნას განაპირობებს ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანება. ადამიანები, რომლებიც დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ერთ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობენ, განიცდიან „ურთიერთ პსიხიურ გავლენას," თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს და ქმნიან ერთიან ორგანიზმს საერთო ხასიათით, ზნე-ჩვეულებებით, რელიგიითა და კულტურით. შესაბამისად, ერი პიროვნებათა უბრალო კრებულს კი არ წარმოადგენს, არამედ – ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ერთობას.

გარდა ობიექტური პირობებისა, იმისათვის, რომ ერი „ეროვნებად" იქცეს, საჭიროა მის თითოეულ წევრს გააზრებული ჰქონდეს საკუთარი კუთვნილება ამ ერისადმი, ჰქონდეს ეროვნული თვითშეგნება. ხუნდაძის შეხედულებით, ეს მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის პირობებშია შესაძლებელი, როდესაც კაპიტალიზმი არღვევს ფეოდალურ სისტემას და მასთან ერთად ადამიანთა მიჯაჭვულობას მიწასა და მის სიუზერენთან. მ. ხუნდაძე ერს დასრულებული სახით მოდერნულ ფენომენად მიიჩნევს.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებით, საქართველოშიც სწორედ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა დააახლოვა მა-

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N1, გვ. 10.

2 იქვე.

ნამდე სხვადასხვა კუთხედ და მხარედ დანაწილებული ტერიტორიული ერთეულები, სხვადასხვა კუთხის შვილებს შორის გააჩინა ის მატერიალური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო საერთო ეროვნულ თვითშეგნებას. ამ პროცესში მთავარ როლს ქალაქი ასრულებს, საქართველოში ასეთი ქალაქი, ხუნდაძის შენიშვნით, თბილისია: „თანამედროვე ქალაქმა, რომელიც კაპიტალიზმის ბურჯს წარმოადგენს, შეაკავშირა ერის გაბნეული ნაწილები და შექმნა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ეროვნულ ცხოვრების განვითარებას. ასეთი ცენტრი არის და იქნება მომავალშიაც საქართველოსთვის, რასაკვირველია, თბილისი, ჩვენი დედა-ქალაქი."[1]

ერის ცნების განსაზღვრის შემდეგ, ხუნდაძე დამორჩილებული ერისა და მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს ეხება. მისი თქმით, ეროვნული მოძრაობა ჩნდება სწორედ იმ ჩაგვრაზე პასუხად, რომელსაც დამორჩილებული ერი განიცდის. ამ მოძრაობას შეადგენენ ჩაგრული ერის კლასები – ბურჟუაზია, გლეხობა და პროლეტარიატი, რომელთაგან თითოეული საკუთარი ეროვნული პროგრამით გამოდის. ხუნდაძე აღნიშნავს: „მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში არსებობს ერთი გავრცელებული აზრი, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში დაჩაგრულ ერის ბურჟუაზია მიისწრაფვის ეროვნულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი, რომლის საშვალებით იგი შესძლებს ერთ განცალკევებულ ტერიტორიაზე ეკონომიურათ და პოლიტიკურად გაბატონდეს. რაც შეეხება ფართო დემოკრატიულ მასას და მასთან ერთათ პროლეტარიატს, – ამათ ეინტერესებათ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-კულტურული კითხვები."[2] ხუნდაძე აქ იმავე ლოგიკას მიჰყვება, რომელსაც ჟორდანია იშველიებდა მაშინ, როდესაც საქართველოსთვის მხოლოდ კულტურულ ავტონომიას მოითხოვდა და ეწინააღმდეგებოდა იმგვარი თვითმმართველობის უფლებას, რომელიც შინაარსით ტერიტორიულ-პოლიტიკურიც იქნებოდა.

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N1, გვ. 11.

2 იქვე.

ხუნდაძე აღნიშნავს, რომ პროლეტარიატი ბრძოლას საკუთარ ეროვნულ-კულტურულ ნიადაგზე უფრო უკეთ აწარმოებს. მას (და სხვა კლასთა შორის ყველაზე მეტად მას) სჭირდება, მშობლიურ ენაზე იღებდეს განათლებას სკოლაში და მშობლიურ ენაზე აწარმოებდეს საქმეს ისეთ ორგანოებში, როგორებიცაა: პოლიცია, სასამართლო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. „ამიტომ, შეაძენიეთ დემოკრატიას ისეთი ეროვნული ორგანი, (ძალა-უფლებით აღჭურვილი, რა თქმა უნდა), რომელიც გაუძღვება ეროვნულ-კულტურულ საქმეებს, და ის კმაყოფილი იქნება.“ აქ ხუნდაძე დამატებით სვამს შემდეგ კითხვას: „წარმოვიდგინოთ ერთი წამით, რომ, მართლაც, ეს აზრი სრულიად სამართლიანი და უნაკლოა. იბადება ერთი კითხვა. **უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული კულტურა და მისი თავისუფალი განვითარება, თუ მას დარაჯათ არ ეყოლება ერთგვარი სახელმწიფოებრივი ორგანი, რომელსაც გადაცემული ექნება უფლებები არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკურ საქმეებშიაც? ჩვენ გადაჭრით ვიტყვით, რომ არა!**“[1] ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მსგავს მრავალეროვნულ სახელმწიფოებში თუ მხოლოდ ერთი ერი იქნება პოლიტიკურ სფეროში გაბატონებული, ეს ავტომატურად შეზღუდავს სხვა ერების თავისუფალ განვითარებას.

ხუნდაძე გადაჭრით ამბობს, რომ დემოკრატიის პირობებში მრავალეროვნულ სახელმწიფოებში კულტურული ავტონომია ვერ იქნება ერის თვითგამორკვევისა და თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საკმარისი. მას უნდა შეეძლოს, საკუთარ ტერიტორიაზე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებიც დამოუკიდებლად გადაჭრას. აქ ხუნდაძე იმოწმებს კაუცკის სიტყვებს, რომ ეროვნული სახელმწიფოს მოთხოვნილება სრულიად ბუნებრივი შედეგია დემოკრატიის გაჩენისა და აშენების სურვილისა; „არ არსებობს იმაზე შემცდარი შეხედულება, რომ გადააქციეთ ავსტრო-უნგრეთი დემოკრატიულ ქვეყნათ და იგი ისევ ცხოველმყოფელი იქნე-

[1] იქვე, გვ. 12.

ბა. ავსტრიის გამოცოცხლებისათვის მიმართულ ნამდვილ დემოკრატიულ ზომებს შეადგენს მისი გარდაქმნა ერთ სახელმწიფოდგან ეროვნულ-სახელმწიფოთა კავშირათ.“ სწორედ დემოკრატიის აღმშენებლობის საჭიროებებიდან გამომდინარე (რაც, მ. ხუნდაძის რწმენით, თავის მხრივ, გზაა სოციალიზმისაკენ), მ. ხუნდაძეს მიაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პროგრამა საქართველოსთვის მხოლოდ კულტურულ ავტონომიას არ უნდა ითხოვდეს. პრაქტიკაში მისი სრულყოფილი რეალიზაციისთვის პროგრამაში უნდა იყოს მოთხოვნა ტერიტორიული ავტონომიისა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შეეძლება ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრაც.

ბოლოს ხუნდაძე გაკვრით აღნიშნავს, რომ ეროვნული (და დემოკრატიული) სახელმწიფო სწორედ პროლეტარიატის ინტერესებშია, ხოლო ბურჟუაზიის ინტერესებს იმპერიალისტური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს.

„ახალი კვალის“ მეორე ნომერში ხუნდაძე აკონკრეტებს, თუ როგორი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პროგრამა. იგი არ უარყოფს მარქსისტულ კლასობრივ თეორიას, პირიქით, ადასტურებს, რომ სწორედ კლასთა ბრძოლაა „ისტორიის ჩარხი“. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქაში ერი საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობას იღებს, „როგორც ერთი მთლიანი, განსაკუთრებული კულტურული ერთეული“, მით უფრო მაშინ, როდესაც მას გარე საფრთხე ემუქრება.[1] ხუნდაძე ადასტურებს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, პირველ რიგში, პროლეტარიატის ინტერესების დამცველი უნდა იყოს მაშინაც კი, როდესაც იმ ერში, რომელსაც ეს პროლეტარიატი ეკუთვნის, თავადაზნაურობა ან ბურჟუაზიაა გაბატონებული. სწორედ ამიტომ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა ჰქონდეს საკუთარი ეროვნული პროგრამა, რომელიც პროლეტარიატის ინტერესებიდან ამოვა – მისი ინტერესი კი, ხუნდაძის თქმით, დემოკრატიაა. აქ

[1] ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N2, გვ. 8.

იგი კვლავ კარლ კაუცკის არგუმენტს იშველიებს და ამბობს, რომ დემოკრატიის მიღწევის წინაპირობა ეროვნული თავისუფლებაა.

ის ერი, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, თავად უნდა განაგებდეს მას შესაბამისი ეროვნულ-ტერიტორიული ორგანოებით. "ტერიტორიალური ერი, განსაზღვრულ ეროვნულ ტერიტორიის პატრონი, ქმნის ეროვნულ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ ტერიტორიალურ ორგანოებს. უმაღლეს ტერიტორიალურ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია უზენაესობით (სუვერენიტეტით) და სრულიათ დამოუკიდებლათ აწარმოებს ქვეყნის საქმეებს." – წერს ხუნდაძე.[1] იგი აღიარებს ერის უფლებას თვითგამორკვევის უკიდურესი გამოვლინებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებითაც კი.

იმის გამო, რომ ისტორიული თუ ეკონომიკური ვითარება ყველა ერისათვის ვერ ქმნის დამოუკიდებლად არსებობის გარანტიას, ხუნდაძე დასაშვებად მიიჩნევს მათთვის ეროვნული ავტონომიის მინიჭებას სხვა დიდი პოლიტიკური ერთეულის შიგნით. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ განხილული ავტონომია გაცილებით მეტია, ვიდრე ბაუერისეული კულტურული ავტონომია. ხუნდაძის გეგმით, გამოკვეთილი ტერიტორიის მქონე ერებს უნდა გადასცემოდათ „ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა-ავტონომია", ხოლო გაბნეულად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს – „პერსონალური, ეროვნულ-კულტურული ავტონომია."[2]

„ახალი კვალის" პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებული ხუნდაძის წერილები საპროგრამო მასალას წარმოადგენდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისათვის. წერილები დროული გამოდგა – ისინი უკიდურესი კრიზისის პერიოდში გამოქვეყნდა. ბოლშევიკურმა პარტიამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვის სადავეები და სრულიად რუსეთის მასშტაბით არჩეული დამფუძნებელი

---

1 იქვე, გვ. 9.

2 იქვე, გვ.10.

კრება (დემოკრატიული რუსეთის) იანვრის პირველ რიცხვებში პირველივე სხდომაზევე დაშალა. ამას რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა.

თანდათან სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის დემოკრატიზაციისა და მის ფარგლებში საქართველოს თვითმმართველ ერთეულად დარჩენის სოციალ-დემოკრატებისა და ხუნდაძისეული გეგმა უახლოეს ხანებში ვერ განხორციელდებოდა. „ახალი კვალის“ მეორე ნომერშივე მეთაურ სტატიას ასეთი სახელი აქვს: „უფსკრულის პირზე“. მასში მიმოხილულია რუსეთში არსებული მძიმე მდგომარეობა და აღნიშნულია: „დამფუძნებელი კრების იდეაში რუსეთის რევოლიუციის ყველა სასიცოცხლო ძაფები თავს იყრიდა – იგი უნდა ყოფილიყო გვირგვინი ხალხის მიერ მოპოებულ თავისულებისა – ამისათვის ცხადია ბალშევიკების სახეც მთელი თავისი სიცხადით აქ გამოაშკარავდა.“ უფსკრულის პირას მდგომთ ერთადერთი გამოსავალი ესახებოდათ: „ამიერ-კავკასიის მიერ არჩეულმა დამფ. კრების წევრებმა უნდა შეადგინონ სეიმი ამიერ-კავკასიისა, რომელიც თავის მთავრობას გამოჰყოფს და ადგილობრივ საკითხებს გაუძღვება.“[1] ხუნდაძე მხარს უჭერდა ამიერკავკასიის სეიმის მოწვევას. ამიერკავკასიას დამოუკიდებლად უნდა გაეგრძელებინა დემოკრატიული იდეალების დაცვა, სეიმს კი უნდა ეზრუნა მასში შემავალი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭებისათვისაც, თუმცა ეს მაინც დროებით საშუალებას წარმოადგენდა, სანამ რუსეთის სხვა ნაწილებშიც არ აღდგებოდა წესრიგი.

ახალგაზრდა მარქსისტთა პირველ კონფერენციაზე ხუნდაძე აცხადებდა: „პერიფერიებში რევოლიუციის განმტკიცება, კერძოთ ამიერ კავკასიაში ძლიერი დემოკრატიული ცენტრის შექმნა ამიერკავკასიის სეიმის სახით და სრულიათ რუსეთის დემოკრატიის გაერთიანება დამფუძნებელი კრების იდეის გარშემო, რომელის იდეაც არასდროს არ მოკვდება, – აი ერთად

[1] იქვე, გვ. 3.

ერთი გზა, რომელიც იხსნის რუსეთის რევოლიუციას.“[1] რუსეთის რევოლუციის ერთიანობის შენარჩუნება იყო დადასტურებული ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა პირველ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაშიც.[2]

რუსეთის რევოლუციის მიმართ ერთგულება იმ ფაქტორებით იყო განპირობებული, რაც „ახალი კვალის“ XI ნომერში ა.ი.-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურადაა განხილული. სტატია „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა“, ერთი მხრივ, იმ ნაბიჯის გამართლების მცდელობას წარმოადგენს, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია აქამდე ეწინააღმდეგებოდა, მეორე მხრივ კი, იმ პესიმისტური მდგომარეობის აღწერას ცდილობს, რასაც მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტია განიცდიდა საკუთარი, რუსეთისა და ამიერკავკასიის მომავლის მიმართ. ავტორს ბაუერის თანამოაზრის, კარლ რენერის[3] ციტატა მოჰყავს, რომელშიც საუბარია ეკონომიკური განვითარებისთვის პოლიტიკური ერთეულების მასშტაბების გაზრდაზე, რაც მარქსისტულ თეორიაში საკვანძო მნიშვნელობისაა. ჰომოგენური ეკონომიკური განვითარება მატერიალურ პირობათა მეტ-ნაკლებად თანაბარი განვითარების შესაძლებლობას იძლევა, ეს კი ეკონომიკური და, მასთან ერთად, სოციალური წინსვლის ჰომოგენურობის გარანტია.[4] მარტო დარჩენილ ამიერკავკასიას არ ჰქონდა ეკონომიკურად დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტია, ახალგაზრდა მარქსისტთა ჩათვლით, რუსეთთან პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას ჯერ კიდევ ეჭვითა და შიშით უყურებდა.

---

1 ჟურ. ახალი კვალი, 1918 N4, გვ. 14.

2 იქვე, 1918 N3, გვ. 15.

3 სტატიის ავტორი ასახელებს გვარს – *შპჰინგეჰი. ბაუეჰის თანამოაზჰე კაჰę ჰენეჰი ხშიჰად იყენებდა ჰუდოęფ შპჰინგეჰსია და Synopticus-ის ფსევდონიმებს.*

4 იქვე, N6, გვ. 4.

2.3 სოციალისტ-ფედერალისტები – ფედერალიზმი

ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით გაცილებით გაბედული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის პოზიცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებით სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, სოციალ-ფედერალისტებს საკითხის მიმართ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და მწყობრი მიდგომა ჰქონდათ. 1904 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია სწორედ საქართველოსთვის საკმაოდ ფართო, ტერიტორიულ-პოლიტიკური თვითმმართველობის მოთხოვნის იდეით შეიქმნა. სოციალ-დემოკრატთა პოზიციები არაერთხელ შეიცვალა. როგორც ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის პრესის ორგანო „მებრძოლთა ხმა“ აღნიშნავდა, მათი ხედვების ევოლუციამ ისინი მიიყვანა სოციალისტ-ფედერალისტთა იმ პოზიციებთან, რომლებსაც ისინი 13 წლის მანძილზე ისედაც ეყრდნობოდნენ.[1]

1917 წლის სექტემბერში „მებრძოლთა ხმის“ გამოსვლა სწორედ ეროვნულ პრობლემატიკაზე აქცენტირებით დაიწყო. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იდეოლოგიურად მემარცხენე პარტიებს განეკუთვნებოდა, მაგრამ ჟურნალის პირველ ნომრებში მთელი სიმწვავით სწორედ ეროვნული პრობლემატიკა იყო დასმული. პირველი ნომრის მეთაურ სტატიაში ვკითხულობთ: „ორი რამ გვიანდერძა წარსულმა საუკუნემ. ამ ანდერძის განხორციელება უნდა შეიქმნეს ჩვენი არსებობის საგანი: განთავისუფლება ერისა, განთავისუფლება მშრომელი ხალხისა. თავისუფლება და სამართალიანობა ეროვნული და ეკონომიურ-სოციალური.“[2] სტატიაში საუბარია იმ ტანჯვასა და განსაცდელზე, რისი გავლაც ქართველ ერს მოუხდა საუკუნით ადრე რუსეთთან ურთიერთობისას. იქვე აღნიშნულია: „იყო დრო როდესაც ქართველი ერიც თავისუფალი იყო, თვითონ განაგებდა თავის საქმეებს, [...] მაგრამ მოვიდა მონარქი-

---

1 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1918 N15, გვ. 8.

2 იქვე, 1917 N1, გვ. 2.

ულ-ბიუროკრატიული რუსეთი, მოტყუებითა და გაიძვერობით შემოგვეპარა, ძირს დასცა ქართველი ერის თავისუფლება და ჩაიგდო ხელში მისი მართვა-გამგეობა.“

საინტერესოა სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა პოზიციების შეპირისპირება ზემოხსენებული საკითხის მიმართ. დიდი ერის მიერ პატარა ერის მიერთებასა და მის ჩაგვრაზე საუბრისას ხუნდაძე ასეთ რამეს ამბობს: „ის ერი, რომელიც უფრო ადრე შესდგა თანამედროვე კულტურის გზაზე, რომელმაც უფრო ადრე შეკრიბა და შეადუღა ერთ სხეულში თავისი ძალები – გახდა ძლიერი, გაბატონებული. მან შექმნა ეროვნული სახელმწიფო. ერი, უფრო პატარა, სუსტი, გვიან გამოსულა თანამედროვე ისტორიულ ასპარეზზე – ვერ ასწრებ თავის სახელმწიფოს შექმნას, იგი ძალაუნებურათ ხდება სხვა ერის ბატონობის ობიექტათ.“[1] ამდენად, ის საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ ისტორიულ კანონზომიერებად მიიჩნევს, რაც საქართველოს „თანამედროვე ისტორიულ ასპარეზზე გვიან გამოსვლას“, მისი „ჩამორჩენილობას“ უნდა განეპირობებინა. თავის მხრივ, სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოზე საუბრისას აღნიშნავენ: „განსაკუთრებულ ისტორიულ ვითარებას შეუქმნია ქართველი ერი. არსებობს ქართველი ერი, როგორც არსებობს საფრანგეთის, ინგლისის, ნორვეგიის, დანიის და სხვა ერები;“ „ჩვენ გვწამს ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალა. ჩვენ ეს შეგვიძლია და ვაი მას, ვისაც დაუკარგად ნდობა თავის თავისადმი და წარამარა სხვას ეპატრონება სხვას შეჰყურებს.“[2]

სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის საკითხს მისი „ჩამორჩენილობით“ არ ხსნიან. მართალია, რევოლუციის შემდეგაც კვლავ მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნას დასჯერდნენ, თუმცა მათ მიერ მოთხოვნილი ავტონომია გაცილებით ფართო იყო უფლებრივად, ვიდრე ხუნდაძის, რომელიც ამ საკითხში ახალგაზრდა მარქსისტთა შორის, ალბათ, ყველაზე მემარჯვენე პოზიციებზე იდგა. ახალ-

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N1, გვ.11.

2 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1917 N1, გვ. 2-3.

გაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ წარმოდგენილ სამომავლო მოდელში, რომელშიც უარყოფილია იზოლაციონიზმი, აღნიშნულია, რომ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების შემდეგ ქართველი კი არ უნდა განშორდეს სხვა ერებს, არამედ „ძმური და თანასწორი“ კავშირი უნდა შეკრას მათთან და შეადგინოს ფედერაცია. არაა დაკონკრეტებული, თუ რომელ ერებთან კავშირში უნდა შედგეს ეს ფედერაცია. ამდენად, საქართველოს ფედერაციულ კავშირში შესვლა არ ნიშნავდა, რომ ის მხოლოდ ყოფილი რუსეთის იმპერიის ერებთან შევიდოდა კავშირში. მათი ხედვით, საქართველომ უნდა „იბრძოლოს, იმოღვაწეოს საერთო, საკაცობრიო კეთილდღეობისათვის.“[1]

ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნული პროგრამა, პარტიის წყობის მსგავსად, სოციალიზმისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სინთეზს წარმოადგენდა. ამას პირდაპირ აღნიშნავს „მებრძოლთა ხმის“ ერთ-ერთი რედაქტორი: **„ამგვარად ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრების საუკეთესო ფორმა, ყალიბი – ერია. იგი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმია და როგორც ასეთი მუდმივ მოძრაობს, ცვლილებას განიცდის, ახალ საუკეთესო ფორმათა ძიებისაკენ ისწრაფვის და სოციალიზმიც სწორედ ასეთ შინაგან გარდაქმნის პრობლემათაგანია, სოციალისტური იდეალი ერის ცხოვრების გარდაქმნის, შეცვლის გაუმჯობესების და განკარგების იდეალია [...] და ამიტომ სოციალისტური მოძრაობა ყველგან და ყოველთვის ეროვნულ ფარგლებში სწარმოებს.“**[2]

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტები უკვე დაჟინებით ითხოვდნენ საქართველოსა და ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის განაპირა ერებში ადგილობრივი დამფუძნებელი კრებების მოწვევას. 1918 წლის 21 იანვრის „მებრძოლთა ხმის“ მეთაურ სტატიაში ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი (საქართველოს ეროვნულ საბჭოში, მუშათა და გლეხთა საბჭოებშიც უმრავლესობას აკონტრო-

---

1 იქვე.

2 იქვე, N13, გვ. 7.

ლებდნენ) გაჟღერდა მოწოდება, დაეძლიათ ვიწროპარტიული ინტერესები, უარი ეთქვათ მანამდე აღებულ გეზზე და მოეწვიათ დამფუძნებელი კრება ადგილობრივი მასშტაბით, რაც, მათი რწმენით, სამომავლოდ საფუძვლად დაედებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ფედერაციულ მოწყობაზე გადასვლას.[1]

2.4 ეროვნულ-დემოკრატები – ეთნოსიმბოლიზმიდან პრიმორდიალიზმისკენ

ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. ეროვნული საკითხი, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან ერთად, ორგანიზაციის წევრებისთვის საკვანძო მნიშვნელობისა იყო. ერის რაობის მათეული გაგება ცხადი და მარტივია: **„ჩვენ გვწამს ერი, როგორც ერთი მთლიანი და ყოვლისაგან დამოუკიდებელი ორგანიზმი პოლიტიკურ სოციალურ ცხოვრებაში. ამ მოსაზრებით ვიცავთ ჩვენ ქართველს ერს, როგორც ერთ მთლიან ერთეულს, როგორც ერთს მკაფიოთ გამოკვეთილ ორგანიზმს.“** – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გამოცემული ორგანოს ერთ-ერთ სტატიაში.[2] თანამედროვე ტერმინებით რომ შევაფასოთ, ერის მათეული გაგება, ეთნოსიმბოლისტურიდან[3] პრიმორდიალისტური[4] ახსნისკენაა გადახრილი. „ახლო წარსულ ისტორი-

---

1 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*, 1918 N15, გვ. 2.

2 ჟურ. *ახალი ძალა*, 1918 N1, გვ. 4.

3 ეთნოსიმბოლიზმი ენტონი სმითის ნაშრომების მიხედვით შექმნილი თეორიაა ნაციონალიზმის კვლევებში. სმითის მტკიცებით, თანამედროვე ერების ჩამოყალიბებას მათი „წინაპრების“, „ეთნიების“ არსებობობა უსწრებდა წინ, რომლებიც თანამედროვე ერების ფსიქოსოციალურ და კულტურულ ფუნდამენტს წარმოადგენდნენ.

4 პრიმორდიალიზმი ერთ-ერთი ამხსნებლობითი თეორიაა ნაციონალიზმის კვლევებში, რომლის მიხედვითაც, ერი ერთიანი და მარადიული ორგანიზმია და ის ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა. თეორიის მიხედვით, სხვადასხვა ერისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორებიცაა ენა, რელიგია და კულტურა

ის ფაქტები გვასწავლის, რომ ერი როგორც მთლიანი მოვლენა ცხოვრებაში კრიტერიუმად უძევს მთელი ხალხის ჯგუფურად დაყოფას.“- ამ სიტყვებით იწყება სტატია.[1] მათთვის ერი მარადიული მოვლენაა, რომელიც უხსოვარი დროიდან ჰყოფდა კაცობრიობას სხვადასხვა ჯგუფად და ეს ასე იქნებოდა მომავალშიც: „ჩვენ ვამბობთ: გარეშე ერისა და ეროვნულ სახელმწიფოს ფორმისა არ არსებობს და არც იარსებებს არც ერთი ფორმა სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში.“ სტატიის ავტორი ზაალიშვილი ამტკიცებს, რომ ისტორიაში არასოდეს ყოფილა ისეთი დრო, მთელი კაცობრიობა ერთ პოლიტიკურ თუ სოციალურ ფორმაციაში რომ გაერთიანებულიყო. მისი თქმით, თანამედროვე ერებამდე არსებობდა „თავისებურ ფსიხიკის მატარებელი ჯგუფები“, რომლებმაც შემდეგში დღევანდელი ერების სახე მიიღო.

ისინი უპირისპირდებოდნენ სოციალისტურ წრეებში პოპულარულ ინტერნაციონალიზმსა და კლასობრივ თეორიას. ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთათვის წარსულსა და თანამედროვე ეპოქაში ადამიანებს შორის რეალური ბრძოლა წარმოებდა ეროვნულ და არა კლასობრივ ნიადაგზე. ისინი ბრალს სდებდნენ სოციალ-დემოკრატებს კლასობრივი ბრძოლის უპირატესობის წარმოჩენასა და ამით ერის სასიცოცხლო ენერგიის შესუსტებაში: „ერი ჩვენი გვწამდა და გვწამს როგორც ერთი მთლიანი, ორგანულათ დაკავშირებული არსება. ყოველი მისი ნაწილი ან კლასი მჭიდრო ინტერესებით არის შედუღებული, შებოჭილი სხვა ნაწილებთან ერის ინდივიალურ თვისებათა შინაარსი ურყევია, მხოლოდ ფორმა მისი ცვალებადია. სახელმწიფოებრივ ფორმაში ეროვნული შინაარსის ჩა-

---

– *ეროვნულობის მთავარ და განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს. ერისადმი კუთვნილება უბრალოდ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილებითაა განპირობებული, ის თანდაყოლილია და არა სოციალურად შეძენილი – შეუძლებელია, მას თავი დააღწიო. თეორია აკადემიურ სივრცეში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვინაიდან თვალთახედვის მიღმა ტოვებს ერისა თუ ერად ჩამოყალიბების კულტურულ და სოციალურ ფაქტორებს.*

[1] იქვე, გვ. 3.

დება იყო და არის ჩვენი მიზანი...“[1] ეროვნულ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ ყველა კლასის ინტერესის გამომხატველ, „ზე-კლასიურ და საერთოეროვნულ“ პარტიას წარმოადგენ-დნენ.

სოციალ-დემოკრატების კრიტიკის მეორე მნიშვნელოვან ელემენტს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი წარმო-ადგენდა. „ახალი ძალის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიას ანტი-სახელმწიფოებრივად მიიჩნევს. მისი თქმით, სოციალ-დემოკ-რატებმა მთელი ძალა კლასთა ბრძოლასა და ერთი კონკრეტუ-ლი კლასის დაცვას შეალიეს, რაც, ავტორის აზრით, საფუძ-ველშივე ანტისახელმწიფოებრივია.

ამავე გამოცემაში გიორგი ფერაძე აღნიშნავს, რომ კვლავ რუსული რევოლუციის სივრცეში დარჩენა და იმ კრიზისში ჩაყოლა, რომელშიც რევოლუცია მოექცა, შეცდომა იყო კლა-სობრივი ბრძოლისა და ინტერნაციონალიზმის ერთგულების პრინციპით. გ. ფერაძის შეფასებით, სოციალ-დემოკრატებმა რუსეთის რევოლუციის „ტანჯვისა და სიხარულის განაწილე-ბა“ არჩიეს და საკუთარი „სამშობლოს ტანჯვა-ვაება უმნიშ-ვნელოდ მიიჩნიეს“.[2] ავტორის მტკიცებით, ეროვნულ-დემოკ-რატიული პარტია იყო ის ძალა, რომელმაც თავიდანვე ორი მიზანი დაისახა: საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ის-ტორიულ საზღვრებში აღდგენა.

საპროგრამო სტატიაში ორგანიზაციამ დასახა და განმარ-ტა მიზანი: საქართველოს აღმშენებლობა, მატერიალურ-სუ-ლიერი კულტურის შექმნა და ტერიტორიის, ენისა და ისტორი-ის დაცვისათვის ზრუნვა. მიზნის მისაღწევად ისინი საჭიროდ თვლიდნენ ორი ამოცანის გადაჭრას: ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა-განვითარებასა და საქართველოს სუვე-რენულ არსებობას.

საქართველოს ახლად გამოცხადებული რესპუბლიკა მძი-მე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო: პირველი მსოფლიო

---

1 იქვე, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 7.

ომით გამოწვეულ მძიმე შედეგებს თან დაერთო რევოლუცია და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების უუნარობა; ბრესტის ზავის შემდეგ გაუთვალისწინებელი ომი ამიერკავკასიისკენ მიმავალ ოსმალეთთან და მოულოდნელად გამოცხადებული დამოუკიდებლობა.

ეროვნულ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას განმტკიცება სჭირდებოდა, რისთვისაც აუცილებელი იყო ეკონომიკის დროული გამოცოცხლება. „ერთად ერთი გზა, რომლითაც შეიძლება საქართველოს დამოუკიდებლობა მივიდეს რეალობამდე არის გზა წარმოების განვითარებისა და ეროვნულ სიმდიდრის შექმნისა. [...] ეროვნული სიმდიდრე ერის თავისუფლების ერთ-ერთი ატრიბუტთაგანია.“ – აღნიშნავდა ბ. გორდეზიანი ახალგაზრდული ორგანიზაციის ორგანოში გამოქვეყნებულ სტატიაში.[1] ეროვნულ-დემოკრატთა ხედვით, ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო იყო ქართული ბურჟუაზიის გაძლიერება. სწორედ ეროვნული ბურჟუაზია, საქმოსანთა და მრეწველთა კლასი, იყო სახელმწიფოსთვის ეკონომიკური დოვლათის დაგროვების გარანტი. „ამ მოსაზრებით დამცველნი ქართველი ერის და ეროვნულ ბურჟუაზიისა, მტრები ვართ და ვებრძვით იმათ, ვინც მტერია და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიასა. ვინც წინააღმდეგია ეროვნულ ბურჟუაზიისა და ან ვინც იზიარებს ამ აზრს ის თავის თავად მოზიარეა თვით ქართველი ერის დაქვეითების და დამარცხებისა.“[2] – პირდაპირ აცხადებს საპროგრამო სტატიაში ზაალიშვილი.

2.5 „ზეკლასიურობა“ დამოუკიდებელ სახელმწიფოში

„ახალი ძალის“ გამოსვლიდან მალევე, 1918 წლის დეკემბერში, ახალგაზრდა მარქსისტთა ხსენებულ ბრალდებებს „ახალი კვალი“ გამოეხმაურა. ბეჭდურ გამოცემაში უარყოფილია ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა და, ზოგადად,

---

.1 ჟურ. *ახალი ძალა*. 1918 N2. გვ. 4.

2 იქვე, გვ. 4

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „ზეკლასიურობა," ისინი ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველებად არიან შერაცხილნი; გაკრიტიკებულია ქართული ბურჟუაზიაც, როგორც ეკონომიკური წინსვლაში უუნარო, თანამედროვე პირობებში კი რეაქციონერულ და არა რევოლუციურ ძალად გადაქცეული.

სახელმწიფოს სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატები ახლა უკვე თავად აცხადებდნენ პრეტენზიას „ზეკლასიურობაზე", მიაჩნდათ, რომ წარმოადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის 90%-ის (მათი განსაზღვრებით – პროლეტარიატის) ინტერესებს: „დღეს ნამდვილი ეროვნული ინტერესების მატარებელი ჭეშმარიტად არის პროლეტარიატი, რომლის კლასიური ინტერესი მთლიანად ეთანხმება ერის ინტერესებს და საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას." – ნათქვამი იყო სტატიაში.[1]

„ახალი კვალის" X ნომერში თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოში ბურჟუაზიის როლის თეორიულ დასაბუთებას ცდილობს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი დ. ყიასაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ პროგრესული როლი, რომელსაც ეროვნული ერთობის ჩამოყალიბების საკითხში ერთ დროს ბურჟუაზია ასრულებდა, დღეს დაკარგა; ეროვნული ერთობა მის დროშაზე მხოლოდ მაშინ და იქამდე ეწერა, სანამ ის ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების, ფეოდალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. თუმცა როგორც კი ის ეკონომიკურ ძალაუფლებას იღებს ხელში და საკუთარი სახელმწიფოს სათავეში ექცევა, აცნობიერებს, რომ პატარა ერების ეროვნული ერთობა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება მის კლასობრივ ინტერესებში აღარ შედის. „ბურჟუაზია ეროვნების პრინციპს თითქოს კიდევ აღიარებს, აცხადებს ხალხთა თვით გამორკვევის უფლებას (სამთა შეთანხმება ამ ომში) – მაგრამ ნამდვილათ ჩვენ ამ პრინციპის მეტამორფოზას ვხედავთ. ამ პრინციპის ქვეშ ბურჟუაზია უკვე ჰგულისხმობს მხოლოდ თავის ერის უფლებას და მას სრულიად არარად მიაჩნია უფლებანი სხვა ეროვნებათა (რასაკვირვ., „თვისი ერის უფლება და ბატონობა" – არის ნამდვილათ ამ კლასის

[1] ჟურ. *ახალი კვალი*, 1918 N9, გვ. 6.

უფლება და ბატონობა: „ზეკლასიურობა“ ბურჟუაზიულ პარტიების თუნდაც ჩვენი ბურჟუაზიის ეროვნულ-დემოკრატების ეხლა უკვე მითია). ეროვნების პრინციპი გადაიქცა – ეროვნებათა ჩაგვრის პრინციპათ. რატომ მოხდა ეს? – იმიტომ რომ სცენაზე გამოდის თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიური პოლიტიკა – იმპერიალიზმი.“[1] ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და იმპერიალისტურ პოლიტიკას. უკანასკნელის მედროშედ ის ბურჟუაზიას სახავს, ხოლო პირველის წამყვან ძალად პროლეტარიატსა და სოციალ-დემოკრატიას მიიჩნევს: „ბურჟუაზია აღარ არის ეროვნების პრინციპის მატარებელი ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით; მან ეს პრინციპი უარჰყო, ფეხქვეშ გასთელა, როგორც უვარგისი და შესცვალა იმპერიალიზმის პრინციპებით. მაგრამ მისი ანტიპოდი, პროლეტარიატი, ითვისებს ამ პრინციპს; იგი ებრძვის კაპიტალიზმს და მის დროშაზე სხვათაშორის ეს პრინციპიც ლოზუნგათ სწერია.“[2]

1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის წინაშე წამოჭრილმა საგარეო საფრთხემ – ოსმალეთის იმპერიის ჯარების წინსვლამ ბოლშევიკების მიერ ბრესტის ხელშეკრულებით მათთვის გადაცემული მიწების დასაკავებლად – რეგიონში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი დააჩქარა. 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა, რომელიც ძირითადად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის რეგიონიდან არჩეული დეპუტატებისგან შედგებოდა, ოსმალეთთან ზავის იმედით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. რესპუბლიკამ დიდ ხანს ვერ იარსება: ერთი მხრივ, ოსმალეთის ჯარების წინსვლამ, მეორე მხრივ, ფედერაციის წევრთა შეუთანხმებლობამ ნ. ჟორდანია და მისი პარტიელები იძულებული გახადა, კიდევ ერთ დათმობაზე წასულიყვნენ.

საზავო მოლაპარაკებებზე მყოფმა აკაკი ჩხენკელმა 22 მაისს თანაპარტიელებს ბათუმიდან თბილისში საიდუმლო წერი-

---

1 იქვე, 1919 N1, გვ. 8.

2 იქვე, გვ. 9.

ლი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ფაქტობრივად, აღარაფერი აკავშირებდათ, საქართველო კი კატასტროფის წინაშე იდგა. ჩხენკელი ერთადერთ გამოსავალს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ხედავდა, რომლის გარანტორობასაც საკუთარ თავზე პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მოკავშირე გერმანია იღებდა. ჩხენკელი თანაპარტიელებს გამბედაობისკენ მოუწოდებდა და დაუყოვნებლივ მოითხოვდა, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.[1]

საუკუნეების შემდეგ ამგვარი წინააღმდეგობებისგან იშვა 1918 წლის 26 მაისს პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. იმავე წლის ზაფხულში ნ. ჟორდანია ასე აფასებდა სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილებას: „დემოკრატიული წყობილების აშენების დროს ჩვენ გვიხდება მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში. თუ ნაციონალურ ჩარჩოში მუშაობა ნიშნავს ნაციონალურ დემოკრატობას, მაშინ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები ნაციონალ-დემოკრატები ყოფილან. ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ბრიყვი კოსმოპოლიტები. თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი ხდება ფართე მასშტაბით, მაშინ ის უნდა გაკეთებულ იქნას ვიწრო ფარგლებში.“[2]

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და, მასთან ერთად, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. პარტია და ორგანიზაცია ცდილობდა, მორგებოდა, ახალ რეალობას: ერთი მხრივ, გაძღოლოდა სახელმწიფოს, მეორე მხრივ კი, არ დაევიწყებინა პარტიული მიზანი და სოციალური პროგრესის მიზეზით ემუშავა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

1919 წლის „ახალ კვალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ერ. თალაკვაძე შემდეგ გამართლებას უძებნის ქართველი სოცი-

---

1 *აკაკი ჩხენკელის საიდუმლო წერილი*, (1918). Civil. https://civil.ge/ka/archives/243561 – *მოძიებულია: 20.11.2024*

2 ნოე, ჟორდანია, *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი XIII. ნოე ჟორდანია*, (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018), გვ. 261

ალ-დემოკრატების მიერ გადადგმულ ნაბიჯს: ვინაიდან საქართველოს გარშემო არ დარჩა ისეთი მეზობელი, ვისთან ერთადაც შეკრავდა კავშირს, მან დამოუკიდებლად განაგრძო ცხოვრება. ავტორის შეხედულებით, სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ რევოლუციურ და პროგრესულ ძალას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული დემოკრატიის აღმშენებლობა. დემოკრატიული საქართველო ვერ შევიდოდა კავშირში ბოლშევიკურ და „თეთრ" რუსეთთან, ოსმალეთის იმპერიასა და სომხეთთან (რომელთანაც რამდენიმე თვით ადრე ახალგაზრდა რესპუბლიკას ომი ჰქონოდა) – ამგვარ ვითარებაში საქართველოს მარტო უნდა ევლო დემოკრატიისაკენ, „ვიწრო ფარგლებში" უნდა ეშენებინა იგი და წინ სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა გასძღოლოდა. თალაკვაძის შენიშვნით, „გარშემორტყმული ბარბაროსული აზიური ძალებით" სწორედ სოციალ-დემოკრატია ცდილობს, „გამოიყვანოს გაევროპიელების გზაზედ და გახადოს ის კულტუროსანი".[1]

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ ახლებურად გაიაზრა დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც საშუალება და იარაღი მუშათა კლასის მომავალი ბრძოლისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელ დღეებში გამოცემული, 1921 წლის 13 თებერვლის „ახალ კვალის" იმ ნომერში, რომელიც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებას ეძღვნებოდა, სიამაყითაა ნათქვამი: „ჩვენი სახელმწიფო თავისი შინაარსით სრულიად ახალი მოვლენაა ისტორიაში. დედა-მიწის ზურგზე საქართველო ერთად ერთი სახელმწიფოა, სადაც მუშათა კლასი სათავეში მოექცა სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობას."[2] ამ მუშათა კლასს უნდა აეშენებინა სახელმწიფო ინსტიტუტები, მონაწილეობა უნდა მიეღო, ერთი შეხედვით, განსხვავებული ელფერის ბურჟუაზიული პროექტის ხორცშესხმაში. იმავე ნომერში ვკითხულობთ: „ერთის შეხედვით, თითქოს ჩვენ მოწამენი ვართ დიდ ისტორიულ კურიოზისა:

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*, 1919 N1, გვ. 4.

2 იქვე, 1921 N2, გვ. 1.

მუშათა კლასი აშენებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს! მაგრამ ღრმა ანალიზი ჩვენთვის ნათელს ჰყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვენი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ტიპიური ბურჟუაზიული სახელმწიფო და ასეთის აშენება არც შეუძლია მუშათა კლასს.“[1]

ქართველი სტუდენტი
1920 წ. N1.
(თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა)

[1] იქვე, გვ. 4.

თავი 3. **ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

1918 წლის იანვარში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ოთხი თვით ადრე, თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. როგორც მომდევნო ათწლეულებმა აჩვენა, რევოლუციით გამოწვეული გარდაქმნების პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის. თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისთვის მზადება ერთი წლით ადრე პეტროგრადში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა დაიწყო, ვინც იმხანად პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრეების თვალთახედვით, ქართული უნივერსიტეტი ერთდროულად სამეცნიერო კვლევა-ძიების დაწესებულებაც უნდა ყოფილიყო და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც. თუმცა, პირველ რიგში, ის ეროვნული სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, სადაც კვლევა-ძიებაც და სწავლებაც ქართულ ენაზე იწარმოებდა და მისი საქმიანობაც ქართული კულტურის განვითარებას მოემსახურებოდა.

1917 წლის გაზაფხულზე ჯავახიშვილი თბილისში დაბრუნდა და „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ დააფუძნა, რომელსაც უნივერსიტეტის გახსნისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხები უნდა მოეგვარებინა. პარალელურად, საზოგადოების დავალებით, პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი და ა. რაზმაძე უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის შედგენას შეუდგნენ. 1918 წლის 13 იანვარს, კოლეგიის პირველმა სხდომამ უნივერსიტეტის რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩია, ხოლო პირველი და იმ დროისთვის უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი. იმავე წლის ზაფხულში უნივერსიტეტს საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ფაკულტეტები

შეემატა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს კერძო სასწავლებლის სტატუსით გაიხსნა, „ქართული უნივერსიტეტის“ სახელწოდებით. 1918 წლის სექტემბრიდან კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დადგენილებით, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა“.[1]

ქართული პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები ქართული უნივერსიტეტის გახსნას დადებითად შეხვდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი ჩხენკელმა გახსნა. ჩხენკელი ვრცელ სიტყვაში ქართველი ერის განვითარებისა და წინსვლისთვის ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის ორ მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. პირველ რიგში, მისი თქმით, ერს, რომელსაც არ აქვს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი სრულფასოვან ერად ვერ ჩაითვლებოდა. ჩხენკელის ხედვით, უნივერსიტეტს უნდა მიეცა ქართველი ერისთვის ის ეროვნული თვითცნობიერება, რომელიც რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნისას არ გააჩნდა: **„ჩვენ სწავლა-განათლების მხრით ბევრ ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურათ ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი და გათვალისწინება მომავლის. ... ეს სრულებითაც არ მოასწავებს, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ წარსულის გზით. წარსულის შესწავლა გვესაჭიროება ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალ მასწავლებლებისთვის.“**[2]

მეორე მხრივ, ჩხენკელი ქართველი ერისთვის პოლიტიკური უფლებების აღდგენის საქმეში დემოკრატიული სისტემის დამყარების მნიშვნელობაზე საუბრობდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რუსეთის იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ერთა

---

1 ჟურ. *ქართველი სტუდენტი.* 1920 წ. N1. გვ..8

2 გაიპარაშვილი, ზ. (რედ.) *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიაქრონიკა 1918-1921.* (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021). გვ. 13.

უფლებების აღდგენის მექანიზმად სწორედ დემოკრატიული სისტემის დამყარება ესახებოდა, რომლის პირობებში ეროვნული თვითშეგნება ერის თითოეულ წევრში იარსებებდა და არამხოლოდ ელიტაში. სწორედ ამიტომ, ჩხენკელის თქმით, უნივერსიტეტს ხელი უნდა შეეწყო დემოკრატიული სისტემის აღმშენებლობისთვის და დაეცვა დემოკრატიული პრინციპები. ამიტომ ჩხენკელის თქმით: „ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინეთ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი.“[1]

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციებიდან ქართული უნივერსიტეტის გახსნას განსაკუთრებული ენთუზიაზმით „სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მოწაფეთა კავშირი“ შეხვდა. ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში ორგანიზაციის პერიოდულ ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში“ უნივერსიტეტის შესაძლო გახსნის შესახებ მოწინავე სტატია გამოქვეყნდა, რომელიც მიესალმებოდა ქართველი პროფესორების ამ წამოწყებას. სტატიის ავტორი აღნიშნავდა ყველა იმ დაბრკოლებას, რომელიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში ყოფნისას უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ქართველი ახალგაზრდების წინაშე იდგა. მათ სამშობლოსგან შორს, რუსეთში უწევდათ განათლების მიღება და შესაბამისად რუსული კულტურის ნიადაგზე აღზრდილნი, ხშირად კავშირს წყვეტდნენ მშობლიურ კულტურასთან და ხალხთან. ისინი, ვისაც ეროვნული კულტურის გასამდიდრებლად სურდა განათლების მიღება, ხშირად იმპერიალისტური, „ტლანქი“ ძალისგან ითრგუნებოდა.[2] კიდევ უფრო ცხადად იყო წარმოჩენილი

---

1 იქვე. გვ. 15.

2 ჟურ. *მებრძოლთა ხმა*. 1917 წ. N6. გვ. 1.

რუსული ასწლიანი მმართველობის გავლენა უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილ სტატიაში: „საქართველოს ერთი საუკუნის პოლიტიკურმა მონობამ დააქვეითა ჩვენი ეროვნული კულტურა, დაახშო კარი წინ-სვლისა და წარმატებისა კულტურის შემოქმედების ასპარეზზე, ჩააქრო დიადი ლამპარი უმაღლეს მეცნიერებისა, სწავლა-განათლებისა რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ძლიერად ბრწყინავდა სხვა მოწინავე ერთა შორის."[1]

ხოლო იმ პირობებში, როცა ეს „ტლანქი" ძალა აღარ არსებობდა, შესაძლებელი გახდა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნა, რომელსაც ავტორის თქმით, ქართული კულტურისა და საზოგადოებისთვის მთელი რიგი სიკეთეები უნდა მოეტანა: „საუკუნოებით ჩამქრალი ქართული მეცნიერება აღორძინდება, განახლდება. მრავალი წლობით შებოჭვილ-შებორკილი ქართული ენა მკვეთრად ამეტყველდება, ლაღად ფრთებს გაშლის, უმწვერვალესად განვითარდება. მართლწერა ქართულ ენისა სწორ ნიადაგზე დამკვიდრდება და მტკიცე დონეზე დაეფუძნება. გამომჟღავნდება და გაიფურჩქნება დიდის ხნით დაფარული მაღალი ნიჭი, სულიერი ძალა და გონებრივი ენერგია ჩვენი ერისა. მთელი ჩვენი კულტურა ამაღლდება და წარმატების გზაზე დაადგება."[2]

აღსანიშნია, რომ სტუდენტთა შორისაც ყველაზე მეტი მხარდაჭერით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია სარგებლობდა. ზოგადად, თუ იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე სტუდენტთა ცხოვრების ამსახველ ცნობებს თვალს მივადევნებთ, ვნახავთ, რომ სტუდენტებში პარტიული კუთვნილება აშკარად გამოკვეთილი იყო. როცა 1918 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრებამ საკუთარი გამგეობა აირჩია, 25 წევრიანი გამგეობა სამ პარტიასთან ასოცირებული სტუდენტებით აღმოჩნდა დაკომპლექტებული, რომელთაგან 13 სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა, 7 ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და 5 სოციალ-დემოკრატი-

1 იქვე. 1918 წ. N16. გვ. 2.

2 იქვე. 1917 წ. N6. გვ. 1.

ულს. გამგეობის მთავარი საზრუნავი სტუდენტთათვის უნივერსიტეტში უკეთესი პირობების შექმნა, სტუდენტური სასადილოსა და საცხოვრებლის მოწყობა უნდა ყოფილიყო. თუმცა პირველ ეტაპზე გამგეობა უნარიანი ვერ გამოდგა. ეროვნულ-დემოკრატებმა გამგეობა მალევე დატოვეს, ვინაიდან არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა გამგეობის პრეზიდიუმში მეორე მდივნის ავტომატურად ეროვნულ-დემოკრატთაგან დანიშვნის თაობაზე. როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „სახალხო საქმეში" დაბეჭდილი სტატიიდან ვიგებთ, გამგეობის მუშაობისთვის დამატებით ხელი შეუშლია დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომსაც და 1919 წლის თებერვალში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებსაც, რა დროსაც პარტიები სააგიტაციოდ აქტიურად იყენებდნენ საკუთარ სტუდენტურ ორგანიზაციებს.[1]

თებერვალში დაპირისპირება მოხდა გამგეობის სოციალისტ-ფედერალისტ და სოციალ-დემოკრატ წევრებს შორისაც, რის მერეც გამგეობა სოციალ-დემოკრატმა სტუდენტებმაც დატოვეს. 1919 წლის მარტში სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა სტუდენტთა ერთიანი კრების მოწვევა მოითხოვეს, სადაც ახალი გამგეობა უნდა არჩეულიყო. კრებას წინ უძღვოდა პარტიულ გაზეთებში წარმართული პოლემიკა სტუდენტურ ორგანიზაციებს შორის. ეროვნულ-დემოკრატთა „საქართველოში" ელისე პატარიძე გამგეობაში დარჩენილ სოციალისტ-ფედერალისტებს ბრალს უმოქმედობაში სდებდა. მისი თქმით, გამგეობამ ვერც სტუდენტური სასადილოს გახსნა უზრუნველყო, ვერც საერთო საცხოვრებლისა და ვერც სალექციო მასალების გამოცემისა. ავტორი ბრალს სდებდა სოციალ-დემოკრატებსაც, ვინც გამგეობის დატოვებამდე იქ ოთხი თვე გაატარეს უმოქმედოთ.[2] ავტორი სტუდენტებს მოუწოდებდა დასწრებოდნენ 23 მარტს გასამართ კრებას და პასუხი მოეთხოვათ გამგეობის წევრებისათვის.

---

1 გაზ. *სახალხო საქმე*. 1919 წ. N479. გვ. 4.

2 გაზ. *საქართველო*. 1919 წ. N64. გვ. 3.

თავის მხრივ, სოციალისტ-ფედერალისტთა „სახალხო საქმე“ ეროვნულ-დემოკრატებს სდებდა ბრალს უპასუხისმგებლო ქმედებისა და გამგეობის ნაადრევად დატოვებისთვის, ხოლო სოციალ-დემოკრატებს საბოტაჟში ადანაშაულებდნენ. სტატიის ავტორი, *დ-ი*-ს ფსევდონიმით, აღნიშნავდა, რომ გამგეობამ მოახერხა სტუდენტური სასადილოსთვის გოლოვინის გამზირზე შენობის გამონახვა და მეპატრონისგან შენობის გასაღებიც ჩაიბარა, თუმცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი შეუშალა ამ შეთანხმებას.[1]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები ითხოვდნენ, 1919 წლის 23 მარტს გაიმართა. კრებამ გამგეობის ანგარიში მოისმინა.[2] ანგარიშის წარდგენისას გ. სვანიძე აღნიშნავდა, რომ გამგეობამ მოახერხა უნივერსიტეტის შენობაში კერძო პირის მიერ გახსნილი საჩაიე გადაებარებინა და შესაბამისად გამგეობა უკვე თავად განაგებდა საჩაიეს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ პური შეღავათიან ფასში შეეძინათ. გარდა ამისა, წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, სამეცნიერო საგამომცემლო კომისიას დაწყებული ჰქონდა სალექციო მასალების ბეჭდვა, გამოსცემდა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სავალდებულო საგნების მასალებს და დაწყებული ჰქონდა უნივერსიტეტის პროფესორებისგან მიღებული წიგნების თარგმნა.[3] სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა სტუდენტთა გამგეობას კვლავ უმოქმედობაში დასდეს ბრალი. გაზეთი ერთობა 28 მარტს წერდა: „გამგეობას ორი-სამი ქაღალდი გაუგზავნია პროფესორთა საბჭოში და ქალაქის თვითმართველობაში. გამოუცხადებია მიტინგის დღე, სტუდენტები მოსულან და ულაპარაკნიათ, სტუდენტებს გამგეობის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიუღიათ პროფ. ყიფშიძის დაკრძალვაში, აი თურმე ეს „ძნელი“ და „დიდი“ საქმეები, რაც გაუკეთებიათ ფედერალისტებს!..“[4] სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-

---

1 გაზ. *სახალხო საქმე*. 1919 წ. N479. გვ. 4

2 გაზ. *ეროვნება*. 1919 წ. N70. გვ. 3

3 გაზ. *სახალხო საქმე*. 1919 წ. N490. გვ. 3

4 გაზ. *ეროვნება*. 1919 წ. N70. გვ. 3

დემოკრატები უარყოფითი რეზოლუციის გამოტანას ითხოვდნენ, თუმცა საბოლოოდ 94-ით 91 ხმის წინააღმდეგ, კრებამ დადებითად შეაფასა გამგეობის საქმიანობა.

სტუდენტთა მომდევნო კრებაზე, 30 მარტს ახალი გამგეობის არჩევნები გაიმართა. არჩევნებში კვლავ სოციალისტ-ფედერალისტმა სტუდენტებმა გაიმარჯვეს. მათ სტუდენტთა 166 ხმა მიიღეს, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატთა 110 და ეროვნულ-დემოკრატთა 72 ხმისა. ამგვარად ახალ გამგეობაში სოციალისტ-ფედერალისტებს 12 ადგილი ერგოთ, სოციალ-დემოკრატებს – 8, ეროვნულ-დემოკრატებს კი 5.[1]

„სტუდენტის დღე"-ს მომწყობ მთავარ კომისიისაგან

განცხადება

„ქართველი სტუდენტის დღე"

1449

განცხადება სტუდენტის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით
სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ყოველდღიურ გაზეთ
„სახალხო საქმეში". 1920 წ. N 725.
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)

სტუდენტთა ახალი გამგეობა წინასთან შედარებით გაცილებით უნარიანი გამოდგა. მაისში გამგეობამ ქალაქ თბილისის გამგეობას მიმართა თხოვნით, სტუდენტური სასადილოს გასახსნელად ადგილი გამოეყო რომელიმე შენობაში.[2] მალევე

---

1 იქვე. N75. გვ. 3.

2 გაზ. *საქართველო*. 1919 წ. N 106. გვ. 2.



განცხადება სტუდენტის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიურ გაზეთ „ერთობაში“. 1920 წ. N 18. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)



განცხადება სტუდენტის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოში“. 1921 წ. N 17. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ქალაქის გამგეობამ სტუდენტთა თხოვნა დააკმაყოფილა და 7 ივნისს თავისუფლების მოედანთან მდებარე ყოფილ კაფე „კარა-ლიდოს“ შენობაში სტუდენტური სასადილო გაიხსნა.[1] იმავე „სახალხო საქმის“ ცნობით, მალე სასადილოში ყოველდღიურად 300-ზე მეტი ადამიანი სადილობდა, რომელთაგან უმეტესობა სტუდენტი იყო,[2] თუმცა 1919 წლის 25 აგვისტოდან სასადილო, სტუდენტის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, მხოლოდ სტუდენტებსღა ემსახურებოდა.[3] სასადილო ხშირად მიმართავდა რესპუბლიკის სასურსათო საბჭოს, რათა შეღავათიან ფასში მიეწოდებინათ მისთვის სურსათი.[4] დამატებით გამგეობა, ცდილობდა შემოწირულობათა შეგროვებითა და სხვადასხვა გასართობი საღამოებით შეევსო სასადილოს ფონდი.[5]

სტუდენტთა გამგეობამ იმავე ქალაქის გამგეობას და მომარაგების კომიტეტს ასევე სთხოვა შეღავათიან ფასში მიეყიდათ მისთვის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი, რათა სტუდენტებს შესძლებოდათ მათი ყიდვა. დამატებით, დაიწყეს ფული შეგროვება ამ ნივთების სახელმწიფოსგან გამოსასყიდად.[6] მაისშივე გამგეობამ სტუდენტთა საერთო კრება მოიწვია, სადაც სტუდენტური კოოპერატივის შექმნის საკითხი დაისვა. კოოპერატივს კიდევ უფრო მეტი დახმარება უნდა გაეწია ნაკლებად შეძლებული სტუდენტებისთვის. კრებამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა და გამგეობას დაევალა კოოპერატივისთვის საჭირო ნივთების შეძენა.[7] 1919 წლის ზაფხულიდან კოოპერატივი უკვე ფუნქციონირებდა და ის სტუდენტებზე შეღავათიან ფასად ჰყიდდა ისეთ ნივთებს, როგორიც იყო სურსათი, ტანსაცმელი, ზეწრები, ფეხსაცმელი, საკანცელარიო ნივთები, ქაღალდი და სხ. კოოპერატივი

---

1 გაზ. *სახალხო საქმე*. 1919 წ. N545. გვ. 3.

2 იქვე. N549. გვ.2.

3 გაზ. *საქართველო*. 1919 წ. N 180. გვ. 2.

4 გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1919 წ. N140. გვ. 3.

5 გაზ. *საქართველო*. 1919 წ. N224. გვ. 2.

6 იქვე. 1919 წ. N 106. გვ. 2.

7 გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1919 წ. N111. გვ. 3.

სტუდენტური სასადილოს შენობაში მდებარეობდა.[1] სტუდენტური სასადილოსა და კოოპერატივის გარდა, სტუდენტური გამგეობა სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი საერთო საცხოვრებლის გახსნაზეც ზრუნავდა. 1919 წლის სექტემბერში სტუდენტთა გამგეობას პროფესორთა საბჭოსგან ყოფილი სემინარიის შენობის ნაწილი გადაეცა ბინის არმქონე სტუდენტების დასაბინავებლად.[2] იმავე წლის დეკემბერში გამგეობას იმავე მიზნისთვის ყოფილ სასტუმრო „ბო მონდის“ შენობა გადასცემია.[3]

სტუდენტთა გამგეობის ინიციატივით 1920 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის დღე, 26 იანვარი, „ქართველი სტუდენტის დღედ“ გამოცხადდა.[4] 1920 წელსვე გამგეობამ სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნა ეს დღე. თბილისის თეატრებსა და კინოებში სპეციალური წარმოდგენები გაიმართა. სპეციალურად ამ დღისთვის თბილისის ქალაქის თავმა ბენიამინ ჩხიკვიშვილმა თბილისის არტისტული საზოგადოების დარბაზი სტუდენტთა დღის აღსანიშნად მოწყობილ საზეიმო საღამოს დაუთმო და საორგანიზაციო ჯგუფს ექვსი ავტომობილი გამოუყო. საღამოს ორგანიზატორები მარიამ რამიშვილი და ოლღა სვანიშვილი იყვნენ. სტუდენტთა დღე აღინიშნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც. იქ გამართულ საღამოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ჩასული სტუდენტები და პროფესორები ესწრებოდნენ.[5]

გამგეობამ სპეციალურად ამ დღისთვის გამოსცა საუნივერსიტეტო ჟურნალიც „ქართველი სტუდენტი“. ჟურნალში უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების სტატიები იყო თავმოყრილი. ჟურნალი 7000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა. სტუდენტთა დღის აღნიშვნის საორგანიზაციო კომიტეტი სტუდენტურ სასადილოში იკრიბებოდა ხოლმე.

---

1 გაზ. *საქართველო*. 1919 წ. N 180. გვ. 2.

2 გაზ. *სახალხო საქმე*. 1919 წ. N633. გვ. 3.

3 გაზ. *საქართველოს ხესპუბლიკა*. 1919 წ. N274. გვ. 4.

4 გაზ. *სახალხო საქმე*. 1920 წ. N 725. გვ. 1.

5 იქვე. N 736. გვ. 4.

1920 წლის გამგეობის არჩევნებზე კვლავ სოციალისტ-ფედერალისტებმა მოახერხეს გამარჯვება. არჩევნებს წინ უძღოდა სტუდენტთა 7 მარტს გამართული საერთო კრება, სადაც მოისმინეს წინა გამგეობის ანგარიში და გაიმართა დებატები. ანგარიშში შალვა კიკნაძემ გამგეობის ერთწლიან საქმიანობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამგეობამ ყველანაირი დაფინანსების გარეშე მოახერხე სტუდენტთა სასადილოს, საერთო საცხოვრებლისა და კოოპერატივის გახსნა. მისი თქმით ამჟამად გამგეობის საერთო ქონება ფულითა და ინვენტარით 300 000 მანეთს უდრიდა. სოციალ-დემოკრატ და ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრიტიკის პარალელურად სარევიზიო კომისიამ აღნიშნა, რომ გამგეობას ხარვეზები ჰქონდა ბუღალტერიაში. საბოლოო ჯამში კრებამ სოციალისტ-ფედერალისტთა რეზოლუცია მიიღო, რომელიც დადებითად აფასებდა გამგეობის საქმიანობას. არჩევნები 7-9 მარტს მიმდინარეობდა და მასში ხუთი პარტია იღებდა მონაწილეობას საკუთარი სიებით. გამარჯვება კვლავ სოციალისტ-ფედერალისტებმა მოიპოვეს და 468 ხმით 25 წევრისგან შემდგარ გამგეობაში 13 წევრის შეყვანა მოახერხეს. სოციალ-დემოკრატ და ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტებს 6-6 წევრი ჰყავდათ. არჩევნებში ასევე მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის და ნაციონალისტთა პარტიის სტუდენტები.[1]

ახალი გამგეობა განაგრძობდა სტუდენტური სასადილოსა და კოოპერატივის მართვას. დამატებით გამგეობამ განათლების მინისტრს მიმართა, რათა სამინისტროს სტუდენტთათვის მატარებლის შეღავათიან ფასებში გაყიდვა უზრუნველეყო. გამგეობამ ასევე უნივერსიტეტის საბჭოს სთხოვა უნივერსიტეტისთვის დაექირავებინათ ექიმი და შეეძინათ მედიკამენტები, რომლებიც ავადმყოფ სტუდენტებს უფასოდ დაურიგდებოდა.[2]

გარდა სტუდენტურ საქმეთა მართვა-გამგეობისა, პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირებული სტუდენტური ორგანიზა-

---

1 გაზ. *სახალხო საქმე*. 1920 წ. N776. გვ. 3.

2 იქვე. N790. გვ. 4.

ციები უნივერსიტეტის ფარგლებშივე საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. 1919 წლის ბოლოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სტუდენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცადინო წრე დააარსეს.[1] სამეცადინო წრის მიზანი იგივე იყო, რაც ზოგადად ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა – მარქსიზმის საფუძვლიანი შესწავლა. სამეცადინო წრეს მომავალი „სხიველები" მუხრან ხოჭოლავა და ნიკიფორე იმნაიშვილი ხელმძღვანელობდნენ, რომელთაგან პირველი მარქსის „კაპიტალის" შესახებ კითხულობდა ლექციებს, იმნაიშვილი კი ფილოსოფიის შესახებ. გარდა საერთო მეცადინეობისა, წრის ორგანიზებით უნივერსიტეტში იმართებოდა დებატები და იკითხებოდა მოხსენებები მარქსიზმთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის თაობაზე. 1920 წლის თებერვალ-მარტში გამართულ მოხსენებებში, რომლებიც დიალექტიკურ მეთოდსა და „მარქსიზმის თეორეტიულ-შემეცნებით საფუძვლებს" შეეხებოდა, დებატებში მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა სტუდენტური ორგანიზაციის წევრებიც.[2]

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1920 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა მიერ ქალთა სამეცნიერო წრის დაარსება. როგორც „ახალ კვალში" დასელი ქალის ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიიდან ვიგებთ, ქალთა წრეს 19 მარტს გამართულ სოციალ-დემოკრატ სტუდენტ ქალთა კრებაზე ჩაჰყრია საფუძველი. კრებას, რომელსაც ს. გვასალია თავმჯდომარეობდა 25 ქალი ესწრებოდა.[3] ჯგუფური მეცადინეობები წინასწარ განსაზღვრული სისტემით კვირაში ორჯერ უნდა გამართულიყო. გარდა შერჩეული მასალის კითხვისა, სამეცნიერო წრეში იმართებოდა მოხსენებები, სადაც წევრებს განვლილი მასალა უნდა შეეჯამებინათ. მაისისთვის წრეს უკვე დაეწყო მუშაობა. გარდა მარქსიზმის ზოგადი საკითხებისა განსაკუთ-

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*. 1920 წ. N1. გვ. 16.

2 იქვე. N2. გვ. 14; იქვე. N3. გვ. 9.

3 იქვე. N3. გვ. 10.

რებული ყურადღება ეთმობოდა ქალთა საკითხის შესწავლას. შერჩეულ საკითხავ ლიტერატურას შორის იყო ავგუსტ ბებელის „ქალი და სოციალიზმი“, ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ და სხვა ნაშრომები.[1]

გიორგი ყუშიტაშვილი

[1] *ჟურ. ახალი კვალი.* 1920 წ. N4. გვ. 9.

მონოპოლია ახალგაზრდობაზე? კომკავშირის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში: XX საუკუნის 20-იანი წლები

(საქართველოს მაგალითი)

შესავალი

XX საუკუნის 20-იანი წლები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, ჩამოყალიბების პირველი ათწლეულია; სახელმწიფოსი, რომელიც აერთიანებდა უზარმაზარ ტერიტორიას ცენტრალური ევროპის საზღვრებიდან ალასკამდე და ჰქონდა ძალაუფლება ათობით ერსა და ასეულობით ეთნოსზე – 1930 წლისათვის ჯამში 160 000 000-მდე ადამიანზე, მაშინდელი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 8%-ზე.

1920-1930-იანი წლები დიდი ტრანსფორმაციის პერიოდი იყო საბჭოთა კავშირში, რომელსაც ახასიათებდა სწრაფი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები როგორც კომუნისტური პარტიის შიგნით, ისე – უფრო ფართოდ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მოცემულ ათწლეულში საბჭოთა კავშირის კომუნისტური ახალგაზრდობა (Коммунистический Союз Молодёжи[1]), შემოკლებით ცნობილი როგორც „КОМСОМОЛ“, გამოჩნდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის ინსტიტუციურ ფორმირებასა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე მთელი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

როგორც კომუნისტური პარტიის დანაყოფი, „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ახალგაზრდების მობილიზაციაში, მარქსიზმის[2] პოპუ-

---

1 1924 წლიდან, კომუნისტურ ახალგაზრდობას ვლადიმერ ლენინის სახელი მიენიჭა და ორგანიზაციის სახელწოდებაც უფრო განივრცო: „Всесоюзный Ленинский Коммунистический Союз Молодёжи“. ამგვარად, 1924-1991 წლებში ორგანიზაცია ამ სახელით აგრძელებს არსებობას.

2 მარქსიზმი – *საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური თეორია, რომელიც განავითარეს კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. მარქსიზმის მთავარი იდეა არის ის, რომ ისტორიას კლასთა შორის ბრძოლა ამოძრავებს, სადაც მმართველი კლასი (ბურჟუაზია) ჩაგრავს მუშათა კლასს (პროლეტარიატს). მარქსმა შეიმუშავა ისტორიის მატერიალისტური გაგების – დიალექტური მატერიალიზმის კონცეფცია, რისი მიხედვითაც, კა-*

ლარიზაციასა და დიდი ინფრასტრუქტურულ-ინსტიტუციური პროექტების განხორციელებაში, რამაც საბჭოთა ძალაუფლება საბოლოოდ და დიდი ხნით გაამყარა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე.

საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში ახალგაზრდობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელობის შესწავლის პროცესში გვერდს ვერ ავუვლით „კომუნისტური ახალგაზრდობის" ისტორიას საქართველოს გასაბჭოებიდან პირველი ათწლეულის მანძილზე.

„ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი" შეიქმნა მეფის რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ძალაუფლების ნანგრევებზე, ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე, როგორც ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ძალაუფლების განმტკიცებისთვის საჭირო ერთ-ერთი უმთავრესი ორგანიზაცია. ბოლშევიკებისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდების სოციალიზაციასა და მათში იმ იდეოლოგიის გავრცელებას, რომელსაც მოგვიანებით „მარქსიზმ-ლენინიზმი"[1] ეწოდა და რომელიც ვლადიმერ ლენინის სიცოცხლის პერიოდში „მარ-

---

პიტაღიზმის შეცვლა სოციაღიზმისა და, საბოღოოდ, კომუნიზმის მიეh ისტოhიუღი გაhდაუვღობა იყო, შეღეგად კი ჩამოყაღიბღებოდა უკღასო და თანასწოhი საზოგადოება. მაhქსიზმის მიხეღვით, ადამიანების მატეhიაღუhი მდგომაhეობა და ეკონომიკუhი სტhუქტუhა საზოგადოებhივი ცვღიღებების საფუძვეღია. მაhქსიზმის კhიტიკოსები მიიჩნევენ, hომ მაhქსიზმი თვაღს ხუჭავს ადამიანის ბუნებასა და მის პhაქტიკუღობაზე, მაშინ, hოდესაც მაhქსისტები ამ თეოhიას უყუhებენ, hოგოhც გზას უფhო სამაhთღიანი, თანასწოhი საზოგადოებისკენ.

1 მარქსიზმ-ლენინიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის საფუძველიც არის კარლ მარქსის შრომები და რომელიც განავითარა ვლადიმერ ლენინმა. ეს იდეოლოგია აერთიანებს მარქსის თეორიას კლასობრივი ბრძოლისა და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ ლენინის იდეებთან რევოლუციური სტრატეგიისა და მუშათა ავანგარდული პარტიის შესახებ. ლენინი წერდა, რომ რევოლუციონერების ძლიერი დისციპლინის, ცენტრალიზებული პარტია იყო საჭირო მუშათა კლასის სამართავად კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის დამყარების პროცესში. მარქსიზმ-ლენინიზმი იქცა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკურ იდეოლოგიად, რომლის მთავარი ღირებულებები პროლეტარიატის დიქტატურა, საწარმოების ნაციონალიზება და გეგმიური ეკონომიკის შექმნა იყო.

ქსიზმად“ იწოდებოდა. ცხადია, ეს მარქსიზმის ბოლშევიკური ინტერპრეტაცია იყო, რომელიც რევოლუციურიდან სახელმწიფო იდეოლოგიად ეტაპობრივად ტრანსფორმირდებოდა, ამ პროცესში კი ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი როლი მიეცა. შესაბამისად, „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის“ – ანუ კომკავშირის[1] შექმნის მთავარი მიზანი ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ ახალგაზრდების მაქსიმალური ერთგულების უზრუნველყოფა იყო.

ლენინი ჯერ კიდევ 1906 წელს გაზეთ „პროლეტარში“ წერდა პამფლეტს „მენშევიზმის კრიზისი,“ სადაც ის ფრიდრიხ ენგელსზე დაყრდნობით მიმართავდა იური ლარინს[2] შემდეგი სიტყვებით: „ლარინი უჩივის, მაგალითად, იმას, რომ ჩვენს პარტიაში სჭარბობს მუშა ახალგაზრდობა, რომ ცოლშვილიანი მუშები ცოტანი გვყვანან, რომ ისინი შორდებიან პარტიას. რუსი ოპორტუნისტის ამ ჩივილმა მომაგონა ენგელსის ნაწერის ერთი ადგილი (მგონი, „ბინის საკითხში“ (“Zur Wohnugsfrage“)). უხამსი/ბურჟუა პროფესორის, გერმანელი კადეტის პასუხად ენგელსი წერდა: **განა, ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის წავა ახალგაზრდობაო“**[3].

ეს სიტყვები, რომელიც ლენინმა პოლიტიკურ დებატებში გამოიყენა, იქცა კომკავშირთან დაკავშირებულ ნაშრომებსა თუ კომკავშირის მიერ გამართულ საჯარო ღონისძიებებზე ხშირად გამოყენებად ფრაზებად.

ორგანიზაცია ოფიციალურად დაარსდა 1918 წლის ოქტომბერში, რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტების ლიგის (РКСМ)

---

1 ტექსტში „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი“ გამოყენებულია შემოკლებული ფორმით -„კომკავშირი“

2 იური ლარინი (1882-1932) - საბჭოთა ეკონომისტი და პოლიტიკოსი.

3 ვ. ლენინი. თხზულებანი, ტომი 11. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, (სახელგამი, 1950).

სრულიად რუსულ ყრილობაზე, მოგვიანებით იგი ჩამოყალიბდა „ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირად“. ყრილობაზე შეიკრიბნენ დელეგატები რუსეთის სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციიდან, რომელთა ნაწილიც სამოქალაქო ომისა და რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკების მხარეს იჭერდა.[1]

კომკავშირში გაწევრიანების უფლება 14 წლიდან 26 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ჰქონდათ, უფრო უმცროსები (9 წლიდან 15 წლამდე) „ახალგაზრდა პიონერთა“ ჯგუფებში წევრიანდებოდნენ, კიდევ უფრო უმცროსები კი, 7 წლიდან 9 წლამდე ბავშვები, – „პატარა ოქტომბრელებში“. კომკავშირის წევრის მიღება რეკომენდაციის საფუძველზე ხდებოდა. რეკომენდატორი შეიძლებოდა, ყოფილიყო კომუნისტური პარტიის ერთი, ან კომკავშირის ორი წევრი. კავშირში მიღების შემთხვევაში წევრი ვალდებული იყო, გაეზიარებინა ორგანიზაციის წესდება, შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობანი და გადაეხადა საწევრო გადასახადი[2].

დაარსების დღიდან „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი“ შეიქმნა ახალგაზრდობის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ასპექტზე გავლენის მოსახდენად: განათლებიდან შრომამდე და დასვენებიდან კულტურულ აქტივობებამდე. კომკავშირის სტრუქტურა ძალიან წააგავდა კომუნისტური პარტიის სტრუქტურას – ეს იყო იერარქიული სისტემა ადგილობრივი უჯრედებიდან რაიონულ კომიტეტებამდე, საბოლოოდ კი ცენტრალურ კომიტეტამდე, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა პარტიულ ხელმძღვანელობას. „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის“ ორგანიზაციული ჯგუფის სტრუქტურა უზრუნველყოფდა იმას, რომ ორგანიზაცია მუდმივად ყოფილიყო პარტიული ხელმძღვანელობის პირდაპირი კონტროლის ქვეშ და დაქვემდებარებული ყოფილიყო კომუნისტური პარტიის მიზნებსა და მიმართულებებს, რომელთა ლიდერებიც,

1 A. T. Baumm, Background History of the Komsomol: Formation, Consolidation, Disillusionment: Komsomol Participation In The Soviet First Five-Year Plan. (Palgrave Macmillan, 1987).

2 K. Hulicka,The Komsomol, (The Southwestern Social Science Quarterly, 1962), 363-373.

თავის მხრივ, „ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს“ საბ-ჭოთა სახელმწიფოს შექმნისათვის საჭირო საკვანძო საშუა-ლებად განიხილავდნენ.

თეორიული პერსპექტივები:

ძალაუფლებისა და კონტროლის თეორიები

იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ კომკავშირის როლი XX საუკუნის 20-იანი წლების პერიოდის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, მნიშვნელოვანია, რომ კარგად იქნეს გააზრე-ბული ძალაუფლების ცნება. მიშელ ფუკოს მიხედვით, ძალა-უფლება შესაძლოა, იყოს არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ პროდუქტიული. ფუკო წერდა, რომ ძალაუფლება ქმნის ცოდ-ნასა და ნორმებს, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის საზოგადო-ებრივ სტრუქტურებსა და ინდივიდების ქცევებს.[1] კომკავშირი ეყრდნობოდა განათლებას, კულტურულ აქტივობებსა და სა-ზოგადოებრივ ჩართულობას ახალგაზრდობაში კომუნისტუ-რი ღირებულებების დანერგვის მიზნით. ახალი სახელმწიფოს მიმართ ერთგულების გამოსავლენად კომკავშირი ძალადობა-ზე უფრო ხშირად იმგვარ მეთოდებს მიმართავდა, რომლებიც უზრუნველყოფდა საბჭოთა ძალაუფლებისადმი ნდობით აღ-ჭურვილი ახალი თაობის აღზრდას. მათთვის „შინაური“, მე-ტიც – მშობლიური და პიროვნული იდენტობის ნაწილი უნდა ყოფილიყო საბჭოთა იდეოლოგია.

მაქს ვებერის მიერ შემოთავაზებული ძალაუფლების ტი-პები – ტრადიციული, ქარიზმატული და სამართლებრივ-რაცი-ონალური,[2] გვეხმარება კომკავშირის მემკვიდრეობის ანალიზ-ში. კომკავშირი ძალაუფლებას ფლობდა კომუნისტურ პარტი-ასთან კავშირითა და ვლადიმერ ლენინის რევოლუციური იდე-ების მიმართ ერთგულებით. ის თავს წარმოაჩენდა, როგორც ახალგაზრდობის ავანგარდს, რომელიც ოქტომბრის რევოლუ-ციის იდეებისა და საერთაშორისო პროლეტარული რევოლუ-

---

1 M. Foucault. Power and Knowledge: Selected Interviews and Other Writings: 1972-1977. (Pantheon Books,1980)

2 Weber, M. (1978). Economy and Society: An Outline of Interpretive Sociology. (G. Roth, & C. Wittich, რედ.) University of California Press.

ციისათვის ბრძოლაში მოწინავე, დამრტყმელი ძალა იყო. კომკავშირი ამგვარად საკუთარ როლს უკავშირებდა რევოლუციურ ამოცანებსა და საბჭოთა ლიდერებს, რომლებიც მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის ლიდერებშიც მოიაზრებოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებსა და შემდგომ ათწლეულებშიც საბჭოთა ლიდერებთან კომკავშირს აკავშირებდა რწმენა, რომ ისინი იყვნენ „რჩეული" ხელმძღვანელები ოქტომბრის რევოლუციის იდეალებისა, ჩვენს საკვლევ პერიოდში პროფესიონალი რევოლუციონერები – ლენინი და სტალინი.

სოციალიზაცია და იდენტობის ფორმირება

სოციალური დასწავლის თეორია, რომელიც ალბერტ ბანდურამ განავითარა, ყურადღებას უთმობს დაკვირვებისა და ინიციატივის როლს ადამიანის ქცევის ჩამოყალიბების პროცესში.[1] კომკავშირის აქტივობებიდან ჩანს, რომ ორგანიზაციაში კარგად იცოდნენ სამაგალითო ადამიანების მნიშვნელობის გავლენის ძალის შესახებ კომუნისტური იდეოლოგიისადმი ერთგულების გაფართოების ამოცანის მიღწევაში. ორგანიზებული აქტივობების საშუალებით კომკავშირი მიზნად ისახავდა სამაგალითო ადამიანების წარმოდგენას, რომლებიც სოციალიზმის იდეის, ბეჯითი შრომისა და პარტიისადმი ერთგულების სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. ამგვარი სტრატეგია არა მარტო ქმნიდა მნიშვნელოვან მისაბაძ მაგალითებს ახალგაზრდობისათვის, არამედ ქმნიდა ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდებოდა ადამიანის როლის გააზრება საბჭოთა სისტემაში.

იდენტობის ფორმირების თეორიის გათვალისწინებით ტექსტში შესაძლებელია იმის დანახვა, თუ როგორ მუშაობდა კომკავშირი იდენტობის ფორმირების მექანიზმად. კოლექტიური „საბჭოთა ახალგაზრდის" იდენტობაზე აქცენტირებით, კომკავშირი ცდილობდა ინდივიდუალიზმის უარყოფასა და სანაცვლოდ იმ პერიოდის ახალგაზრდებში უფრო დიდი მოძრაობის ნაწილად საკუთარი თავის გააზრების ხელშეწყობას. კო-

[1] Bandura, A. (1976). *Social Learning Theory: First Edition.* Prentice-Hall.

ლექტიური იდენტობა ემსახურებოდა საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების გრძნობის გაჩენას და ქმნიდა იმგვარ საზოგადოებრივ სტრუქტურას, რომელშიც წინააღმდეგობა ითრგუნებოდა, მორჩილება და თანხმობა კი – ჯილდოვდებოდა. შესაბამისად, „საბჭოთა მოქალაქის“ „მშენებლობამდე“ „საბჭოთა ახალგაზრდის“ შექმნა იყო საჭირო, ამაზე კი პასუხისმგებლობას კომკავშირი იღებდა.

მობილიზაცია და კოლექტიური ქმედება

რესურსების მობილიზაციისა და კოლექტიური ქმედების თეორია შეისწავლის, თუ როგორ ახერხებენ ორგანიზაციები სხვადასხვა რესურსის, დროის, ფინანსებისა და შრომის გამოყენებას, რომ შეძლონ ადამიანების მობილიზება კოლექტიური ქმედებისთვის.[1] კომკავშირმა ეფექტურად გამოიყენა რესურსები, რომელთა მეშვეობითაც ჩართო ახალგაზრდები რიგ ინიციატივებში, დაწყებული სასოფლო-სამეურნეო პროექტებიდან, დამთავრებული – კულტურული ფესტივალებით. ამ ქმედებით კომკავშირმა არა მხოლოდ გაზარდა მისი ხილვადობა, არამედ შეძლო ახალგაზრდების წახალისება, ყოფილიყვნენ ჩართულნი სხვადასხვა პროცესში. კომკავშირის მიერ ინიცირებული აქტივობები კი, რა თქმა უნდა, სოციალისტური იდეის ეგიდით ხორციელდებოდა და ჯდებოდა კომკავშირის ნარატივში პროგრესისა და კოლექტიური წარმატების შესახებ.

ფრეიმინგის (ჩარჩოში ჩასმის) თეორია

ფრეიმინგის თეორია კიდევ ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჩარჩოა, რომელიც შეგვიძლია, გამოვიყენოთ კომკავშირის გავლენის გასააზრებლად. თეორია თავდაპირველად შეიმუშავა ერვინგ გოფმანმა[2]. იგი შეისწავლის, თუ როგორ ახ-

---

1 McAdam, D., Tarrow, S., & Tilly, C. (2001). *Dymanics of Contention.* Cambridge University Press.

2 E. Goffman, *Frame Analysis: An Essay on the Organization of Experience.* (Harvard University Press, 1974).

დენენ ინდივიდები და ჯგუფები ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და ორგანიზებას, როგორ აღიქვამენ ისინი საზოგადოებრივ სიტუაციას. გოფმანი წერდა, რომ ადამიანები იყენებენ „ჩარჩოებს“, მენტალურ სტრუქტურებს (სქემებს), რომელთა მეშვეობითაც აღიქვამენ საკუთარ გამოცდილებებს. ჩარჩოები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები მოვლენებს, თეორია ყურადღებას აქცევს ენისა და წარმოდგენის როლს საჯარო აღქმისა და იდენტობის ფორმირებაში. გოფმანის მიხედვით, ფრეიმინგი არა მხოლოდ კოგნიტური, არამედ სოციალური პროცესიცაა, რადგანაც სხვადასხვა სოციალური კონტექსტი და ინტერაქცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩარჩოების შენებასა და გაზიარებაში. კომკავშირის აქტივობების ანალიზში ჩანს, რომ ორგანიზაცია მოქნილად სვამდა საკუთარ აქტივობებს სოციალური პასუხისმგებლობისა და სამშობლოს მიმართ ვალდებულების ჩარჩოში, ის „ეხმიანებოდა“ ახალგაზრდების სურვილს, ყოფილიყვნენ რაიმე მოვლენისა თუ პროცესის ნაწილნი. ინიციატივების სასარგებლოობისა და სასიცოცხლოობის წარმოჩენით კომკავშირი საკუთარ ორგანიზაციას საბჭოთა საზოგადოებისგან განუყოფლად წარმოადგენდა. ამგვარი სტრატეგიული ფრეიმინგი ეხმარებოდა კომკავშირს ძალაუფლების გაძლიერებასა და ახალგაზრდათა დიდი რაოდენობისადმი ხმის მიწვდენაში, რადგანაც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება ახერხებდა ახალგაზრდების „წახალისებასა“ და მოტივირებას, შეესრულებინათ მოქალაქეობრივი „ვალი“.

დაბოლოს, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია, დავინახოთ კომკავშირი, როგორც საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ნაწილი. საქართველოს გამოცდილებაში საბჭოთა კავშირი ასოცირდება ინდუსტრიალიზაციასა და სოციალურ პროგრესთან, ეროვნული დამოუკიდებლობისა და შიდა საბჭოურ ბრძოლასთან პატარა საქართველოსა და დიდი რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. იოსებ სტალინის გარდაცვალებისა და ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ 1956 წელს „სტალინის კულტის“ დაგმობის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო

გამწვავდა. შესაბამისად, კომკავშირში, რიგ შემთხვევაში სოციალიზაციისა და პროგრესის მექანიზმის გარდა, მნიშვნელოვნად იდო რეპრესიული მექანიზმიც.

სახელმწიფოს იდეოლოგიური აპარატის თეორია

ლუის ალთუსერმა სახელმწიფოს ფენომენის მარქსისტულ კრიტიკაში შექმნა და წინ წამოწია იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატის ცნება[1]. ალთუსერი ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა, მასმედია, განათლება, რელიგია და ოჯახი – განიხილავდა სახელმწიფოს იდეოლოგიურ აპარატებად, რომელთა ფუნქციაც დომინანტური იდეოლოგიის დანერგვა და გავრცელებაა. კომკავშირი, კომუნისტური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია, შეგვიძლია, მოვიაზროთ, როგორც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი იდეოლოგიური აპარატი, რომლის მიზანიც ახალგაზრდათა განათლება და მობილიზება იყო მათში მარქსისტულ-ლენინისტური ღირებულებების ინტერნალიზების მიზნით. აღნიშნული პროგრამების გამოყენებით კომკავშირი ცდილობდა, შეექმნა ახალი სოციალისტური ცნობიერება ახალგაზრდებში, მათი იდენტობისა და რწმენებისათვის იმგვარად მიეცა ფორმა, რომ ისინი თანხვედრაში მოსულიყვნენ სახელმწიფოს მიზნებთან.

კომკავშირი საკვანძო როლს ასრულებდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის სამუშაო ძალის რეპროდუქციაში. რიგი სწავლებების, განათლების სისტემისა და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების გამოყენებით, კომკავშირი ამზადებდა ახალგაზრდებს იმ როლებისთვის, რაც მათ, როგორც სამუშაო ძალას, უნდა შეესრულებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად. სამუშაო ძალის რეპროდუქცია ემსახურებოდა არა მხოლოდ ეკონომიკური პროდუქტიულობის ამოცანას, არამედ ადამიანებს შორის იდეოლოგიური ერთგულების დანერგვას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, უზრუნველყოფას, რომ მომავალი თაობები იქნებოდნენ ლოიალურნი კომუნისტური პარტიისადმი.

---

1 L. Althusser, *On the Reproduction Of Capitalism: Ideology And Ideological State Apparatuses*, (Verso, 2014).

ალთუსერის „ინტერპელაციის“ ცნების გამოყენებით, შეგვიძლია, გავიაზროთ, თუ როგორ იქცევიან ინდივიდები იდეოლოგიის შიგნით „წარმატებულ“ ან „აღიარებულ“ სუბიექტებად. კომკავშირი ახდენდა ახალგაზრდობის ინტერპელაციას მათი მუდმივი ჩართვით ღონისძიებებში, სადაც გამოჩნდებოდა, რომ პიროვნება განუყოფელი იყო საბჭოთა მოქალაქის იდენტობისგან. პროპაგანდის, კულტურული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო ინიციატივების გამოყენებით, კომკავშირი ქმნიდა მიკუთვნებულობისა და მიზნობრიობის განცდას ახალგაზრდებში, უჩენდა მათ წარმოდგენას, რომ ისინი იყვნენ რევოლუციური პროექტის აქტიური მონაწილენი. მაშინ, როდესაც კომკავშირი ცდილობდა იდეოლოგიის მიმართ ერთგულების უზრუნველყოფას, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ეს მცდელობები ყოველთვის წარმატებული არ იყო. ალთუსერიც აღნიშნავდა, რომ იდეოლოგია მონოლითური არ არის, მან შეიძლება შვას როგორც მიმდევრობა, ასევე – წინააღმდეგობა. კომკავშირში გამოცდილებისა და შეხედულებების მრავალფეროვნება მართლაც იყო, რაც ტექსტშიც კარგად ჩანს.

კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა კულტურის წარმოებაშიც, ჩართული იყო ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროებში იმგვარად, რომ ნებისმიერი შედეგი დაკავშირებული ყოფილიყო საბჭოთა იდეალებთან. კულტურული ნარატივების კონტროლით კომკავშირი ახდენდა იდეოლოგიური გზავნილების კონტროლს და ცდილობდა, მათი მეშვეობით მოეხერხებინა სოციალიზმზე დაფუძნებული კოლექტიური იდენტობის შექმნა. კულტურული ჩართულობა ფუნქციონირებდა, როგორც: ა) გართობის ორგანიზება და ბ) იდეოლოგიის კვლავწარმოება.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია ისტორიული ანალიზის მეთოდი, რომელიც ეფუძნება XX საუკუნის 20-იან წლებში კომკავშირის არსებობისა და აქტივობის შესახებ არსებულ პირველად და მეორეულ წყაროებს.

პირველადი წყაროები: კვლევაში შესწავლილია XX საუკუნის 20-იან წლებში გამომავალი გაზეთები: „კომუნისტი“ „წითელარმიელი“ „სპარტაკი“ და სხვ. – რომლებშიც მოიპოვება ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს წყაროები შესწავლილია მათი შინაარსის მიხედვით სტატიების, საავტორო ტექსტებისა და პროპაგანდის დონეზე.

ანალიზის მიზანია, დადგინდეს, თუ რა ფორმას აძლევდა კომკავშირი თავის გზავნილებს, როგორ წარმოაჩენდა საკუთარ ინიციატივებს და როგორ ახერხებდა კომუნიკაციას საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან. ამ წყაროების ანალიზით, ტექსტი იკვლევს ლოიალობისა და კოლექტივიზმის ცნებებს, საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდირების მეთოდებს. გამორჩეული ყურადღება ეთმობა კომკავშირის მიერ გამოყენებულ ენას, ხშირად განმეორებად გზავნილებსა და ახალგაზრდების რეპრეზენტაციის შესწავლას საბჭოთა ძალაუფლების განხორციელების პროცესში.

მონოგრაფიები და სტატიები: ანალიზი მოიცავს საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა საქართველოში კომკავშირის არსებობისა და მოღვაწეობის საკითხს, სამეცნიერო მონოგრაფიებისა და სტატიების კვლევას, რომლებიც შექმნილია XX საუკუნის 20-იან წლებში. ეს ტექსტები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათში ემპირიულ ცოდნასთან ერთად, მოწოდებულია საჭირო კონტექსტი და ინტერპრეტაციები კომკავშირის, როგორც იდეოლოგიისა და მისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ. მეორადი წყაროებით კომკავშირის შესწავლა XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციების კონტექსტში, დაგვეხმარება პირველადი წყაროების მიგნებების ანალიზში. ასევე, უკვე არსებული ლიტერატურით უკეთ წარმოვაჩენთ კომკავშირის როლს საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნარატივში.

საგანმანათლებლო პროგრამები – კვლევაში შესწავლილია კომკავშირის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელთა მიზანიც იყო წერა-კითხვისა და

პროფესიული ცოდნის გავრცელება ახალგაზრდებში. ამავე მიმართულებით კვლევა ხსნის, თუ როგორ გამოიყენებოდა განათლება საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში იმ ხედვების წინ წამოსაწევად, რომლებსაც აკადემიურზე უფრო მეტად, იდეოლოგიური ღირებულება ჰქონდა. ამ პროგრამების შინაარსისა და შედეგების შეფასებით ნაშრომი საბჭოთა ახალგაზრდობის აქტივობის ერთ-ერთი უმთავრეს შრეს წარმოადგენს.

კულტურული და პოლიტიკური ღონისძიებები – კულტურული ფესტივალებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ყრილობის (კონფერენციის, სხდომის) ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ ამგვარ შეკრებებზე ჩანს ღირებულებებისა და სამომავლო პოლიტიკური ნაბიჯების/სტრატეგიის შესახებ შეთანხმებები. ასეთ შეხვედრებზე ხდებოდა თანხმობა პოლიტიკური კურსების, მაგალითად, ნაციონალიზმის, რეაქციულ ძალებთან ბრძოლის, წვრილბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისა და რიგი სხვა ამოცანების შესახებ. კომკავშირის პოლიტიკური კამპანიების დეტალური შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგანაც ისეთი ფუნდამენტური მობილიზაციები, რომლებიც შეეხებოდა კოლექტივიზაციას, შიმშილობასთან ბრძოლასა თუ ინდუსტრიალიზაციას, გვიჩვენებს კომკავშირის, როგორც სახელმწიფოს იმ უჯრედის ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფდა ახალგაზრდების „შეთავსებას“ სახელმწიფოსა და მის იდეოლოგიასთან. პოლიტიკური კამპანიების შესწავლისას კვლევა ეყრდნობა კომკავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდების ანალიზს.

თავი I. „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის“ გაფართოება და ზრდა

არსებობის პირველ წლებში „კომკავშირი“ შედარებით მცირე და დახურული ორგანიზაცია იყო. მისი წევრები ძირითადად იყვნენ ახალგაზრდა მუშები და ჯარისკაცები, უკვე გამოცდილნი რევოლუციურ პროცესებში და ბოლშევიკური იდეოლოგიის ერთგულნი, თუმცა, სამოქალაქო ომის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამყარების პარალელურად „კომკავშირის“ როლი ძალიან სწრაფად გაიზარდა, ისევე, როგორც მისი წევრების რაოდენობა.

„კომკავშირი“ მასობრივ ორგანიზაციად XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა – მილიონობით ახალგაზრდა შეუერთდა მის რიგებს. 1922 წლამდე იგი 500 000 წევრს აერთიანებდა, დეკადის ბოლოს კი მისი რიგები 2 000 000-ზე მეტი წევრისგან შედგებოდა. უსწრაფესი გაფართოების მიზეზებს წარმოადგენს: პირველი – „კომკავშირი“ ასოცირდებოდა სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებასთან, ახალგაზრდებს სთავაზობდა განათლების შესაძლებლობას სამუშაოსა და კომუნისტურ პარტიაში მოწინავე პოზიციების მისაღებად. მეორე – ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა ახალი წევრების რეკრუტირებაზე, განსაკუთრებით, სოფლებში, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას სჭირდებოდა ახალგაზრდა გლეხების სოციალისტურ სახელმწიფოში ინტეგრაცია[1]. „კომკავშირის“ მიმზიდველობას ზრდიდა მისი ჩართულობა ღონისძიებების ფართო ჯაჭვში, მათ შორის, სპორტის, კულტურული ღონისძიებების, წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების კამპანიებსა თუ შრომით პროექტებში.

„კომკავშირის“ ზრდა გადაჯაჭვული იყო საბჭოთა ხელისუფლების უფრო ფართო მცდელობებთან, რომ აეშენებინა ახალი სოციალისტური საზოგადოება. ბოლშევიკებს ესმოდათ, რომ სოციალიზმის მშენებლობას სჭირდებოდა არა მხოლოდ

---

1 I.Tirado, (*Peasants into Soviets : Reconstructing Komsomol Identity in the Russian Countryside of the 1920s*. (Acta Slavica Iaponica, *2001) 18*, 42-63.

ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილება, არამედ კულტურისა და ღირებულებების ფუნდამენტური ტრანსფორმაციაც. „კომკავშირი“ კი კულტურული ტრანსფორმაციის წინა ხაზი იყო, რომელიც მუშაობდა ახალ თაობებში იდეალების განსხვავებული წყების შესაქმნელად კოლექტივიზმის, თვითდისციპლინისა და კომუნისტური პარტიის მიმართ ერთგულების ჩათვლით. შესაბამისად, „კომკავშირის“ ზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანებს შორის განუყოფელ ადგილს იკავებდა.

I.I. კომკავშირის როლი პოლიტიკურ განათლებასა და იდეოლოგიურ აღზრდაში

კომკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია წევრებისათვის პოლიტიკური განათლებისა და იდეოლოგიური აღზრდის მიწოდება იყო. ორგანიზაციას ევალებოდა, რომ ახალგაზრდებში დაენერგა მარქსისტული იდეოლოგიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლის, ცოდნა და, აქედან გამომდინარე, აღეზარდა ახალგაზრდები კომუნისტური პარტიის მიმართ ძლიერი ერთგულებით. ამის მისაღწევად არსებობდა სხვადასხვა საშუალება ლექციების, სასწავლო წრეების, პოლიტიკური კამპანიებისა და პროპაგანდისტული მასალების გავრცელების სახით.

კომკავშირი აორგანიზებდა რეგულარულ შეხვედრებსა და საგანმანათლებლო შეკრებებს, სადაც კავშირის წევრები ვალდებულნი იყვნენ, შეესწავლათ ბოლშევიკური რევოლუციის ისტორია, მარქსისტული თეორიის პრინციპები, მათ უნდა ჰქონოდათ ცოდნა კომუნისტური პარტიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. სხდომებს ხშირად უძღვებოდნენ საჭირო იდეოლოგიური სამუშაოს გაწევის გამოცდილების მქონე პარტიის მაღალი თანამდებობის პირები ან კომკავშირის გამოცდილი აქტივისტები. ყურადღება ექცეოდა მარქსიზმის (მოგვიანებით, მარქსიზმ-ლენინიზმის) პრინციპების პრაქტიკული განხორციელების საკითხებს და იმას, თუ როგორ შეეძლოთ

ახალგაზრდებს შეეტანათ თავიანთი წვლილი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

ფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების გარდა, კომკავშირი მნიშვნელოვნად იყო ჩართული ახალგაზრდობის მობილიზებისათვის საჭირო პოლიტიკურ კამპანიებში. მაგალითად – „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ (ნეპ) პერიოდში, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, კომკავშირმა საკვანძო როლი შეასრულა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისადმი მხარდაჭერაში, ასევე, კერძო ვაჭრობასთან ბრძოლასა და კოოპერატიული ფერმების იდეის წინ წამოწევაში. ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსა და ათეიზმის პროპაგანდაში. ეს ხდებოდა უფრო ფართო კონტექსტში, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ კომუნისტების მცდელობა, მოეხდინათ საბჭოთა კავშირის საზოგადოების სეკულარიზაცია.

კომკავშირის პოლიტიკური განმანათლებლობის მცდელობები არ შემოისაზღვრებოდა მხოლოდ მისი წევრებით. ორგანიზაცია ცდილობდა, რომ გავლენა მოეხდინა ახალგაზრდებზე მთელი საბჭოეთის მასშტაბით, საჯარო ღონისძიებების, პროპაგანდისტული მასალების გავრცელებითა თუ სკოლებსა და სხვა ინსტიტუციებში კომუნისტური იდეოლოგიის შეტანით. ამგვარი მცდელობები გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო სოფლებში, სადაც ტრადიციული ღირებულებები და რელიგიური რწმენა კვლავ დიდ გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე. კომკავშირის მიზანი იყო, რომ მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ყოფილიყო პარტიის მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის გააზრებაში.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში გამოიკვეთა სტალინის მზარდი გავლენა კომკავშირზე. თავდაპირველად, ძალაუფლების გამყარებამდე, კომკავშირს მეტი ავტონომია ჰქონდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლებისაგან, თუმცა სტალინის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციის პარალელურად, კომკავშირი მეტად ბიუროკრატიზებულ ინსტიტუციად იქცა, რომელიც ექვემდებარებოდა პოლიტბი-

ურეს და, პირველ რიგში, სტალინს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რომ კომუნისტი ახალგაზრდობა ყოფილიყო მისი „მხარდამჭერი“ პოლიტიკური კურსებისა და უფრო ზოგადი მიზნების რეალიზების პროცესში.

სტალინის გავლენითვე კომკავშირის მიერ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაშლილი პოლიტიკური განმანათლებლობის კამპანია ცენტრალიზებული და დეტალური გახდა, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო კომკავშირის ლიდერების ერთგულებას სტალინისადმი. ორგანიზაცია უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა პარტიული დისციპლინის მიღწევის იარაღად და იმ კომკავშირელების რეპრესირებისათვის, ვინც არ აღიქმებოდა სტალინისადმი საკმარისად ერთგულად. კომკავშირის ბიუროკრატიზაციის ტენდენციას შეხვდა კრიტიკაც, რომ ის კარგავდა თავდაპირველ „რევოლუციურ სულს“. და მაინც, კომკავშირი კვლავ რჩებოდა საკვანძო ინსტიტუციად პოლიტიკური განათლებისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მოქალაქეთა მობილიზაციის პროცესში. კომკავშირს საკვანძო როლი ეკისრებოდა კომუნიზმის სტალინისეული მოდელის შენების გზაზე.

I.II. კომკავშირის ჩართულობა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ განვითარებაში

კომკავშირი აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების პროცესში. XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ამბიციური პროექტების სერია იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზება, მათ შორის, სოფლების ელექტრიფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, განხორციელებულიყო სხვა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. კომკავშირი უზრუნველყოფდა მოხალისეების მობილიზებას შრომით შეჯიბრებებში, კამპანიებსა და მსგავს ინიციატივებში, რაც საბჭოთა სოციალიზმის მშენებლობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

კომკავშირის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დამსახურება საბჭოთა ეკონომიკის წინაშე იყო ქვეყნის ელექტრიფიკა-

ციის კამპანიაში ჩართულობა[1] – ГОЭЛРО (Государственная Комиссия по Электрификации России[2]). კომკავშირმა შეძლო ათასობით ახალგაზრდის მობილიზება ელექტროსადგურების, ელექტროენერგიის გამანაწილებლებისა და ელექტრობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში. ამგვარი სამუშაოები ხშირად ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა: კომკავშირის წევრებს დავალებების შესრულება უწევდათ მძიმე სამუშაო გრაფიკის, კლიმატური პირობებისა და არასათანადო მოწოდების პრობლემების მიუხედავად. ამგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, კამპანია საბჭოთა კავშირში წარმატებულად ჩაითვალა და ათწლეულის ბოლოს, მართლაც, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საბჭოთა კავშირის მანამდე იზოლირებულ რეგიონებში ელექტროენერგიის შეყვანის თვალსაზრისით.

---

1 ცნობილმა საბჭოთა რეჟისორმა ქალმა ესფირ შუბმა 1932 წელს გადაიღო ფილმი *კომსომოღი: (ელექტრიფიკაციის ღიღეი).* ეს შუბის პირველი არამუნჯი ფილმი იყო. ნამუშევრის მთავარი თემატიკა საბჭოთა კავშირში წარმოების სწრაფი განვითარება და ელექტრიფიკაცია იყო. პირველი ხუთწლედის (1928-1932 წწ) პერიოდში კომკავშირის წევრებს დაევალათ, რომ ყოფილიყვნენ ინდუსტრიალიზაციის პროცესში ყველაზე აქტიურები. შესაბამისად, კომსომოლის საქმიანობის აღწერაში სხვა საბჭოთა რეჟისორებიც იყვნენ ჩართულები, მათ შორის, მიხეილ კალატოზიშვილი, რომელმაც 1932 წელს გადაიღო ფილმი *ღუხსმანი ჩექმაში.* ფილმი შეეხებოდა საწარმოო პროცესის არასწორად წარმართვის პოტენციურად მძიმე შედეგებს. ამ ფილმების მთავარი სათქმელი იყო ის, რომ საბჭოთა ორგანიზაციები, პირველ რიგში, კი კომსომოლი, აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული საბჭოთა ცხოვრების პრობლემური ასპექტების გადაწყვეტაში (იქნებოდა ეს ქვეყნის ელექტროსადგურების გამართულობა თუ ფილმის გადამღების ჯგუფის ჩამორჩენა გეგმაში).

2 ამავე გეგმის ფართო კონტექსტში საქართველოში 1922 წლიდან დაიწყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) მშენებლობა. შემდეგ – 1921-1927 წლებში დაიწყო აბაშის ჰესის, ცხინვალჰესის, რიონჰესისა და რიგი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ზაჰესი 1927 წლის 26 ივნისს გაიხსნა, როგორც პირველი დიდი ელექტროსადგური ამიერკავკასიასა და საქართველოში.

ელექტრიფიკაციის კამპანიის პარალელურად კომკავშირი ჩართული იყო ეკონომიკური განვითარების სხვა პროექტებშიც. ორგანიზაცია მონაწილეობდა ისეთი საწარმოო ცენტრების მშენებლობაში, როგორებიც იყო ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები და რკინიგზა, – სამივე სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა საბჭოთა ხელისუფლების სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გეგმაში. კომკავშირის წევრებს ხშირად გზავნიდნენ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოებზე საბჭოთა კავშირის შორეულ და ძნელად მისადგომ ადგილებში[1], სადაც მათგან ელოდნენ ერთგულებისა და „თავდადების" გამოვლენას სოციალისტური იდეის მიმართ მძიმე სამუშაოთი და გამძლეობის დემონსტრირებით.

კომკავშირის მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინდუსტრიული პროექტებით. ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივებშიც, გამორჩეულად კი – კოლექტივიზაციის პერიოდის დასაწყისიდან, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან. კომკავშირის წევრები გაგზავნეს საბჭოთა კავშირის სასოფლო დასახლებებში, რათა უზრუნველეყოთ კოლექტიური ფერმების ამუშავება, რომლებსაც რუსულად „კოლხოზები" ეწოდებოდა. კომკავშირსვე დაევალა სასოფლო სამეურნეო სამუშაოს ახალი წესების შეტანა საბჭოთა კავშირის სოფლებში. ხშირად ამგვარი სამუშაო კომკავშირს აპირისპირებდა ადგილობრივ სასოფლო სათემო საზოგადოებებთან, სადაც წინააღმდეგობა კოლექტივიზაციის პოლიტიკის მიმართ ძლიერი იყო. ამის მიუხედავად, ორგანი-

[1] რუსული შორეული აღმოსავლეთის ინდუსტრიალიზაცია 1920-იან წლებში განპირობებული იყო საჭიროებით, რომ მომხდარიყო ციმბირში არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისება და მისი საბჭოთა ეკონომიკაში ინტეგრაცია. რუსეთის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა ისეთ სექტორებს, როგორებიცაა: სამთო-მოპოვება, ტყის რესურსები და თევზჭერა. სახელმწიფოს მიერ კუთვნილი საწარმოების შექმნისა და ტრანს-ციმბირული რკინიგზის მზარდი განვითარების პარალელურად, შორეული აღმოსავლეთის ათვისება გამარტივდა. ერთი მხრივ, იზრდებოდა რესურსების რეგიონიდან გამოტანის მასშტაბები და მეორე მხრივ, რეგიონში იზრდებოდა მუშახელის რაოდენობა, მათ შორის, როგორც გადასახლებულების, ისე - შრომითი მიგრანტების სახით.

ზაციას საკვანძო ფუნქცია ეკისრებოდა საბჭოთა ხელისუფლების სასოფლო-სამეურნეო მიზნების შესრულებასა და კოლექტივიზაციის იდეოლოგიურ მომზადებაში, რაც 1930-იანი წლების დასაწყისიდან კიდევ უფრო დაჩქარდა.

კომკავშირის ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილეობის ხასიათს მზარდად განაპირობებდა სტალინის პრიორიტეტებიც, ეტაპობრივად რომ იხვეჭდა გავლენას კომუნისტურ პარტიაზე. სტალინის იდეოლოგიით კომკავშირს მიენიჭა აღმასრულებელი ფუნქციები საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოლიტიკის სათანადო შესრულების უზრუნველსაყოფად, გამორჩეულად კი – ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პროცესებში. სტალინი მიიჩნევდა, რომ სოციალიზმის მშენებლობაში კომკავშირი საკვანძო ძალა იყო, ამიტომაც ის დიდ ყურადღებას აქცევდა მისი ხედვების წარმატებით გადატანას კომკავშირის აქტივობებში.

რაც უფრო აგრესიული ხდებოდა ბოლშევიკების პოლიტიკა (განსაკუთრებით იძულებითი კოლექტივიზაციის პერიოდში), კომკავშირს უფრო მეტად ავალებდნენ ამ პოლიტიკის შედარებით პრაქტიკული ასპექტების აღსრულებას. მაგალითად, კოლექტივიზაციის ზომების ძალით აღსრულება სოფლად, სადაც ზოგჯერ კომკავშირის წევრები მონაწილეობდნენ მოსავლისა თუ სხვა რესურსების გლეხებისგან „კონფისკაციის“ პროცესში. კომკავშირის ამგვარი აქტიურობა საბჭოთა გლეხებში მათი ოდიოზური ხატის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, გლეხები კომკავშირელებს საბჭოთა ხელისუფლების მძიმე დავალებების შემსრულებლებად, დამსჯელებად მოიაზრებდნენ.

მოვლენათა ამგვარი განვითარების პარალელურად, XX საუკუნის 20-იანი წლების მანძილზე, კომკავშირს მართლაც ეკისრებოდა საკვანძო როლი საბჭოთა ეკონომიკური განვითარების პროცესში. ორგანიზაციის მონაწილეობა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ამყარებდა კომკავშირელების პოლიტიკურ სოციალიზაციასა და მათ იმგვარად „აღზრდას,“ როგორც ეს ბოლშევიკურ ხელისუფლებას სურდა და სჭირდებოდა. კომ-

კავშირის წევრებისგან ელოდნენ კოლექტივიზმის, თავდადებისა და სოციალისტური იდეისადმი ერთგულების „საუკეთესოდ“ ილუსტრირებას, საზოგადოების მხრიდან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების მისაღწევად კომკავშირი ერთგვარ „საჩვენებელ“ ფუნქციას ასრულებდა.

I.III. კომკავშირის როლი საგანმანათლებლო კამპანიებში

კომკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია XX საუკუნის 20-იან წლებში იყო განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელების კამპანიებში მონაწილეობა. რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე, ბოლშევიკური რევოლუციის პერიოდში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის არმცოდნე იყო. ეს პრობლემა განსაკუთრებით სოფლად იდგა. საბჭოთა ხელისუფლება ხვდებოდა, რომ ეკონომიკური მოდერნიზაციისა და კულტურული ტრანსფორმაციის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის წერა-კითხვის სწავლება და მათი იდეოლოგიური მომზადება. ამ პროცესში ცენტრალური როლი კომკავშირს მიენიჭა. მაშასადამე, წერა-კითხვის გამავრცელებელი კამპანიები საბჭოთა კავშირის უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილი იყო, რაშიც განათლების, როგორც სოციალიზმის შენების საკვანძო კომპონენტის განსაზღვრა იგულისხმება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა განათლების სახალხო კომისარიატთან სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის განხორციელების მიზნით, მათ შორის, სკოლების გახსნა, წიგნებისა და კურიკულუმების შექმნა და წერა-კითხვის წრეების დაფუძნებაც იგულისხმება. კომკავშირის წევრები ხშირად მიდიოდნენ საბჭოეთის შორეული პროვინციების სოფლებში, რათა ემუშავათ მასწავლებლებად ან ჩართულიყვნენ სკოლების მშენებლობის/გახსნის პროცესებში.

კომკავშირი აქტიურად იყო ჩართული „გაუნათლებლობის ლიკვიდაციის“ (Ликвидация Безграмотности – ЛИКБЕЗ)[1]

1 „ლიკბეზის“ კამპანია საკვანძო იყო მთელ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მასშტაბით წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტულობის გაზრდის მხრივ. მაგალითად, უზბეკეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 20-იანი წლების დასაწყისიდან 30-იანი წლების ბო-

სახელით ცნობილ კამპანიაში. ეს პროექტი ჯერ კიდეც 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას ზრდასრული ასაკის ადამიანებში, განსაკუთრებით კი – სოფლად მაცხოვრებლებში, რადგან მათთან განათლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. კომკავშირელები მოხალისე მასწავლებლებად ეწერებოდნენ. მათ „ინსტრუქტორებს“ უწოდებდნენ. ისინი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოგზაურობდნენ სოფლებსა და ქალაქებში, რათა მონაწილეობა მიეღოთ პროგრამის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებში. ხშირად თავად ინსტრუქტორებიც გამოუცდელი ახალგაზრდები იყვნენ, თუმცა მათ ჰქონდათ პასუხისმგებლობა დავალებისა და ბოლშევიკური რევოლუციის იდეალების მიმართ.

ცხადია, „გაუნათლებლობის ლიკვიდაციის“ კამპანია არ იყო მხოლოდ ხალხისთვის წერა-კითხვის სწავლებაზე ორიენტირებული. კამპანიის უმთავრეს მიზანს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება წარმოადგენდა. საგანმანათლებლო მასალები, რომლებსაც კამპანიებში იყენებდნენ, გაჟღენთილი იყო პოლიტიკური შინაარსით, მასში ხაზგასმული იყო ბოლშევიკური რევოლუციის მიღწევები და სოციალიზმის უპირატესობები. შესაბამისად, ეს კამპანია პოლიტიკური განათლების გავრცელების ფორმა იყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა

ლომდე 10%-დან 80%-მდე გაიზარდა «მოძრავი» სკოლებისა და სხვა მსგავსი ინიციატივების შედეგად. 1925 წელს, მაგალითად, ადგილობრივი მასწავლებლები მოგზაურობდნენ ყველაზე შორეულ სოფლებში, რათა ესწავლებინათ უზბეკურ ენაზე შედგენილი სპეციალური სახელმძღვანელოებით. რსფსრ-ში, დიდ ქალაქებში მასობრივად იზრდებოდა «საღამოს» სკოლების რაოდენობა მუშათა კლასისათვის. მაგალითად, მოსკოვში, 1931 წლისათვის 1200-მდე ასეთი სკოლა იყო. ამ სკოლების საშუალებით, სულ რამდენიმე წელში რსფსრ-ს მუშათა კლასში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტულობა 30% დან 90%-მდე გაიზარდა. უკრაინაში წერა კითხვის გამავრცელებელი ჯგუფები 20-იანი წლების შუა პერიოდში გააქტიურდნენ, სკოლები და საკლასო ოთახები საცხოვრებელ სახლებში იხსნებოდა. 30-იანი წლების ბოლოსთვის, მთელი სსრკ-ს მასშტაბით წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მოსახლეობის დაახლ. 10%-ს შეადგენდა.

სოფლის მოსახლეობის ერთგულების უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ.

კომკავშირის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ შემოისაზღვრებოდა მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელების კამპანიით. ორგანიზაცია ჩართული იყო უმაღლესი განათლების სფეროშიც. კომკავშირი მოუწოდებდა წევრებს, რომ გაეგრძელებინათ სწავლა ზედა საფეხურებზე, განსაკუთრებით კი იმ სფეროებში, რომლებიც მიჩნეული იყო „სოციალიზმის შენებისათვის" მნიშვნელოვნად, მათ შორის, ინჟინერიის, მედიცინისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების მხრივ. ორგანიზაცია ახალგაზრდებში პრაქტიკული განათლების მიღების კუთხითაც მუშაობდა – უმაღლესი განათლების პარალელურად მიმდინარეობდა მძიმე მრეწველობის ან სასოფლო-სამეურნეო აქტივობები.

კომკავშირის როლი განათლების სფეროში გადაჯაჭვული იყო უფრო ფართომასშტაბიან მისიასთან – შექმნილიყო ახალი, „საბჭოთა ადამიანი", საბჭოთა მოქალაქის იდეალიზებული ვერსია, განათლებული, დისციპლინირებული და ერთგული მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი. განათლებისა და წერა-კითხვის რეკლამირებით კომკავშირი ცდილობდა ახალგაზრდების იმ თაობების აღზრდას, რომელთათვისაც განათლება გაიგივებული იქნებოდა პარტიისადმი ერთგულებასთან.

აღსანიშნავია, რომ იოსებ სტალინს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა კომკავშირზე, განსაკუთრებით ათწლეულის მეორე ნახევრიდან. მას განსაზღვრული ჰქონდა, რომ კომკავშირის საგანმანათლებლო აქტივობები პირდაპირ უნდა დაჰქვემდებარებოდა მის მიერ წარმოდგენილ ცენტრალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურას. სტალინის გავლენით კომკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებში უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ პარტიისა და მისი ლიდერების მიმართ ერთგულების დანერგვას, განსაკუთრებით – სტალინის პიროვნებას. ეს ტენდენცია ჯერ კიდეც 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და გაგრძელდა სტალინის გარდაცვალებამდე, 1953 წლამდე.

სტალინის მმართველობის პერიოდში კომკავშირის როლი განათლების სისტემაში თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრე-

ბით ინდუსტრიალიზაციის საწყისი ეტაპიდანვე შეიმჩნეოდა. სტალინის შეხედულებით, განათლების საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო ინდუსტრიალიზაციის გეგმების შესასრულებლად და, შესაბამისად, კომკავშირის სულ უფრო მეტი წევრი იწყებდა კარიერას ტექნიკურ მეცნიერებებში – მძიმე მრეწველობაში, ელექტრობასა და მომიჯნავე სფეროებში.

თუ წერა-კითხვის გავრცელების კამპანიებს ჩავსვამთ ფრეიმინგის თეორიულ კონტექსტში, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ წერა-კითხვის გავრცელების კამპანია კომკავშირს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებოდა „გამძლიერებლის," „მხარდამჭერის" ორგანიზაციული იმიჯის შესაქმნელად. კომკავშირი განათლებას, წერა-კითხვის ცოდნას, წარმოაჩენდა როგორც საშუალებას, გაეძლიერებინა ახალგაზრდობა. განათლება საკვანძო რგოლი იყო, რომლითაც ახალგაზრდებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ახალი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში; კომკავშირი ახალისებდა ახალგაზრდებს, რომ აღექვათ განათლება გავლენისა და საზოგადოებრივი როლის მოხვეჭის საშუალებად. ასევე, წერა-კითხვისა და განათლების გამავრცელებელი კამპანიები ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიასა და კომკავშირს, შეექმნათ ახალი სამოქალაქო იდენტობა საბჭოთა მოქალაქის სახით, იდენტობის ფორმირებით შესაძლებელი იქნებოდა ერთგულების გაღვივება საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ მთელ რიგ ეთნოსებსა და ერებში. ამ თვალსაზრისით, წერა-კითხვის ცოდნა ინდივიდუალურ წარმატებაზე მეტად კოლექტიური პასუხისმგებლობის საგნად იქცეოდა.

წერა-კითხვისა და განათლების გამავრცელებელ კამპანიებს მოდერნიზაციისა და პროგრესის ჩარჩოც ჰქონდა. წერა-კითხვის ცოდნას ბოლშევიკები ტექნოლოგიურ წინსვლასთან, ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოს წარმატებასთან აიგივებდნენ. საკითხის ამგვარად წარმოჩენა ხსნიდა უზარმაზარი რესურსების გამოყენების აუცილებლობას საგანმანათლებლო პროგრამებში, მას აიგივებდა მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების საკითხთან.

„ლიკბეზი" კომკავშირის მიერ წარმოჩენილი იყო, როგორც კომკავშირის საზოგადოებრივი ვალდებულება. კომკავშირის

წევრები ხშირად თავად იყვნენ ის მასწავლებლები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ წერა-კითხვის გავრცელებაში. საკითხის ამგვარი გაგებით, კომკავშირი ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ საზოგადოების გაუმჯობესება სოლიდარობისა და ორმხრივი დახმარების საშუალებით ხდებოდა. კომკავშირის მიერ გაუნათლებლობა ძველი რეჟიმის ნარჩენად იყო აღქმული, განათლების მიღება კი რევოლუციურ აქტად მიიჩნეოდა, რომელიც ყველაფრის ფასად უნდა განხორციელებულიყო.

წერა-კითხვის გავრცელების კამპანიის ამგვარი ფორმულირებებით კომკავშირმა სამი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა განიზრახა:

პირველ რიგში, ეს ახალგაზრდა მასების მობილიზების ამოცანა იყო, რომელიც შესაძლებელი გახდა, რადგან საკითხის სწრაფად გადაწყვეტას მოითხოვდა. წერა-კითხვის გავრცელების კამპანია იმდენად სიცოცხლისუნარიანი პროცესი იყო, რომ მან რუსეთის იმპერიის ნანგრევების ყველაზე შორეულ დასახლებებშიც შეაღწია. ამ მხრივ საინტერესოა გიორგი ხატიაშვილისა და ტიმოთი ბლაუველტის სტატია 1929 წელს მაღალმთიან აჭარაში მუსლიმთა აჯანყების შესახებ. აჯანყება მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებას, ისლამური განათლება ჩანაცვლებულიყო სეკულარული საბჭოთა განათლებით, ქალებს კი აეკრძალებოდათ ჩადრების ტარება. აჯანყების წინააღმდეგ და მანამდე განვითარებულ პროცესში საგანგებო რაზმებთან და ჩეკასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა კომკავშირიც.[1]

ლეგიტიმაცია – საკითხების ზემოთ ხსენებული წარმოჩენით კომკავშირის ამოცანა იყო მისი, როგორც ინსტიტუციის ლეგიტიმაცია საზოგადოებაში, კომკავშირის გაიგივება კომუნისტურ პარტიასა და სახელმწიფოსთან.

კულტურული ტრანსფორმაცია – განათლებაზე მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილებით კომკავშირმა განათლება ღირებულ საზოგადოებრივ ნორმად გადააქცია. საბჭოთა ადა-

[1] T. Blauvelt, & G. Khatiashvili, *The Muslim uprising in Ajara and the Stalinist Revolution in the peiphery*. Nationalities Papers, 2016), 1-18.

მიანები ვალდებულნი იყვნენ, მიეღოთ განათლება. ცოდნა ინდივიდუალურ წარმატებაზე მეტად საზოგადოებრივ იმპერატივად იქცა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა

I.IV. კომკავშირი და კულტურული ტრანსფორმაცია

XX საუკუნის 20-იანი წლები საბჭოთა კავშირში კულტურული ტრანსფორმაციის პერიოდიც იყო. კომკავშირი, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, აქაც ცვლილებების წინა ხაზზე იდგა. ორგანიზაცია მთლიანად იყო ჩართული საბჭოთა ხელისუფლების მცდელობაში, შეექმნა ახალი სოციალისტური კულტურა, რომელიც,წარსული ტრადიციების უარმყოფელი, იმთავითვე დაკავშირებული იქნებოდა რევოლუციის ღირებულებებთან. კულტურული რევოლუციის შრეებში: ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მუსიკაში... – განდიდებული უნდა ყოფილიყო მუშათა კლასი და ახალშექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევები.

კომკავშირის ფუნქცია პროლეტარული კულტურის წინ წამოწევა იყო, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყარა განცალკევებული საბჭოთა იდენტობის შექმნისათვის. ორგანიზაცია მხარს უჭერდა ისეთი კულტურული ინიციატივების განვითარებას, როგორშიც ხაზგასმული იყო მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის მნიშვნელობა, აქტიურად უჭერდა მხარს მუშათა კლუბების, სამოყვარულო თეატრებისა და მუსიკალური ანსამბლების ჩამოყალიბებას. ხსენებული ინიციატივების მიზანი იყო ახალგაზრდების მოზიდვა კულტურულ ღონისძიებებში. იგი, თავის მხრივ, თანხვედრაში მოდიოდა საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებთან და პრაქტიკულად პოლიტიკური განათლების ერთ-ერთ განზომილებას წარმოადგენდა.

კომკავშირი აქტიურ როლს თამაშობდა საბჭოთა ხელისუფლების „სეკულარულ“ პოლიტიკაშიც და აქტიურად ცდილობდა ახალგაზრდებში ათეიზმის პროპაგანდას. თავდაპირველად ეს აქტივობა იყო ნაწილი უფრო ფართო კამპანიისა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის, სხვა ეკლესიებისა თუ მონოთეისტური რელიგიების წინააღმდეგ, რომლებსაც ბოლშევიკები შეუთავსებლად მიიჩნევდნენ სოციალიზმის მიზნებთან. კომკავშირი აორგანიზებდა ანტირელიგიურ ლექციებს, დებატებსა და საჯარო დემონსტრაციებს, ავრცელებდა ათეისტურ ლიტერატურას თავის წევრებს შორის და ფართო საზოგადოებაშიც. მის მიზანს ტრადიციული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების განადგურება და „მეცნიერულ“-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გაძლიერება წარმოადგენდა.

ფრეიმინგის თეორიის გამოყენებით,თუ კომკავშირის მონაწილეობას სსრკ-ში მიმდინარე კულტურული ტრანსფორმაციის კონტექსტში განვიხილავთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს.პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში კომკავშირის მიერ დისკურსსა და იდეოლოგიაში გამოყენებული „ჩარჩოები“მიზნად ისახავდა დიქოტომიის შექმნას „ძველსა“ და „ახალს,“ ანუ რევოლუციამდელ და რევოლუციურ/პოსტრევოლუციურ საზოგადოებას შორის, რომელიც სოციალისტურ წესრიგში ცხოვრობდა.ერთ-

ერთ ამგვარ ჩარჩოდ შეგვიძლია, გამოვყოთ „რევოლუციური ჰეროიზმი“ ან „რევოლუციური გმირობა“,რომლის ამოცანაც იყო ახალგაზრდების წახალისება, ჩართულიყვნენ პოლიტიკურ პროცესში კომუნისტური პარტიის მომხრედ. ამგვარად სახელმწიფო ცდილობდა,ახალგაზრდებში შეექმნა განცდა, რომ ისინი „პროგრესის მხარეს“ იდგნენ, რომ ახალი კულტურის შექმნისას არა უბრალოდ მისი მიმღებნი, არამედ შემქმნელნი და დამნერგავნიც კი იყვნენ. იგივე ახალგაზრდები კლასობრივი ბრძოლის წინა ხაზზე უნდა მდგარიყვნენ ბურჟუაზიისა და, შესაბამისად, ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ; იგივე ახალგაზრდები ღიად უნდა დაჰპირისპირებოდნენ რელიგიურ ღირებულებებს, მეცნიერული სოციალიზმისა და ათეიზმის, თანამედროვეობისა და პროგრესის განმაპირობებელი პოლიტიკური ფილოსოფიის სადარაჯოზე მდგარიყვნენ. ასევე მნიშვნელოვანია „სოციალისტური სამუშაო ეთიკა“, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე განსაზღვრავდა ადამიანების საზოგადოებრივ სტატუსს მათ მიერ ქვეყნისა და წარმოებისათვის გაღებული კონტრიბუციისა და „წარმატებული შრომის“ მიხედვით[1].

ამგვარი ჩარჩოების გამოყენებით კომკავშირი ფორმას აძლევდა ახალგაზრდობის აზროვნებასა და პრიორიტეტებს,

---

[1] მოგვიანებით სოციალისტური შრომის კონცეფციამ კიდევ უფრო ინტენსიური და მასშტაბური სახე მიიღო, როდესაც 1935 წელს დაიწყო «სტახანოველთა მოძრაობა», რაც გულისხმობდა შრომით შეჯიბრებასა და შთაგონებული იყო საბჭოთა მეშახტის, ალექსეი სტახანოვის მიღწევებით, რომელმაც რამდენჯერმე გადააჭარბა შესასრულებელ გეგმას ერთ ცვლაში. მისი რეკორდული შედეგი საბჭოთა მედიამ მთავარ სიახლედ აქცია და სტახანოვისგან შექმნა სამაგალითო მუშის სახე, რომელიც წარმოადგენდა სოციალისტური შრომის პათოსსა და სოციალისტური იდეალებისადმი ერთგულებას. სტახანოველთა მოძრაობას მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლება იმ მიზნით, რომ მიეღწია სამრეწველო პროდუქტიულობის უფრო მაღალი ხარისხისათვის ალექსეი სტახანოვის მსგავსი მუშების წახალისებით. სტახანოვის წარმატება შეფასდა, როგორც გმირობა. 30-იანი წლების სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში სტახანოველთა მოძრაობა სოციალისტური შრომის კონცეფციის განუყოფელი ნაწილი იყო.

უადვილებდა მათ, დაახლოებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ღირებულებებს და უარი ეთქვათ ძველ, რევოლუციამდელ კულტურულ ნორმებზე.

I.V. გამოწვევები და კრიტიკა: კომკავშირი XX საუკუნის 20-იან წლებში

წარმატებისა და პრივილეგიის მიუხედავად, XX საუკუნის 20-იან წლებში კომკავშირს მოუწია მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და კრიტიკის მიღება. პირველ რიგში, ამის მიზეზი იყო წინააღმდეგობა ორგანიზაციის თავდაპირველ რევოლუციურ იდეალებსა და საბჭოთა კავშირში არსებულ სინამდვილეს შორის. ზრდის პარალელურად კომკავშირი უფრო ბიუროკრატიზდა, მისი ზოგიერთი წევრი და კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაცია კარგავდა კავშირს თავდაპირველად დასახულ მისიასთან, რომ რევოლუციური აქტივიზმი უფრო და უფრო თმობდა ნიადაგს კონფორმისტულ ტენდენციებთან მიმართებით.

კრიტიკა გამორჩეულად გააქტიურდა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ეკონომიკის სტაბილიზების მიზნით, შეზღუდვებით, თუმცა მაინც დაუშვა საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკური კურსი. კომკავშირელთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ იყო რევოლუციის სოციალისტური იდეალების ღალატი, რომ მათთვის რთული იყო იმავე ერთგულებისა და მიზანდასახულობის შენარჩუნება კომუნიზმისადმი, რაც ჰქონდათ მანამ, სანამ მოუწევდათ კომპრომისზე წასვლა „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან“. ამავე პერიოდში კარგად გამოჩნდა შიდა დაყოფები კომკავშირში, სადაც სხვადასხვა ჯგუფი იწყებდა კამათს ორგანიზაციის მიმართულებისა და პრიორიტეტების შესახებ.

კიდევ ერთი გამოწვევა, რაც კომკავშირს შეხვდა, იყო დისციპლინისა და ერთგულების უზრუნველყოფა თავისი წევრების რიგებშივე, განსაკუთრებით -ორგანიზაციის სწრაფი ზრდის პარალელურად.კომკავშირის წევრთა რაოდენობის სწრაფმა ზრდამ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან წარმოქმნა რისკები, რომ მისი წევრები, ორგანიზაციის დამაარსებლებისგან განსხვავებით,

ნაკლებად იყვნენ იდეოლოგიურად მოტივირებულნი კომკავშირში მუშაობით. გაჩნდა დისკუსიები ოპორტუნიზმის შესახებ, რომ ახალგაზრდათა ნაწილი კომკავშირს ფინანსური და სოციალური ბენეფისების მიღების მიზნით უერთდებოდა და არა კომუნისტური იდეის ერთგულების/მიმდევრობის გამო.

კომკავშირი დაბრკოლებებს აწყდებოდა სოფლად გავლენის ზრდის მცდელობის დროსაც, რადგან ტრადიციული ღირებულებები და რელიგიური იდენტობები კვლავ ძლიერი იყო. ორგანიზაციის კამპანიები, რომ პოპულარობა შეეძინათ კოლექტივიზაციისა და ათეიზმისათვის, ხშირად იწვევდა ადგილობრივი სასოფლო საზოგადოებების წინააღმდეგობას, რადგან კომკავშირის წევრები განიხილებოდნენ რეპრესიული და აგრესიული სახელმწიფოს აგენტებად. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გახმოვანდა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან, როდესაც სტალინის მიერ ინიცირებული იძულებითი კოლექტივიზაციის პოლიტიკა ამუშავდა. ამ მოვლენამ სსრკ-ის სოფლებში ფართო საზოგადოებრივი უკმაყოფილება გამოიწვია.

სტალინის მზარდი გავლენა კომკავშირზე XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან იქცა ორგანიზაციის შიგნით არსებული პრობლემების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად. სტალინი, კომუნისტურ პარტიაში ძალაუფლების კონსოლიდაციის პარალელურად, ცდილობდა კომკავშირზე პირდაპირი კონტროლის განხორციელებას და მის გამოყენებას პარტიული დისციპლინისა და საკუთარი გავლენის გასამყარებლად. შესაბამისად, როგორც პარტიაში, ისე კომკავშირშიც, სტალინის მიმართ ერთგულება გაიგივდა მარქსისტული იდეოლოგიისა და სახელმწიფოს მიმართ ერთგულებასთან, მსგავსი ცვლილება კი გარკვეული პერიოდის მანძილზე დებატებს იწვევდა კომკავშირის რიგებში. ზოგიერთი კრიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაცია უფრო და უფრო ავტორიტარული ხდებოდა და ნაკლებად პასუხობდა საბჭოთა ახალგაზრდობის საჭიროებებს.

გამოწვევებისა და კრიტიკის მიუხედავად, კომკავშირი დარჩა ძლიერ და გავლენიან ინსტიტუციად საბჭოთა საზოგადოებაში მთელი ათწლეულის მანძილზე. ორგანიზაციის უნარი, მორგებოდა ცვალებად გარემო პირობებს, კომუნისტურ

პარტიასთან მის ახლო კავშირთან ერთად, განაპირობებდა კომკავშირის რელევანტურობასა და მნიშვნელობას მომავალი ათწლეულების მანძილზეც.



ხელწერილი უნივერსიტეტის შენობიდან ჯვრის ჩამოხსნის შესახებ
(საქართველოს ეროვნული არქივი)

თავი II. კომუნისტური ახალგაზრდობის ისტორია საქართველოში: ჩამოყალიბების წლებიდან საქართველოს გასაბჭოებამდე (1917-1921 წლები)

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის მასშტაბით დაწყებული რევოლუციური მოძრაობა დიდ გავლენას ახდენდა სამხრეთ კავკასიაზე, მეტიც, სამხრეთ კავკასია რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და „ცხელი“ წერტილი იყო. შესაბამისად, რეგიონში მოქმედებდნენ **როგორც** მთელი იმპერიის მასშტაბით არსებული პოლიტიკური ჯგუფები (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ) – თავის მენშევიკური და ბოლშევიკური განშტოებებით, ანარქისტული მოძრაობა, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, მეფის ძალაუფლებასთან და რუსეთის ეკლესიასთან დაახლოებული რეაქციული ჯგუფების კოალიცია – საზოგადოებაში „შავრაზმელების“ სახელით ცნობილი), **ასევე** – ადგილობრივი იდენტობების გარშემო დარაზმული ერთობები, მაგალითად, „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია“ (ქართული ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ნაზავი), „დაშნაკცუთიუნი“ (სომხეთის რევოლუციური ფედერაცია), „მუსავათი“ – მუსლიმების დემოკრატიული მუსავათის პარტია. ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობების მიღმა დაარსდა მცირე პარტიებიც. ცხადია, პოლიტიკური წინააღმდეგობის პალიტრას ძალას აძლევდა რუსეთის იმპერიის კრიზისის შედეგად პოლიტიკურად გააქტიურებული მოსახლეობა როგორც ქალაქებში, ისე – სოფლებში, პოლიტიკური ჯგუფები კი მთელი იმპერიის მასშტაბით ცდილობდნენ საკუთარ რიგებში ამ ადამიანების სხვადასხვა ნიშნით თავმოყრას. მაგალითად, თურქეთის აღმოსავლეთში მცხოვრები სომხები ეროვნული გამოღვიძების ეტაპს გადიოდნენ და ახლო კავშირი ჰქონდათ რუსეთის იმპერიის საზღვრებში მყოფ თანამემამულეებთან, „სომხეთის რევოლუციური ფედერაცია“ კი ძლიერ პოლიტიკურ ერთობად ყალიბდებოდა, რომელიც ცდილობდა, სომხეთის საკითხის წინ წამოწევას და უპირისპირდებოდა როგორც ცარიზმს, ისე – ოსმალეთის იმპერიას.

ქართული ნაციონალიზმი მეოცე საუკუნის ბოლოდან ჩამოყალიბების გრძელ და რთულ გზას ადგა, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, მათ შორის, ბათუმის ოკრუგი (1878 წლიდან), სოხუმის ოკრუგი(XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1903 წლამდე). XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას სრული ჰეგემონია ეკავა და გაცილებით უფრო ძლიერი პარტიული სტრუქტურაც ჰქონდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ დარაზმულობას. მეორე მხრივ, რსდმპ-ს ძალაუფლება კავკასიაში წინააღმდეგობრივი იყო, საქართველო, თუ ამას გეოგრაფიულ ტერმინად გამოვიყენებთ, 1905 წლის რევოლუციის პერიოდიდან რსდმპ-ს მენშევიკური ფრაქციის მიერ იყო დომინირებული. დომინირების მიზეზებში საკვანძო ეტაპებად მარქსისტული რევოლუციის გურიის რესპუბლიკის ეპიზოდი[1] და 1905 წლის თბილისური წინააღმდეგობა[2] მოიაზრება. ბოლშევიკები ტიფ-

---

1 გურიის გლეხთა რესპუბლიკა რუსეთის რევოლუციურ წლებში მთელი იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და გამორჩეული წინააღმდეგობის გამწევი იყო. გურულმა გლეხებმა საპროტესტო გამოსვლები 1902 წელს დაიწყეს, 1903 წლიდან კი რსდმპ-მ გურიაში შექმნა კომიტეტი, რომელშიც მენშევიკებს აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ. გურიის რესპუბლიკის არაფორმალური ხელმძღვანელი, „პრეზიდენტი," მენშევიკი ბენიამინ ჩხიკვიშვილი იყო. აქტიური წინააღმდეგობა 1902 წლიდან 1906 წლის იანვრამდე გაგრძელდა. გურიაში მთელი ამ წლების მანძილზე იყო პირდაპირი დემოკრატიული მმართველობა, ე.წ. „სათემო" დემოკრატია, მეფის ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ კი გურულები მიმართავდნენ ტერორს, პარტიზანულ ბრძოლასა და ზოგჯერ ღია ბრძოლებს (მათ შორის, ბრძოლა ნასაკირალთან). გურიის წინააღმდეგობა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე 1905 წლის რუსეთის დიდი რევოლუციის შედეგად დაწყებული წინააღმდეგობის მასობრივი ტალღა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. დასრულდა 1905 წლის რევოლუციის მარცხის პარალელურად. (მახარაძე ი. , 2020).

2 1905 წლის რევოლუციურ მოვლენებში მთელი ამიერკავკასია იყო ჩართული. თბილისი რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი იყო. გურიის რესპუბლიკაში ლიდერობის გამოცდილების მქონე მენშევიკები თბილისის რევოლუციაშიც საკვანძო როლს ასრულებდნენ. განსაკუთრებით კი მაშინდელი მულტიეთნიკური თბილისის ყველაზე

ლისისა და ქუთაისის გუბერნიებში ამ სიმძლავრით არ იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა სოლიდური ბაზა ჰქონდათ ბაქოში, სადაც ბოლშევიკური ორგანიზაცია მენშევიკურ ორგანიზაციას სიძლიერით აღემატებოდა.

პრაღის 1912 წლის ყრილობაზე, რომელიც რსდმპ-ს ბოლშევიკურმა ფრთამ დამოუკიდებლად და საიდუმლოდ მოიწვია, გადაწყდა რსდმპ-ს საბოლოოდ და ოფიციალურად გაყოფა. 1912 წლიდან რსდმპ-ს ბოლშევიკური და მენშევიკური ნაწილები საბოლოოდ გაიყვნენ და განვითარების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გზას დაადგნენ. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ კიდევ უფრო გაზარდა დაშორება რსდმპ-ს ორ ფრაქციას შორის. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილი ძალაუფლების კრიზისი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ქმნიდა სივრცეს, სადაც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს კვლავ ერთ გარემოში, თუმცა უკიდურესად ფეთქებადსაშიშ ვითარებაში უწევდათ არსებობა. პეტროგრადის საბჭოების ხელმძღვანელი რევოლუციურ რუსეთში ქართველი მენშევიკი კარლო ჩხეიძე იყო (1917 წლის მარტი-სექტემბერი), თბილისში კი ხელისუფლება ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (Особый Закавказский Комитет), „ოზაკომს“ ჰქონდა აღებული.

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ბოლშევიკები ემზადებოდნენ ძალაუფლების აღებისათვის დედაქალაქში (პეტროგრადში), თბილისში, ავლაბარში 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა ბოლშევიკების მიერ კოორდინირებული საინიციატივო ჯგუფი „სპარტაკი – ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია“. 1917 წლის 3 სექტემბერს თბილისში შედგა „სპარტაკელთა“ დამფუძნებელი კრება, რომელსაც 200-მდე ახალგაზრდა ესწრებოდა. მათ შეიმუშავეს მანიფესტიც, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია გამოხატავდა წინააღმდეგობას პირველი მსოფლიო ომის, „შოვინიზმისა“ და „პატრი-

„ქართულ“ უბანში, ნაძალადევში (რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში, ამიერკავკასიის რკინიგზის შექმნის პარალელურად ჩამოყალიბდა მუშათა დასახლებად). (მახარაძე ფ. , 1932)

ოტიზმის“ მიმართ. მეტიც, ისინი იყენებდნენ სიტყვათშეთანხმებას „პატრიოტული სიბილწე“ და მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, ყოფილიყვნენ მესამე ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის ერთგულები. მანიფესტი ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა და გავრცელდა გაზეთში „კავკაზსკი რაბოჩი“.[1]

ბოლშევიკი ახალგაზრდების იდეები საქართველოში, ცხადია, შინაარსობრივად თანხვედრაში მოდიოდა ბოლშევიკების ძირითადი ბირთვის ხედვებთან და მიზნებთან. ამიტომაც, 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადებისა და სოციალ-დემოკრატიული ექსპერიმენტის დაწყების პარალელურად, ქვეყანაში არსებობდა საკმაოდ მნიშვნელოვანი და აგრესიული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ისტორიის სხვა ხაზის მიმართ იჩენდა ერთგულებას – ეს რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად იმპერიის ნანგრევებზე ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გამოკვეთილი ხაზი იყო, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდეასთან და მას აფასებდა, როგორც რევოლუციური იდეოლოგიის მოღალატესა და დამთმობს – შინ ბურჟუაზიული კლასისა და გარეთ – იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ[2].

---

1 გ.ჟვანია, ვ.ქარუმიძე, , & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

2 ლევ ტროცკიმ 1922 წელს ბერლინში გამოსცა წიგნი: „წითელსა და თეთრს შორის: რევოლუციის მთავარი საკითხები საქართველოს მაგალითზე“, სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის, ანუ იმპერიალისტური სახელმწიფოების მორჩილად და პროლეტარული რევოლუციის მოღალატედ მოიხსენია. ეს ნარატივი მთელი საუკუნის მანძილზე აქტიურად გამოიყენებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მათ შორის, საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას „რევოლუციის ლიკვიდატორებს“ უწოდებდნენ. ამ ხედვას 1917 წლიდან იზიარებდნენ ქართველი ბოლშევიკებიც, რომელთა ახალგაზრდული ფრთაც, „სპარტაკის“ სახით, 1917-1921 წლებში აქტიურად მონაწილეობდა პრობოლშევიკურ აქტივობებში და, მოგვიანებით, სწორედ ეს ჯგუფი იქცა საკვანძო ჯგუფად, რომელსაც საბჭოთა საქართველოს კომკავშირის ისტორიაში საქართველოს სსრ-ს კომკავშირის ფუძემდებლად მოიხსენიებოდნენ.

პეტროგრადში ოქტომბრის მოვლენებმა და სახელმწიფო სათათბიროზე ბოლშევიკური ძალაუფლების გავრცელებამ ბიძგი მისცა ბოლშევიკურ მოძრაობას საქართველოშიც: „სპარტაკი“ ცდილობდა ორგანიზაციების შექმნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც, სადაც საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ სოციალური უკმაყოფილება ფეთქებადსაშიში იყო, განსაკუთრებით, ამგვარი ვითარება გრძელდებოდა მიწის საკითხის გარშემო – გლეხები ითხოვდნენ ყოფილი მემამულეების კუთვნილი მიწის თანაბრად განაწილებას. ნოე ხომერიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, აქტიურად მუშაობდა აგრარულ რეფორმაზე, თუმცა რეფორმა გვიანდებოდა, პროტესტი კი მთელი ქვეყნის მასშტაბით იკრებდა ძალას.1919 წლის 31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეძლეს საერთო საქალაქო კონფერენციის მოწვევაც, სადაც ჩასწორება შეიტანეს დასახელებაში,31 მარტიდან ორგანიზაციას „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია – სპარტაკი“ ეწოდა.[1]

1919 წლისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები არსებობდა მთელ დასავლეთ საქართველოში: გურიაში,სამეგრელოში, აფხაზეთში, ბათუმში, ქუთაისში... დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რაზმებთან ხშირად ხდებოდა შეტაკებები, რასაც ზოგჯერ ორმხრივი მსხვერპლიც მოჰყვებოდა ხოლმე. პრაქტიკულად, 1919 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ბოლშევიკების ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

„სპარტაკელების“ ახალგაზრდული რადიკალიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ერთ დროს ერთი პარტიის დაპირისპირებული ჯგუფების ურთიერთობაში. „სპარტაკელებს“ აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ ქართველ ბოლშევიკებთან: მიხა ცხაკაიასთან, სერგო ორჯონიკიძესთან, ფილიპე მახარაძესთან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომ-

---

[1] გ.ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

ხრეთა რიგებში ბოლშევიკებმა შეძლეს თანამოაზრეების გაჩენა. „სპარტაკელების“ მიერ გამოცემული არალეგალური პროკლამაციები რესპუბლიკის მიერ კონტროლირებად სტამბებში იბეჭდებოდა, გამოცემის ადგილად კი საქართველო არ იყო მითითებული. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო 1919 წლის კრიზისის გადალახვა, თუმცა 1920 წელს კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა 7 მაისის ხელშეკრულებამდე საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. საქართველოს სახელმწიფოს ურთულესი კრიზისის გადალახვა მოუწია 1920 წლის აპრილში, როდესაც მოეწყო შეიარაღებული აჯანყება დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ: თბილისის ქუჩებში შეიარაღებულ ბრძოლებს ათზე მეტი ადამიანი შესწირა, კიდევ უფრო მეტი – დააპატიმრეს.[1]

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ბოლშევიკური პარტია ლეგალიზებულ იქნა საქართველოში, რაც, ბუნებრივია, შეეხო ახალგაზრდა კომუნისტებსაც. შეგვიძლია, ვთქვათ რომ მოხდა მათი „მოშინაურება“, კერძოდ – რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დირექტივით საქართველოში მოქმედ ახალგაზრდულ კომუნისტურ კავშირს ეწოდა „საქართველოს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი“. ლეგალიზაციამ დამატებითი მომენტუმი მიანიჭა ბოლშევიკებს საქართველოში. 1920 წლის აგვისტოში თბილისში გამართულ კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირის ყრილობას მთელი საქართველოდან 3000-მდე დელეგატი დაესწრო. ბოლშევიკებს, ახალგაზრდების სახით, ახლა უკვე ორგანიზებული პოლიტიკური უჯრედი ჰქონდათ და არა ნახევრად სამხედრო პარტიზანულ-ტერორისტული ორგანიზაცია.

1920 წლის შემოდგომიდან 1921 წლის თებერვლის მოვლენებამდე საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობები კვლავ დაიძაბა: ბოლშევიკების ახალგაზრდა ფრთას კიდევ ერთხელ მოუწია „მიწის-

---

[1] გ.ჟვანია, ვ.ქარუმიძე, , & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

ქვეშეთში“ გადასვლა, თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალაუფლება უკვე დასუსტებული იყო. 1921 წელს, თებერვლის მოვლენების დროს, საბჭოთა წითელი არმიის რიგებში სხვა ქართველ ბოლშევიკებთან ერთად „სპარტაკელებიც“ აღმოჩნდნენ. მათ შორის ქართველი კომუნისტი ახალგაზრდების ლიდერი, ბორის ძნელაძეც იყო, რომელიც თბილისში, 1920 წლის აგვისტოში, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

თავი III. საქართველოს კომკავშირი (1921-1924 წლები)

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ქართველი კომუნისტები მიწისქვეშეთიდან ძალაუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. გასაბჭოებული საქართველოს პირობებში კომკავშირს მოქმედების ორი მთავარი ხაზი ჰქონდა: 1) ჩართულიყო საბჭოთა ხელისუფლების საჯარო პოლიტიკურ აქტივობებში და შეესრულებინა ის სტანდარტული ფუნქციები, რაც კომკავშირს საბჭოთა ტრადიციით ჰქონდა; 2) გაეგრძელებინა იდეოლოგიური და პრაქტიკული წინააღმდეგობა უკვე დამარცხებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრე ახალგაზრდებისათვის, იქნებოდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ეროვნულ-დემოკრატები, ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები თუ დამოუკიდებლად მოქმედი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელი ინდივიდები.

1921 წლის 19 აპრილს თბილისში ჩატარდა კომკავშირის პირველი პლენუმი გასაბჭოებული საქართველოს პირობებში. პლენუმმა დაისახა გეგმები, რომლებიც კლასიკურ, საბჭოთა კომკავშირულ ტენდენციასთან იყო თანხვედრაში. კერძოდ, ისინი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და ორგანიზაციული აღმშენებლობის საკითხებს უკავშირდებოდა.

1921 წლის მაისიდან კომკავშირი იწყებს საკუთარი წევრების ხელახალ რეგისტრაციას, ივნისის თვიდან კი მთელი საქართველოს მასშტაბით გზავნის წევრებს (143 წევრი), რომლებსაც დაევალათ მომხრეების მობილიზება და კომკავშირული ერთობების შექმნა.

საქართველოს კომკავშირი საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში საკუთარ უმთავრეს მიზნებში მოიაზრებდა „ნაციონალიზმთან“ ბრძოლას.თებერვლის ბრძოლების მონაწილე ბორის ძნელაძე უკვე კომკავშირის ხელმძღვანელი იყო. მისი წერილი ნაციონალიზმის წინააღმდეგ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოიცა და უკვე ცირკულირებდა.

1921 წლის ივნისში თბილისში გაიმართა კომკავშირის პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა სერგეი

კიროვი[1]. იგი ხელმძღვანელობდა სესიებს. ს. კიროვის განცხადებით, კომკავშირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის დასახული გეგმების შესრულების პროცესში, განსაკუთრებით კი – კომუნისტური პარტიის მიერ პარტიის X ყრილობის შედეგად დასახული ამოცანების შესრულებაში. კონფერენციის რეზოლუციაშიც მოხსენიებული იყო ს. კიროვი. რეზოლუციაში იკითხება ამგვარი სიტყვები: „მოისმინა რა ამხანაგ კიროვის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, თბილისის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია ფიცსა დებს, რომ იგი მთელ თავის ძალებს მოახმარს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე ბრძოლას“.[2]

ბოლშევიკური პარტიის X ყრილობა 1921 წლის 8-16 მარტს გაიმართა. ძირითადად განხილეს შიდაპარტიული საკითხები, მათ შორის – კომკავშირის წინაშე არსებული გამოწვევები. მაგალითად, 1921 წლის 20 აპრილს გაზეთი „კომუნისტი“ (ქართული გამოცემა) მკითხველებს მოუთხრობდა ყრილობაზე ნადეჟდა კრუპსკაიას[3] გამოსვლის შესახებ, სადაც იგი საუბრობდა როგორც ზოგადად განათლების პრობლემაზე, ასევე, პოლიტიკური განათლების გამოწვევებზე. ნ. კრუპსკაია მიუთითებდა, რომ საჭირო იყო ამ მხრივ აქტივობის გაზრდა, საგანმანათლებლო პროექტებში ახალგაზრდებისა და, გამორჩე-

---

1 სერგეი კიროვი (1886-1934) იყო ეთნიკურად რუსი რევოლუციონერი, ძველი ბოლშევიკი, გავლენიანი საბჭოთა მოღვაწე. 1921 წლის ივლისში კიროვი დაინიშნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. რევოლუციური მოღვაწეობის წლებში დამეგობრდა იოსებ ჯუღაშვილთან (სტალინთან). 30-იანი წლების დასაწყისიდან მიიჩნეოდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან საბჭოთა ფუნქციონერად. 1934 წელს მისი მკვლელობა იქცა საბჭოთ კავშირში რეპრესიების შემზადების საფუძვლად.

2 გ.ჟვანია, ვ.ქარუმიძე, , & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

3 ნადეჟდა კრუპსკაია (1869-1939) – *რუსი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეუღლე. კრუპსკაია ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიბლიოთეკების მშენებლობაში; 1929-1939 წლებში იკავებდა საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის მოადგილის პოზიციას.*

ულად, კომკავშირის მონაწილეობა და ერთგვარი „აპარატის“ შექმნა, რომელიც იზრუნებდა მთელი საბჭოეთის ტერიტორიაზე წიგნთსაცავებისა (ბიბლიოთეკებისა) და საგანმანათლებლო კლუბების ჩამოყალიბებაზე.[1]

ქართველ კომკავშირელებს უწევდათ, გაეთვალისწინებინათ საბჭოთა პოლიტიკური დღის წესრიგი და პარალელურად, პრაქტიკულად, ნულიდან დაეწყოთ კომკავშირული სტრუქტურის შენება. ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის „დაპირისპირება“, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან იღებდა სათავეს, როდესაც ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატებს ნაციონალიზმში ადანაშაულებდნენ, 1921 წლის მარტიდან რეგიონში გაფორმდა, როგორც ანტინაციონალისტური პოლიტიკა. კერძოდ, X ყრილობის გადაწყვეტილებებთან თანხვედრის კონტექსტში, 1921 წლის 15-18 ივლისს, თბილისში შედგა ბაქოსა და თბილისის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების ერთობლივი ყრილობა. სხდომას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ამ შეხვედრის შედეგად უნდა შემუშავებულიყო საერთო-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ კამპანიებში კომკავშირის მონაწილეობის ფორმები;იმავდროულად, ორჯონიკიძე ხაზს უსვამდა, რომ საჭირო იყო კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის რიგებში ნაციონალისტური გადახრების მოსპობა, ისეთი ახალგაზრდობის ფორმირება, რომელიც „პირველი წავა რუსეთის ახალგაზრდობასთან ძმური სოლიდარობის გზით.“[2] ორჯონიკიძის საპასუხოდ ყრილობის რეზოლუციის განცხადებაში ეწერა, რომ „ახალგაზრდა კომუნისტური კავშირების თათბირი თავის მორიგ ამოცანად თვლის კავკასიის რესპუბლიკების კომკავშირელთა ერთმანეთთან და რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირთა სრულ გაერთიანებას[3]. [4]

---

1 *კომუნისტი*. 1921. N40.

2 გ. კ. ორჯონიკიძე, *სტატიები და სიტყვები*. (თბილისი, 1957).

3 სერგო ორჯონიკიძე ემხრობოდა საქართველოს პირდაპირ შესვლას რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოში, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვსაუბრობთ. შესაბამისად, ყრილობის ეს რეზოლუციაც ორჯონიკიძის „გამარჯვებად“ შეგვიძლია, ჩავთვალოთ.

4 შ. ვადაჭკორია, *ახალგაზრდობის ანტიპოლიტიკური ორგანიზაციების კრახი საქართველოში*. (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987)

რეზოლუციას მოწინააღმდეგეები კომკავშირის რიგებშიც გამოუჩნდნენ, მაგალითად, კომკავშირელები, ბახტაძე და გორდელაძე მოითხოვდნენ, რომ ყრილობას ანგარიში გაეწია კომკავშირში არსებული პატრიოტული გავლენებისათვის და ნაჩქარევად არ განეხილა საქართველოს კომკავშირის შეერთების საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის კომკავშირულ ორგანიზაციასთან. ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ ითვალისწინებდა – ცნობილი ბოლშევიკები: სერგო ორჯონიკიძე და შალვა ელიავა ღიად ატარებდნენ „ნაციონალიზმთან ბრძოლის“ ხაზს.[1]

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის ოქტომბრის მონაცემებით კომკავშირის წევრთა რაოდენობა საქართველოში 14 000 ადამიანამდე იყო, პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს კომკავშირის „ინტეგრაცია“ რუსეთის კომკავშირთან. ეროვნული იდენტობის ყოველგვარი გამოვლინება,მათ შორის, ბოლშევიკური პარტიის ინტერნაციონალისტური ფრთის გავლენით-,ითვლებოდა დაუშვებლად. დაპირისპირება ნაციონალ-უკლონისტებსა და უფრო ინტერნაციონალისტურად განწყობილ ქართველ ბოლშევიკებს შორის 1921-1922 წლებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო: ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გასაბჭოებისთანავე მზადდებოდა.

1921-1922 წლები მნიშვნელოვანი დისკუსიების პერიოდი იყო. ბოლშევიკური პარტია საქართველოში ორ ძირითად მიმართულებად დაირაზმა: ნაციონალ-უკლონისტებად და ავტონომისტებად. ნაციონალ-უკლონისტების ფრთას წარმოადგენდნენ: ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, ვლადიმერ დუმბაძე და სხვ. ავტონომისტების თვალსაჩინო წარმომადგენელნი იყვნენ სერგო ორჯონიკიძე და იოსებ ჯუღაშვილი.

ნაციონალ-უკლონისტებს მიაჩნდათ, რომ საქართველო ბოლშევიკური მმართველობით დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო, ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა საბჭოთა რუსეთთან; ავტონომისტები კი მიიჩნევდნენ, რომ

[1] იქვე.

საქართველო საბჭოთა რუსეთის ავტონომიური ნაწილი უნდა გამხდარიყო. შედარებით ზომიერი და შუალედური პოზიცია ჰქონდა ვლადიმერ ლენინს, რომელიც ამ პერიოდში მუშაობდა საბჭოთა კავშირის კონცეფციაზე, რომელიც დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1921-1922 წლებში ნაციონალ-უკ-ლონისტების ფრთა მართავდა საქართველოს, სტალინისა და ორჯონიკიძის ხაზი მაინც უფრო ძლიერი აღმოჩნდა. 1921 წლის ბოლოსთვის „ავტონომისტები" დაჰყაბულდნენ საბჭო-თა კავშირში საქართველოს არა ავტონომიის, არამედ სამხრეთ კავკასიის (ტრანსკავკასიის) ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექ-ტის სახით შესვლას. უკლონისტები ამ იდეასაც აქტიურ წინა-აღმდეგობას უწევდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდა ბუდუ მდივანი, თუმცა პარტიულმა ყრილობამ ორჯონიკიძე-სტალი-ნის შეხედულებას აუნთო მწვანე შუქი. სტალინმა სწორედ ამ პერიოდში გამოიყენა ტერმინი „ნაციონალ-უკლონისტი," რაც განზე განდგომილს ნიშნავდა, და კონოტაციურად ეთნო-სე-პარატიზმის შინაარსს ატარებდა. სანაცვლოდ, მახარაძე-მდი-ვანის ჯგუფი სტალინს „რუსულ შოვინიზმში" ადანაშაულებ-და.ლენინი, ავტონომიზმის უარყოფის მიუხედავად, მხარს უჭერდა ტრანსკავკასიის ფედერაციის იდეას, თუმცა მაინც ფრთხილობდა. მან 1922 წელს თბილისში ჩეკას ხელმძღვანელ იფელიქს ძერჟინსკი მიავლინა მოკვლევის საწარმოებლად. საბოლოოდ, ლენინმაც ეჭვი შეიტანა და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უკლონისტების მხარეს დაუახლოვდა. 1922 წლიდან ლენინის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა, ორ-ჯონიკიძე-სტალინის დუეტმა კი შეძლო ტრანსკავკასიის ფე-დერაციის იდეის განხორციელება და ამ ფედერაციის სახე-ლით 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნა რუსეთის, უკრაი-ნისა და ბელარუსის საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად.

შეგვიძლია, ვთქვათ, რომ კომკავშირის პრაქტიკული ამო-ცანები, რაც წიგნის დასაწყისშია აღწერილი და რაშიც იგუ-ლისხმება განათლების პოლიტიკის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა თუ საბჭოთა რიგი ეკონომიკური პროექტების

გაზიარება და მასში ახალგაზრდობის ჩართვა, 1921 წელს გადაჯაჭვული იყო პოლიტიკურ ვითარებასთან და კომუნისტური პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლის, ამ შემთხვევაში, სერგო ორჯონიკიძის მცდელობასთან, დაეჩქარებინა ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის გავრცელება სამხრეთ კავკასიელ კომკავშირელებში და გამოეყენებინა ისინი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

1921 წლის 21 აგვისტოს შედგა პირველი კომკავშირული ყრილობა საქართველოში, რომელსაც დაესწრო 180 დელეგატი. თავის მხრივ, გასაბჭოებულ საქართველოში უკვე არსებობდა სოლიდური კომკავშირული ბაზა, კავშირის წევრი 12000 ახალგაზრდა იყო. ამ ყრილობას კვლავ ესწრებოდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც აქტიურად გამოდიოდა ახალგაზრდებში პატრიოტული განწყობების წინააღმდეგ და ეროვნულ საკითხს რადიკალური ფორმებით განიხილავდა. კერძოდ, ს. ორჯონიკიძე ამბობდა, რომ 1918-1921 წლებში საქართველო ითვისებდა „ნაციონალისტურ შხამს“, რომ საქართველოში სამი წლის მანძილზე პოლიტიკური სიბრძნის საფუძვლად ითვლებოდა ეროვნული შუღლი, გაიძვერობა და ინტრიგები მეზობელ სახელმწიფოსთან; ორჯონიკიძე ამბობდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოში მენშევიკების, სომხეთში დაშნაკებისა და აზერბაიჯანში მუსავათელების „წყეული“ მემკვიდრეობის – ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ყრილობამ გაიზიარა სერგო ორჯონიკიძის მოსაზრებები და რეზოლუციაში შეიტანა ტექსტი, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო „შეუბრალებელი ბრძოლა ნაციონალიზმთან და შეთანხმებული მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან“.[1]

ქართველი კომკავშირელების „საველე“ ნათლობა 1921 წლის შემოდგომაზე შედგა, როდესაც ძლიერი გვალვისა და მოუსავლიანობის[2] შედეგად საბჭოთა რუსეთში დიდი შიმში-

---

1 გ.ჟვანია, ვ. ქარუმიძე, &ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია.* (ნაკადული, 1968)

2 შიმშილობამ ერთ წელზე მეტხანს გასტანა: გარდაიცვალა, დაახლოებით, 5 მილიონამდე ადამიანი; 1921 წლის ზაფხულში ვლადიმერ ლენინმა და მაქსიმ გორკიმ ღიად მიმართეს დახმარების თხოვნით

ლობა დაიწყო, მილიონობით ადამიანი სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო შიმშილობით ნაკლებად დაზარალებულ რეგიონებში ფინანსური და საკვები რესურსების შეგროვება. საქართველოში ამ პროცესის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კომკავშირმა, რომელმაც აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში აქტიური კამპანია გააჩაღა შიმშილობით დაზარალებული ხალხის დასახმარებლად. იყო შემთხვევები, როდესაც კომკავშირელები საკუთარი ხელფასის ნახევარს, ან მთლიანად ხელფასს რიცხავდნენ შესაბამის ფონდში.[1]

ბრძოლის პერიოდში საქართველოს კომკავშირი 1921 წლის ოქტომბრისთვის უკვე წარმოადგენდა რუსეთის კომკავშირის კავკასიის სამხარეო კომიტეტს. კომიტეტის პლენუმმა 17 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაეწყო შიდა „წმენდა“ კომკავშირის რიგებში. წმენდის სამიზნედ იქცნენ ადამიანები, ვისაც პატრიოტული განწყობები ჰქონდა, ან კლასობრივად არ შეესაბამებოდა კომკავშირელების ძირითადი ბირთვის კუთვნილებას, ან პიროვნული დაპირისპირება ჰქონდა კომკავშირის გავლენიან წევრებთან. მსგავსი სახის წმენდა მიმდინარეობდა საბჭოთა წითელ არმიაშიც, რომელიც 1921 წლის ოქტომბრისთვის საკმარისად „გაქართულებული“ იყო.

1921 წლის 30 ოქტომბერს თბილისში გამომავალი ქართული ჟურნალი „წითელარმიელი“ წერდა:

„სამხედრო უწყებებში პარტიის გამწმენდი კომისია ამხ. ჯორბენაძის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგა პარტიის გაწმენდას. პირველ ყოვლისა, შეუდგნენ სახალხო-სამხედრო კომისარიატის გაწმენდას, სადაც ბევრი არა საიმედო პირები იყო მოკალათებული. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ კომისიის ნაბიჯი აქ მეტათ ენერგიული და მტკიცე იყო და თუ მათმა

ევროპისა და აშშ-ს საზოგადოებებს; დასავლეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებაში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შიმშილის დასრულება.

[1] გ.ჟვანია, ვ. ქარუმიძე, , &ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968)

მუშაობამ ბოლომდის გასტანა, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პარტია აქ წითელ-ლაშქარში სავსებით გაიწმინდება, მაგრამ მარტო კომისიის ენერგიის გამოჩენა ჩვენ ვერ მიგვიყვანს კეთილ მიზნებამდი. კომისია ისე კარგათ ვერ იცნობს ვინც იმყოფება ჩვენთან ერთად ადგილობრივ კომუჯრედში, როგორც ჩვენ თვითონ. საჭიროა მეტი ენერგია თვითონ ჩვენ გამოვიჩინოთ და მით საშვალება მივსცეთ კომისიას ღირსეულათ შეასრულოს მათზე მინდობილი მისია. საუბედუროთ ჩვენ ვსდუმვართ, შეუპყრივართ რაღაც შიშს, თუ რაღაც ხათრს და ზოგიერთები ნათლიმამობის გრძნობასაც. კერძოთ ყველგან გაისმის ჩურჩული ამა თუ იმ პიროვნებაზედ პარტიაში, მაგრამ როცა საქმე საქმეზედ მიდის ყველა სდუმს. ერთიმეორეს უყურებს. ამხანაგებო! ეს ზიანს მოგვიტანს ისევ ჩვენ: ჩვენი მოვალეობაა დღეს აშკარად გამოვიდეთ და ვსთქვათ ვისზედაც რა ვიცით, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ მტკივანი ადგილი ჩვენი სხეულიდან, უპირველესი ადგილი აქ ეთმობა უპარტიო მასას და მე დარწმუნებული ვარ ვისაც კი ოდნავ უყვარს თავისი ქვეყანა, ვისაც უნდა მშრომელი მასის კეთილდღეობა ის აღიმაღლებს ხმას და იტყვის რაც იცის იმ პირებზედ ვიზედაც გვაქვს ამოდენა განგაში. ამხანაგო წითელ არმიელებო! შორს ჩვენგან ნათლიმამობა, ყოველივე შიში და ხათრი მეგობრებისადმი. გამოდით აშკარად უპარტიო კრებებზე და ახადეთ ფარდა დამალულ ბოროტებას კომკავშირის წევრებისას. მეტი ენერგია გვმართებს, რომ ხელი შეუწყოთ კომისიას და მით საშვალება მივსცეთ მას გაწმინდოს ჩვენი პარტია მავნე პირებისაგან, რომ მერე უფრო მტკიცეთ შეუდგეთ მუშაობას მშრომელი ხალხის საბედნიეროთ.“[1]

„წმენდის“ პერიოდი რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა და 1922 წლის მარტისთვის დასრულდა.მახარაძისა და ორჯონიკიძის ჯგუფებს შორის არსებული მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, ცხადია, კომკავშირში დაწყებული ბრძოლა „ნაციონალიზმთან“ შიდაპარტიული ბრძოლის გაგრძელებად არ გამოდგებოდა. საქართველოს გასაბჭოების მო-

[1] *წითელიარმიელი.* 1921. N 11 (8)

წინააღმდეგენი ქვეყანაში კვლავ ბევრნი იყვნენ. „უკლონისტებს“ ქართველ ბოლშევიკებში, როგორც საბჭოთა კავშირში, 1936-1938 წლების რეპრესიებამდე მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოზიციები ჰქონდათ. საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში სერგო ორჯონიკიძის დომინაცია კომკავშირზე ცალსახად „ინტერნაციონალისტური“ იყო.

ცხადია, პოლიტიკური ბრძოლის გავლენა კომკავშირის დღის წესრიგზე მნიშვნელოვანი იყო, თუმცა კომკავშირი თავისთავად წარმოადგენდა ძალას, რომელიც საქართველოს გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ასრულებდა იმ სტანდარტულ „ფუნქციებს,“ რაც კარგად არის შესწავლილი კომკავშირის შესახებ არსებულ აკადემიურ ლიტერატურაში. მაგალითად,1921 წლიდანვე კომკავშირი რეგულარულად აწყობდა ე.წ. „შაბათობებს,“ რის შედეგადაც ხორციელდებოდა სარწყავი არხების გაყვანა ქვეყნის მასშტაბით, გზების გაყვანა ან შეკეთება, სკოლების, საავადმყოფოების, ბიბლიოთეკების შენება/მოწყობაში მონაწილეობა და ასე შემდეგ. შაბათობებში კომკავშირი უშუალოდ მონაწილეობდა და მისი წევრებისათვის სავალდებულო იყო ამ სახის აქტივობებზე რეგულარულად დასწრება. კომკავშირს გამოყოფილი ჰქონდა ადამიანური რესურსი „სასურსათო გადასახადების“ ასაგროვებლად. იგი რეგულარულად ატარებდა აქტივობებს ახალგაზრდებთან და ცდილობდა, კავშირში ახალი წევრების მიზიდვას, ქმნიდა ადგილობრივ უჯრედებს დედაქალაქის გარეთ.არსებობდა ე.წ. „შრომითი ფრონტები,“ სადაც კომკავშირელები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ტრანსპორტისა თუ მრეწველობის პროექტებში.

„სახალხო განათლების“ იდეას, რომელიც გადაჯაჭვული იყო სკოლებისა და სასოფლო თავშეყრის სახლების მოწყობის იდეასთან, ხშირად ხვდებოდა წინააღმდეგობა. მაგალითად, 1921 წლის ნოემბერში გაზეთი „კომუნისტი“ წერდა:

„28 ოქტომბერს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატში მოხდა ყველა მთავარ სამმართველოების და ცენტრების კრება სახ. განათლების კომისრის ამხ. კანდელაკის თავმჯდომარეობით,

კრების მიზანი იყო გამოერკვიათ კულტურულ-განმანათლებელ საქმის მდგომარეობა პროვინციაში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და აგრეთვე ინსტრუქტორების მუშაობის სისტემატიზაცია. მოხსენება გააკეთა ამხანაგმა, დაბრუნებულმა ბორჩალოს მაზრიდან. მისი მოხსენებიდან გამოირკვა მეტად მძიმე მდგომარეობა სახალხო განათლებისა პროვინციაში. სახალხო განათლების განყოფილების ნაცვლად მაზრაში არსებობდა მხოლოდ სასკოლო განყოფილება. კულტურული ძალები მაზრაში მეტად ცოტაა და ისინი გაფანტულნი არიან სამაზრო რევკომის სხვა განყოფილებებში, ადგილობრივი მასწავლებლები ჯიუტათ ერიდებოდენ ყოველ მუშაობას. მუდმივ მოვლენათ გადაიქცა მასწავლებელთა მიერ ე.წ. „ხალხის განაჩენის“ მიღება. ესე იგი მიღება მოსახლეობის მიღება მოსახლეობის განცხადებისა, რომ ესა და ის პირი აუცილებლათ საჭიროა ამ და ამ სკოლისთვის და რომ მოსახლეობას არ სურს გაუშვას იგი სახალხო განათლების განყოფილებაში სამუშაოდ. ძლიერ გახშირდა გამოსვლები კონტრრევოლუციური ბანდებისა, რომელნიც განსაზღვრულთ პირდაპირ სდევნიან კულტურულ მუშაკებს ასე, რომ კულტურული ძალები ან რევკომის სხვა განყოფილებაში მუშაობენ, ან სულ უარს ამბობენ მუშაობაზე. მაზრის კულუტურული დონე იმდენათ დაბალია, რომ სოფლის კრებებზე არც ერთი წერა კითხვის მცოდნე არ ურევია ხოლმე. ლიტერატურული მომარაგების საქმე სავალალო მდგომარეობაშია: გაზეთები ვერ აღწევენ დანიშნულ ადგილზე და გზაში იკარგებიან...“[1]

მდგომარეობის გამოსწორებისათვის კრება მიუთითებდა, რომ საჭირო იყო სოციალური აღზრდის სამმართველოს მიერ ბორჩალოში ოთხი ქართული სკოლის (რომლებიც მოქმედებდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში) აღდგენა და, ასევე , „თათრული“ ენის მცოდნე მუშაკების გაგზავნა სკოლებში. ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ კომკავშირის დღის წესრიგი საქართველოს პროვინციებში პროგრესული იდეების, კერძოდ, მარქსიზმის, ინდუსტრიალიზაციის, სოცი-

[1] .გაზ. *კომუნისტი*, 1921, N216.

ალური თანასწორობისა და განათლების ქადაგებას ითვალისწინებდა. იგი ზოგჯერ წინააღმდეგობას აწყდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, რომლისთვისაც იდეოლოგიური განათლებისა თუ ზოგადად განათლების საკითხები პრიორიტეტებს შორის არ იყო.

ასეთ შემთხვევებში კომკავშირისათვის განსაკუთრებით რთული იყო ფეხის მოკიდება, ვინაიდან, სადაც არ არსებობდა წერა-კითხვა, იქ იდეოლოგიური მომხრეების მოზიდვა ხშირად მყიფე, ერთჯერადი და არამყარი აქტი იყო. ბოლშევიზმის კლასიკურ იდეოლოგიურ მტრებს მიღმა, რაშიც იგულისხმება ნაციონალისტი, ან მენშევიკი, ან სოციალ-ფედერალისტი ახალგაზრდობა, ან ბურჟუაზია, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოში ეტაპობრივად უნდა განადგურებულიყო, სათემო საზოგადოებების სახით არსებობდა კიდევ ერთი დაბრკოლება, რომელიც ბოლშევიკური იდეების გავრცელებას, განსაკუთრებულ დაგეგმვასა და მრავალწლიან მუშაობას საჭიროებდა.

1921 წლის 20 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა წერილი საქართველოს კომკავშირის სახელით: კომკავშირი აღნიშნავდა საქართველოში დაარსების ოთხი წლის იუბილეს და სამოქმედო გეგმას სახავდა. ტექსტში კარგად ჩანს ის ღირებულება, რასაც კომკავშირს კომუნისტური პარტია ანიჭებდა ძალაუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ავტორი მიუთითებს, რომ სკოლები, უნივერსიტეტები, პრესა და თეატრები ბურჟუაზიული იდეოლოგიის იარაღს წარმოადგენს, რომელიც რევოლუციის შედეგად ძალაუფლებაში მოსულმა კომუნისტებმა თავად უნდა გამოიყენონ, თავიანთ იარაღად უნდა აქციონ.[1]

სტატიის ავტორის მოსაზრების მიხედვით, მშრომელ ახალგაზრდობას ბურჟუაზიული სახელმწიფო უყურებს, როგორც მუშათა რიგების შემავსებელ ფენას, მაშინ, როდესაც კომკავშირი, კომუნისტური პარტიის მთავარი დასაყრდენი,- მუდამ დგას მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცების გზაზე. მეტიც, სტატიის ავტორი ახალგაზრდებს მსოფლიო რევოლუციისა და იმპერიების რღვევის გზაზე მთავარ ძალად

---

1 გაზ. *კომუნისტი*, 1921, N216.

მიიჩნევს და ხაზს უსვამს კარლ ლიბკნეხტის ფიგურის მნიშვნელობას. კ. ლიბკნეხტი გერმანელი კომუნისტია, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში უარყო სოციალისტების მიერ საკუთარი ქვეყნების მხარდაჭერის გამოცხადების ტენდენცია და მოუწოდა მუშათა კლასს, ბრძოლა დაეწყოთ თავიანთი სახელმწიფოების, როგორც იმპერიალისტური ომის შემოქმედების, წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი „სპარტაკის ლიგის" (გერმანული კომუნისტური გაერთიანების) ლიდერები იყვნენ.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებიდან ქართველი კომუნისტი ახალგაზრდებიც თავს „სპარტაკელებს" უწოდებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ თავიანთ იდეოლოგიურ თანხვედრას კარლ ლიბკნეხტის იდეებთან.

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით ორჯონიკიძე-სტალინის დუეტი რომ ორმაგ მიზანს ისახავდა, 1921 წლის 6 ივლისს იოსებ სტალინის თბილისში სტუმრობითაც გაცხადდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციასთან შეხვედრაზე სტალინმა მოითხოვა სასტიკი ბრძოლის დაწყება ნაციონალიზმთან, რომ „გასრესილიყო ნაციონალიზმის გველეშაპი და შექმნილიყო ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო".[1]

7 ივლისს სტალინი უკვე ნაძალადევის კლუბში შეხვდა მუშებს, სადაც დისკუსიამ უმწვავესი ფორმები მიიღო. მუშების დიდი ნაწილი დევნილ ხელისუფლებასა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უჭერდა მხარს, მათ შორის პარტიის საქართველოში დარჩენილი ლიდერები, ისიდორე რამიშვილი და ალექსანდრე დგებუაძე, იყვნენ.

13 ივლისს ისიდორე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ალექსანდრე დგებუაძე და ქართველი მენშევიკების კიდევ ერთი ლიდერი, სილიბისტრო ჯიბლაძე, სხვა თანამოაზრეებთან ერთად დააკავეს.[2] თუ მახარაძის ჯგუფთან დაპირისპირება მხოლოდ იდეოლოგიური დისპუტისა და შიდაპარტიული

---

1 ი. ბ. სტალინი, *თხზულებები, ტომი 5.* (სახელგამი, 1949).

2 ი. ირემაძე, 1921: საბჭოთა რეჟიმმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები დააკავა, 2021.

კამათის ფარგლებში მიმდინარეობდა, ნაძალადევის კლუბში მოწყობილი ობსტრუქცია ბოლშევიკებმა სოციალ-დემოკრატებს არ აპატიეს.

სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც უკვე 60 წელს იყო გადაცილებული, რამდენიმე თვით ციხეში იყო გამოკეტილი, შემოდგომაზე გაათავისუფლეს, თუმცა მუდმივი თვალთვალის ქვეშ იმყოფებოდა. პატიმრობის დროს იგი დაავადდა და 1922 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

კიდევ უფრო მძიმე ბედი ხვდა წილად ისიდორე რამიშვილს, რომელიც 1922 წლის დეკემბერში მოსკოვში გადაიყვანეს, შემდეგ – არხანგელსკში. 1926 წელს იგი გაათავისუფლეს, თუმცა სამშობლოში დაბრუნება აუკრძალეს. ოთხი წლის შემდეგ (1930 წელს) კვლავ დააპატიმრეს. 1934 წელს მცირე ხნით გათავისუფლდა, თუმცა 1937 წელს, დიდი რეპრესიების პერიოდში, დააპატიმრეს მენშევიკური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით და 14 ნოემბერს, უკვე მოხუცებული, 78 წლის ასაკში დახვრიტეს.

სტალინის მიერ გამოცხადებულ ნაციონალიზმთან ბრძოლის კამპანიაში როგორც კომუნისტური პარტია, ასევე, კომუნისტური ახალგაზრდობა, აქტიურად იყვნენ ჩართულნი.გაზეთ „კომუნისტში“ რეგულარულად ქვეყნდებოდა წერილები, სადაც კომკავშირის ლიდერები წერდნენ მოსაზრებებს/პამფლეტებს ნაციონალიზმთან ბრძოლისა და მარქსისტულ აზროვნებაში ნაციონალიზმის ზედმეტობის შესახებ. 1921 წლის ივლისშივე კომკავშირმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც განსახილველად გაეგზავნა ყველა ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციას შემდეგი მოწოდებით: „ყველა ახალგაზრდულ ორგანიზაციას: უნდა გაჩაღდეს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ!“[1]

1922 წლის იანვარში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობა, სადაც პარალელურად განიხილებოდა კომკავშირის მუშაობის შესახებ შეკითხვები და განისაზღვრა,

---

[1] შ. ვადაჭკორია, *ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების კრახი საქართველოში.* (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987).

როგორც უშუალოდ კომუნისტური პარტიის, ისე მასთან აფილირებული უჯრედების პრიორიტეტები. პარტიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გაზეთ „სპარტაკის“ შექმნით, რომლის პირველი ნომერი 1922 წლის 22 იანვარს გამოვიდა. „სპარტაკი“ კომკავშირის ორგანო იყო და საქართველოს საზოგადოებასთან, განსაკუთრებით, ახალგაზრდობასთან პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. საგულისხმოა რომ გაზეთის პირველი ნომერი მთლიანად მიეძღვნა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხსოვნას. მათ ბოლშევიკები მსოფლიო რევოლუციისათვის ბრძოლაში დაცემულ წამებულებად მიიჩნევდნენ, რომლებიც სოციალ-დემოკრატებმა დასაჯეს სიკვდილით და ამით „შეაჩერეს“ რევოლუციური მოძრაობა გერმანიასა და ევროპაში. გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის სურათები კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან ერთად:

„კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის სამი წლის თავი უნდა აღგვენიშნა 15 იანვარს, ეს ის დღეა, როდესაც მკვლელობა ჩაიდინეს გერმანელმა მენშევიკებმა – ბურჟუაზიასთან ერთად, მაგრამ ტეხნიკურ მიზეზების გამო ამ დღისთვის ვერ შევსძელით გაზეთის გამოცემა.

ამიტომ ამ დღეს აღვნიშნავთ 22 იანვარს, საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ მოძრაობის ხელმძღვანელსა და მასწავლებელ; პროლეტარიატის მხცოვან ბელადს, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი უგებს ძეგლს ქ. თფილისში, ალექსანდროვის ბაღში. სისხოთი: კაცი ისე შეეფარდება ძეგლის სიდიდეს, როგორც ერთი სამს. ალექსანდროვის ბაღს ეწოდება – „კარლ ლიბკნეხტის ბაღი“. ეთხოვა ქალაქის აღმასკომს, ამიერიდან ბარიატინის ქუჩას ეწოდოს „კარლ ლიბკნეხტის ქუჩა“. ამ დღის აღსანიშნავათ, აგრეთვე თარგმნილი იქნება კარლ ლიბკნეხტის წიგნი, „მილიტარიზმი და ანტი მილიტარიზმი“.[1]

---

[1] გაზ. *სპარტაკი*, 1922, 22 იანარი, კვირა.

ანტიკომუნისტური განწყობების არსებობა ქართველი სტუდენტების ნაწილში კვლავ პრობლემად რჩებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მეტიც, 1922 წლის 26 იანვარს გაზეთი „კომუნისტი“ ულოცავდა სტუდენტის დღეს ქართველ სტუ-დენტებს, იქვე აღნიშნავდა, რომ სტუდენტების უმეტესობა „გაჟღენთილი იყო ანტიკომუნისტური იდეოლოგიით“ :

„დღეს 26 იანვარს ქართველი სტუდენტობის დღეა, ტრა-დიციული, თუმცა ის არ გავს წარსული წლების დღეს. დღეს საქართველოში სულ სხვა გარემოებაა შექმნილი და ამიტომ ქართველ სტუდენტობას ამ დღესაც სულ სხვა ხასიათიც უნ-და ჰქონდეს.დღევანდელი საქართველო არ გავს წინანდელ სა-ქართველოს. წინანდელი საქართველო იყო საქართველო მდი-დარი კლასების, ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა შეძლებუ-ლი ნაწილის, რომელსაც სათავეში უდგა მუშების და ღარიბი გლეხობის მოღალატე და გამცემელი პარტია, მენშევიკების პარტია. დღევანდელი საქართველო კი არის საქართველო მუ-შებისა და გლეხების, მშრომელი მასების, რომელსაც სათავეში უდგას ამ მშრომელთა ინტერესების ერთგული დამცველი, სა-ქართველოს კომუნისტური პარტია.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა დიდად საჭიროებს ინტე-ლექტუალურ ძალებს რესპუბლიკის ეკონომიურათ აღორძინე-ბისა და განვითარებისათვის, და მით უმეტეს ისეთი ქვეყანა, რომლის სრული ბატონ პატრონი და მართველია დღეს მუშათა კლასი და გლეხობა, მშრომელი ხალხი. ეს უკანასკნელი კი ათი და ასი წლობით სიბნელეში იმყოფებოდა და მეცნიერებაც მის-თვის ხელმიუწვდომელი იყო. ამიტომ რა გასაკვირია , რომ მას სრულიადაც არ ყავდეს, ანდა თუ ყავს მეტად მცირე და უმ-ნიშვნელო, კადრი ერთგულ სპეციალისტებისა, რომლებიც პირველის საქმეს თავის საქმედ მიიჩნევდენ და ერთგულ და დაუღალავი მუშაკები იყვნენ მისი.

ამიტომ ასეთ პირობებში მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს სტუდენტობას. დღეს თუმცა მისი დიდი უმ-რავლესობა გაჟღენთილია ანტი-კომუნისტური იდეებით და დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ უდგას გვერ-

დში საქართველოს მუშურ-გლეხურ მასებს და არ იცავს მათ ინტერესებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ ჩვენს მუშაობაზე მათ გადმოსაბირებლათ მშრომელი ხალხის მხარეზე. ეს ნიშნავს მხოლოთ იმისას, რომ ჯერ ერთი, ქართველ სტუდენტობას ვერ მიუდგებით ჩვენ იმ გზით და იმ საშვალებებით, რა გზითაც, რა საშუალებებითაც ვუდგებოდით მუშებსა და გლეხებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არ იყვნენ და ვერც იქნებოდენ მოწამლული მეტის მეტათ ღრმათ მეცნიერების „მაღალ" იდეებით და მასთან ერთად ესენი გადმოდიოდნენ გარემოებების დაფასების დროს პირდაპირ თავიანთი მდგომარეობიდან.

მეორეთ, ჩვენი, და საზოგადოთ აღებული,სტუდენტობა წლობით აღზრდილია ბურჟუაზიულ კულტურაზე, ბურჟუაზიულ მეცნიერებაზე და მათი თავდებიდან ამ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ სულისკვეთებათა აღმოფხვრა და მათ მაგიერ კომუნისტური იდეების ჩანერგვა არც ისე ადვილი საქმეა. მაგრამ მით უფრო მეტ ენერგიისა და დაუზოგველი შრომის დახარჯვა გვმართებს ჩვენ, და განსაკუთრებით კომუნისტურ სტუდენტობას.

და ამიტომ, ქართველი სტუდენტობის ეს ტრადიციული დღე უნდა გადაიქცეს განახლებულ დღეთ განახლებულ მუშურ-გლეხურ საქართველოში. დღეს ქართველმა სტუდენტობამ უნდა გაუწოდოს თავის ერთგულობის ხელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელ მმასებს და უთხრას მას:შრომის შვილებო,დავუმატოთ თქვენს შრომას ჩვენი მეცნიერებაც, შევახამოთ ისინი ერთი მეორესთან და დაუღალავი ერთგული მუშაობით გავფურჩქნოთ და ავაყვავოთ ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა სოციალისტური საქართველო".[1]

მოცემული ამონარიდიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ძალიან კარგად იცოდა, რომ რთული იყო ქართველი სტუდენტების ნაწილის მიმხრობა, რომ არსებობდა საპროტესტო განწყობა საქართველოს საბჭოთა

[1] გაზ. *კომუნისტი*, 1922, N 20.

ხელისუფლების მიმართ. შესაბამისად, შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ არსებობდა კონკრეტული გეგმა, რომელსაც კომუნისტური პარტია გაჰყვებოდა. ამისათვის, პირველ რიგში,საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდებს შორის კომკავშირის რიგების ზრდა, მათი გააქტიურება და მათივე დომინაციის ეტაპობრივი მიღწევა იყო საჭირო. 1922 წლის იანვრიდანვე კომკავშირი აქტიურად ერთვება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ორგანიზებაში.

1922 წლის 5 ივნისს საქართველოს კომკავშირის V ყრილობა შედგა. იმ დროისათვის კომკავშირის რიგებში აღირიცხებოდა 10 000-მდე წევრი. წევრთა რაოდენობის შემცირება იმ „წმენდებს“ უკავშირდება, რაც ნაციონალიზმთან ბრძოლის ეგიდით მიმდინარეობდა ორგანიზაციის შიგნით. თბილისის კომკავშირმა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ვლადიმერ ლენინი აირჩია, უშუალოდ ყრილობას კი სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი ხელმძღვანელობდნენ.[1]

საინტერესოა, რომ ყრილობას ესწრებოდნენ ფილიპე მახარაძე და მიხეილ ოკუჯავაც, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ ფარულ წინააღმდეგობაში სერგო ორჯონიკიძესთან.

ამავე კონფერენციის რეზოლუციაში გაცხადებული იყო, რომ საქართველოს კომკავშირის მხრიდან უკვე არსებობდა შესაბამისი მზაობა, აღეზარდა საჭირო ადამიანები კომუნისტური პარტიისათვის და რომ „რუსეთის[2]ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი თავის რიგებში მუშა ახალგაზრდობის ყველაზე შეგნებული და რევოლუციური ნაწილის აღზრდით უზრუნველყოფს პარტიის ჯანსაღ და განუწყვეტელ ზრდას პროლეტარიატის ყველაზე აქტიური ფენის – მუშა ახალგაზრდების ხარჯზე, რომლებიც პრაქტიკული რევოლუციური მუშაობისთვის კავშირის მეშვეობით უკვე მომზადებულნი შედიან პარტიაში“.[3]

---

1 გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

2 ავტორის ხაზგასმა. (გ.ბ.)

3 გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

მებრძოლი კომუნისტების აღზრდას, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო კამპანიებიც სჭირდებოდა. კომკავშირი საკუთარ რიგებში ამგვარ აღწერასაც აწარმოებდა: მაზრების მიხედვით ითვლებოდა წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა.

1922 წლის ივლისში გაზეთი „სპარტაკი“ წერდა:

„ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრთა საგრძნობი რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარნი არიან. აქ გასაკვირელი არაფერი არ არის, რადგან კომკავშირი ხომ ახალგაზრდა მუშების და გლეხების ორგანიზაციაა. დღემდის მშრომელ ახალგაზრდობას არ ქონია საშვალება შეეძინა სწავლა- შეესწავლა წერა-კითხვა, ამისი შესაძლებლობა მოვიპოვეთ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაში. ამიტომ დღეს კავშირის მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიქცეული, თუ წერა-კითხვის უცოდინარობის მხრივ როგორი მდგომარეობა არის კავშირში და რა გზით უნდა მიუდგეთ მის სრულ აღმოფხვრას-;რა გზით უნდა ვიმუშავოთ, რომ კავშირის თვითეულმა წევრმა ახალგაზრდა მუშამ გლეხმა იცოდეს წერა-კითხვა, რომელიც მისცემს მას საშვალებას პოლიტიკურ ცოდნის შეძენისას შემდეგში. დაახლოებითი ცნობები წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობის კავშირში, გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

მაზრები	წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა
გორის	500
სენაკის	30
სამხრეთ ოსეთის	756
დუშეთის	600
ფოთის	80
ოზურგეთის	30
რაჭის	200
შორაპნის	70
თელავის	250
ახალციხის	200

ახალქალაქის	50
ბათომის ოლქის	162
ბორჩალოს ოლქის	300
თბილისის	154

ეს ცნობები, როგორც დავინახეთ შეკრებილი არის მხოლოდ 14 მაზრის ორგანიზაციიდან. დარჩენილი არის კიდევ 6 მაზრის ორგანიზაცია, რაც გვიმტკიცებს, მას რომ საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ კავშირის 12 000 წევრთაგან, 4 000-მდე წერა-კითხვის უცოდინარნი არიან. ეს სიმდიდრე ნაანდერძევი არის ძველი რეჟიმის მიერ, ჩვენ მოგიხთება დიდი ენერგიის დახარჯვა – ამ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისთვის, კავშირის წევრთა შორის, არც ერთი სერიოზული პოლიტიკური მეცადინეობის მოწყობა არ იქნება შესაძლებელი კომკავშირში მანამდის, სანამ არ მოვიხმობთ წერა-კითხვის უცოდინარობას, ამიტომ ეს საქმე ერთ მორიგი და მთავარი ამოცანა არის.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ გადადგმული უნდა იქნას პრაქტიკული ნაბიჯი. ყველა იაჩეიკებში სადაც კი მოიპოვება წერა-კითხვის უცოდინარი, უნდა ვაწარმოოთ მეცადინეობა. ამ მხრივ იმ ადგილებში, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა საგრძნობი არის უნდა გაიხსნას შკოლა. თუ მოიპოვება კავშირის ისეთი წევრი, რომელსაც შეუძლია ასწავლოს უცოდინარ ამხანაგებს, ვალდებული არის გასწიოს მასწავლებლობა. იმ საერთო დახმარებასთან, რომელიც შეუძლია გაიღოს ცენტრალურმა კომიტეტმა, კავშირის თვითოულმა წევრმა არ უნდა დაზოგოს თავის შრომა და მხოლოდ ასეთი ენერგიულ მუშაობით შევსძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციას კომუნისტურ კავშირში“.[1]

1922 წლის სექტემბერში გაიმართა სამხრეთ კავკასიის (მაშინდელი ამიერკავკასიის) კომკავშირის II ყრილობა (1922

[1] *გაზ. სპარტაკი*, 1922, N6.

წლის 16-20 სექტემბერი), რომელიც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვიჩვენებს, თუ როგორ კონსოლიდირდებოდა საბჭოთა ძალაუფლება საქართველოში ეტაპობრივად. ყრილობის გადაწყვეტილებები შეეხო სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან კომკავშირის დამოკიდებულების საკითხს, პოლიტიკური განათლების, შრომისა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების განხილვა. ყრილობას ესწრებოდნენ სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი და მიხა ცხაკაია.

ყრილობის შედეგად კომკავშირმა ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში ჩაატარა კამპანია საზოგადოებების – „შევარდენის," „სოკოლისა" და „სკაუტის" წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი დაპირისპირება მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც კომკავშირმა ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ძალაუფლებისადმი მტრულად განწყობილ სტუდენტებს, მათ ატოვებინებდნენ სასწავლებელს.გარდა „გარე" მეტოქეებთან მტრობისა, ყრილობიდან მალევე დაიწყო კომკავშირის შიდა წმენდის მეორე ტალღაც. ჟურნალ „წითელარმიელში" ვკითხულობთ:

„ამა წლის 5 ოქტომბრიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ გამწმენდ კომისიის განცხადების მიხედვით დაიწყო საქართველოს კომუნისტურ პარტიის გაწმენდა.

ერთი წელი გავიდა თითქმის მას შემდეგ, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის გაწმენდა მოხდა; ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ბევრი წინანდელი კომუნისტები „სამხედრო კომუნიზმის" ტიპისა, ვერ ურიგდება არსებულ სინამდვილეს და ვერ შეუგნია კომპარტიის მოქნილობა, რომელიც უნდა მჟღავნდებოდეს ყოველთვის ადგილის, დროისა და პირობების მიხედვით.

ასეთ მერყევ „კომუნისტებს" შეაქვთ პანიკა და დეზორგანიზაცია პარტიაში: ისეთ რთულ პირობებში, რომელშიაც უხდება მუშაობა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, სადაც გადახლართულია კლასიკური და ნაციონალური მომენტები მთელი თავისი სიმწვავით, პარტიის წევრთა სტოიციზმს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს.

ამისათვის, ყოველი მერყევი წევრი პარტიისა, შეუბრალებლად უნდა იქნას მოშორებული პარტიის ორგანიზმს.

ამის გარდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარტიაში შემოვიდნენ პროლეტარული იდეოლოგიის გარეშე მყოფი პირები, წვრილ-ბურჟუაზიულ პსიხოლოგიის მატარებელ პარტიებიდან, არაპროლეტარული ელემენტები გადმოვიდნენ ჩვენს პარტიაში, და შესაძლოა, რომ მათმა პარტიაში მუშაობამ პროლეტარული პარტია გადაგვარების გზაზე დააყენოს.

ცხადია, ასეთი წევრების მიმართ გამწმენდი კომისია ბევრ ლაპარაკს არ დაიწყებს, იმათ ყველას მექანიკურათ პარტიის გარეშე დასტოვებს.

ახლანდელ პარტიის გაწმენდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველმა პარტიის უერთგულესმა წევრმა ეს კარგათ უნდა შეიცნობს და პარტიის გამწმენდ კომისიას უნდა დაეხმაროს ყოველგვარი საშუალებით. უნდა აცნობოს ყველა ასეთ წევრებზე, რომელშიც ღირსნი არ არიან კომუნისტური პარტიის წევრობის სახელწოდების ტარებისა და ხელი შეუწყოს კომისიას თავისი უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულებაში.

მაშ ამხანაგებო, მიაწოდეთ კომისიას ყოველგვარი ცნობები, სიტყვიერათ იქნება ეს თუ წერილობით: უნდა გვახსოვდეს რომ ყოველი ცნობა უნდა იყვეს გამოწვეული პარტიის გაჯანსაღების მიზნით და არავითარ პირად ანგარიშს ადგილი არ უნდა ექნეს.

პარტიის გაწმენდა დაიწყო. ყველი ამხანაგი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა.[1]

ამონარიდი მრავლისმთქმელია და გვიჩვენებს,რომ შიდაპარტიულ წმენდასა და კონტროლს კომკავშირის შიგნით პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. მეტიც, 1921 წელს, წმენდის პირველ ეტაპზე, „ნაციონალისტურად“ განწყობილი ამხანაგების განდევნის შემდეგ, კომკავშირი ასაჯაროებდა „სამხედრო კომუნიზმის“ მომხრეთა წმენდას, რომლებმაც ფეხი ვერ აუწყვეს „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას“ და ვერ გამოიჩინეს კომუნისტური პარტიის შესაფერისი „ელასტიკურობა“. მეორე

[1] გაზ. *წითელიახმიელი*, 1922, N112.

მხრივ, კომკავშირი ასაჯაროებდა ბრძოლას „წვრილბურჟუა-ზიული“ აზროვნების მქონე იმ თანაგუნდელების წინააღმდეგ, რომლებიც კომკავშირს შეუერთდნენ, მაგრამ იდეოლოგიურად თავიანთი ძველი „პარტიების“ გავლენის ქვეშ დარჩნენ. აქ ჩანს კომკავშირის მხრიდან მიუღებლობის სტრატეგია უკვე გაუქმებული ან წყალშემდგარი პოლიტიკური პარტიების ყოფილი წევრების მიმართ.

კომკავშირი წმენდას აწარმოებდა როგორც „შიგნით,“ ისე – გარეთ. ამ პროცესში მას ჰქონდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა.1922 წლის სექტემბრისთვის, როდესაც „კომკავშირმა“ სერგო ორჯონიკიძის, სერგეი კიროვისა და მიხა ცხაკაიას მხარდაჭერით ბრძოლა გამოუცხადა საზოგადოება „შევარდენს“, იგი ბრძოლაში შევიდა უშუალო მეტოქესა და კონკურენტთან.

საზოგადოება „შევარდენი“ თავდაპირველად მიიჩნეოდა ტანავარჯიშის მოყვარულთა საზოგადოებად. იგი დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, 1918 წლის 25 აგვისტოს. დაარსებას წინ უძღოდა ქართველ მხედართა კავშირის „ტანსავარჯიშო საზოგადოება ამირანისა“ და რუსული საზოგადოება „სოკოლის“ ერთმანეთთან შერწყმა. „შევარდენს“ საქართველოს სამხედრო სამინისტრომ გადასცა ორგანიზაცია „ამირანის“ საკუთრება, „შევარდენი“დააფუძნა კრებამ, რომელსაც საზოგადოების 37 წევრი ესწრებოდა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში „შევარდენს“ის ფუნქციები ჰქონდა, რაც, მოგვიანებით – „კომკავშირს“ საბჭოთა კავშირში. დაარსების დღიდან, „შევარდენი“ ჩაერთო საგამომცემლო საქმიანობაში. „შევარდენის“ სახელით გამოიცემოდა წიგნები, ჟურნალები, მუშაობდნენ სპორტული ტერმინოლოგიის შექმნაზეც. შეიქმნა სპორტული მწვრთნელების მთელი კორპუსი, რომლებიც „შევარდენში“ იღებდნენ შესაბამის ცოდნას. „შევარდენმა“ შექმნა ფარიკაობის, ძალოსნობის, ჩოგბურთისა და ფეხბურთის სექციები. მან 1918 წლიდან მუშაობა გაშალა საქართველოს ქალაქებში. საზოგადოება 1918-1921 წლებში 10 000-მდე წევრს აერთია-

ნებდა. „შევარდენს“ ჰქონდა საკუთარი სიმბოლო, რომელიც სამკერდე ნიშნად იქცა.მისი წევრები ვალდებულნი იყვნენ, ეტარებინათ სამკერდე ნიშანი საზოგადოებრივ ღონისძიებებზე.

„შევარდენის“ ღონისძიებებს ხშირად ესწრებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები. მათ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მოხალისეებიც. ეს იყო ძლიერი საზოგადოებრივი ინსტიტუცია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დაკავშირება შეეძლო საქართველოს ახალგაზრდებთან. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ „შევარდენმა“ მაინც შეძლო 1921 წლის 26 მაისის აღნიშვნა, საბჭოთა ხელისუფლებამ კი ეტაპობრივად დაიწყო ორგანიზაციის გაუქმებაზე ზრუნვა.[1]

კომკავშირის მხრიდან „შევარდენთან“ ომის გამოცხადებისას ამ უკანასკნელის რიგები შეთხელებული იყო, მაგრამ წევრთა სოლიდურ რაოდენობას (6700-მდე ადამიანი) მაინც ითვლიდა. 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „შევარდენისა“ და სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული კამპანია ფართო მასშტაბზე გაიშალა. „კომკავშირი“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ჩადიოდა და ატარებდა კრებებსა და მიტინგებს, გმობდა საზოგადოება „შევარდენს“, როგორც ახალგაზრდების „კონტრრევოლუციურ“ საზოგადოებას; თავის მხრივ, მიტინგებზე ისმოდა მოსაზრება, რომ საჭირო და აუცილებელი იყო საზოგადოება „შევარდენის“ გაუქმება და სანაცვლოდ ახალი, პროლეტარული სპორტული საზოგადოების შექმნა. მიზანი 1923 წლის ნოემბრისთვის აღსრულდა: სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ ისევე, როგორც „სოკოლი“ და „სკაუტი,“ დაშლილად გამოცხადდა, სანაცვლოდ კი დაიწყო ახალგაზრდული სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ ჩამოყალიბება, რომელიც 1923 წლის გაზაფხულისთვის უკვე 8400-მდე წევრს აერთიანებდა საკუთარ რიგებში.[2]

---

1 ჯ. სამუშია, *ტანვაჰჯიშის მოყვაჰუღთა საზოგადოება შევაჰდენი*, 2019.

2 გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქაჰთვეღოს კომკავშიჰის ისტოჰია*. (ნაკადული, 1968).

კომკავშირი რომ საბჭოთა კავშირში ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ კომუნისტი ახალგაზრდების გაერთიანება, ეს 1922 წლის ოქტომბერში კიდევ ერთხელ გამოჩნდა.რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობამ ტრადიციულად მრავალი ამოცანა წარუდგინა საზოგადოებას, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოულოდნელი – საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტზე კომკავშირის მხრიდან „შეფობის," ანუ ინსტიტუციური ზედამხედველობის აღება იყო.[1] 1922 წლის დეკემბერში საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე შეჯამდა საქართველოს კომკავშირის განვლილი სამუშაო, ამავდროულად,საქართველოს კომკავშირმა საზეიმოდ აიღო „შეფობა" კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტზე. საზეიმო ღონისძიებები მთელ ქვეყანაში იმართებოდა. კომკავშირელების დიდი რაოდენობა წავიდა სამხედრო-საზღვარო სამსახურში. კამპანია რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა. 1923 წლის ივნისში აფხაზეთის კომკავშირმა 223 მილიონი მანეთი შესწირა კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რაც ინფლაციის მიუხედავად, მნიშვნელოვანი თანხა იყო.[2]

1922 წლის ბოლოდან კომკავშირი გააქტიურდა ანტირელიგიური მიმართულებითაც. 1923 წლის იანვარი-მარტის პერიოდი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა. მარქსისტული კითხვის წრეებსა და საჯარო ღონისძიებებზე ხშირად კეთდებოდა აქცენტი ათეიზმისა და რელიგიის საკითხებზე. გაზეთი „სპარტაკი" 1923 წლის 4 იანვრის ნომერში პირველ გვერდზე იუწყებოდა: „ძირს სარწმუნოება-სიბნელე, ღმერთს ვაფეთქებთ!" ლოზუნგი პირველ ორ გვერდზე შესაბამისი კარიკატურით იყო გაფორმებული.

XX საუკუნის 20-იან წლებში, სანამ იოსებ სტალინი ძალაუფლების კონსოლიდაციას მოახერხებდა და რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე არსებულ რელიგიურ ინსტიტუტებს, მათ შო-

---

1 A. Juricic, *Party-Komsomol Relations in the Soviet Military, 1918-1924.* (Pst Imperfect, 1994*) 3*, 3-24.

2 გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს კომკავშირის ისტორია. (ნაკადული, 1968).

რის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენებდა, ანტირელიგიური კამპანიები უხეშ და ხშირად გროტესკულ ფორმებს იღებდა. საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ახალი სამყარო, არ ტოვებდა სივრცეს ძველი, ტრადიციულ-რელიგიური ღირებულებებისთვის,მის წინააღმდეგ ომში კი მნიშვნელოვანი იყო წმინდა თარიღებისა და სიმბოლოების გაუფასურება. რელიგიის წინააღმდეგ ომი ახალი საზოგადოების შენების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

გაზეთი „სპარტაკი" აქტიურად იუწყებოდა საქართველოს ტერიტორიაზე კომკავშირის უჯრედების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, 1923 წლის თებერვალში რუბრიკით – „იქ, სადაც ბატონობს შრომა," გაზეთი წერდა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის ოთხი წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

„შორაპანი: ამხ. კ.ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის ოთხი წლის თავის კამპანიის გატარებაში დიდი შრომა დასდო სადგურ შორაპნის დეპოს იაჩეიკამ....ის თავიდანვე შეუდგა ჩვენი მხცოვანი ლიდერის, ამხ. კ.ლიბკნეხტის სახელობაზე, ორთქმავალის გამოშვების ცდას, რაც შესრულებული იქნა ამხანაგების ნაყოფიერი მუშაობით. ...

ლიბკნეხტის სახელობაზე იქნა გამართული წარმოდგენა ვ. ჭანკოტაძის ხელმძღვანელობით, წარმოდგენის დაწყებამდის დღის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა შორაპნის რა. ინსტრუქტორმა, ალ.ფანჩულიძემ.

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა)კ. ლიბკნეხტის და რ. ლუქსემბურგის მკვლელობის ოთხის წლისთავის აღსანიშნავათ მარტვილის რაიონში 21 იანვრისთვის მოწვეული იქმნა რაიონის მასშტაბით ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრთა და უპარტიო ახალგაზრდობის კრება.

ოთხი წლის თავი უნდა აღგვენიშნა 15 იანვარს, მაგრამ ტექნიკური დაბრკოლების გამო გადაიდო 21 იანვრისთვის.

დილის 9 საათიდან ყველა თემებიდან რაიონის პუნქტში შეიკრიბა კ. კავშირის წევრები და უპარტიო მშრომელი ახალ-

გაზრდობა და ბაზრის ბაღში საყოველთაო სამხედრო სწავ-ლების უფროსის ამხ. ვ. მონიავას ხელმძღვანელობით მოეწყო კ.კავშირის წევრთა და საყოველთაო სწავლების წესით გა-მოყვანილი 200მდე ახალგაზრდა ჯარისკაცთა აღლუმი. აქვე ბაღში მოიყარა თავი მრავალმა მოქალაქემ. ახალგაზრდა ჯა-რის კაცებს მიესალმა კომკავშირის რაიონ ინსტრუქტორი ამ. ი. თოფურია, რომელმაც აუხსნა ახალგაზრდა ჯარისკაცებს ძველი რეჟიმი არმიის და დღევანდელი წითელი არმიის მიზა-ნი და დანიშნულება.ამის შემდეგ მან მოკლეთ განუმარტა იმ მყოფ მოქალაქეებს დღევანდელი დღის მნიშვნელობა. ამის შემდეგ მოეწყო დემონსტრაცია, ახალგაზრდა ჯარის კაცებს წინ მიუძღოდათ კ. კავშირის წევრები მწყობრათ ინტერნაციო-ნალის სიმღერით. დემონსტრანტებს მიჰქონდათ დროშა და კ. ლიბკნეხტის სურათი, დემონსტრაციამ გაიარა ბაღი დაიქედან თემის აღმასკომის ბინასთან დემონსტრანტებს მიესალმაამხ. ა. კვეკვეცია. მთლიან შრომის სკოლის ეზოში გაიმართა მი-ტინგი, რომელზედაც გაკეთდა რამდენიმე მოხსენება თვითო-ეულ მომხსენებლის სიტყვა თავდებოდა ინტერნაციონალის სიმღერით.მიტინგზე გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რო-მელშიაც მშრომელი ახალგაზრდობა იგონებს რა კარლ ლიბ-კნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ღვაწლს სოციალიზმის და პროლეტარიატის მიმართ, წყევლა – კრულვას უგზავნის მათ მკვლელ, პროლეტარიატის მოღალატე-მენშევიკებს და ფიცსა დგებს, რომ არ დახრის იმ წითელ დროშას, რომლის ქვეშაც დაიღუპნენ კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი.

რეზოლუცია თავდება შემდეგი ლოზუნგებით:

გაუმარჯოს კარლ ლიბნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მიერ დაწყებულ საქმეს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას! .“[1]

მოყვანილი წყარო ცხადყოფს, რაოდენ დიდ მნიშვნელო-ბას ატარებდა საბჭოთა სახელმწიფო საქართველოს მოსახ-ლეობის ყოველდღიურობაში კომუნისტური იდეოლოგიით დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურებისა და საბჭოთა

[1] გაზ. *სპარტაკი*, 1923, N 21.

ძალაუფლების დამყარებიდან ორი წლის შემდეგ. რკინიგზის შორაპნელი და ჭიათურელი მუშების მიერ საკუთარი საქმიანობის დაკავშირება კარლ ლიბკნეხტის სახელთან გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ძალაუფლება „ზრუნავდა“ ბოლშევიკური ნარატივისა და ღირებულებების ინტერნალიზებაზე ადგილობრივ მოსახლეობაში.ანალოგიურად უნდა გავიაზროთ მარტვილში სამხედრო ღონისძიების დაკავშირება კარლ ლიბკნეხტის სახელთან, რომლის მიზანიც მსოფლიო რევოლუციის საბჭოთა ნარატივის ინტერნალიზება და „გამშობლიურება“ იყო საბჭოთა სახელმწიფოს სამხრეთ პერიფერიაზე, საქართველოში.

შაბათობების, ინფრასტრუქტურაზე კოლექტიური ზრუნვის, ქველმოქმედების პრაქტიკები, რის შესახებაც „სპარტაკში“ ინფორმაციები მიდიოდა,გამიზნული იყო იმის საჩვენებლად, რომ კომკავშირის მუშაობის წესი, *Modus Operandi*, სრული დატვირთვით ხორციელდებოდა საბჭოთა საქართველოში. იგივე შეიძლება ვთქვათ ფოთში პოლიტიკური განათლების კომკავშირული პრაქტიკის დანერგვის შესახებაც.

კომკავშირის სტანდარტული ფუნქციების შესახებ ინფორმაციების გარდა, „სპარტაკში“ გვხვდება საკმაოდ არაორდინალური და საყურადღებო ინფორმაციები კომკავშირის არასტანდარტული აქტივობების შესახებაც. მაგალითად, „სპარტაკის“ 1923 წლის 18 თებერვლის ნომერში შესულია სტატია გურიის სოფელ ხიდისთავში (მაშინდელი – ხიდისთავის რაიონი) არსებული მდგომარეობის შესახებ:

„ხიდისთავის“კომკავშირის მუშაობა – შეიძლება ითქვას დამაკმაყოფილებელია, ხიდისთავის უჯრედის ინიციატორობით მოეწყო შაბათობა, რომლის დროსაც იქნა შეკეთებული სამ ადგილას გზა და რამოდენიმე ხიდი. უჯრედში გაიმართა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლო წარმოდგენა, ადგილობრივ პროლეტარული დასით. 24 იანვარს ამ დასმა გამართა წარმოდგენა მეწიეთში, რომლის შემოსავალი გადადებულ იქნა ქალაქ ზანგეზურის[1] დამშეულთა სასარგებლოთ.

---

[1] ქალაქი სომხეთის სამხრეთით, მაშინდელი სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში.

ხიდისთავში ჩვენი კავშირის გავლენა უპარტიო – გლეხურ ახალგაზრდობაზე დიდია: კომკავშირი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს კომპარტიასთან ერთად ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. კავშირის და პარტიის დაუცხრომელი მუშაობით ბანდიტიზმი გურიაში ამ მოკლე ხანში სავსებით იქნება მოსპობილი. მაშინ რაღა ეშველება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ყაჩაღებს – მენშევიკებს?"[1]

გურიაში მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნეოდა „ბანდიტებთან" ბრძოლა. სინამდვილეში, ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული გურულები იყვნენ. ტექსტშიც კარგად ჩანს, რომ ამბოხებულები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ ერთგულნი რჩებოდნენ და აგრძელებდნენ მიწისქვეშა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან. მათ წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებში მონაწილეობას საქართველოს ახალგაზრდული კომკავშირის ადგილობრივი უჯრედიც იღებდა.

კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის პიროვნებების მუდმივადგანდიდებით კომკავშირი „ებრძოდა" „მსოფლიო მენშევიზმსა" და „მენშევიკებს" გერმანიაში. არ ივიწყებდა მთავარ საფრთხესაც, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და ქართველი კომუნისტებისთვის საქართველოს დევნილი მთავრობისა (მენშევიკებისა) და საქართველოში დარჩენილი მენშევიკური მიწისქვეშეთიდან მოდიოდა.

1923 წლის მარტში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობა. ყრილობის მთავარი მოვლენა სერგო ორჯონიკიძის გამოსვლა იყო. მან შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა კავშირგარეშე (კომკავშირის წევრობის არმქონე) ახალგაზრდებს შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ.

ამავე წლის მაისში კომკავშირმა ჩაატარა წევრების აღწერა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს კომკავშირში 16 000-მდე წევრი და კანდიდატი ირიცხებოდა, კომკავშირული უჯრედების რაოდენობა კი 1000-მდე იყო.

---

[1] გაზ. *სპარტაკი*, 1923, N23

1923 წლის 18 მარტის ნომერში გაზეთი „სპარტაკი“ მიესალმა საქართველოს კომპარტიის II ყრილობას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ყრილობის გახსნა დაემთხვა პარიზის კომუნის გამოცხადების 52-ე წლისთავს (1871 წელი), ამიტომ გაზეთის მეორე გვერდზე შეჯამებული იყო პარიზის კომუნის ისტორია.[1] ბოლშევიკები პარიზის კომუნის მაგალითს იყენებდნენ, როგორც კომუნისტური რევოლუციის პირველად განხორციელებისა და გამარჯვების სიმბოლოსა და როგორც ტრაგედიის გაკვეთილს, რომელშიც კომუნარების გამოუცდელობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

პარიზის კომუნის დაღუპული მონაწილეები საბჭოთა ნარატივში რევოლუციისათვის წამებულებად მოიაზრებოდნენ. საბჭოთა სახელმწიფო ვალდებული იყო, არ დაეშვა ის შეცდომები, რომლებიც კომუნამ ნახევარი საუკუნის წინ დაუშვა. კომუნის ჯალათებში საბჭოთა დისკურსი ერთი მხრივ ისტორიულ ჯალათებს (ფრანგებსა და პრუსიის არმიას) მოიხსენიებდა, რომლებმაც კომუნა დაარბიეს და ათობით ათასი პარიზელი გამოასალმეს სიცოცხლეს,მეორე მხრივ – კონოტაციას საბჭოთა ხელისუფლების მტრებზე აკეთებდა, რომელთა სურვილიც საბჭოთა ძალაუფლებისა და მისი მომხრეების განადგურება იყო.

„სპარტაკის“ ამავე ნომერში საქართველოს კომკავშირი მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობას და გაზეთის მესამე გვერდზე ვრცლად გამოაქვეყნა ყრილობისადმი ცამეტ პუნქტად ჩაშლილი წინადადებები.[2]

კომკავშირის მითითება პარტიისადმი, რომ „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ შედეგად წვრილბურჟუაზიული საფრთხე გაიზარდა, მიუთითებს, რომ კომკავშირს, როგორც ინსტიტუციას, ჰქონდა თავის დამოუკიდებელი პოზიციონირების სივრცე და მიუხედავად სახელმწიფოს დირექტივებთან სუბორდინაციისა, ის ჯერ კიდევ შორს იყო კომკავშირის სტალინური ტრანსფორმაციის შემდეგ მიღებული სახისგან.

---

1 გაზ. სპარტაკი, 1923, N27

2 იქვე.

ზემოთ აღნიშნული ცამეტპუნქტიანი მიმართვა ერთგვარი პოლიტიკური კომუნიკაცია იყო სახელმწიფოსთან, რომელიც საჯაროდ განხორციელდა და რომელიც გაზეთში გამოქვეყნდა. ამის მიზეზი ბევრი შეიძლება, იყოს, დაწყებული იქიდან, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ვლადიმერ ლენინი და კომუნისტურ პარტიაში ძალაუფლებაზე მონოპოლია არ არსებობდა; საქართველოს შემთხვევაში, თითქმის ორი წელიწადი იყო დარჩენილი აგვისტოს აჯანყებამდე, რომელიც საბჭოთა სისტემამ წინააღმდეგობის კერების გასანადგურებლად გამოიყენა; 1923 წლის მარტში არც კომკავშირი წარმოადგენდა ქართველ ახალგაზრდებში უმრავლესობას და არც ბოლშევიკები იყვნენ მარტონი პოლიტიკურ ველზე – კვლავ არსებობდა ახალგაზრდული პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ საბჭოთა ძალაუფლებისათვის.

1923 წლის სექტემბერში ჩატარდა საქართველოს კომკავშირის მეექვსე ყრილობა, დაკონკრეტდა წევრებისა და კანდიდატების რაოდენობა (13 902 წევრი და 4146 კანდიდატი). არასრული ორი წლის მანძილზე კომკავშირი 18 000-მდე ახალგაზრდას აერთიანებდა.

1923 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა ახალგაზრდების „მიმხრობის“ კამპანიაში კომკავშირის წარმატებას და ამისათვის კომკავშირს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. პარალელურად განისაზღვრა პრაქტიკული ხასიათის ამოცანებიც, როგორიც იყო, მაგალითად, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელის გაფართოებაში მონაწილეობა, კომკავშირელთა სასოფლო-სამეურნეო განათლების ამაღლება, კომკავშირული კლუბებისა და სხვადასხვა კულტურული კერების შექმნა როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში და ამ ყველაფრის პარტიული სულისკვეთებით ორგანიზება.[1] კომკავშირს 1921-1923 წლების ქაოტური მოვლენების ფონზე ევალებოდა საბ-

[1] გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

ჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის სოციალიზება და მათი „გადმობირება“. უკვე განადგურებული იყო საზოგადოება „შე-ვარდენი“.გარდა უპირობო მხარდაჭერისა, პარტიის წევრთა რიგების სწრაფი ზრდა კომკავშირს აძლევდა იმ ადამიანურ რესურსს, რაც ძლიერი პარტიული ქსელის შექმნას ხდიდა შე-საძლებელს.

თავი IV. კომკავშირის დაპირისპირება სხვა ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან

საზოგადოება „შევარდენი“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინსტიტუციური ნარჩენი იყო, რომელსაც კომკავშირი საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მარტივად გაუმკლავდა. თუმცა კომკავშირს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა დაპირისპირება მრავალ ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც საქართველოში ჯერ ისევ არსებობდა და პირველი რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, ხელისუფლების იძულებული ემიგრაციის მიუხედავად, აგრძელებდა პოლიტიკურ ბრძოლას. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამგვარ ჯგუფებს „წვრილბურჟუაზიულსა და კონტრრევოლუციურს“ უწოდებდა. ეს ჯგუფები საქართველოში გასაბჭოების პირველ წლებში საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენდა. მათ შორის უპირველესი „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ იყო.

„ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ კომკავშირის უმთავრეს მეტოქედ შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობასთან. რაც ყველაზე მთავარია, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ კომკავშირს „სისხლით“ ენათესავებოდა, ორივე ორგანიზაციის იდეოლოგიური იდენტობა მარქსიზმი იყო. კომკავშირმა ყველაზე სასტიკი იერიში სწორედ ამ ორგანიზაციაზე მიიტანა, რომელიც, იმავდროულად 1921 წლის თებერვლის დღეებში ჩართული იყო საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ომში. 1922-1923 წლებში „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ რჩებოდა ძლიერ და მრავალრიცხოვან ჯგუფად. იგი, დაახლოებით, 4500 ახალგაზრდას აერთიანებდა. ისინი ასოცირებულნი იყვნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და რევოლუციური ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილებაც ჰქონდათ.

1922 წლის მაისში „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ“ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც საუბარი იყო რეპრესიებზე, რომლებსაც ისინი საბჭოთა

ხელისუფლების მხრიდან განიცდიდნენ. ახალგაზრდები მოუწოდებდნენ დასავლეთს, რომ დახმარებოდნენ მათ ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ნაბიჯს მალევე მოჰყვა საპასუხო ნაბიჯები: კომკავშირმა თავდაპირველად დაიწყო ბრძოლა პრესაში, რომელიც თვეების მანძილზე გრძელდებოდა.

1922 წლის ოქტომბრისთვის საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის პოსტზე მიხეილ ოკუჯავა ბესარიონ ლომინაძემ შეცვალა. ოკუჯავა ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივანის პატრიოტულად (თუ შეგვიძლია, ასე ვთქვათ) განწყობილი ბოლშევიკების ჯგუფიდან იყო, ლომინაძე კი – სტალინთან დაახლოებული ფიგურა,[1] შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეპრესიები ამით მხოლოდ გამკაცრდა და უფრო მკაცრი ბუნება შეიძინა.

1923 წლის ივლისი-აგვისტოში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია. 24 ივლისს გაიხსნა ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) საქალაქო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 150-მდე მენშევიკ-სოციალ-დემოკრატი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული ბროშურიდან ვიგებთ, რომ თითოეული დელეგატი 10 ადამიანს წარმოადგენდა, მაშასადამე, 1923 წლისათვის, „ოფიციალური“ მენშევიკების რიცხვი 1000 ადამიანს მაინც აღემატებოდა.[2]

კონფერენცია საჩვენებელი იყო: ყოფილი სოციალ-დემოკრატები გმობდნენ თავიანთ წარსულს და აცხადებდნენ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია აღარ არსებობდა, რომ საქართველო სწორ გზაზე იდგა და მისი მომავალი ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად უნდა შექმნილიყო. კონფერენციას სერგო ორჯონიკიძე და მიხა ცხაკაიაც დაესწრნენ.

---

1 R. G. Suny, *The Making of The Georgian Nation (Second Edition). (* Indiana University Press, 1994)

2 *თფილისის საქალაქო კონფერენცია ყოფილ მენშევიკებისა: სტენოგრაფიული ანგარიში.* («ზარია ვოსტოკას» სტამბა, 1923).

საქართველოში უკვე აღარ არსებობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს უკიდურესად ასუსტებდა „ახალგაზრდა მარქსისტების“ პოზიციებს – მათი „ლიკვიდაცია“ პრაქტიკულად დროის ამბავიღა იყო. ისინი მაინც ცდილობდნენ გაბრძოლებას და 1923 წლის სექტემბერში დახმარებისთვის მიმართეს მუშათა მეორე ინტერნაციონალს[1], პარალელურად კი ორგანიზაციის წევრებმა მასობრივად დაიწყეს მისი დატოვება.

აღსანიშნავია, რომ კომკავშირიცა და ბოლშევიკებიც „ახალგაზრდა მარქსისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ როგორც აგრესიულ, ისე შედარებით მსუბუქ ტაქტიკებს. მაგალითად, 1923 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „სპარტაკის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში – „ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ხმა,“ ავტორი აღნიშნავს, რომ „ახალგაზრდა მარქსისტების“ დაშლა პოზიტიური მოვლენა და კანონზომიერება იყო.[2]

გაზეთ „სპარტაკის“ 26 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სტატია – „ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან გარბიან,“ სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში სენაკის საინიციატივო ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იოსებ კოდუა მოუწოდებდა ახალგაზრდა მარქსისტებს, დაეტოვებინათ ორგანიზაცია; მეორე ნაწილში ვინმე ვალიკო ხავთასი წერდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ წევრობა ბურჟუაზიის ბანაკში ყოფნას ნიშნავს; მესამე ნაწილში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ გურიის ორგანიზაციის წევრი გაბრიელ მეგრელიშვილი წერდა, რომ გადაწყვიტა, დაეტოვებინა ორგანიზაცია, ვინაიდან მენშევიზმმა „დრო მოჭამა“ და მხოლოდ ერთი პარტია იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს – ეს კომუნისტური პარტია იყო. [3]

---

1 მეორე ინტერნაციონალის რიგებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. ორგანიზაციის ლიდერები 1920 წელს მხარდაჭერის ნიშნად საქართველოსაც ეწვივნენ.

2 გაზ. სპარტაკი, 1923, N 49

3 სპარტაკი. 1923. N50

სექტემბერ-ოქტომბერში გამოჩნდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას“ არსებობის არავითარი რესურსი ჰქონდა. ოქტომბერში „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ მხოლოდ ნარჩენებიღა არსებობდა. მან თვითლიკვიდაციის ყრილობები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა[1].

თბილისის ყრილობის დასასრულს „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ განაცხადეს, რომ შეუერთდებოდნენ კომუნისტურ პარტიას, გააუქმეს თავიანთი მანდატი მუშათა მეორე ინტერნაციონალში. თუმცა კომუნისტური პარტია არ იყო ღია „ყოფილი მენშევიკებისათვის“, მათი სტიგმატიზაცია საბჭოთა საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ იწყებოდა, 1937 წელს კი ეს ჯგუფი რეპრესიების ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ იქცა.[2]

1923 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ ლეგალურად გამოიცემოდა ახალგაზრდა მარქსისტების გაზეთი „მოამბე“. 21 ოქტომბრის ნომერი ორგანიზაციისთვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში თვითგაუქმების ამბავს ეხმაურებოდა და არსებითად იკავებდა ბოლშევიკების მხარეს:

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ თავისივე ტაქტიკის გადაფასებამ სათანადო გამოძახილი ჰპოვა ახალგაზრდობის შორისაც.

ახალგაზრდა მარქსისტები (მენშევიკური კომკავშირი), რომელნიც წინეთ დემოკრატიული მთავრობის პლატფორმაზე იდგნენ, ამ ჟამად ჯგუფ-ჯგუფობით სტოვებენ ძველ ტაქტიკას და გადადიან ახალგაზრდობის კომინტერნის პლატფორმაზე. ...

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობას უნდა მოჰყვეს ახალგაზრდა მარქსისტთა სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელიც აუცილებლად დადგება თავიანთი უფროსი ამხანაგების პლატფორმაზე, ვინაიდან ამას გვიკარ-

---

1 „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ ფორმალურ არსებობას ემიგრაციაში აგრძელებდა: გამოდიოდა ჟურნალი „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი,“ რომელიც „საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ ორგანო იყო; ჟურნალის რედაქტორი – *მიხეილ ხუნდაძე.*

2 გ. ჟვანია, ვ.ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია.* (ნაკადული, 1968).

ნახებს რევოლიუციური ტაქტიკა და პოლიტიკური კონიუნ-კტურა.

გაუმარჯოს შეგნებულ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს იმ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზას, რომალზედაც დგება მარქსისტული ახალგაზრდობა![1]

„ახალგაზრდა მარქსისტების" მიღმა არსებობდა რიგი ახალგაზრდული ორგანიზაციებისა, რომელთა აქტივობაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი და არასასურველი იყო. მათ შორის იყვნენ:

„ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტები;"

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია ჯერ კიდევ 1919 წლიდან გაიყო, როდესაც პარტიას გამოეყვნენ ანარქისტები (ანარქო-სინდიკალისტები) და შექმნეს „სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი". 1921 წლის თებერვალში პარტია ორ ნაწილად (მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები) დაიშალა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა წითელი არმიის დაპირისპირების დღეებში პარტია დატოვეს ფილოსოფოსმა შალვა ნუცუბიძემ და ეკონომისტმა თედო ღლონტმა. მათ შექმნეს „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების" ჯგუფი. 1921 წლის 28 მარტს პარტიის გაერთიანებულ კრებაზე მიღებულ იქნა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა პარტიის თანამშრომლობის კურსს ახალ (საბჭოთა) ხელისუფლებასთან. 1921 წლის 30 ოქტომბერს პარტიის მემარცხენე ჯგუფი ცალკე პარტიად ჩამოყალიბდა. პარტიის ის წევრები, ვინც არალოიალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, იდევნებოდნენ და რევოლუციის მტრებად იყვნენ გამოცხადებულნი.

„მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები" მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში. კერძოდ, 1922 წლის თებერვალში, საბჭოების

---

[1] გაზ. *მოამბე*, 1923, N6

I ყრილობაზე, საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით დაკანონდა, რომ ქართულ ენას ექნებოდა სახელმწიფო ენის პასუხი. ეს ინიციატივა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ სიმონ ხუნდაძეს ეკუთვნოდა. 1923 წლის ნოემბერში პარტიას მოუწია გადაწყვეტილების მიღება, რის მიხედვითაც, იგი შეუერთდა კომუნისტურ პარტიას. 1924 წელს, პარტიის „მემარჯვენე“ ნაწილის განადგურების შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ საქართველოში არსებობა დაასრულა.[1]

„ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტები“ ის პოლიტიკური ჯგუფი იყო, რომელმაც თავიდანვე ვერ შეძლო საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა, თუმცა მნიშვნელოვან და სოლიდურ ძალას წარმოადგენდა. საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ის ათასამდე წევრს აერთიანებდა. 1924 წელს ახალგაზრდულმა ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა „მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების“ გაქრობასთან ერთად.

„ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები;“

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია იდგა ნაციონალისტურ ღირებულებებზე და აერთიანებდა ათასამდე ადამიანს. 1923 წელს ჯერ „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ მოუწია თვითლიკვიდაციის გამოცხადება, შემდეგ კი მას მიჰყვა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციაც.

„დაშნაკცუთიუნის ახალგაზრდათა ორგანიზაცია;“

სომხური ნაციონალისტური ორგანიზაცია ძირითადად შედგებოდა ამავე პარტიის წევრების შვილებისგან. „დაშნაკცუთიუნის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია სულ 200-მდე ადამიანს აერთიანებდა. დაიშალა 1924 წელს.

„სოციალ-ფედერალისტების“ ახალგაზრდა ორგანიზაცია;

ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების ორგანიზაცია შეიქმნა „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების“ ჩამოყალიბების პარალელურად. კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობის მიუხედავად, პარტია იტოვებდა

---

[1] დ. შველიძე,. *სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია*.2023

ბევრ ისეთ ნიშას, რაშიც მისი მოწინააღმდეგეები „ნაციონალიზმს“ ხედავდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ პარტიას ბევრად მეტი ჰქონდა საერთო ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივანის ჯგუფთან, ვიდრე -ორჯონიკიძე-სტალინის წრესთან.[1]

1923 წლის 16 სექტემბერს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის მესამე (საბოლოო ჯამში – მეექვსე) ლეგალური ყრილობა. 16 სექტემბრის პირველ გვერდზე გაზეთი „სპარტაკი“ მიესალმებოდა ყრილობას და აჯამებდა კომკავშირის განვლილ საქმიანობას.[2] „სპარტაკის“ ამავე ნომერში გვხვდება სვეტი, სადაც ჩანს მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მონაცემები საქართველოს კომკავშირის შესახებ:

„1. ორგანიზაციული მუშაობა

1922 წ. კომუნისტური კავშირის გავლენა თანდათან იზრდება უპარტიო ახალგაზრდობაში და ის ხდება ერთად-ერთ პროლეტარულ ორგანიზაციად საქართველოში, რომელშიაც თავს იყრის ჭეშმარიტი რევოლიუციონური ახალგაზრდობის უმრავლესობა. 1922 წ, გატარებულ აღწერის თანახმად საქ. კომკავშირში ირიცხებოდა 8958 წევრი. 1923 წ. გატარებულ აღწერის თანახმად ირიცხება 15 892 წევრი. ასე რომ ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაცია საკმაოდ გაიზარდა. მას მოემატა 6934 წევრი, რაც უმთავრესია ორგანიზაცია გაიზარდა უღარიბეს ახალ გლეხებისა და ახალ მუშების კავშირში შესვლით. ამას ცხადათ გვიჩვენებს შემდეგი სტატისტიკური ცნობები:

1922 წ. ორგანიზაციაში ირიცხებოდა 2977 მუშა. გლეხები 3521. მოსამსახურენი 635, მოწაფენი 1825.

1922 წ. მდგომარეობა ორგანიზაციაში შეიცვალა საგრძნობლად.

ორგანიზაცია გაიზარდა თითქმის 100 %.

აი, მაგალითად 1923 წ. აღწერის თანახმად ორგანიზაციაში ირიცხება მუშა – 3032, გლეხები 8953, მოსამსახურენი 1170, მოწაფენი – 2737.

---

1 გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

2 გაზ. *სპარტაკი*, 1923, N53

ნაციონალური შემადგენლობა:

1922 წლის აღწერის მიხედვით, ორგანიზაციაში ირიცხებოდა:

ქართველები – 9549 (59,97%)

რუსები: 1491 (9, 38%)

სომხები: 1773 (11,26%)

მუსულმანები: 605 (3,81 %)

ოსები: 1706 (10, 74%)

აფხაზები: 292 (1, 85%)

დანარჩენი ეროვნებანი: 476 (2,99%).

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა – კავშირი, პოლიტიკური გათვითცნობიერების მხრივ ბევრად წინ არის, ვინემ ეს მეორე (მეხუთე) ყრილობისათვის იყო.

ცნობები გვიმტკიცებენ კავშირის კლუბების, პოლიტიკურ-მარქსისტული და სხვა წრეების სწრაფ ზრდას, მიუხედავად ორგანიზაციის რიცხობრივათ 100%-ით გაზრდისა კავშირი პოლიტიკურათაც განვითარდა.

კავშირში განვითარდა პოლიტიკურ-მარქსისტული ცოდნის შეძენის ტენდენცია და კავშირი დაინტერესდა ცოდნით.

ეს სავსებით გასაგებია და ადვილიც ასახსნელია, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დასვენების პერიოდი უნდა იქნას გამოყენებული ცოდნის შესაძენათ.

ასეთი იყო მეორე ყრილობის მიერ დასახული ამოცანაც.

კავშირში მეორე ყრილობამდის წერა-კითხვის უცოდინართა საკმაო რიცხვი მოგვეპოვებოდა. ეს როგორც არა ერთხელ გვითქვამს აიხსნება იმით, რომ კავშირი ახალგაზრდა მუშების და გლეხების ორგანიზაციაა, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით კულტურული მხარეა, მაგრამ არის ბევრი კუთხეები რესპუბლიკაშიდაც, სადაც მოსახლეობის კულტურული დონე ძლიერ დაბლა დგას.ასეთია განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები.

მაგრამ ამ დარგშიც კავშირმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ყოველივე ამის ნათელსაყოფათ მოვიყვანოთ შემდეგი ცნობები: დღეს კავშირს აქვს დაარსებული:

პროპკოლექტივები – 76, რომლებიც აერთიანებენ 811 წევრს.

პოლიტწრეები – 610, წევრთა რაოდენობა მათში 9508.

მარქსისტული წრეები – 27, წევრთა რაოდენობა მათში 304.

კლუბების რაოდენობა – 49 კლუბებში არსებულ სხვა და სხვა წრეთა რაოდენობა – 187.

ქოხ სამკითხველოები – 232. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები – 77.

ამგვარად კავშირი გაიზარდა ორგანიზაციულად და განვითარდა პოლიტიკურათ.კავშირი თანდათანობით იქცა საქართველოს მშრომელი გლეხობის სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციად. კავშირის ზრდასა და განვითარებასთან ერთად, აღსანიშნავია კომკავშირის მოწინააღმდეგე ახალგაზრდათა პოლიტიკურ ორგანიზაციების დაშლა. განსაკუთრებით საყურადღებოა ეგ. წ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის გახრწნა.

ამგვარად, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი გამოდის საქართველოს მთელი ახალგაზრდობის ერთ-ერთ მებაირახტრეთ.“[1]

კომკავშირის VI ყრილობას თბილისში დაესწრნენ მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ჩაპლინი. ერთ-ერთი პირველები, ვინც მისასალმებელი სიტყვა წაიკითხეს, იყვნენ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ყოფილი წევრები – ვინმე ცინცაძე და სიხარულიძე. მათ განაცხადეს, რომ „ტოვებდნენ მენშევიკური პარტიის ბურუსსა და უბრუნდებოდნენ რევოლიუციონურ მარქსიზმს“. მამია ორახელაშვილმა ისაუბრა იმპერიალიზმზე, აღნიშნა, რომ კაპიტალიზმი იყო აგონიაში და კომუნიზმის აჩრდილი, რომელიც XIX საუკუნეში გამოჩნდა, კვლავ ემუქრებოდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს, იგი გამოიწვევდა მსოფლიო

[1] იქვე.

რევოლუციას. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ლიდერი გაიოზ დევდარიანიც. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი და გიმნაზიები საქართველოში კონტრრევოლუციის ბუდეები იყო და მათთან უწინ კომკავშირს არ მიესვლებოდა, 1923 წელს კი ვითარება შეიცვალა და ყველა ის ძალა, რომელიც უნივერსიტეტში ებრძოდა მუშათა კლასს, დამარცხებული იყო.[1]

1923 წლის ნოემბერ-დეკემბერი შედარებით მშვიდი თვეები იყო კომკავშირისათვის. ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ყრილობები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რასაც მოჰყვა სრულიად საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტების“ ყრილობაც. ამ ორგანიზაციის განადგურებით კომკავშირი უკონკურენტო, მონოპოლიურ ახალგაზრდულ ძალად იქცა საბჭოთა საქართველოში. იმ დროიდან მოყოლებული, დაახლოებით, 70 წლის მანძილზე კომკავშირი გადაჯაჭვული იყო ნებისმიერ აქტივობასთან, რომელიც საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ მოსწავლეს ან სტუდენტს აკავშირებდა საზოგადოებრივ ასპარეზთან.

---

[1] იქვე.

თავი V. 1924 წელი – ლენინის გარდაცვალება და აგვისტოს აჯანყება

1924 წლის იანვარი გარდამტეხი აღმოჩნდა, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საბჭოთა კომკავშირისა და, მათ შორის, საქართველოს კომკავშირის ისტორიაში – ვლადიმერ ლენინი 1924 წლის 21 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მალევე დაინიცირდა კომკავშირისთვის ლენინის სახელის მინიჭების საკითხი, რომელიც 1924 წლის ივლისში აღსრულდა კიდეც. გაზეთი „სპარტაკი“ 1924 წლის 3 თებერვლის ნომერში პირველივე გვერდზე აცხადებდა ამ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსკოვიდან ტელეგრაფით მიიღეს გაზეთის დაბეჭდვამდე რამდენიმე საათით ადრე:

„ახალგაზრდა ლენინელების კავშირი

(მოსკოვიდან პირდაპირ მავთულით)

რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კავშირს ერქმევა ახალი სახელწოდება: „რუსეთის კომუნისტური კავშირი ახალგაზრდა ლენინელების“.[1]

მალევე გაცხადდა, რომ ლენინის გარდაცვალებას კომკავშირი აქამდე არნახული გაფართოებისა და ზრდის გეგმით შეხვდებოდა. ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირი არსებობის ახალ ეტაპზე გადადიოდა: სრულდებოდა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი ეიფორიის წლები და იწყებოდა ძალაუფლებისთვის ბრძოლის რამდენიმეწლიანი ეპოპეა. როგორც ისტორიამ აჩვენა, ამ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი ბიუროკრატიზებულ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. ახალ ქვეყანას უფრო მეტი ახალი ადამიანი სჭირდებოდა, რომელსაც დაეყრდნობოდა ახალი რეჟიმი.

1923 წელს კომკავშირის რიგებში 470 000 ადამიანი ირიცხებოდა, 1924 წლის ბოლოსთვის ეს რიცხვი თითქმის გაორმაგდა. ლენინის გარდაცვალების მომდევნო დღეებში გამოცხადებულ ლენინურ „გაწვევას“ პირველ ეტაპზე 150 000 საბჭოთა

---

1 გაზ. *სპარტაკი*, 1924, N73

ახალგაზრდა გამოეხმაურა კომკავშირის წევრობის სურვილით. საქართველოში სურვილი 3000-მდე ახალგაზრდამ გამოთქვა, რომელთაგან 1000 უსწრაფესად მიიღეს კომკავშირის რიგებში, 1924 წლის ივნისში კი აღმოჩნდა, რომ საქართველოს კომკავშირი 21 000 წევრზე მეტს, წინა წელთან შედარებით 5000 ადამიანით მეტ წევრს ითვლიდა, რაც აიხსნება „ლენინური გაწვევით."

ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა – ნებისმიერი აქტივობა, რომელიც ხორციელდებოდა კომკავშირის მიერ, გაზეთ „სპარტაკის" ფურცლებზე უკავშირდებოდა ვლადიმერ ლენინის სახელს.

აღსანიშნავია, რომ ლენინის გარდაცვალებამ გააჩინა ახალი საფრთხეების მოლოდინიც: საბჭოთა ხელისუფლება საგანგებო რეჟიმში მუშაობდა მსოფლიოს ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და საბჭოთა სახელმწიფოს აღიარების მხრივაც. საფრთხის განცდა არსებობდა როგორც „შიგნიდან[1]", ისე – გარედან. ჩანს, რომ უკვე 1924 წლის მარტიდან, განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა ქართველი ახალგაზრდების ინტეგრაციის ზრდას წითელ არმიაში.

გაზეთ „სპარტაკის" 1924 წლის ორი მარტის გამოცემა წერდა:

„საკითხი ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ ჩვენს წინაშე წამოიჭრა იმის შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყანა განთავისუფლდა სამოქალაქო ომებისაგან და მშვიდობიანობის სურვილით გაჟღენთილი შეუდგა ჯარების რაოდენობის შემცირებას. რაოდენობის შემცირება ერთი მხრივ გვაძლევს საშუალებას ყურადღება მივაქციოთ ჯარის შემადგენლობის ხარისხს და მეორე მხრივ კი შევუდგეთ სისტემატურ და სერიოზულ მომზადებას რეზერვებისა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას საჭიროების დროს უმტკივნეულოთ

[1] მათ შორის შეგვიძლია, მოვიაზროთ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც, როდესაც ქართველებმა, ქვეყნის შიგნით და გარეთ, ჩათვალეს, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ძალაუფლება არ იყო მყარი და შესაძლებელი გახდებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

გავადიდოთ ჯარის რიგები. მტკიცე წითელი ჯარი და სამხედრო ცოდნით მომზადებული ახალგაზრდობის რეზერვები, აი ჩვენი სამხედრო მუშაობის ლოზუნგი. ეს ლოზუნგი კომკავშირს ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჯარის აღმშენებლობაში, მისი როლი ამ საქმეში უფრო მძიმეა იმით, რომ მშვიდობიან დროს ჯარის რიგებს შეადგენს განსაკუთრებით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. ...

ჯარში კომკავშირის წევრების პროცენტი საკმარისია, მაგრამ მათ შორის მუშაობას კავშირის მიერ ყურადღება არ ექცევა. კომკავშირის წევრები ჯარში ობლად გრძნობენ თავიანთ თავს, როდესაც მათი მშობელი ორგანიზაცია ყურადღებას აღარ აქცევს მათ. უმთავრესი ყურადღება კავშირის სამხედრო მუშაობაში უნდა ექცეოდეს წვევანდელებს (დოპროზივნიკი) შორის მუშაობას. წვევანდელი ახალგაზრდა თავის სახლთან იძენს სამხედრო ცოდნას და ემზადება ჯარში შესასვლელად. წვევანდელი ახალგაზრდობა ეს მომავალი წითელი არმიელია. ამიტომ ისინი არ უნდა დაიძრნენ ჩვენი ყურადღების და კომუნისტური ზეგავლენის გარეშე. პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით მთელი პასუხისმგებლობა წვევანდელების შორის პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობაში აწვება ჩვენს კავშირს.

წვევანდელების შორის სამუშაოთ კავშირმა არ უნდა დაიშუროს არც თავისი წევრების ცოდნა და გამოცდილება და არც თავისი საშვალებანი. აქამდის საქართველოში წვევანდელებს შორის თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებდა, არც კავშირის წევრები და არც კავშირის ორგანოები არ ფიქრობდნენ ამ მუშაობაზე.

დღეიდან კავშირმა უნდა მოკიდოს ხელი ამ თავისი ძირითადი მუშაობას, სისტემატიური ხელმძღვანელობით აქტიური მონაწილეობით უნდა შეუდგეს სამხედრო მუშაობას, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს უმთავრესად 1. სამხედრო პროპაგანდაში თავის წევრების და უპარტიო ახალგაზრდობის შორის 2. წითელ არმიასთან დაკავშირებაში და მის რიგებში მუშაობაში. 3. წვევანდელებს შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობაში.

ფორმები მუშაობისა ამ დარგში უკვე გამორკვეულია, მხოლოდ საჭიროა ახლა მეტი ყურადღება სამხედრო მუშაობისადმი და მეტი კავშირი სამხედრო პოლიტიკურ ორგანოებთან. ყველა კომკავშირის წევრს უნდა ახსოვდეს ამ მუშაობის დროს ამხანაგ ტროცკის სიტყვები:

წითელი კაზარმა – ეს სკოლაა კომკავშირისათვის, არც ერთი ახალგაზრდა არ უნდა ასცდეს ამ სკოლას".[1]

კომკავშირელები მთელი 1924 წლის გაზაფხულის მანძილზე მონაწილეობდნენ „ლიკბეზის", ხვნა-თესვისა და პოლიტიკური განათლების გავრცელების კამპანიებში. მთელი ეს პერიოდი გამოირჩევა სამხედრო აქტივობებით – ახალგაზრდების ჯარში გაწვევის ნამდვილი ბუმით: კომუნისტური პარტია საქართველოში ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეეგროვებინა წითელ არმიაში. ცხადია, უკვე არსებობდა ცნობები აჯანყების მზადების შესახებაც – „სპარტაკის" თებერვალ-აგვისტოს ნომრების დიდი ნაწილი სწორედ ახალგაზრდების ჯარში გაწვევის თემას ეხება. მაგალითად, „სპარტაკის" 15 მაისის ნომერში პირველი გვერდი მთლიანად ეთმობა ჯარის საკითხს. პირველ სვეტში მოწოდებულია ინფორმაცია 1902 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევის შესახებ, სადაც ამავე ახალგაზრდებისათვის არის გამოქვეყნებული ერთგვარი პროტოკოლი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჯარისკაცი; სვეტის ბოლოში კი არის შემდეგი შეგონება:

„ამხანაგებო, მწყობრი რიგებით წითელ ჯარში!

<u>ემზადეთ თავდაცვის[2], სწავლის და გამარჯვებისთვის!</u>

1902 წლიანებო, მაღლა აღმართეთ თავისუფლების წითელი დროშა!"[3]

კიდევ უფრო საინტერესოა ამავე ნომერში გამოქვეყნებული მოწოდება, რომელსაც უფრო აგიტაციური ხასიათი აქვს: ავტორი წერს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია წითელი ჯარის ძლიერება, რადგანაც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ყველა მხრიდან არსებობს საფრთხე. თუმცა ტექსტში იკითხება, რომ წითელ არმიას საქართველოში გარკვეული პრობლემები აქვს

---

1 გაზ. *სპარტაკი*, 1924, N77

2 ავტორის ხაზგასმა. (გ.ბ.)

3 გაზ. *სპარტაკი*, 1924, N92

ადამიანების ერთგულებისა და რეკრუტირების თვალსაზრისით:

„.... ახლა იწვევენ 1902 წელში დაბადებულთ, 1902 წელში დაბადებულნიც აღფრთოვანებით გაეშურებიან წითელი ჯარის რიგებში თავიანთი მამების, დედების, ძმების და დების სისხლით მოპოვებული თავისუფლების დასაცავად.

რას შეისწავლის ახალგაზრდა მუშა და გლეხი წითელ ჯარში, წითელ ყაზარმაში? თავდაპირველად იმას, თუ რისთვის მოვიდა ის წითელ ყაზარმაში, იმას, რომ მშრომელთა სახელმწიფოს დაცვა თვით მშრომელთა საქმეა, შეიძენს თავდაცვისთვის აუცილებელ სამხედრო ცოდნას და იმ საშუალებებს, თუ როგორ და რა პირობებში შეუძლია მას მოიხმაროს მიღებული ცოდნა.

წითელ ყაზარმაში გამოიწვრთნება არამარტო წითელი მეომარი, არამარტო საბჭოთა ციხე-სიმაგრეების საიმედო გუშაგი, არამედ გონიერი აღმაშენებელი ახალი საზოგადოების. შეგნებული საზოგადო მოღვაწე.

წითელი ყაზარმა ბევრი სასარგებლო და დადებითი ცოდნის მომცემია. ამის დამამტკიცებელი საბუთია 1901 წელს დაბადებული უვადო შვებულებაში დათხოვნილი წითელ-არმიელები, მათზე ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს, იმათმა უნდა შეიტანონ განათლება სოფლად, ენერგიით აღსავსენმა საჭირო ცოდნით შეიარაღებულებმა უნდა ჩააბან მთელი გლეხობა საბჭოთა აღმშენებლობაში, ახალი (საბჭოთა) სოფლის შენებაში.

ასეთივე მოვალეობა ეკისრება 1902 წელს დაბადებულთაც, ამიტომ ჯარში მორიგ გაწვევას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1902 წელში არ უნდა დარჩეს წითელი ჯარის გარეშე.

ვინც გაურბის წითელ ჯარს, ის მოღალატეა მშრომელთა სახელმწიფოს, ის გაურბის შეგნებულ ცხოვრებას, მას არ სწადია საბჭოთა რესპუბლიკის პატიოსან მოქალაქეთ გახდომა. ის საზოგადოების მავნე ელემენტია, ის ჩვენი მტრების ხელის შემწყობია.

მაშ ამხანაგებო, წითელი ჯარის რიგებში!“[1]

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შიდა „წმენდები“ კომკავშირში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, განსაკუთრებით ეს 1924 წლის მარტი-ივნისის პერიოდში გამოჩნდა: ჯერ კიდევ 1924 წელს, 13 წლით ადრე 1937 წლამდე, 20 მაისის ნომერში, გაზეთი „სპარტაკი“ მოუწოდებდა კომკავშირელებს, გაეწმინდათ ორგანიზაციები „უზნეო და შეუფერებელი წევრებისგან“ „ხორცმეტი ელემენტებისა“ და „პარაზიტებისგან“.[2]

1924 წელს შედგა საქართველოს კომკავშირის VII ყრილობა, რომელიც გაიხსნა 24 ივნისს.[3] 1923 წლის ოქტომბერში გარდაცვლილი ბორის ძნელაძის ნაცვლად კომკავშირის ახალი ხელმძღვანელის თანამდებობაზე გაიოზ დევდარიანი იყო, რომელიც თავად უძღვებოდა სხდომას. დევდარიანმა სხვადასხვა კომისიის წევრების ვინაობის გამოცხადების შემდეგ, დაასახელა ყრილობის საპატიო თავმჯდომარეები: ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, სტალინი, ფილიპე მახარაძე, ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ჩაპლინი. დევდარიანის შემდეგ ტრიბუნა სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა, რომელმაც მიმოიხილა საერთაშორისო მდგომარეობა და ისაუბრა კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე[4] . ყრილობაზე განიხილეს კომკავშირელების რიგი პრობლემები, ისევე, როგორც „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ განადგურების საკითხი, რომელიც პოზიტიურად შეფასდა.[5]

„სპარტაკი“ ივლისის ბოლოდან მოყოლებული ნომრებს უძღვნიდა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან ათი წლისთავის განხილვას. გაზეთი წერდა იმპერიალიზმისა და მსოფლიო ომის კარგად ნაცნობი თემების შესახებ, ბევრჯერ ახსენებდა კარლ ლიბკნეხტის სახელს; შემდეგი – ივლისი-აგვის-

---

1 იქვე.

2 გაზ. სპარტაკი, 1924, N93

3 გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

4 გაიმართა მოსკოვში, 1924 წლის 23-31 მაისს.

5 გაზ. სპარტაკი, 1924, N104

ტოს თვე მთლიანად ეთმობოდა ისეთ რუტინულ საკითხებს, როგორებიცაა პოლიტიკური განათლების, ახალი უჯრედების შექმნის, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის თემები. ივლის-აგვისტოში „ჩეკამ“ უკვე იცოდა საქართველოში აჯანყების მზაობის შესახებ და აგვისტოს დასაწყისშივე (6 აგვისტო) დაკავებული ჰყავდა საფრანგეთიდან ჩამოსული ვალიკო ჯუღელი, პირველი რესპუბლიკის გვარდიის მეთაური. „ჩეკამ“ აჯანყების მომზადების შესახებ ინფორმაცია ადრეული გაზაფხულიდან მიიღო და სწორედ ამას დაამთხვია ჯარის გაძლიერების კამპანია, ყველაზე კრიტიკულ მონაკვეთში კი ამ საკითხიდან ყურადღება გადაიტანა.

სინამდვილეში, „ჩეკა“, საბჭოთა ხელისუფლება როგორც მოსკოვში, ისე თბილისში და საბჭოთა ხელისუფლების ყველა შტო მომზადებული იყო აჯანყების წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ამ შტოებს შორის, ცხადია, კომკავშირიც იგულისხმება, რომელიც ბატალიების წინა ხაზზე აღმოჩნდა მთელ რიგ შემთხვევებში.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, იგივე „დამკომი“, ჯერ კიდევ 1922 წელს შეიქმნა. ორი წლის მანძილზე მზადდებოდა აჯანყება ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. თავდაპირველად აჯანყების თარიღად თებერვალი, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან სამი წლისთავი, განიხილებოდა, თუმცა რიგი მიზეზების გამო, აჯანყებამ ზაფხულის ბოლომდე გადაიწია. გამოსვლები პირველად ჭიათურაში დაიწყო, შემდეგ კი მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. საბრძოლო შეტაკებებში მსხვერპლი ორმხრივი იყო. აჯანყების კრიტიკული პერიოდი 28 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე გაგრძელდა. სანამ დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ ეხმაურებოდა „სპარტაკი“ აჯანყებას, მნიშვნელოვანია, ითქვას, რომ აჯანყებისა და ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველებიც, მენშევიკებისა და პატრიოტულად განწყობილი „დამკომის“ წინააღმდეგ – ბოლშევიკები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის წევრები.

ადამიანების მობილიზებას საბჭოთა ხელისუფლება სპონტანურად ახერხებდა, მაგალითად, აჯანყების პერიოდში ქა-

ლაქ ბათუმში 260-მდე კომკავშირელი იქნა მობილიზებული, ჯამში მთელ ქვეყანაში ასეულობით კომკავშირელი იქნა ჩართული საბრძოლო მანევრებსა და მოქმედებებში. ვიცით, რომ დაღუპულებს შორის საბჭოთა ხელისუფლების მხარეს იყვნენ კომკავშირელებიც: სამტრედიის რაიონ-ორგანიზაციის წევრი, კომკავშირელი ალექსანდრე გრიმალოვი სამტრედიასთან მიმდინარე ბრძოლებში დაიღუპა, კომკავშირელი ბესარიონ მეფარიშვილი – სამტრედია-გურიის საზღვარზე, სოფელ საჯავახოსთან, გალაკტიონ კანდელაკი – წყალტუბოსთან ახლოს, სოფელ საყულიაში, შალვა ურუშაძე – სოფელ დვაბზუში, გურიაში, კომკავშირელი ახალგაზრდა მარუსია დობორჯგინიძე – ასევე გურიაში.[1]

გაზეთმა „სპარტაკმა“ აგვისტოს აჯანყების პარალელურად, 3 სექტემბრის ნომერშივე, განგაშის ზარები შემოჰკრა – გამოცემის პირველივე გვერდზე დიდი ასოებით დაიბეჭდა მიმართვა:

„საქართველოს მუშების და გლეხების მტრებმა, ყველა ჯურის ნაძირალებმა – ყაჩაღების, თავადების და ვაჭრების დახმარებით და ბანდიტ-მენშევიკების ხელმძღვანელობით მოიწადინეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამხობა.

კომკავშირელებო! ფხიზლად დადექით საგუშაგოზე! საქართველოს მუშები და გლეხები თქვენგან მოელიან ხსნას და დახმარებას!“[2]

ამავე წინადადების ქვევით, ორ სვეტად იყო ჩაშლილი სტატია, რომელსაც ერქვა „კომკავშირი – სადარაჯოზე“ და აღწერილი იყო აგვისტოს აჯანყების შესახებ დეტალები და მოყვანილი იყო ის ძირითადი გზავნილები, რაც საზოგადოებამდე უნდა მისულიყო ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან, ამ სტატიაში ძალიან კარგად ჩანს თუ როგორ წარმოაჩენდნენ ერთ დროს თანამებრძოლებს – სოციალ-დემოკრატებს ბოლშევიკები და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ეს დაპირისპირება ხდებოდა ქართულ ენაზე, შიდა

---

1 ლ. ჯიქია, *1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში*. (თბილისი, 2012).

2 გაზ. *სპარტაკი*, 1924, N116

ქართულ სივრცეში, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ის კომკავშირელები, ვინც აჯანყებულებს დაუპირისპირდნენ, თავადაც ქართველები იყვნენ, ორ მხარეს მებრძოლი ადამიანებიდან ბევრი ერთი სოფლის, ან სულაც ერთი ოჯახის წარმომადგენელი იყო, ამგვარი დაპირისპირება ხომ მენშევიკების და ბოლშევიკების უმაღლეს ეშელონებში არსებობდა: ბუდუ მდივანი ბოლშევიკური საქართველოს ერთ-ერთი ბელადი იყო, სიმონ მდივანი – დევნილი მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. საშა გეგეჭკორი – აგვისტოს აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა, როგორც ბოლშევიკური საქართველოს ერთ-ერთი ბელადი, მისი ძმა – ევგენი გეგეჭკორი კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. აი რას წერს „სპარტაკი“ 3 სექტემბერს აჯანყების შესახებ:

„დახავსებული იდეოლოგიურათ, გახრწნილი პოლიტიკურათ და დაფლეთილი ორგანიზაციულათ – მენშევიკური პარტიის ცეკა არ ისვენებს.

უჯარო გენერლები, ყოფილი თავადაზნაურობა და აფიცრობა, პარიტეტულ კომიტეტთან, ამ ერთად-ერთ ურეაქციონერეს ორგანიზაციასთან შეთანხმებით – ახდენს ექსპერიმენტს ქართველი მშრომელი ხალხის თავზე.

იმათ არ იკმარეს თავიანთი „უერთგულესი“ სამსახური ქართველი მუშებისა და გლეხების წინაშე, იმათ არ იკმარეს თავიანთი „საქმენი საგმირონი“ და შავი საქმეების ოქმს ახალი ფურცელი მიაკერეს – ეს იყო საერთო აჯანყება, ორგანიზაცია, ავანტიურა, გამოსვლა ჭიათურაში და წმინდა ყაჩაღური თავადასხმები სასქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

ვინ არიან ეს ვაჟბატონები? რა აინტერესებთ მათ? ვის ემსახურებიან ისინი? ყველამ იცის, რომ საქართველოს მენშევიკური პარტიის ცეკაში სისხლის სამართლის დამანაშავეები, ყოფილი თავადები და სამღვდელოების რწმუნებულები – ეს ხალხია.

გასაგებია თუ რა აინტერესებს მათ. ხროვა კონტრ-რევოლიუციონერებისა ოცნებობს მემამულეთა ბატონობის

დაბრუნებაზე, ოცნებობს მემამულეთაგან წართმეულ ბინების დაბრუნებაზე, ოცნებობს პროლეტარიატის დიქტატურის დამხობაზე.

ამ უშავეს საქმეში, რომელიც მიმართულია ქართველი მუშების და გლეხების წინააღმდეგ, მათ ეხმარებათ მათი საზღვარ-გარეთელი „ძმები“ – გაკოტრებულები საქართველოს სინამდვილეში – ჟორდანიების და მათი კოლეგების სახით და აკი ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშილი (მუშების და გლეხების ჯალათები) ჩამოვიდენ საქართველოში არა „გაზაფხულის შესახვედრათ“, არამედ „გარკვეული მიზნებით-საყოველთაო აჯანყების მოსაწყობათ“.

ამ ავანტიურისტებმა შესძლეს თავის მოყრა ბრბოებისთვის და ამით დროებით ხელი შეუშალეს საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელიც აღმშენებლობის ფრონტზე ახმარს მთელ თავის ძალ-ღონეს.

იმათ მოაწყვეს უსაცოდავესი, უსუსური გამოსვლები და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – ადგილობრივი მშრომელთა ძალებით მათ მაშინვე მოეგრიხათ კისერი.

<u>კომკავშირმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის ღირსეული რეზერვია კომპარტიისა[1].</u>

კომკავშირის წევრები – პირნათლათ გამოვიდნენ ამ ავანტურისტების წინააღმდეგ, დადგენ პირველ რიგებში და მთელ მშრომელ ხალხთან ერთად ნაცარმტვრათ აქციეს ეს ავანტიურისტული ზრახვანი.

მენშევიკური პარტიის გახრწნილმა სულმა, ნაციონალ-დემოკრატებთან და საქართველოს სამღვდელოებასთან ერთად, უკანასკნელათ გაგვატანა „გედის სიმღერა“.

ჩვენი კავშირი ამ ყაჩაღების და ბანდიტების უკანასკნელი ხრიალის წუთს მზათ იქნება სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გახრწნილ სხეულს“[2]

მაშასადამე, 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში, როგორც უკანასკნელი ანტისაბჭოთა აჯანყებისას საქართველოში, სა-

---

[1] ავტორის ხაზგასმა. (გ.ბ.)

[2] იქვე.

ქართველოს კომკავშირი აღმოჩნდა ღია ბრძოლაში საკუთარი მოსახლეობის ნაწილთან. 1924 წელს საბოლოოდ განადგურდა ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის ფართო ორგანიზების შანსები საქართველოში. წინააღმდეგობამ მრავალი წლით გადაინაცვლა ემიგრაციაში, პოლიტიკური პარტიებისა და ახალგაზრდული მოძრაობების განადგურების პარალელურად კი კომკავშირი იქცა უალტერნატივო ახალგაზრდულ ორგანიზაციად, რომელიც კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უჯრედს წარმოადგენდა და საბჭოთა საქართველოში, ისევე, როგორც მთელ კავშირში, ახალგაზრდათა სოციალიზაციის ყველა შრეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს წარმართავდა, განაგებდა და აკონტროლებდა.

თავი VI. 1924 წლიდან 1930 წლამდე – ჰეგემონიის დასაწყისი

საბჭოთა ძალაუფლების გამყარების პარალელურად უფრო და უფრო იზრდებოდა კომკავშირელების რიცხვი ქვეყანაში. 1925 წლის დეკემბრისთვის საქართველოს კომკავშირის წევრებისა და კანდიდატების საერთო რაოდენობა 50 000 ადამიანამდე გაიზარდა (35 000-მდე კომკავშირელი, დანარჩენი – კანდიდატი). კომკავშირს კვლავ აქტიურად კურირებდა სერგო ორჯონიკიძე. 1925 წლისთვის კომუნისტურმა პარტიამ შეძლო პარტიული იდეოლოგიის პროპაგანდისტი ახალგაზრდების 278 ჯგუფის შექმნა მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ჯამში 3400 ადამიანს შეადგენდა. არსებობდა 337 პოლიტიკური სკოლა, რომელიც 9800-მდე ახალგაზრდას აერთიანებდა. ცხადია, რუსეთის სამოქალაქო ომის დასრულებისა და საქართველოში აჯანყების ჩახშობის შემდეგ, კომკავშირის სისტემის ცენტრალიზება კიდევ უფრო სწრაფად და მეტი სიმძლავრით ხორციელდებოდა.[1]

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლების სათავეებთან მისული სტალინი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა 1925 წლის 6 აპრილს. სიტყვა კომკავშირს ეხებოდა და ცნობილია, როგორც სიტყვა „სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ". გამოსვლაში სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანი იყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყურადღება გადატანილიყო სასოფლო საზოგადოებებში კომკავშირის გაძლიერებასა და საბჭოთა სახელმწიფოსთან მისი იდეოლოგიური შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

სტალინის მიერ დასახული ამოცანები შემდეგია: პირველი – ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისათვის ძირითადი პროლეტარული ბირთვის ჩამოყალიბება, რადგან კომკავშირის ბირთვი ცალსახად პროლეტარი ახალგაზრდებისგან უნდა

---

[1] გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

ყოფილიყო შემდგარი; მეორე – კომკავშირის პროლეტარული ბირთვი უნდა განაწილებულიყო კავშირის საკვანძო პუნქტებში და ძირითად რაიონებში, რათა ამ ბირთვს ახალგაზრდობის გლეხურ ნაწილში შეეტანა პოლიტიკური ცნობიერება; დაბოლოს – გლეხი ახალგაზრდების მცირერიცხოვანი აქტივი ყველა სოფელში უნდა ჰყოლოდა კომკავშირს, სოფლად – პროლეტარული პოლიტიკა საზოგადოების ამ სეგმენტს უნდა გაეტარებინა, სოფლის გლეხობა მშრომელ მასებთან გლეხთა კომკავშირებს უნდა დაეკავშირებინა.

1925 წლის ბოლოსთვის ასეც მოხდა: 1998 კომკავშირული უჯრედიდან საქართველოს სოფლად არსებობდა ამ რიცხვის სრული უმრავლესობა – 1412 უჯრედი. მათში გაერთიანებული იყო 35 000-მდე კომკავშირელი. ეს ხალხი ქმნიდა სასოფლო-სამეურნეო წრეებს, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფოსთან ერთად აორგანიზებდნენ რიგ აგროკულტურულ შეჯიბრებებსა და ღონისძიებებს.[1] ცხადია, სოფლად კომკავშირის გააქტიურება სტალინის შორს მიმავალი გეგმების ნაწილი იყო. კოლექტივიზაციის მასობრივ კამპანიამდე ჯერ კიდევ სამი წელი იყო დარჩენილი. სოფლებში კომკავშირული უჯრედების შექმნით სტალინი იმზადებდა დასაყრდენს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მასშტაბური გეგმების მთავარი განმახორციელებელი იქნებოდა მომავალ წლებში.

კომკავშირი 1925 წლის განმავლობაში აგრძელებდა აქტიურობას არა მხოლოდ სოფლად, არამედ ქარხნებში, უნივერსიტეტებსა და საბჭოთა არმიაშიც. არ არსებობდა არცერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც არ იყო კომკავშირი. მაგალითად, საბჭოთა ჯარში იყო სპეციალური კომკავშირული უჯრედები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ჯარის პოლიტიკურ სოციალიზაციაზე, საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელებასა და იდეოლოგიურ მომზადებაზე. არსებობდა შიდა გაუგებრობები ჯარსა და კომკავშირს შორისაც, მაგალითად, აღსანიშნავია გაზეთ „წითელარმიელის“ 1925 წლის 14 აპრილის ნომერი, სადაც ჩანს, რომ კომკავშირი „ერეოდა“ ჯარის

[1] იქვე

საქმეშიც. ეს ამონარიდი შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც შიდა ძალაუფლებრივი დისკუსია საბჭოთა ჯარსა და კომკავშირს შორის საბჭოეთის პერიფერიაზე, ტრანსკავკასიის ფედერაცია საქართველოში:

„ზოგიერთი კომუჯრედების წევრებსაც ნაკლები წარმოდგენა აქვთ საადმინისტაციო ფუნქციებზე, რაც ხშირათ გაუგებრობასაც იწვევს ნაწილების ცხოვრებაში, კომუჯრედი ზოგიერთ შემთხვევაში სამწყობრო-საადმინისტრაციო შინაარსის საკითხებს აყენებს კრებაზე და გამოაქვს ერთგვარი განაჩენი, ასეთი მოქმედება უჯრედების და ბიუროების მხრით სრულიად ეწინააღმდეგება სამხედრო პარტიულ სტრუქტურას. ჩვენი სამხედრო უჯრედების უფლებები უფრო სხვა ხასიათის არიან, ვიდრე სამოქალაქოსი, მაგრამ არც ამ უკანასკნელთა უჯრედებსაც არ აქვთ ადმინისტრატიული უფლებების სარგებლობის ნება. ამის მაგალითები ბევრი აღმოჩნდა უჯრედების გასინჯვის დროს, რაც უჯრედების მუშაობაში უარყოფითად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითისთვის, ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ნაწილებშიც. პირველ შემთხვევაში, უჯრედში ისმება საკითხი ნაწილის უფროსის მუშაობის შესახებ. შემდეგ კრება აღნიშნავს, რომ ნაწილის უფროსის მუშაობა იქნეს შეფასებული არა დამაკმაყოფილებლათ და წინადადებას აძლევს ნაწილის უფროსს შემდეგში აღნიშნული ნაკლები იქნეს გამოსწორებული. მეორე შემთხვევაში უჯრედი ადგენს, მიენდოს რამოდენიმე ამხანაგებს, რომ მათ დილით ადგენ ყველაზე ადრე და მიაქციონ ყურადღება ყველა კურსანტების ჩაცმულობასდა იმას მათი ლოგინი გასწორებულია თუ არა.

მეორე შემთხვევა: დისციპლინური სასჯელი ეძლევა ამა თუ იმ კურსანტს და ამ შემთხვევაში უჯრედი იხილავს საქმეს და სამწყობრო დარგის უფროსს პასუხს სთხოვს, თუ რატომ მან დასაჯა ესა თუ ის პირი. ყველა ჩანიშნული მაგალითიდან დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ უჯრედი ეს ყველაფერია ნაწილში და სამწყობრო დარგიც მის ზეგავლენის ქვეშ უნდა

იყოს. უჯრედის ასეთი მოქმედება თავის მოვალეობათა და ფუნქციების არ ცოდნას ნიშნავს. ჩვენს ნაწილებში და განსაკუთრებით სამხედრო სკოლებში საკმარისად გვყავს პასუხისმგებელი მომუშავეები, რომლებიც განაგებენ, როგორც პოლიტიკურ მუშაობის მხარეებს, აგრეთვე სამწყობრო საქმესაც. ამავე დროს ხდება ისეთი გაუგებრობა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. აქ უსათუოდ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ, რაც საშვალებას მოგემს კითხვის სწორეთ გადასაჭრელათ. ეს არის ჩვენის აზრით უჯრედების და ბიუროების ჩამოშორება და დაუკავშირებლობა ნაწილის პასუხისმგებელ ამხანაგთან. ჩვენს ნაწილის ორგანიზაციებს, რომ მჭიდრო კავშირი ქონდეთ ნაწილის ხელმძღვანელ ამხანაგებთან, მაშინ არავითარ უჯრედების და ბიუროების ჩარევას არ ექნება ადგილი საადმინისტრაციო-სამწყობრო დარგებში. ამიტომ შემდეგში, რომ ადგილი არ ექნეს უჯრედების მიერ თავიანთი უფლებების გადაჭარბებას საჭირო იქნება უჯრედებში დასვან და გაარჩიონ საკითხი უჯრედების უფლებების შესახებ სამხედრო დარგში, მხოლოთ მომხსენებელი წინასწარ უნდა გაეცნოს სამხედრო დარგის უჯრედების სათანადო დებულებებს“.[1]

ამგვარი დაპირისპირებები მიუთითებს, რომ წითელ არმიასა და კომკავშირს შორის ადრეულ საბჭოთა პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ინსტიტუციური „ერთიანობა.“ ეს ორი სხვადასხვა სტრუქტურა იყო და გარკვეულ საკითხებზე „ვერ თანხმდებობდნენ“. სტალინის ძალაუფლების კონსოლიდაციის პარალელურად ამგვარი შიდა დაპირისპირებები, ბუნებრივია, შენელდა და ეტაპობრივად გაქრა. სტალინური ძალაუფლებისთვის ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი პოლიტბიუროსა და, უფრო კონკრეტულად, ბელადის პრიორიტეტების უსიტყვო შემსრულებლებად იქცა.

1925 წლის 18-31 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობა. გადაწყდა, რომ საჭირო იყო სოფლებში კერძო ვაჭრობისა და აღებ-მიმცემობის მომხრე ელემენტებთან ბრძოლა, „ძლიერი გლეხების“/ „კუ-

[1] გაზ. *წითელარმიელი*, 1925, N81

ლაკების“ დამარცხება, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოეთის სოფლებში კაპიტალიზმის გაჩენას; ასევე, გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარებისთვის სოფლად მუშაობაზე მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა სწრაფი ინდუსტრიალიზაცია – საბჭოთა კავშირი დიდ აგრარული სივრციდან ინდუსტრიულ გოლიათად უნდა გადაქცეულიყო. ყრილობის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება, ცხადია, მომდევნო წელს კომკავშირის აქტივობებზეც აისახა.

მნიშვნელოვანია ლევ ტროცკის (ისევე, როგორც მისი მსოფლიო რევოლუციის შესახებ კონცეფციის) დამარცხების საკითხი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. XIV ყრილობა დადგა სტალინური თეზისის – „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში,“ მხარეს და ეს აისახა, მათ შორის, საქართველოს კომკავშირის პოზიციონირებაში.

1926 წლისთვის „კომკავშირი“ უკვე 10 მილიონამდე ახალგაზრდას აერთიანებდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მისი წევრები ქალაქებში მცხოვრები მძიმე მრეწველობაში დასაქმებული მუშები, სტუდენტები და გლეხები იყვნენ. გლეხობაში პოპულარობის ზრდა ამ წელსაც რჩებოდა გამოწვევად კომუნისტური პარტიისათვის – 1926 წელს ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მათ შორის, შეგვიძლია, მოვიაზროთ რიგი „მეგაპროექტები“, რომლებიც ხორციელდებოდა სოფლად ქალაქსა და სოფელს შორის განვითარებაში არსებული ჩამორჩენის შესავსებად. საკვანძო კამპანიებსა და ინიციატივებში განიხილება ინტენსივობის ზრდა სოფლად წერა-კითხვის გავრცელების საქმესა და ახალგაზრდებისათვის ტექნიკური განათლების მიცემის კამპანიაში, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ახალგაზრდები სწავლობდნენ მშენებლობისა და სამრეწველო საწარმოებში მუშაობის სპეციფიკას, ეს კი ინდუსტრიალიზაციის გეგმისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

ყრილობის ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს კომკავშირიც – 19 იანვარს თბილისში შეიკრიბა ადგილობრივი, ყველაზე დიდი უჯრედი და შესაბამისი რეზოლუცია მიიღო:

„მოისმინა რა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება მე-14 ყრილობის შედეგების შესახებ, საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის თბილისური ორგანიზაციის აქტივი სავსებით და მთლიანად უერთდება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის თათბირის რეზოლიუციას და აგრეთვე იმ რეზოლიუციას, რომელიც გამოიტანა 17 დეკემბერს რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ცეკამ კომკავშირის ლენინგრადის ორგანიზაციის მოქმედების შესახებ.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი აღნიშნავს მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დიდ ისტორიულ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში და მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს დაწვრილებით და კეთილსინდისიერად შეისწავლონ ეს გადაწყვეტილება და იხელმძღვანელონ მით ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

კომკავშირის თბილისი ორგანიზაციის აქტივის კრება სთვლის სწორად ყრილობის გადაწყვეტილებას სახელმწიფო მრეწველობის, როგორც „თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის“ წარმოებათა შესახებ და იწონებს იმ წინააღმდეგობას, რომელოც ლენინურმა პარტიამ გაუწია სახელმწიფო მრეწველობის სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთ სახეთ წარმოდგენის ცდებს.

სდგას რა სავსებით რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე კომკავშირის ამოცანების შესახებ პარტიის XIV ყრილობასთან დაკავშირებით, თბილისის ორგანიზაციის აქტივი მახლობელ პერიოდისათვის თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლის იმას, რომ მიაღწიოს კავშირის რიგებში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის პერსპექტივების ნათელ და სწორ გაგებას. ...

თბილისის ორგანიზაციის აქტივი მოუწოდებს მთელ ორგანიზაციას შეთანხმებულ საერთო მუშაობისაკენ ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მათი ღრმა და დეტალურ შესწავლისაკენ და თავის რიგებში ლენინური მთლიანობის

განმტკიცებისაკენ ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და კოლექტიური ბელადის – საკავშირი კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ“.[1]

1926 წლის იანვარ-თებერვალში მთელი საბჭოეთის მასშტაბით მსგავსი რეზოლუციები ყველა ადგილობრივმა პარტიულმა თუ კომკავშირულმა ორგანიზაციამ მიიღო. თებერვლის ბოლოს, 22-27 თებერვალს, შედგა საქართველოს კომკავშირის VIII ყრილობა. ცხადია, მისი მისია კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებთან კომკავშირის აქტივობების თანხვედრის საჯარო დემონსტრირება იყო.

ყრილობას 283 დელეგატი ესწრებოდა. ისინი საქართველოს კომკავშირის 50 000-მდე წევრს წარმოადგენდა. ყრილობის დღის წესრიგში ექვსი მთავარი საკითხი იყო გამოტანილი: 1) მიმდინარე მომენტი და პარტიის პოლიტიკა; 2) ცეკა-ს ანგარიში; 3) პიონერთა ცენტრალური ბიუროს მოხსენება; 4)განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება; 5) ეკონომიკური მუშაობის შესახებ მომავალი ამოცანების შესახებ მოსმენა; 6) ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

საქართველოს კომკავშირმა რეზოლუციით დაისახა ამოცანები, რომლებიც, ბუნებრივია, თანხვედრაში მოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის პრიორიტეტებთან, მათ შორის, ინდუსტრიალიზაციისა და კულაკებთან ბრძოლის თვალსაზრისით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც 1926 წელს საქართველოს კომკავშირი ახორციელებდა, იყო ე. წ. „წარმოების რაციონალიზაცია,“ რომელიც გულისხმობს საქართველოს მრეწველობაში ზედმეტი ხარჯების მოძიებას, მათ შეკვეცას, შესაძლო გაფლანგვების აღმოჩენასა და გაფლანგვაზე პასუხისმგებელი პირების სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის უზრუნველყოფას. ამას „რეჟიმ-ეკონომია“ ეწოდებოდა და კომკავშირი თათბირებზე წყვეტდა, თუ რომელ კონკრეტულ საწარმოსთან მიმართებით უნდა გააქტიურებულიყო ესა თუ ის ჯგუფი.

---

1 გაზ. *კომუნისტი*, 1926, N16

1926 წლის გაზეთებიდანვე იწყება სოფლად არსებული „მავნებლების“ ანუ კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია. გაზეთ „კომუნისტის“ არაერთ ნომერში გვხვდება შესაბამისი სტატია, სადაც აღწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, „კულაკების“ წინააღმდეგ ბრძოლის დეტალები.

წარმოების ტემპებისა და წარმოების „რაციონალიზაციის“ ამოცანის ეგიდით საქართველოს კომკავშირმა დაიწყო რიგი ღონისძიებების გატარება საწარმოებში, იქმნებოდა გამომგონებელთა და „რაციონალიზატორთა“ ჯგუფები, ეწყობოდა კონკურსები „საუკეთესო მწარმოებლების“ გამოსავლენად. 1927 წლის მარტში თბილისში მოეწყო კონკურსი საუკეთესო მწარმოებელზე, რომელშიც 136 კომკავშირელი იღებდა მონაწილეობას. ამგვარი კონკურსები მალევე გავრცელდა ქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით: შეჯიბრება ტარდებოდა ტყის მრეწველობაში, თამბაქოს მრეწველობის ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებში, ტელეგრაფის სახელოსნოებსა და ა. შ. მოვლენას კამპანიური ხასიათი ჰქონდა და ფართოდ არის წარმოდგენილი იმ პერიოდის პერიოდიკაში. ამგვარმა ღონისძიებებმა შრომის ნაყოფიერება აამაღლა. 1927 წელს 1926 წელთან შედარებით 130-150%-ით იყო გაზრდილი შრომის ნაყოფიერება. თბილისიდან შეჯიბრება საქართველოს ყველა საწარმოში გავრცელდა, მათ შორის – ქუთაისის, ტყიბულის, სოხუმის, ჭიათურის, სამტრედიის, ხაშურის საწარმოებში.[1]

ამგვარმა კონკურსებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნიკური ცოდნის საჭიროებას. აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა ათეულობით წრე, სადაც ისწავლებოდა საწარმოო საქმე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოებში შექმნილი წრეები. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე ახალი ფაკულტეტების – მუშათა ფაკულტეტების (მუშფაკი) შექმნა იყო. მათი მიზანი ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების უმაღლესი განათლების მისაღებად მომზადება იყო. 1926-1927 წლებში საქართველოში მუშათა და გლეხთა ფა-

[1] გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

კულტეტების 1800-მდე მსმენელი არსებობდა. 1928 წლისათვის უკვე გახსნილი იყო მრეწველობისა და საქარხნო საქმის შემსწავლელი შვიდი სკოლა, სადაც პრაქტიკულ განათლებას იღებდნენ ზოგადი განათლების მქონე ადამიანები. 1927-1928 წლებში გაიხსნა ათეულობით პროფესიული სასწავლებელი და კურსი, რომლებიც 1928 წლის ბოლოსთვის 60-მდე სასწავლებელსა და 5000-მდე მოსწავლეს აერთიანებდა.

კომუნისტური ხელისუფლების ამგვარმა მიდგომამ ახალგაზრდებში წაახალისა გამოგონებებისა და ინიციატივების სურვილი, შეიქმნა წარმოების „რაციონალიზატორებისა“ და ახალგაზრდა გამომგონებლების წრეები, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნების ინფრასტრუქტურულ განახლებაზე. აღსანიშნავია, რომ 1926-1929 წლებში საქართველოში აშენდა 50-მდე მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა სამრეწველო პროდუქციის წილი ადგილობრივ ეკონომიკაში. მთელ ამ პროცესში კომკავშირი ჩართული იყო როგორც მშენებლობის, ისე საწარმოების ინსტიტუციური მოწყობის კუთხით.[1]

1927 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის შემდეგ, რომელიც შიდაპარტიული ბრძოლის კულმინაცია იყო და პარტიიდან ლევ ტროცკისა და გრიგორი ზინოვიევის გარიცხვით დასრულდა, მნიშვნელოვნად გამყარდა იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) პოზიციები პოლიტბიუროში. ყრილობამ პრიორიტეტად დაისახა კოლექტივიზაციის ამოცანა, რაც გულისხმობდა მთელი საბჭოეთის მასშტაბით მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის კამპანიის პარალელურად ყურადღების გადატანას სოფლად არსებულ მდგომარეობასა და სოფლებში კერძო საკუთრების შეზღუდვას კოლექტიური საკუთრების სასარგებლოდ.

XV ყრილობამ მიიღო დირექტივაც, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის შენებაში კომკავშირის განსაკუთრებულ როლს.

---

[1] იქვე.

ყრილობის შემდეგ კომკავშირმა დაიწყო მზადება IX ყრილობისათვის. ტრადიციულად, საკავშირო კომუნისტური პარტიის ყრილობებს საქართველოს კომკავშირი ამგვარად პასუხობდა, თუმცა მანამდე, იანვარში, მოეწყო არაერთი კონფერენცია, სადაც იყო მსჯელობა ყრილობის შედეგებსა და გეგმებზე. გარდა კოლექტივიზაციის ამოცანისა, ყრილობამ ტროცკისტების პარტიიდან გაყრის პროცესიც დაასრულა, რაც გულისხმობს იმას, რომ კომკავშირი კვლავ რჩებოდა საჯარო პოლიტიკურის გარდა, პოლიტიკური ინტრიგებისა და შურისძიების სივრცეში – ტროცკისტებთან ბრძოლა კომკავშირსაც ეხებოდა.

1928 წლის 27 თებერვალი-4 მარტის განმავლობაში შედგა საქართველოს კომკავშირის IX ყრილობა, რომელსაც 322 დელეგატი ესწრებოდა, ისინი 72 000 კომკავშირელს აერთიანებდნენ. ჩანს, რომ კომკავშირელთა რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად კოლოსალურად იზრდებოდა.

ყრილობა მიხა ცხაკაიას სიტყვით გაიხსნა. მან ისაუბრა საქართველოს კომკავშირის ისტორიაზე. ამას მოჰყვა საქართველოს ახალგაზრდული კომკავშირის ანგარიშის განხილვა: კომკავშირის მუშაობის შედეგები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კვალიფიციური მუშახელის მომზადების საკითხში, კომკავშირის გასამხედროების საბჭოებსა და პროფკავშირებში მუშაობის საკითხები. ყრილობამ განსაზღვრა, რომ კომკავშირი იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და რაციონალიზაციის პროცესში. ყრილობამ კომკავშირელებს მიანიჭა ძალაუფლება, რომ წითელ არმიასთან ერთად მთავარი როლი შეესრულებინათ საქართველოს სოფლებში კოლექტივიზაციის, თუნდაც, ძალადობრივი ფორმებით განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ კოლექტივიზაციის კურსის საკავშირო კონგრესის შედეგად გამოცხადებამდე, კომკავშირი უკვე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებში. ეს კარგად ჩანს გაზეთ „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ მაშინდელ გამოცემებში.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში კომკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა განათლების პოლიტიკის ორგანიზებაშიც. საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VIII ყრილობის შემდეგ მასშტაბურად დაიწყო გლეხი ახალგაზრდობის მოსამზადებელი სკოლების გახსნა და საქართველოს ყველა კუთხეში გაჩნდა ამგვარი სკოლა. ცხადია, ეს სკოლები ითვალისწინებდა გლეხების იდეოლოგიზების ამოცანას, მათი ერთგულების უზრუნველყოფას და მათი სახით მომხრეების გაჩენას კულაკებთან ბრძოლის, მათ შორის, ხშირად ძალადობრივი ბრძოლის პროცესში. მნიშვნელოვანი იყო სასტამბო საქმეც: კომკავშირს ჰქონდა ორი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემა – „ახალგაზრდა კომუნისტი“[1] და „ახალგაზრდა ბოლშევიკი“.[2]

თუ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XV ყრილობას შევხედავთ, როგორც სტალინის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ გადადგმულ ყველაზე დიდ ნაბიჯს, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ სტალინის 1928 წლის 16 მაისის მიმართვას სრულიად საბჭოთა კავშირის კომკავშირისადმი. საკავშირო ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე სტალინმა ახალგაზრდებს ვრცელი სიტყვით მიმართა და მისი საშუალებით მინიმუმ 1953 წლამდე განსაზღვრა კიდეც საბჭოთა მმართველებსა და ახალგაზრდულ კომკავშირს შორის ურთიერთობის შინაარსი.

---

1 გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1925 წლიდან გამოდიოდა ნაცვლად გაზეთ „სპარტაკისა“, რომელმაც 1925 წელს შეწყვიტა არსებობა.

2 გ. ჟვანია, ვ. ქარუმიძე, & ნ. ჩახვაშვილი, *საქართველოს კომკავშირის ისტორია*. (ნაკადული, 1968).

დასკვნა:

1921 წლიდან საბჭოთა საქართველოში კომკავშირმა არსებობა დაიწყო როგორც კომუნისტური პარტიის ჯერ კიდევ სუსტმა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანმა უჯრედმა. იგი რამდენიმე ასეულ ადამიანს აერთიანებდა და ქართველების ნაწილისთვის მტრული ძალის, საბჭოთა რუსეთის მოკავშირეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური პარტიის ახალგაზრდული უჯრედი, კომკავშირი, ძირითადად ქართველი ახალგაზრდებისგან იყო დაკომპლექტებული და, არსებითად, არც პატრიოტულ-ქართული იდენტობისგან იყო ბოლომდე დაცლილი. ამას XX საუკუნის 20-იანი წლების განმავლობაში კომკავშირის მიერ გამოცხადებული შიდა „წმენდის“ კამპანიაც აჩვენებს, რომელიც კომკავშირის სწორედ პატრიოტულად განწყობილი წევრების წინააღმდეგ იყო მიმართული.

თუ ათწლეულის დასაწყისში კომკავშირი რამდენიმე ასეულ ადამიანს აერთიანებდა, რომლებიც დაპირისპირებულნი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისგან დანატოვარ სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებთან, ათწლეულის ბოლოსთვის კომკავშირელთა რიცხვი საქართველოში 50 000 ადამიანს აღემატებოდა. მისი წევრობა პრივილეგიებსაც ნიშნავდა, თუმცა მასში მოხვედრა მარტივი არ იყო. კომკავშირელობა, განსაკუთრებით ათწლეულის დასაწყისში, საგანგებო და რუტინული შერჩევის/შემოწმების შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი.

საქართველოს კომკავშირი საბჭოთა ძალაუფლებას ახორციელებდა ქვეყნის მასშტაბით როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე – პოლიტიკურ ველზე. კვლევაში გამოჩნდა, რომ 1920-1930-წლიანი მონაკვეთის მანძილზე კომკავშირზე გავლენა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის გამორჩეულად ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელიც საქართველოში სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის ტანდემით გამოიხატებოდა.

საქართველოს კომკავშირმა მონაწილეობა მიიღო რო-

გორც „ახალგაზრდა მარქსისტების“ (საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი ახალ-გაზრდული ორგანიზაცია) ლიკვიდაციაში, ასევე კომუნის-ტური პარტიის შიგნით ჯერ გამორჩეულად პატრიოტულად განწყობილი, მოგვიანებით, გამორჩეულად რევოლუციურად განწყობილი ადამიანების დამორჩილებაში. კომკავშირის ყო-ველი ნაბიჯი შეთანხმებული იყო საბჭოთა ხელისუფლებას-თან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ქართველ საზოგადო-ებასთან აუცილებლობით იყო დაპირისპირებული. 1924 წლის აჯანყებამაც აჩვენა, რომ აჯანყებულებთან ბრძოლაში კომ-კავშირმა აქტიური როლი შეასრულა. კომკავშირის მხრიდანაც არაერთი ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა დაპირისპირებულ მხარესთან, დამოუკიდებლობის კომიტეტის გარშემო შემოკ-რებილ ქართველებთან, ბრძოლაში.

რა აძლევდა კომკავშირს გავლენების სიმყარეს, რაც ორ-განიზაციის მუდმივ ზრდასა და გაძლიერებას განაპირობებ-და? ბოლშევიკების მუდმივი მხარდაჭერის გარდა პირველი მსოფლიო ომის, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე მიმდინარე სამოქალაქო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის სამწლიანი არსებობის შემდეგ, საქართველოს სა-ზოგადოება უკიდურესად დასუსტებული იყო მატერიალუ-რად. საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ვერ უზ-რუნველყოფდა საზოგადოების კეთილდღეობას. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც უკვე დასრულებუ-ლი იყო შიმშილობის პირველი დიდი ტალღა საბჭოთა რუსეთ-ში, კომკავშირს მეტი სივრცე მიეცა ძალაუფლების ორგანიზე-ბისათვის. ვლადიმერ ლენინის გარდაცვალებამ ეტაპობრივად შექმნა სივრცე საბჭოთა კავშირის პოსტრევოლუციური ტრან-სფორმაციისათვის რევოლუციური საზოგადოებიდან ინდუს-ტრიულ საზოგადოებამდე. უკვე 1921 წლიდან დაწყებულ კამ-პანიებს წარმოებების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო განვი-თარებისა და წერა-კითხვის გავრცელების სფეროებში, 1924 წლიდან მიენიჭა კიდევ უფრო ინსტიტუციური და ინტენსიური ხასიათი. კომკავშირში წევრთა რაოდენობის ყოველწლიური

ზრდა შესაძლებელს ხდიდა ბოლშევიკური პოლიტიკური კურსების გატარებას საქართველოს უფრო და უფრო მეტ დასახლებულ პუნქტში.

ენა, რომელსაც კომკავშირი მოწინააღმდეგეთა მიმართ იყენებდა, სასტიკი და მძიმე იყო. ყველა, ვინც გაიბრძოლებდა კომუნისტური პარტიისა თუ სტალინის წინააღმდეგ, საზოგადოების მტრად ცხადდებოდა. თუ ლუი ალთუსერის განმარტებას გამოვიყენებთ, კომკავშირი სახელმწიფოს იდეოლოგიური აპარატის ერთ-ერთი უჯრედი იყო, რომელიც არასასურველი „ელემენტების“ წინააღმდეგ სხვადასხვა რეპრესიულ ზომაში იღებდა მონაწილეობას.

კომკავშირს ჰქონდა როგორც რეპრესიული, აგრესიული ბუნება, ასევე წარმოადგენდა საბჭოთა ინფრასტრუქტურული განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტიტუციურ საყრდენს, რომელსაც სჭირდებოდა ადგილობრივი კადრების ინტეგრირება. 1930 წლის ბოლოსთვის საქართველოს 50 000-მდე ახალგაზრდა კომკავშირის წევრი, ანუ საბჭოთა ძალაუფლების გამტარი გახდა. ისინი ჯერ მენშევიკების, შემდეგ ნაციონალ-უკლონისტებისა და, უფრო მოგვიანებით, ტროცკისტების დამარცხების შემდეგ, საბჭოთა საქართველოს საჯარო პოლიტიკურ კურსებსა და ინფრასტრუქტურული/საზოგადოებრივი განვითარების პროექტებს წარმართავდნენ.

სტალინის ძალაუფლების კონსოლიდაციის პარალელურად კომკავშირი სტალინმა ძველი რევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად შეამზადა. „კრიტიკა ქვევიდან“ ნიშნავდა, რომ სტალინს ახალი სახელმწიფოს შენების გზაზე ახალგაზრდობა სჭირდებოდა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი. ლენინის გარდაცვალებამდე კომკავშირის წევრობა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა, სტალინმა კი კავშირის გზა გაუხსნა მილიონობით ახალგაზრდას და მათი სახით ერთგული ადამიანების მთელი არმია მიიღო, რომელსაც სამომავლოდ პოლიტიკურ ბრძოლებში გამოიყენებდა.

საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესების შედეგად იზრდებოდა იმ ადამიანების

საჭიროება, ვინც ხსენებულ მეგა-პროექტებს განახორციელებდა. ქალაქის მოსახლეობის მატება ავტომატურად ზრდიდა სკოლებისა და უნივერსიტეტების რიცხვს, რაც ხელს უწყობდა კომკავშირელთა რაოდენობის სწრაფ ზრდას. 1930-იან წლებს საბჭოთა კავშირი ძალაუფლების კონსოლიდაციის გზაზე მდგომი იოსებ ჯუღაშვილითა და უზარმაზარ სახელმწიფო უჯრედად ქცეული კომკავშირით შეხვდა. კომკავშირი საკვანძო როლს ასრულებდა საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციებშიც.

კომკავშირის ჰეგემონია საბჭოთა კავშირში 1924 წლის აჯანყების შემდეგ დიდი ხნით დამყარდა. „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ და სხვა მსგავსმა ორგანიზაციებმა გადაინაცვლა საზღვარგარეთ, სადაც თავის შენახვა განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

1920-1930-იან წლებში კომკავშირის რიგებში ათეულობით ათასი ქართველის შესვლამ ორგანიზაციას ლეგიტიმაცია შემატა ადგილობრივ მოსახლეობაში. წერა-კითხვის გავრცელების კამპანიები დიდწილად ქართულ ენაზე ტარდებოდა, რამაც კომკავშირის უცხო ორგანიზმად მიღების საშიშროება აღმოფხვრა. კომკავშირი ქართული საბჭოთა პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

გიორგი ბერიძე

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ემიგრაციაში და მიხეილ ხუნდაძე

საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შედეგად ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ ანტიბოლშევიკური და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ერთგული პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა საქართველოში ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. ბოლშევიკურმა წნეხმა და დევნამ ერთმანეთის მიყოლებით აიძულა ქართული პოლიტიკური პარტიები ლეგალური საქმიანობა შეეჩერებინათ და თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინათ. იგივე ბედი გაიზიარეს პარტიათა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმაც.

1921 წელსვე 26 მაისის აღსანიშნად გამართულ დემონსტრაციას საბჭოთა ხელისუფლებამ დაპატიმრებათა სერიით უპასუხა. დაპატიმრებულთა შორის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელთან და უხუცეს წევრთან სილიბისტრო ჯიბლაძესთან ერთად პარტიის არაერთი ლიდერი მოხვდა. დაპატიმრებები მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა და 1921 წლის დეკემბრისთვის მეტეხის ციხეში უკვე 221 პოლიტიკური პატიმარი იმყოფებოდა, რომელთაგან უმეტესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.[1]

ბოლშევიკურმა მთავრობამ ძალაუფლების განსამტკიცებლად გადამჭრელ ზომებს 1923 წლის ზაფხულში მიმართა. ნიადაგის ორთვიანი შემზადების შემდეგ აგვისტოში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიმართა, რომელმაც პარტია დაშლილად გამოაცხადა. ყრილობის ძირითადი ხაზი შემდეგში მდგომარეობდა: ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ დემოკრატიისადმი ერთგულების მანამდე არჩეული გეზი კონტრრევოლუციურად და ბურჟუაზიულად გამოცხადდა, ხოლო ჭეშმარიტად რევოლუციურ და პროგრესულ გზად – ბოლშევიკების მიერ მხარდაჭერილი პროლეტარიატის დიქტატურა.[2]

---

[1] ირემაძე, გაფრინდაშვილი, ჩუბინიძე. *პროგრესივიზმის საწყისები. ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია.* (საქართველოს პროგრესული ფორუმი, 2024), გვ. 136

[2] ერიკ ლი. *1924 წლის აჯანყება: საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება.* (ზიარი, 2024) გვ. 143

რეალურად, აგვისტოში გამართული ყრილობის და იქ მიღებული გადაწყვეტილების ინიციატორნი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხოლოდ ნაწილს შეადგენდნენ. საინტერესოა, რომ სანამ პარტიის დანარჩენი წევრები იატაკქვეშა საქმიანობას განაგრძობდნენ, მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ჩამოყალიბებაში და არალეგალურ გამოცემებსა და პროკლამაციებს ფარულად ბეჭდავდნენ, სექტემბერში პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის საინიციატივო ჯგუფს პრესის საკუთარი ორგანოც კი გაუჩნდა ჟურნალ „მოამბის“ სახით. სწორედ „მოამბის“ ფურცლებზე შემზადდა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სალიკვიდაციო კონფერენციის მოწვევაც.

სექტემბრიდან მოყოლებული ჟურნალის ფურცლებზე რეგულარულად ჩნდებოდა ცნობები სხვადასხვა წევრის მიერ ორგანიზაციის დატოვების თაობაზე. იბეჭდებოდა სტატიები, რომლებშიც ახალგაზრდა მარქსისტთა ყოფილი და იმჟამინდელი წევრები დარცხვენილნი გმობდნენ ორგანიზაციის მიერ მანამდე არჩეულ გეზს და ერთგულებას დემოკრატიზმისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი. ჟურნალის მე-5 ნომერში შალვა სიხარულიძე ამ გეზს „ისტორიულ გაუგებრობას“ უწოდებდა და დემოკრატიის მხარდამჭერი მეორე ინტერნაციონალის ნაცვლად საკუთარ ერთგულებას უკვე კომუნისტურ ინტერნაციონალს უდასტურებდა: „ახალგაზრდათა მეორე ინტერნაციონალის პირველი დამფუძნებელი კრების მოწოდებაში, სხვათა შორის სწერია „მუშათა ახალგაზრდობის 2-რე ინტერნაციონალი მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობას გაერთიანდეს მისი დროშის ქვეშ და მით შექმნას ერთიანი ფრონტი, როგორც კაპიტალიზმის, ისე ბოლშევიკური ტერორის წინააღმდეგ“-ო, ჩვენ კი საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებიც ვიზიარებდით 2-ე ახალგაზრდათა ინტერნაციონალის პრინციპებს ვირაზმებოდით არა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ ვქმნიდით ტერორს კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ეს უტყუარი ისტორიული გაუგებრობა კი გაიგო დღეს ჩვენმა ახალგაზრდო-

ბამ და დღეს ის დადგა დიდ ისტორიულ ნაბიჯს და სდგება მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე“.[1]

1923 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა მარქსისტთა რაიონული ორგანიზაციები ერთმანეთის მიყოლებით გმობდნენ ძველ გეზს, რაც 28 ოქტომბერს დანიშნული ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობით დაგვირგვინდა. ყრილობამ, რომელმაც საპატიო თავმჯდომარეებად სხვათა შორის ლენინი, ტროცკი და ფილიპე მახარაძე აირჩია, საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა და საკუთარ წევრებს მესამე ინტერნაციონალის შეერთებისკენ მოუწოდა.[2] *იმავე დღეს გამოცხადდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვითლიკვიდაციაც, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე ფრთამ ბოლშევიკურ პარტიასთან გაერთიანებისთვის დაიწყო მზადება.*[3] *თუმცა საბჭოთა ხელისუფლების ამ ზომებს არც პოლიტიკური პარტიებისა და არც ახალგაზრდული ორგანიზაციების იატაკქვეშა საქმიანობა არ შეუჩერებია. პირიქით, ოფიციალური ლიკვიდაციის შემდეგ განსაკუთრებულ მხარდაჭერას ინარჩუნებდა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომლის მცდელობები ქვეყნის ბოლშევიკური ძალებისგან გათავისუფლებისა საქართველოს ტერიტორიასაც გასცდა.*

1921 წლის თებერვალში ახალგაზრდა მარქსისტთა ძველი ლიდერები მიხეილ ხუნდაძის, ბიძინა რამიშვილისა და ნ. იმნაიშვილის ჩათვლით უკვე ევროპაში იყვნენ, სადაც ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტიპენდიით სასწავლებლად იმყოფებოდნენ. 1922 წელს მათ ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წასულ ახალგაზრდებთან ერთად ახალგაზრდა მარქსისტთა საზღვარგარეთული წარმომადგენლობა დააარსეს. ემიგრაციაში მყოფმა ახალგაზრდა მარქსისტებმა ევროპის ახალგაზრდულ სოციალისტურ ორგანიზაციებთან კავშირის გაბმა და ახალგაზრდულ სოციალისტურ ინტერნაციონალში საქართველოს სახელით მუშაობა დაისახეს მიზნად.[4]

---

1 ჟურ. *მოამბე*. 1923. N5. გვ. 14

2 იქვე, N8, გვ. 24

3 იქვე. გვ. 23

4 *ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი*. 1929. N5. გვ. 11

ახალგაზრდა მარქსისტთა საზღვარგარეთული ორგანიზაცია 1923 წელს ახალგაზრდულმა ინტერნაციონალმა ჰამბურგის კონგრესზე ოფიციალურად მიიღო საკუთარ რიგებში. კონგრესს, რომელმაც მანამდე დაპირისპირებული ე.წ. ვენისა და ბერნის ინტერნაციონალები მშრომელთა სოციალისტურ ინტერნაციონალში გააერთიანა, ქართველ ახალგაზრდა მარქსისტთა მხრიდან ოთხი წარმომადგენელი ესწრებოდა. ახალგაზრდა მარქსისტებს ადგილობრივი ორგანიზაციები ჰქონდათ საფრანგეთში, პარიზსა და ოდენკურში, არსებობდა მცირე ორგანიზაციები ბორდოსა და ტულუზაშიც.[1] *1926 წლიდან საფრანგეთში დაიწყო ორგანიზაციის ქართულენოვანი ორგანოს, ჟურნალ „ახალგაზდა სოციალ-დემოკრატის“ გამოცემა და 1931 წლამდე გამოიცა სულ 11 ნომერი. ორგანიზაციის წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებოდნენ ახალგაზრდული ინტერნაციონალის ყრილობებს, კავშირში იყვნენ საქართველოში არალეგალურად მოქმედ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციასთან და ცდილობდნენ ევროპის სოციალისტურ წრეებში საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციის საკითხის აქტუალიზებას.*

ოციან წლებში ამ ყველაფერს სათავეში ედგა ახალგაზრდა მარქსისტთა ძველი ლიდერი მიხეილ ხუნდაძე. მიხეილ ხუნდაძე 1898 წელს თბილისში დაიბადა აგრონომისა და საზოგადო მოღვაწის სვიმონ ხუნდაძის ოჯახში. 1915 წელს თბილისში გიმნაზიის დასრულების შემდეგ, სამართლის და მედიცინის შესასწავლად სანკტ-პეტერბურგში გაგზავნეს. 1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სოციალ-დემოკრატიულ წრეებს დაუახლოვდა. სტატიებს წერდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ალიონში“, რომელსაც პავლე საყვარელიძე რედაქტორობდა. იმავე წელს შეუერთდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას და გახდა მისი აქტიური წევრი და ლიდერი. 1918 წლის განმავლობაში მისი სტატიები რეგულარულად იბეჭდებოდა ორგანიზაციის ყოველკვირეულ ჟურნალ „ახალ კვალში“.

---

[1] *იქვე.* 1928. N4. გვ. 15

მიხეილ ხუნდაძე.
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

1919 წლიდან გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. სწავლობდა ბერლინისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში პოლიტეკონომიას. 1922 წელს სწავლა დაასრულა ფრაიბურგის უნივერსიტეტში და მუშაობა დაიწყო ბერლინში სოციოლოგ ვერნერ ზომბარტთან. 1923 წლიდან სწავლა გააგრძელა პარიზში იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც 1926 წელს მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი.

ამავე პერიოდში იქორწინა ინგლისელ პეგი ნელსონზე (1906-1979). ჰყავდა ორი შვილი ალენი და თამარა.

1927 წელს ფინანსური ხელმოკლეობის გამო ხუნდაძემ მუშაობა დაიწყო ფრანგული ავტომწარმოებლის „სიტროენის“ ქარხანაში პერსონალის მართვის განყოფილებაში. ხუნდაძე მთელი კარიერის განმავლობაში, 1976 წლამდე ამ კომპანიაში მუშაობდა. სხვადასხვა დროს მართავდა კომპანიის ქარხანას საფრანგეთში, იყო „სიტროენის“ წარმომადგენელი აშშ-ში, შემდეგ იქაური კომპანიის გაყიდვების დირექტორი.

20-იან წლებში კომპანიაში მუშაობის პარალელურად ჩართული იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობაში საფრანგეთში. იყო საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენელი ახალგაზრდულ სოციალისტურ ინტერნაციონალში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თანაუგრძნობდა ირაკლი წერეთლის ჯგუფს და მეგობრობდა მასთან. 1940-იან წლებში სწორედ ხუნდაძის ხელშეწყობით მოახერხა წერეთელმა აშშ-ში გადასვლა, სადაც კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების თხოვნით მუშაობდა ორტომიან თხზულებაზე თებერვლის რევოლუციის შესახებ.

კარიერის დასრულების შემდეგ ხუნდაძე მუშაობდა წიგნზე, სადაც წერეთლისა და ლენინის დაპირისპირების ფონზე ასახული იყო რუსეთის 1917 წლის რევოლუციის მიმდინარეობა. წიგნი ხუნდაძის გარდაცვალების შემდეგ 1988 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა სათაურით: „1917 წლის თებერვლის რევოლუცია. სოციალ-დემოკრატია ბოლშევიზმის წინააღმდეგ. წერეთელი ლენინის პირისპირ.“

20-იან წლებში ხუნდაძეს მეგობრობა აკავშირებდა კარლ კაუცკისთან და მის ოჯახთან. ახალგაზრდულ წლებში კაუცკი ხუნდაძისთვის მარქსისტულ მოძრაობაში ერთ-ერთ ყველა-

ზე ავტორიტეტულ და პატივსაცემ ფიგურას წარმოადგენდა. „ახალ კვალში“ ხუნდაძის ავტორობით დაბეჭდილ სტატიებში ცხადად ჩანს კაუცკის გავლენა. ხუნდაძეს კაუცკი საკუთარი მამის, სვიმონის, საშუალებით უნდა გაეცნო. 1920 წელს საქართველოსკენ მომავალი კარლ კაუცკი მეუღლესთან, ლუიზ კაუცკისთან ერთად სვიმონ ხუნდაძესთან ერთად მგზავრობდა. ხუნდაძე 20-იან და 30-იან წლებში აქტიურ მიმოწერაში იყო კაუცკისთან და მის ოჯახთან.

მიხეილ ხუნდაძე 1983 წლის 31 იანვარს პარიზში გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ახალგაზრდა მარქსისტთა ემიგრაციული საქმიანობისა და ბრძოლის უკეთ გასაცნობად, წიგნის ამ ნაწილში თავმოყრილია მიხეილ ხუნდაძისა და საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ემიგრაციაში მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტური მასალა და საგაზეთო სტატია.

გიორგი ყუშიტაშვილი

მიხეილ ხუნდაძის მიმოწერა ახალგაზრდულ ინტერნაციონალთან და კარლ კაუცკისთან[1]

♦♦♦

ახალგაზრდული ინტერნაციონალის წერილი მიხეილ ხუნდაძეს

1923 წლის 26 ივნისი

ბატონ დოქტ. მ. ხუნდაძეს,

ბერლინი, ბინა 30,
ჰაილბრონერშტრასე 26 ბ/ნესტერმანი

პატივცემულო ხუნდაძე,

ახალგაზრდული ინტერნაციონალის დღესთან დაკავშირებით ჩვენი ახალი ინტერნაციონალის ჟურნალის პირველი, საიუბილეო ნომერი აგვისტოს დასაწყისში ქალაქ ნიურნბერგში გამოვა. ვგეგმავთ, რამდენიმე საიუბილეო სტატიასთან ერთად ახალი ინტერნაციონალის პროგრამის გამოცემას; გარდა ამისა, გვსურს სოციალისტური ინტერნაციონალის ახალგაზრდული მოძრაობის წამყვანი ფიგურების შეხედულებების გამოქვეყნება ახალი ინტერნაციონალის შესაძლო გავლენის თაობაზე. ამრიგად, გთხოვ, რომ ამ ყოველივეს გათვალისწინებით ჟურნალისათვის რამდენიმე წინადადება მომ-

[1] წერილები გერმანულიდან თარგმნა თამარ კახეთელიძემ. წერილების ასლები ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ია თიკანაძის კოლექციაში. ორიგინალი დოკუმენტები დაცულია ამსტერდამის სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტში.

წერო. უნდა გამოიკვეთოს, თუ რას მოელის თქვენი ქვეყნის სოციალისტი ახალგაზრდობა ახალი ინტერნაციონალისაგან და რა გზით სურს ინტერნაციონალის ამოცანების შესრულებაში ჩართვა. განსაკუთრებით მსურს, საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტული შემოთავაზებები ვიხილო, რითიც ჟურნალის მკითხველნი დაინახავენ, თუ უახლოეს მომავალში რა მიმართულებით აპირებს ჩვენი ინტერნაციონალი მუშაობას. სავალდებულო არაა ნაშრომი იყოს ვრცელი, საკმარისი იქნება 30-მდე საბეჭდ მანქანაზე შესრულებული სტრიქონი.

ვინაიდან მომცრო ზომის ნაშრომზეა საუბარი, ვიმედოვნებ, 10 ივლისამდე ხელთ მექნება. შენ მიერ გაწეული ძალისხმევისათვის წინასწარ გიხდი უღრმეს მადლობას.

გიძღვნი სოციალისტურ და ახალგაზრდულ სალამს!

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი ახალგაზრდულ ინტერნაციონალს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
ახალგაზრდობის საგარეო საქმეთა წარმომადგენლობა

ბერლინი, 1923 წლის ივლისი
სოციალისტურ ახალგაზრდულ-ინტერნაციონალს

ძვირფასო ამხანაგებო!

20, 22, 26 ივნისითა და 3 ივლისით დათარიღებული წერილები მივიღეთ. ახლა გვსურს, ვუპასუხოთ თქვენს შეკითხვებს. ვალდებულნი ვართ, გაცნობოთ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდული ორგანიზაცია უერთდება ჰამბურგში დაარსებულ სოციალისტურ ახალგაზრდულ ინტერნაციონალს. ჩვენი ორგანიზაცია აღმასრულებელ კომი-

ტეტში ამ დროისთვის წარმოდგენილია ამხანაგ მ. ხუნდაძის, მისი მოადგილე ამხანაგ ბ. რამიშვილისა და ბატონ ამხანაგ ს. მიხელიძის სახით.

ვიტოვებთ უფლებას, ამ შეკითხვას საბოლოო პასუხი გავცეთ. ჩვენი ორგანიზაციის მისამართია: თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა (კავკასია) – საქართველოს მარქსისტული ახალგაზრდული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი. უფრო ზუსტ მისამართს ვერ დავასახელებთ, ვინაიდან ჩვენი ორგანიზაცია არალეგალურად მუშაობს. რამდენიმე დღის წინ საქართველოდან მიღებული ანგარიშის მიხედვით, იგი დაახლოებით 7000 წევრისგან შედგება.

გვესაჭიროება კონგრესის ანგარიშის 2 ეგზემპლარი, საერთაშორისო ჟურნალის 3 ეგზემპლარი და ჰამბურგის კონგრესის ფოტო. მზად ვართ, გადავიხადოთ ის საფასური (გერმანულ ვალუტაში), რომელსაც ყველაზე დაბალი ვალუტის მქონე ქვეყნებისთვის აწესებთ. როგორც ცნობილია, საქართველოს ვალუტა გერმანიასთან შედარებით ბევრად დაბალია.[1]

ნიურნბერგის კონფერენციას, სავარაუდოდ, ჩვენი ორგანიზაციის 5 ამხანაგი დაესწრება. საერთაშორისო პროფკავშირის ცენტრის კითხვარი წინ მიდევს.

სოციალისტური ახალგაზრდული მოკითხვით,
მ. ხუნდაძე

პ.ს. ამავდროულად გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას ახალი სოციალისტური ახალგაზრდული ინტერნაციონალის საერთაშორისო ჟურნალის სპეციალური ნომრის თაობაზე...

ბერლინი, ბინა 30
ჰაილბრონერშტრასე 26
ე. ნეეზემანი
ტელეფონი ... 2294

---

[1] ეს მონაკვეთი გადახაზულია. (მთარგ.)

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი ახალგაზრდულ ინტერნაციონალს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
ახალგაზრდობის საგარეო საქმეთა წარმომადგენლობა
პარიზი, 2.I.1924

სოციალისტურ ახალგაზრდულ-ინტერნაციონალს, ბერლინი
ძვირფასო ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი მოწვევა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სამდივნოს შემოთავაზებების ჩათვლით. დაპირებული საწევროს არადროულად გადარიცხვის გამო, ბოდიშს მოგიხდით. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდული ორგანიზაციის საწევროს სახით 150 ფრანგულ ფრანკს გამოგიგზავნით. ჩვენს ორგანიზაციაზე დევნა გრძელდება, შესაბამისად, წევრების დარეგისტრირება და წევრთა რაოდენობის განსაზღვრაც კი, თითქმის, შეუძლებელია.

გარდა ამისა, ჩვენი ორგანიზაცია მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია, ამიტომ პირველ ხანებში ამაზე მეტს ვერ გადავიხდით – 5 ფრანგული ფრანკი საერთაშორისო ჟურნალისთვის, 2 ფრანკი 1923 წლის 10 დეკემბრის ანგარიშისათვის, 3 ფრანკი კი -სამომავლო ანგარიშებისათვის.

გთხოვთ, მომავალში გამოგვიგზავნოთ მხოლოდ ორი ეგზემპლარი. რაც შეეხება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი იქნება აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატი, თუმცა დასტურს ვერ ვიძლევით, რადგან ხარჯების დაფარვის საკითხი, ჯერჯერობით, დაზუსტებული არაა. სარეკლამო პუბლიკაციისთვის მოკლე ანგარიშს მალე გამოგიგზავნით.

გულითადი სოციალისტური მოკითხვით,

მიხაელ ხუნდაძე
ბელვიუ (მდ. სენა და უაზი)
გვარდიის ქუჩა 26

პ.ს. გთხოვთ, დაადასტუროთ 155 ფრანგული ფრანკის მიღება.

♦♦♦

ახალგაზრდული ინტერნაციონალის წერილი მიხეილ ხუნდაძეს

1924 წლის 25 აპრილი
ბატონ დოქტ. ხუნდაძეს, ბელვიუ, ლა გრანდის ქუჩა 3

ძვირფასო ამხანაგო ხუნდაძე,

კომუნისტური ახალგაზრდული ინტერნაციონალის დეკემბერ-იანვრის ნომერში იუწყებიან საქართველოში ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო ყრილობის შესახებ და რომ მთელი ყრილობა კომუნისტურ ინტერნაციონალს მიემხრო. ეს შედეგი მეორე ახალგაზრდობა-ინტერნაციონალის დამარცხებადაა აღქმული.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ, თითქოს, კვლავ კომუნისტურ გაზვიადებასა და სიყალბესთან გვაქვს საქმე. ამდენად, მოგმართავ თხოვნით, რომ რაც შეიძლება მალე მაცნობო მოვლენების რეალური განვითარების შესახებ ინტერნაციონალის ჟურნალისათვის,

საუკეთესო სურვილებით,

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი ახალგაზრდული ინტერნაციონალის მდივანს ერიხ ოლენჰაუერს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდული ორგანიზაციის საგარეო წარმომადგენლობა.
შანტიი (უაზი), ვილა ვერსაპუი
1925 წლის 30 აპრილი

ძვირფასო ამხანაგო ოლენჰაუერ,

შენი ბოლო წერილები დაგვიანებით მივიღე, რადგან ძველ მისამართზე გამოგზავნე. ვჩქარობ, ჩვენი ასოციაციის სახე-

ლით სოციალისტური ახალგაზრდული ინტერნაციონალის ბიუროს შენატანების/საწევროს გადახდისგან გათავისუფლების გამო გულწრფელი მადლობა გადავუხადო. მძიმე ვითარება საქართველოში, ფაქტობრივად, კვლავ გრძელდება. გიგზავნით წერილს, რომლითაც ჩვენი ასოციაციის ცენტრალურმა კომიტეტმა ინტერნაციონალს მიმართა, სადაც აქ არსებული სიტუაციაა აღწერილი. წერილი გვიან მოვიდა – გასული წლის ბოლო რიცხვით დათარიღებული. გთხოვთ, მიაწოდოთ ბიუროს და გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. აჯანყების შემდეგ ჩვენი ორგანიზაციები, გარკვეულწილად, დასუსტდნენ, თუმცა ბოლო დროს ახალი აღმავლობის გზას დაადგნენ. ვიმედოვნებ, ინტერნაციონალის წინაშე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებას მოგვიანებით შევძლებთ. ინტერნაციონალის ჟურნალის ბოლო ნომრები ჯერ არ მიმიღია. მადლიერი ვიქნები, თუ გამომიგზავნით.

გიძღვნი გულითად და ახალგაზრდულ სოციალისტურ მოკითხვას!

მიხეილ ხუნდაძე

ხელით მინაწერი: პ.ს. სოციალისტურ-დემოკრატიულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას საქართველოში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ეწოდება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ მოძრაობაში დიდ როლს ასრულებს. მ. ხ.
პპ.ს: მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვოთ, რომ ჩემი მისამართი, შეძლებისდაგვარად, მუდმივად გაუზიაროთ ასოციაციებს. შანტიი (უაზი) ვილა ვერსაპუი. მ. ხ.

♦♦♦

მოხსენება საქართველოში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს მარქსისტი ახალგაზრდობის ორგანიზაცია ომამდე დაარსდა, რომლის მიზანს ქართველი ახალგაზრდების მასების ორგანიზება, მათი მარქსისტული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით გაერთიანება და საქართველოში სოცი-

ალ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერებად გაწვრთნა წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპირებამდე ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობა, ძირითადად, ახალგაზრდების განათლების საკითხებით შემოიფარგლებოდა, მათი მონაწილეობა პარტიულ პოლიტიკურ ბრძოლებში კი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ვითარება შეიცვალა. ოკუპანტმა ხელისუფლებამ ახალგაზრდული ორგანიზაცია გაუქმებულად გამოაცხადა და იძულებული შეიქნა, არალეგალურ ორგანიზაციად გარდაქმნილიყო. ასეთი იყო პარტიის ბედისწერა.

ამ ვითარებაში ახალგაზრდული ორგანიზაცია იძულებული გახდა, საგანმანათლებლო პრობლემები განზე გაეწია და, უპირველეს ყოვლისა, თავისი ძალების ყურადღება ბოლშევიკური მმართველობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე მიემართა. ამ მიზნით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, ამასთან, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წარმომადგენელი გაგზავნა. ძირითადი საქმიანობის გარდა, ორგანიზაცია ცდილობდა, მარქსისტული [...] განათლება/მოძღვრება გაეგრძელებინა.

მიუხედავად არალეგალურად არსებობისა, ორგანიზაციის საქმიანობის არეალი კვლავ გაფართოვდა. თუმცა „ჩეკამ“ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცია და ციხის საკნები ორგანიზაციის წევრებით გაივსო. რამდენიმე მათგანმა გაუგონარ წამებას გაუძლო: ამხანაგი წილოსანი ფსიქიკურად შეირყა, ამ წამების შედეგად გარდაიცვალა ამხანაგი ვიბორგინი. ამასთან, „ჩეკას“ სატუსაღოში სიცოცხლეს გამოასალმეს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩვენი ღირსეული მებრძოლი, ამხანაგი ლომთაძე. „ჩეკა“ ყველანაირი ხერხით ცდილობდა, მარქსისტული ახალგაზრდული ორგანიზაცია გაენადგურებინა, თუმცა საწადელს ვერ მიაღწია. იგი რამდენჯერმე გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო 1924 წლის აჯანყებამ „ჩეკას“ მანევრები ბრწყინვალედ უკუაგდო. დაშლილი ორგანიზაციის 700-მდე წევრი დახვრიტეს. აჯანყების

სისხლიანმა ზეწოლამ სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა განაპირობა.

აჯანყებიდან რამდენიმე თვეში ჩვენი ორგანიზაციები აღადგინეს და განაახლეს საქმიანობა. ბოლშევიკებმა, თავის მხრივ, განაახლეს დევნა. „ჩეკა“ დღენიადაგ დასდევდა ჩვენი ორგანიზაციის წევრებს: ბევრი ახალგაზრდა ამხანაგი დააატუსაღეს, 1925 წელს 10 თანამებრძოლი დახვრიტეს, ათობით მათგანი რუსეთის შორეულ და ცივ პროვინციებში გაიგზავნა. ამასობაში, სხვა ამხანაგებიც შეუერთდნენ რიგებს და ორგანიზაცია წინსვლას განაგრძობდა. თუ 1925 და 1926 წლები დასუსტების წლებად განიხილება, 1927 ორგანიზაციის მკვეთრი მოძლიერების წელია. ამჟამად, წევრთა საერთო რაოდენობა 5710-ია, აქედან 2730 (46 პროცენტი) სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, 1996 (35 პროცენტი) სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მუშები, ხოლო 1084 (19 პროცენტი) ქალაქის მუშათა კლასის ახალგაზრდები არიან. მამრობითი სქესის წევრთა რაოდენობა 4454 (78 პროცენტი), ხოლო მდედრობითი სქესისა 1256 (22 პროცენტი) შეადგენს. ორგანიზაციის მხარდამჭერთა რიცხვი, ფაქტობრივად, ბევრად მეტია, თუმცა პოლიტიკური ცხოვრების პირობები საქართველოში იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ორგანიზაციის კარი ყველასათვის გაიღოს. ოკუპაციის ძალაუფლების პოლიტიკა მარქსისტული ახალგაზრდული ორგანიზაციის მუშაობას აფერხებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართველ ახალგაზრდებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს და მათ ჩვენკენ უბიძგებს. ამასთან, გამოვყოფთ რამდენიმე ფაქტს, რომელიც ქართველი ახალგაზრდების მდგომარეობას ასახავს და მათ უკმაყოფილებას ხსნის.

ა) **მოსწავლეები და სტუდენტები.** ახალგაზრდებს, ზოგადად, უმაღლესი განათლების მიღების დიდი სურვილი აქვთ. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი სირთულეებია უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად ყველა იმ მათგანისათვის, ვინც კომუნისტური ორგანიზაციის რიგებს არ მიეკუთვნება. უპარტიო ახალგაზრდებს სირთულეები ექმნებათ, კომუნისტური ორგანიზაციის წევრები კი გამოცდის გარეშე მიიღებიან.

უმაღლეს სასწავლებლებში აღიარებულ მკვლევრებს სამეცნიერო რეპუტაციის, უმაღლესი და საშუალო სკოლის დიპლომის არმქონე ბოლშევიკები ანაცვლებენ.

ბ) **მუშათა კლასის ახალგაზრდობა.** ახალგაზრდა მუშაკებს, თუ კომუნისტური პარტიის ახალგაზრდების რიგებს არ მიეკუთვნებიან, ძალიან უჭირთ სამუშაოს მიღება. შრომის ბირჟაზე დარეგისტრირების უფლება არ ეძლევათ, რათა ბოლშევიკების უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებლები არ გაიზარდოს. უმუშევართა რეალური რაოდენობა ოფიციალურ მაჩვენებლებს ბევრად აღემატება. ახალგაზრდებს შორის თვითმკვლელობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რადგან ისინი სამუშაოს ვერგამონახვის გამო დარდობდნენ. აქ მხოლოდ ერთი, განსაკუთრებით თვალშისაცემი შემთხვევა გვინდა აღვნიშნოთ – ახალგაზრდა გოგონა ხელისუფლებაში მყოფებმა შავ სიაში უმიზეზოდ შეიტანეს. მან, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, თავი მოიკლა.

გ) **სოფლის ახალგაზრდობა.** სოფლის ახალგაზრდების უკმაყოფილების მიზეზები ზუსტად ისაა, რაც სოფლის მეურნეობის ზრდასრულ მუშაკებში სუფევს: ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებობა, გადასახადების მძიმე ტვირთი, ზოგადი ინფლაცია, განსაკუთრებით, სამრეწველო წარმოების მხრივ, დემოკრატიული საქართველოს სოციალისტური ხელისუფლების მიერ აგრარული რეფორმის ჩახშობა, უმუშევრობის მაღალი დონე. აღნიშნული რეფორმა, რომელმაც მესაკუთრეებს მაქსიმუმ 7 ჰექტარი დაუტოვა, დამპყრობელმა ხელისუფლებამ გააუქმა და მიწა კანონიერი წესის გარეშე ხელახლა გადანაწილდა. მხარი კომუნისტებს დაუჭირეს და მათ არაკომუნისტი გლეხების, ანუ მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საზიანოდ, 10-დან 12 ჰექტრამდე დაუთმეს. ბოლშევიკური პოლიტიკის შედეგად ცხოვრების ხარისხის ზრდას, უზარმაზარ ტარიფებს, სამრეწველო წარმოების ნაკლებობას (მათი ღირებულება დაახლოებით ხუთჯერ მეტია, ვიდრე ევროპულ ქვეყნებში), უკიდურესად მაღალ გადასახადებს, სოფლის მე-

ურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალ დონეს გლეხი მოსახლეობა სიღარიბემდე მიჰყავს, რაც სოფლის მეურნეობის რღვევას იწვევს. მოსახლეობას საშუალება არ აქვს, თავისი მოთხოვნილებები თავისუფლად გამოხატოს. კომუნისტები, რომლებიც ჭეშმარიტ არისტოკრატულ კლასს ქმნიან, ღია კრიტიკის ყოველგვარ მცდელობას სისხლიანი დევნით ახშობენ. ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებული ახალგაზრდობა ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ ელემენტად ითვლება. შედეგად, უმძიმესი რეპრესიების ქვეშ ექცევა და სულ ახლახან ჩვენი ორგანიზაციის ორი წევრი გამომძიებლის კაბინეტში მოკლეს: ამხანაგი გოგნაძე (ჩეკისტი სიტკინის მიერ) და ამხანაგი პაპონაშვილი (ჩეკისტი ისაკაძის მიერ). შეუძლებელია ყველა შემთხვევის დასახელება და იმის აღწერა, თუ როგორ აწამა ბოლშევიკურმა პოლიციამ ჩვენი ახალგაზრდა თანამებრძოლები. ამჟამად, დაპატიმრებული ახალგაზრდების რაოდენობა 250, ხოლო 1928 წლის 1 იანვრისთვის გადასახლებულთა რიცხვი 800-დან 900-მდეა. მიუხედავად დევნისა, მარქსისტულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით, ბოლშევიკების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ქვეყნის ყველაზე უმცირეს ტერიტორიაზე ჰყავს ჯგუფები, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს და მჭიდრო ურთიერთობა აქვს პარტიასთან. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსგავსად, ჩვენს ორგანიზაციასაც მიაჩნია, რომ ხალხებს საკუთარი თავის თავისუფლად განკარგვა შეუძლიათ და ეს სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. პარტიის მსგავსად, ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ პროლეტარიატის დამოუკიდებლობის მიღმა პროგრესი და კეთილდღეობა არ არსებობს. ამრიგად, არ მოვერიდებით არანაირ მსხვერპლს, რათა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისა და საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის ბრძოლა განვაგრძოთ.

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი კარლ და ლუიზა კაუცკებს

პარიზი, 1928 წლის 3 ივლისი
ჩემი მისამართი: 1, თავისუფლების გამზირი 1,
კურბევუა (მდინარე სენის ნაპირზე)

მეტად ძვირფასო, პატივცემულო მეგობრებო და ამხანაგებო,

დღეს დიდი ხნის სურვილი ავიხდინე – მოგწერეთ და სიყვარულით, ერთგული მეგობრობის აღსანიშნავად მოგესალმებით. ვიმედოვნებ, რომ კარგად ხართ და გთხოვთ, მეტად გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას, რათა დიდხანს იცოცხლოთ.

ხშირად ვფიქრობ თქვენზე; მუდმივად ვკითხულობ ამხანაგ კარლის ნაშრომებს და ყოველ ჯერზე ვიღებ ნათელ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მაწუხებს. ერთხელ წერეთელმა მითხრა, როცა ჰკითხეს, თუ ვის ემხრობოდა ხუნდაძე, მან უპასუხა: „სიტყვით ჩემთანაა, სინამდვილეში კი, გარკვეულწილად, ნაციონალისტია“.

გარკვეულწილად ნაციონალისტს მეძახის, რადგან მის ზოგად შეხედულებებს ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით არ ვიზიარებ. ამ საკითხში კაუცკის ვემხრობი, რომელსაც, ვფიქრობ, ზოგადად [ეს საკითხი] კარგად ესმოდა და რომ ნამდვილი დემოკრატია ყველა ხალხის თვითგამორკვევის სრულ უფლებას ნიშნავს.

ცხადია, მჯერა, რომ ერთი ერის თვითგამორკვევის უფლება შესაძლოა მეორის უფლებასთან შეჯერდეს. პრინციპში, ყველა ერს აქვს უფლება იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. უდავოდ, ასე უნდა დარჩეს და პრაქტიკულად, სოციალისტური ინტერნაციონალის ამოცანაა, მთელი ენერგიითა და გულწრფელობით წვლილი შეიტანოს ამ პრინციპის დანერგვასა და თავისუფალ ხალხებს შორის ურთიერთგაგების დამყარებაში (პრინციპი, რომელიც მხარს უჭერს პირველს,

როგორც თანასწორს). თუ რუსეთში ამ პრინციპებს გამოვიყენებთ, ეს ნიშნავს, რომ ყველა ერს (და არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთს) სახელმწიფო დამოუკიდებლობის უფლება აქვს. თუ იგი ჩვენთვის ამის მისაღწევად იბრძვის, მხარი უნდა დავუჭიროთ. რასაკვირველია, დამოუკიდებლობის ეს ნება დემოკრატიულობის ფარგლებში უნდა გამოიხატოს.

რუსი სოციალისტები, მცირე ჯგუფის გარდა, ამ უფლებას არ აღიარებენ და ფედერაციულ სახელმწიფოს გვთავაზობენ. თუმცა სოციალ-დემოკრატიული პრინციპი გულისხმობს, რომ ფედერაციული სახელმწიფო სხვადასხვა ეროვნებისაგან უნდა შედგებოდეს, რაც მათთვის სასურველი და განსაზღვრულია, და დიდი ეროვნებები სხვებზე არ უნდა ახდენდნენ ზეწოლას. ღრმა თანაგრძნობით ვითავისებ საქართველოს ტკივილს და მწადია მისი სრული გათავისუფლება. ამ თავისუფლებას სხვებსაც მივანიჭებდი.

რაც შეეხება საბრძოლო მეთოდებსა და ტაქტიკურ საკითხებს, ყოველთვის წერეთლის მოსაზრებებს ვიზიარებდი, რომელიც, ძირითადად, ჩვენი პარტიის დღევანდელ პოზიციას არ ეწინააღმდეგება. (გარკვეული ილუზიები, რამაც, შესაძლოა, ზოგიერთი ამხანაგი სასოწარკვეთაში ჩააგდოს, დღეს გაქრა).

თუმცა ეროვნულ პრობლემას რაც შეეხება, მოკლედ რომ აგიხსნა, უფრო მეტად ჟორდანიას, მთელი პარტიისა და ახალგაზრდობის გვერდით ვდგავარ, ვიდრე წერეთელთან, რომელიც მკაფიოდ სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ პრინციპს უჭერს მხარს (ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება), რაც, ლოგიკურად, რუსეთში სრულიად მიუღებელია. ყოველ შემთხვევაში, ის ნაკლებად აფასებს ეროვნების პრობლემას.

ახლა მსურს, რომ თქვენ გადაწყვიტოთ, ვარ თუ არა ნამდვილად გარკვეულწილად ნაციონალისტი. ყოველ შემთხვევაში, დღეს ჟორდანიასა და წერეთელს შორის შეთანხმება მიღწეულია და ისინი ერთხმად მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციას ცნობენ. რაც შეეხება პარტიას საქართველოში, ის ერთსულოვანია. თქვენს საბოლოო გადაწყვეტილებებს მალე გაეცნობიან. საუკეთესო რამ, რაც ამ საკითხებთან დაკავშირებით წამიკითხავს, ამხანაგ კარლის ნაშრომი „L'internationale

et la Russie des Soviets“[1] გახლავთ, რომელიც ამ მიზნით ვთარგმნე ფრანგულად. მასში გამოთქმული ყოველი აზრი მართებულად მიმაჩნია. ჩვენმა საპარტიო ბიურომ ინტერნაციონალისათვის (5 წევრისგან შემდგარი) კომისია შექმნა, რომლის თავმჯდომარეც წერეთელი გახლავთ, წევრებს შორის კი მეც ვარ. მეორე მხრივ, ქართულმა ახალგაზრდულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელიც შესანიშნავი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა და ამ წლებში დევნის მიუხედავად 5700 წევრისგან შედგება, საქართველოს სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლად და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის საგარეო წარმომადგენლობის თავმჯდომარედ კვლავ ამირჩია.

სხვათა შორის, ჩვენს პარტიას ბრიუსელის ყრილობაზეც წარმოვადგენ. მექნება თუ არა ბედნიერება იქ გიხილო? პირისპირ ყოველივეს უკეთ აგიხსნიდით.

კვლავ Citroen-ში ვმუშაობ და ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ვუმკლავდები სამეცნიერო მენეჯმენტის პრობლემებს, განსაკუთრებით, ამერიკულ მეთოდებს. ჩემი მშობლები საკმაოდ კარგად არიან, რამდენადაც იქ კარგად ყოფნაა შესაძლებელი, ბოლო ხანებში საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში მდგომარეობა გაუარესდა.

დიდი ხანია გერმანულად არ დამიწერია. გთხოვთ მომიტევოთ, თუ ჩემი წერილი თქვენთვის გარკვევით დაწერილი არ აღმოჩნდება.

ჩემს დას 3 წლის ბიჭი ჰყავს, ძალიან საყვარელი და ჭკვიანი, როგორც ჩემი მშობლები იწერებიან. ჰყავს ბენედიქტს შვილები?

გკოცნით მთელი გულით. ვუძღვნი გულითად მოკითხვას ამხანაგ კარლს, ბენედიქტსა და მათ ოჯახებს. წერეთელი მეუბნება, რომ უნდა დავოჯახდე, უკვე 30 წლისა ვარ და ყოველთვის [რაღაცას] ველოდები. მოხარული ვიქნები, თუ თქვენგან მცირე შეტყობინებას მივიღებ. ერთგული მეგობრობის აღსანიშნავად, თქვენი მიშა ხუნდაძე.

---

1 „ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი“ (მთ.).

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი კარლ და ლუიზა კაუცკებს

პარიზი. 6.III.29

ძვირფასო, პატივცემულო ამხანაგებო და მეგობრებო,

როგორც ბრიუსელში მთხოვეთ და დაგპირდით, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებისა და ჩვენს პარტიულ წრეებში მათი განაწილების თაობაზე გაცნობებთ. ალბათ, გემახსოვრებათ, მართალია, ფორმალურად, წერეთლის წინააღმდეგ მიმართული ტენდენციის წარმომადგენლად მომნათლეს, თუმცა გარწმუნებთ, ასე არ ყოფილა: უბრალოდ მოტივირებული ვიყავი, შემენარჩუნებინა პარტიული ერთიანობა იმ პროგრამის საფუძველზე, რომელიც ორივე ტენდენციისათვის, ასევე სრულიად ინტერნაციონალისათვის, მისაღები იქნებოდა. როცა წერეთლის ასისტენტად ამირჩიეს, ჩვენს ბიუროში ახსნა-განმარტება მივეცი, რომ თავს კონკრეტუ-

მიხეილ ხუნდაძე დედასთან და კარლ და ლუიზა კაუცკებთან ერთად.
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ლი ტენდენციის წარმომადგენლად არ მივიჩნევდი. ინტერნაციონალში შევდივარ არა როგორც წერეთლის ოპონენტად, არამედ მის თანაშემწედ, მასთან თანამშრომლობა მსურს, კერძოდ, ჟორდანიას მიერ შედგენილი დადგენილების საფუძველზე, რომლის ტექსტიც ბრიუსელში გადმოგეცით. ფაქტობრივად, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის მეორე წარმომადგენელი აირჩიეს, გარკვეული ტენდენციის წარმომადგენლებად მოგვნათლეს და ასევე გვექცეოდნენ. ძალიან მტკივნეულად აღვიქვი ეს [ყოველივე], მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, საშუალება მექნებოდა, დამემტკიცებინა, რომ ასეთი წარმოდგენა ჩემ შესახებ საფუძველს მოკლებული იყო. ამავდროულად, პარტიისა და ინტერნაციონალის მიმართ დაკისრებული ჩემი მოვალეობა უნდა შემესრულებინა. ყოველივე ამის შემდეგ, პირადი მოსაზრებები უმნიშვნელო გახდა. გადავწყვიტე, ჩემს ამხანაგებს რეალური სიტუაციის შესახებ სრული ინფორმაცია უკანდაუხევლად მივაწოდო და შემოგთავაზოთ ისეთი ზომების გატარება, როგორიც ჩვენი პარტიის მორალურ სტაბილურობასა და რეპუტაციას აღადგენს. ამრიგად, ძველი ლიდერების წინააღმდეგ გავილაშქრე და მიხვდებით, რომ ჩემთვის ეს ადვილი არ ყოფილა. მხარს ვუჭერდი ყოველივე იმ დაწესებულის უარყოფას, რაც ჩვენს სოციალისტურ თეორიასა და პრაქტიკას ეწინააღმდეგებოდა, რაც საქართველოში ჩვენი პარტიის მიერ აღიარებული იყო.

მაშინვე წავაწყდი ბრალდებას, თითქოს წერეთლის მსგავსად (რომელიც ოპონენტებს მიაწერდა რაღაც-რაღაცებს, რასაც არასდროს მოიაზრებდნენ) მათ მოსაზრებებს არასათანადო ინტერპრეტაციას ვაძლევდი.

დღეს, იშვიათად საუბრობენ სხვა ენით, თუმცა მათი ზოგიერთი განცხადება, რამდენადაც უკუგდებული არაა, საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ ეს ენა არაგულწრფელია.

ამ წინააღმდეგობებში წერეთლის მხარე დავიჭირე და ვითხოვდი, რომ ჩვენი პარტიული პოლიტიკა შემდეგ პრინციპებზე აგებულიყო:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

2. თითოეული ხალხის თვითგამორკვევის უფლების პრინციპის დაცვა.

3. ამ პრინციპების განხორციელება არა ძალებს შორის რაიმე იმპერიალისტური კონფლიქტით, არა საბჭოთა კავშირის შიგნით სამხედრო მოქმედებებით, არამედ დემოკრატიული გზებით, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ინტერნაციონალის დემოკრატიული ალიანსით.

4. უარი ითქვას ნებისმიერი სახის დოკუმენტზე, რომელიც ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

5. ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით ღია და მეგობრული დისკუსიები ინტერნაციონალის ლიდერებთან, განსაკუთრებით, ავსტრიელებსა და რუსებთან.

საგარეო წარმომადგენლობის ოფისში უმრავლესობის აზრი ჩვენისგან განსხვავდებოდა, ამდენად, ვერ მივაღწიეთ ურთიერთგაგებას.[1] ვინაიდან წერეთლის იდეების მიმართ სოლიდარობას გამოვხატავდი, ლონდონში უმრავლესობის წარმომადგენლად ვერ წავედი. მოცემულ პირობებში ინტერნაციონალში წარმომადგენლობითი მისიის შესრულებაზე კვლავ უარი განვაცხადე.

გთხოვ, შესაძლებლობისამებრ, ამხანაგ ოტო ბაუერს, რომლის მიმართაც გამოვხატავ პატივისცემას (თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ) და რომელიც, ცხადია, გარკვეული ეჭვის თვალით მიყურებდა ბრიუსელში, და ამხანაგ კარლ ჰაინცს ჩემი რეალური პოზიციის შესახებ აცნობოთ. მადლობელი დაგრჩებით.

ომთან დაკავშირებულ შეხედულებებს სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი. ჟორდანია და რამიშვილი ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ სამარცხვინო წერილებში წერდნენ, რომ საქართველოს გათავისუფლების ერთ-ერთი გზა ომი იქნებოდა, რომელიც რუსეთსა და ზოგიერთ ძალას შორის იწარმოებდა (რუსეთი იქნებოდა დამნაშავე თუ არა). ომის ერთ-ერთ შედეგად ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება და შემდგომ საქართველოს გამოყოფა განიხილებოდა.

ჟორდანია ამბობს, რომ ომი არ სურს, თუმცა, შესაძლოა, [მოვლენები] ნების საწინააღმდეგოდ განვითარდეს და ყოველივე ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

---

1 მინაწერი: Tant pis pour nous! (მით უარესი ჩვენთვის! (ფრ.))

ამის საპირისპიროდ შემდეგი მოსაზრება გვაქვს: ომის საშიშროება არსებობს, მაგრამ თუ ასეა, მაშინ ჟორდანიას ენით არ უნდა ვისაუბროთ, არამედ ქართველ ხალხს მთელი შემართებით უნდა მოვუწოდოთ: „შესაძლო ომი ყველა ერისათვის უდიდესი უბედურების მომტანი იქნებოდა, განსაკუთრებით შენთვის, ამაზე იმედები არც უნდა დაამყარო, არამედ ომის საშიშროებას შენს ხელთ არსებული მთელი ძალით წინ უნდა აღუდგე.ო ყოველი სხვა ენა სოციალისტურ სამშვიდობო პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

ჩვენი პერსპექტივიდან ამოვშალეთ ახალი აჯანყების ან ახალი ომისკენ მიმართული ორიენტაცია? და რისი იმედი გვაქვს? (რაც შეეხება აჯანყებას, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ).

ბოლშევიკური რეჟიმი ერთიანი არაა. დაიშლება. თანდათანობითი ევოლუცია, ახალ, „ღვთაებრივ, ბედნიერ“ დემოკრატიულობაში გადასვლა ნაკლებად მოსალოდნელია. თეორია იმისა, რომ ბოლშევიკები განვითარდებიან და უკეთესობისკენ წავლენ, ისტორიულად და ფსიქოლოგიურად უსაფუძვლოდ მეჩვენება.

ტირანთა წინააღმდეგ სახალხო აჯანყება და კოლაფსი ბევრად უფრო მოსალოდნელია, თუმცა არა უახლოეს მომავალში. დაშლის შედეგად მასობრივი, ფართო სახალხო აჯანყების შემდეგ ხალხთა განთავისუფლების შესაძლებლობაც შეიქმნება. ამ სახალხო აჯანყებაზე ვსაუბრობ კაუკაზის თვალსაზრისიდან (ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი).

ახლა ძალგვიძს, საშინელი პროგნოზები გავაკეთოთ იმის თაობაზე, მომავალი რუსეთი გადაიქცევა თუ არა ფედერაციულ სახელმწიფოდ, თუ ზოგიერთი ერი დაქუცმაცდება და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. მხოლოდ ორი რამ არის ჩემთვის ცხადი:

1) ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა სწადია და ამისთვის იბრძვის, რაზეც წერეთელი და ჟორდანია თანხმდებიან, მათაც, როგორც ყოველ ჩვენგანს, ეს საუკეთესო გამოსავლად მიაჩნიათ. წერეთელი ჟორდანიასთან შედარებით ნაკლებად ოპტიმისტურად უყურებს [მოვლენებს], მაგრამ განსხვავება არა განსაცდელში, არამედ პერსპექტივების შეფასებაში მდგომარეობს.

2) ეროვნებებმა გაიღვიძეს და სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი არსებობის სურვილი გამოთქვეს. მეჩვენება, რომ წერეთელი, გარკვეულწილად, ამ ფაქტს არ აფასებს, რაც ჩვენ შორის მხოლოდ ესაა სხვაობა და ამის თაობაზე ბრიუსელიდან მოგწერე. ეს იყო ის მიზეზიც, რის გამოც ივლისში წერეთლის წარმომადგენლად ამირჩიეს. თუმცა ეს განსხვავება მეტად თეორიულ ხასიათს ატარებს და მასთან მსჯელობის შემდეგ ამ საკითხებშიც, განსაკუთრებით, პრაქტიკული პოლიტიკის მხრივ, შეთანხმებას მივაღწიეთ.

ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით ყველა ერის დამოუკიდებელი არსებობის დემოკრატიულად გამოხატულ სურვილს. ეს არის დემოკრატიის პრინციპი, რომელიც ინტერნაციონალმა ბრიუსელში ახლა კვლავ გამოკვეთა. თუმცა არ გვსურს, რომ თვითგამორკვევის უფლება სამხედრო ალიანსებითა და დიდი რუსეთის წინააღმდეგ ომებით გამოვლინდეს. ამაზე ვეთანხმები წერეთელს. არ ვემხრობი ჟორდანიას ჯგუფს, რომელიც არათანმიმდევრულობაში გვადანაშაულებს და თვლის, რომ არარუსი ხალხების დიდ რუსეთთან შეტაკება უსარგებლოა, რადგან დიდი რუსეთი არასოდეს დაეთანხმება, თუნდაც, უკრაინის განადგურებას.

ცხადია, მშვიდობიანი გზა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის გარანტიას ვერ მოგვცემს, თუმცა ომის გზა სოციალისტებისთვის მეტად სახიფათო და მიუღებელია, რასაც წმინდა ეროვნული ნიშნითაც არ ემხრობიან.

დაპირისპირება პარტიის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ჯერ არ დასრულებულა. საბედნიეროდ, საქმე მხოლოდ ემიგრაციას ეხება. საქართველოში პარტია ერთსულოვანია და დარწმუნებული ვარ, რომ უცხოეთში უმრავლესობის შეხედულებებს არ იზიარებს. სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ რამიშვილს აქაც არ ჰყავს უმრავლესობა, რადგან არსებობს ცენტრალური ჯგუფი, გეგეჭკორის მეთაურობით, რომელიც მასაც ეწინააღმდეგება და ერთიანობისთვისაც იბრძვის.

იმედს არ გადავიწურავ, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია, თუნდაც ფსიქოლოგიური მზაობა არ სუფევდეს.

~~DXIV/195~~ Paris 6. III. 29.
K·G 15, 130

Liebe und verehrte Genossen und Freunde,

Was Sie mir in Brüssel gesagt und was ich Ihnen versprochen habe, schickte ich Ihnen über die Auswirkungsverhältnisse und ihre Entwicklung in unserer Parteifrage. (

Sie erinnern sich wohl, daß obwohl ich formell den Stempel der Vertretung der Tendenz Trug, die gegen Tscheli gerichtet war, versicherte ich Ihl, daß dies nicht der Fall war: mich beseelte bloß der Wunsch die Parteieinheit zu verteidigen und zwar auf der Grundlage eines Programms, das sowohl für beide Tendenzen bei uns, als auch für die gesamte Internationale annehmbar wäre. Als man mich zum Sekretär Tscheliis wählte, erklärte ich in unserem Bureau, daß ich mich nicht als Vertreter einer bestimmten Tendenz betrachte, daß ich nicht als Gegner von Tscheli, sondern als sein Assistent in die Internationale gehe, daß ich mit ihm zusammenwirken will und zwar auf dem Boden der Resolution, die von ihm



Ich freue mich, sie wieder zu sehen.

Ich grüsse Sie alle aufs herzlichste und wünsche Ihnen viel Freude und Gesundheit.

In treuer Freundschaft Ihr
Misha Khoundadze

P.S. Jedes mal, als ich eine freie Stunde haben kann, lese ich „die materialistische Geschichtsauffassung" und habe sehr viel Freude daran. Bald werde ich sie ganz gelesen haben.
Mch.

Meine Adresse: 1, Av. de la Liberté
Courbevoie (Seine)

მიხეილ ხუნდაძის წერილი კარლ და ლუიზა კაუცკეებს. 1929 წელი, 6 მარტი
(ამსტერდამის სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტი)

K-G 15,62

Wien XIII Haizingergasse 47. 28/III 39

Lieber Freund Khadze,

ich danke Ihnen für Ihren langen und interessanten Brief, der mich umsomehr erfreute, als er mir zeigte, daß wir in den wesentlichen Tatsachen, um die es sich handelt, einig sind.

Sie haben ganz recht, wenn Sie meinen, ein Krieg zwischen Rußland und einer anderen Macht würde Georgien kaum helfen.

Zunächst erwarte ich einen solchen Krieg nicht. Rumänien und Polen allein werden ihn wohl nicht führen wollen. In Polen würde er auf starke Widerstände stoßen, wenn die polnische Regierung ihn durchführen wollte. Von den Großmächten (außenpolitisch) aber keine daran, gegen Rußland Krieg zu führen. Wozu auch? Und überhaupt nicht daran, Krieg zu führen. Wenn Trotzki von einem Krieg zwischen England und Amerika träumt, so beweist er damit nur, wie selbst die gleichgeschalteten der Bolschewiki das Verständnis für die Welt außerhalb Rußlands verloren haben.

Einen Angriffskrieg aber wird Rußland



12

sehr am Herzen. Hoffentlich hat die Eile der Niederschrift die Klarheit der Darstellung nicht beeinträchtigt.

Mehr darüber können wir uns im Sommer unterhalten, wenn Sie herkommen, worauf ich mich sehr freue.

Von meinem Brief können Sie natürlich unseren georgischen Freunden Mitteilung machen. Er gilt ihnen allen, und meinen russischen Freunden auch, an die ich bei seiner Abfassung ebenfalls dachte.

Bitte, grüßen Sie meine georgischen Freunde auch herzlichst von mir, namentlich Jordania und Tsereteli. Natürlich auch grüße von meiner Frau. Sie selbst grüßen wir bestens

Ihr ergebener K. Kautsky

Haben Sie Nachrichten von Ihren Eltern? Ich bitte sie von mir zu grüßen. Ich denke immer noch mit Vergnügen an unsere gemeinsame Fahrt von Taranto nach Tiflis und die vielen Freundschaftsdienste, die Ihr Vater uns ~~[illegible]~~.

კარლ კაუცკის წერილი მიხეილ ხუნდაძეს. 1929 წელი, 28 მარტი
(ამსტერდამის სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტი)

თქვენ ხომ იცით, როგორ განვითარდა მოვლენები ლონდონში. ვიმედოვნებ, აღმასრულებელი კომიტეტის ეს სხდომა უშედეგოდ არ ჩაივლის. ნებისმიერ შემთხვევაში, განახლება მეტად აუცილებელია, ვიდრე ოდესმე. ჩემი მოკრძალებული ძალებით განვაგრძობ მუშაობასა და ბრძოლას.

ზაფხულში ვენაში ჩამოვდივარ, იმედი მაქვს, გიხილავთ და იქ მოგვეცემა საშუალება, ამ საკითხებზე ცოტაოდენი ვისაუბროთ. ახალგაზრდობის დღეს ქართველ სოციალისტ ახალგაზრდობას წარმოვადგენ.

მოხარული ვარ, რომ გიხილავთ. ყველას გულითად მოკითხვებს გითვლით, გისურვებთ ბევრ სიხარულსა და ჯანმრთელობას.

ერთგული მეგობრობის აღსანიშნავად,
თქვენი მიშა ხუნდაძე

პ.ს. ყოველ ჯერზე, როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, ვკითხულობ [ნაშრომს] „ისტორიის მატერიალისტური შემეცნება“, რაც სიამოვნებას მგვრის. მალე, თითქმის, დავასრულებ.

მ.ხ.

ჩემი მისამართი: თავისუფლების გამზირი 1,
კურბევუა (მდინარერსენასრნაპირზე)

♦♦♦

კარლ კაუცკის წერილი მიხეილ ხუნდაძეს

ვენა, 1929 წლის 5 აპრილი,
XVIII; ჰაიცინგერშტრასე 47

ძვირფასო ამხანაგო ხუნდაძე,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი ვრცელი და დამრიგებლური წერილისათვის, რომელმაც მეტად გამახარა, ვიდრე მოველოდი, ვინაიდან თქვენ მიერ განხილულ არსებით საკითხებთან დაკავშირებით ერთ აზრზე ვართ. სრულიად მართალი ბრძანდებით, როცა ივარაუდეთ, რომ ომი რუსეთსა და სხვა ძალას შორის საქართველოს სავსებით არ წაადგება.

უპირველეს ყოვლისა, ამ ომს არ მოველი. მხოლოდ რუმინეთი და პოლონეთი ვერ წამოიწყებს. თუ პოლონეთის მთავრობა ამას მოინდომებს, იქ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდება. თუმცა, ამჟამად არცერთი დიდი სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე არ ფიქრობს. რა მიზნით? და როდესაც ტროცკი ინგლისსა და ამერიკას შორის ომზე საუბრობს, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბოლშევიკებიდან ყველაზე ინტელექტუალურად განვითარებულმაც კი რუსეთის მიღმა სამყაროს გაგება დაკარგა.

თუმცა რუსეთი აგრესიულ ომს არ წამოიწყებს. ამჟამინდელი მდგომარეობა ამის საფუძველს არ აძლევს.

თუ მოლოდინის საწინააღმდეგოდ მას გარედან დაესხმებიან თავს, ეს მხოლოდ გლეხობის მიმართ ბოლშევიზმის პოზიციებს გაამყარებდა. ბოლშევიზმი, როგორც 1919 და 1920 წლებში, კვლავ იმ ძალად გამოჩნდა, რომელიც მშობლიური გლეხების მიწას უცხო დამპყრობლებისა და ცარისტული რეაქციისგან იცავდა.

ომით გამოწვეული მთელი უბედურება შესაძლოა, დამპყრობლებისთვის მიეწერათ. ამით ეროვნული სიძულვილი გაღვივდებოდა და გლეხების სიძულვილი ბოლშევიზმის წინააღმდეგ დაცხრებოდა. ომით გამოწვეული ტანჯვის მიღმა არა-

ვის ძალუძს იმ უბედურების დანახვა, რომელიც ბოლშევიზმს ახლავს.

შესაძლოა, ომი უკრაინელების რუსეთთან დაახლოების საშუალებად განვიხილოთ, ვინაიდან მათ რუსებზე მეტად სძულთ პოლონელები.

დაბოლოს, რამდენადაც დღეს რუსეთს აგრესიული ომის წარმოება ძალუძს, თავდაცვით ომსაც შეძლებს. ამრიგად, სრულიად საპირისპიროდ მეჩვენება რუსეთთან ომზე დიდი იმედების დამყარება. მაშინაც კი, თუ ასეთი წარმოუდგენელი რამ მოხდებოდა, საბოლოოდ, რუსეთთან ომი გაჩაღდებოდა და უცხო ძალა ბოლშევიკური რეჟიმის ძალისმიერად განადგურებას მოახერხებდა, სოციალიზმის გადმოსახედიდან ეს სასურველი არ იქნებოდა. მაშინ ბოლშევიზმს შეეძლო, ეთქვა, რომ მხოლოდ კაპიტალისტურმა სამხედრო ძალამ მოახერხა მისი მმართველობის აღმოფხვრა. საბოლოოდ, სოციალიზმის დამკვიდრებაში ზეწოლის გარეშეც მიაღწევდა წარმატებას, შეინარჩუნებდა არსებულ პროპაგანდისტულ ძალას, რასაც თავისი დაპირებების გაბედულებას უნდა უმადლოდეს. და რამდენად მყიფე იქნებოდა ის დემოკრატიული რეჟიმი რუსეთში, რომელიც მასების მოძრაობიდან კი არ წარმოიქმნებოდა, არამედ რუსეთის გამანადგურებლებისა და დამაქცევრების მიერ იქნებოდა დამყარებული?!

ქართველებმა შესაძლოა, თქვან, რომ ის, რაც რუსეთში ხდება, მათ არ ეხებათ. თუმცა საკითხი ამგვარად არ დგას. უდიდესი ფორმალური დამოუკიდებლობის პირობებშიც კი, რუსეთის პატარა პერიფერიული სახელმწიფოები, მიუხედავად მათი მდგომარეობისა, ყოველთვის დაზარალდებიან; თუ რუსეთში ძლიერი, რეალური დემოკრატია არ იქნება, მათი არსებობა ყოველთვის ეჭვქვეშ დადგება. რუსეთში კოლაფსი/რღვევა შიგნიდან რომ მოდის, დღეს უკვე ნათელია და ისინიც კი აღარ უარყოფენ, ვისაც საბჭოთა დიქტატურა სულ რაღაც ერთი წლის წინ ურყევად ეჩვენებოდა. ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული კოლაფსი გარდაუვალია. მსხვილი ამერიკული ობლიგაციებიც კი, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ

შემოვიდეს, მხოლოდ მცირე ხნით შეაფერხებს ქვეყნის კოლაფსს. ხელს არ შეუშლის. ეს გარდაუვალია, რადგან დიქტატურის მეთოდებით წარმოება და ვაჭრობა წარმატებით ვერ განხორციელდება. დიქტატურა სახელფასო მუშაკებს, ინჟინრებს, კომერციულ მუშაკებსა და სახელმწიფო მმართველობას დემორალიზაციას უწევს. ასეთი ელემენტებით წარმოება შეუძლებელია.

წლიდან წლამდე რუსული მრეწველობა და ვაჭრობა იმპერიის მოსახლეობის მოთხოვნებს ნაკლებად აკმაყოფილებდა. პროტესტი რეჟიმის ამგვარი წარუმატებლობის წინააღმდეგ გაიზრდება და, საბოლოოდ, უკმაყოფილების გამოხატვის ღია ფორმას მიიღებს.

თუმცა ამ მხრივ რუსეთის პროლეტარიატისგან მეტს არაფერს მოველი. მისი ოდესღაც ბრწყინვალე თვისებები „პროლეტარიატის დიქტატურამ“ სრულიად მოსპო. ეს დიქტატურა, რომელიც რეალურად პოლიტიკური პოლიციის დიქტატურაა, ახლა ბევრად ძლიერია, ვიდრე მეფის დროს; პროლეტარიატის ერთი ნაწილი ინფორმატორებად და ლუმპენებად, ხოლო მეორე – მფრთხალ კურდღლებად გადაიქცა. დანარჩენი ეფექტური ძალა უძლურია.

დღეს რუსეთში გლეხობა პროლეტარიატისგან სრულიად განსხვავდება. მათ ძალაუფლება, გონიერება და დამოუკიდებლობა რევოლუციის გზით მოიპოვეს, რადგან „ჩეკას,“ ქალაქის მოსახლეობის მსგავსად, მათი დემორალიზება არ შეეძლო.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი გლეხებისგან წამოვა. თუმცა გლეხები, რომლებიც ბოლშევიკური ტირანიის დასამხობად საკმარისად ძლიერნი და გონიერნი არიან, სხვას არ შეეგუებიან.

სრულიად უსაფუძვლოა იმის შიში, რომ რუსეთში ბოლშევიზმის დამხობა დიდ მემამულეებსა და ცარისტულ რეჟიმს დააბრუნებს. არა, მათი დრო სამუდამოდ დასრულდა. ბოლშევიზმის დამხობა მე-9 თერმიდორს, ბონაპარტიზმისთვის მზადებას, რევოლუციის დამარცხებას არ მოასწავებს. სტალინი უკვე თერმიდორს განასახიერებს – ბონაპარტიზმს, ყველაზე

შავ რეაქციას. გლეხთა აჯანყებით მისი დამხობა არა კონ-ტრრევოლუციას, არამედ იმ სერიოზული დაბრკოლების გა-დალახვას გულისხმობს, რომელიც ბოლშევიზმმა 1917 წლის ოქტომბერში, რუსეთის პირობებში რეალურად შესაძლებე-ლი, ერთადერთი შედეგის მომტანი რევოლუციის წინააღმდეგ მიმართა. ამ დაბრკოლების გადალახვა 1917 წლის გაზაფხუ-ლის რევოლუციის დასრულებას უხსნის გზას.

როგორ მოხდება რუსეთის განთავისუფლება, აჯანყებე-ბითა თუ უბრალოდ ეკონომიკური ზეწოლით, თუ, როგორც ყოველთვის, დღეს ვერ ვიტყვით. ისეთი ფენომენის წინაშე ვდგავართ, რომელსაც ისტორიაში წინამორბედი არ ჰყავს. მზად უნდა ვიყოთ ყველანაირი მოულოდნელობებისათვის.

ემიგრაცია ნაკლებად შეძლებს რუსეთის საქმეებში ჩარე-ვას, თუმცა მას უსარგებლოდ არ აქცევს. საბჭოთა რეჟიმმა რუსეთში თითქმის ყველაფერი, რაც ადრინდელი ინტელექტუ-ალური ძალებისგან შემორჩა, მოსპო. მისი ინტელექტუალური შთამომავლობა მწირია. რუსი ხალხისა და, ზოგადად, საბჭო-თა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების საუ-კეთესო ინტელექტუალური ძალა საზღვარგარეთ იმყოფება. როგორც კი რუსეთში ოპოზიციური მოძრაობა გაძლიერდე-ბა, იგი იძულებული გახდება, ინფორმაციები და მხარდაჭერა ემიგრაციაში მოიპოვოს.

გლეხებს ხელეწიფებათ რუსეთის ფლობა, თუმცა – არა მართვა. ისეთი დიდგვაროვანი ვერ მოიძებნება, ვისაც მისი მართვა შეუძლია და არც დაბრუნდება. მმართველობის სადა-ვეებს იმ პარტიის ინტელექტუალები აიღებენ ხელში, რომლებ-მაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში გლეხების მხრიდან დიდი ნდობა დაიმსახურეს. შესაძლოა, იყოს ის პარტია, რომელიც ქალაქის პროლეტარიატის ნდობასაც მოიპოვებს.

რუსეთში ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმართული რევო-ლუცია, ინფორმაციასა და რეკომენდაციებს, უპირველეს ყოვ-ლისა, დემოკრატიული და სოციალისტური ემიგრაციისგან მი-იღებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ მოხერხდება, არა არისტოკრატებისა და ცარისტების თეთრ რეაქციას, რო-

მელთა მიმართაც გლეხობა მტრულადაა განწყობილი, არამედ ლიბერალებს მიმართავს.

მაშინ ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, დემოკრატიული და სოციალისტური ემიგრაცია თავს გაართმევს თუ არა დაკისრებულ ამოცანას. მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, თუმცა დაქუცმაცების საფრთხე დიდია. დამღუპველი იქნება, თუ რუსეთში მომავალი რევოლუცია რევოლუციონერთა ემიგრაციას ურთიერთნგრევის მდგომარეობამდე მიიყვანს.

ყველა ფენის წარმომადგენელი რუსი რევოლუციონერების ძველ მანკიერებას მათი სექტანტობა, შეუწყნარებლობა, დიქტატორული მეთოდები წარმოადგენს. ამას მივაწერ ორმხრივი საიდუმლო ორგანიზაციების ზეგავლენას, რომელიც გასაქანს არ აძლევდა მასობრივ ორგანიზაციებს, მათ შორის, ემიგრაციას, რომელმაც პრაქტიკული მოქმედება შეწყვიტა. ამრიგად, მას შეუძლია ყველა პრობლემა, მათ შორის, როგორც პრაქტიკული, ისე – თეორიულიც გადაჭრას. თუმცა, აზროვნება ყოველთვის ინდივიდუალისტურია, სადაც პრაქტიკა ადამიანებს ერთობლივ მუშაობას აიძულებს.

ბოლშევიზმის ძალაუფლებას გაქცეულმა სოციალისტებმა და დემოკრატებმა, პრაქტიკისათვის მზადება სექტანტობაზე უარის თქმით უნდა დაიწყონ. თითოეული ორგანიზაციის შიგნით უმცირესობა შეხედულებებს ბევრად ღიად აფიქსირებს, თუმცა სხვადასხვა ორგანიზაცია ნაკლებად ეპყრობა ერთმანეთს მტრულად და ზიზღით – არსებულ პრაქტიკულ საკითხებში კარგ მეგობრობასა და ურთიერთგაგებას ინარჩუნებს.

მსგავსად უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციაში. ქართველები ან, საერთოდ, ამიერკავკასიელები და თვით უკრაინელებიც კი, დიდ რუსეთთან კავშირის გარეშე ბოლშევიზმს ვერ დაამხობენ – რამდენადაც მორყეულია, ცალკეული პროვინციული აჯანყებების წინააღმდეგ მაინც იბრძვის. წითელი არმია მისთვის საკმარისი იქნება. თუმცა როდესაც მთელი რუსეთის გლეხობა დაირაზმება, როდესაც

ბოლშევიზმს არა მხოლოდ ტფილისში, ბაქოსა და კიევში, არამედ ლენინგრადსა და მოსკოვშიც წინ აღუდგებიან, საბჭოთა დიქტატურა შეუძლებელი გახდება.

საქართველოს განთავისუფლება განუყოფლად მთელ რუსეთთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი ჩვენი ქართველი მეგობარი შიშობს, რომ დემოკრატიული რუსეთი ისეთივე მტრულად იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ განწყობილი, როგორც ცარისტული რეჟიმი და ახლა ბოლშევიზმი. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის დემოკრატიულ პატრიოტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამგვარად ფიქრობენ. თუმცა დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც ანტიბოლშევიკური რევოლუციიდან წარმოიშობა, ძლიერი სახელმწიფო სისტემა ვერ ექნება. 1789 წლის რევოლუციამ საფრანგეთში უდიდესი ადგილობრივი თვითმმართველობა და ცენტრალური ხელისუფლების სრული უძლურება მოიტანა. მხოლოდ ომმა და 1792 წლიდან ტერორის მეფობამ შეცვალა ეს ვითარება.

დიქტატურის წინააღმდეგ შიგნიდან მიმართულმა გამარჯვების მომტანმა აჯანყებამ, ამავდროულად, გარედან წამოსული ომის გარეშე დიდი ადგილობრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდა მოიტანოს. თუ რუს პატრიოტებს მოცემულ პირობებში სურთ, რომ ამიერკავკასია, უკრაინა ან ცენტრალური აზია იმპერიის შემადგენლობაში დარჩეს, ამ ტერიტორიებს მხოლოდ სრული თავისუფლება კი არა, არამედ დიდი ეკონომიკური უპირატესობებიც უნდა შესთავაზონ. იმპერიის ცალკეულ ნაწილებს მხოლოდ ურთიერთგაგებისა და საერთო ინტერესების წყალობით შეეძლებოდათ მის შემადგენლობაში დარჩენილიყვნენ.

წარმატებას მიაღწევს თუ არა და რა ფორმას მიიღებს ახალი ფორმირებები ან დაიშლება თუ არა რუსეთი, რაც დასანანი იქნებოდა, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს ამაზე დავა არ ღირს.

თუმცა დღეს სრულიად აუცილებელია, რომ საბჭოთა კავშირში მყოფი სხვადასხვა ერის რევოლუციონერებმა ბოლშევიზმის წინააღმდეგ რევოლუცია საერთო მოვლენად განიხილონ, რომელსაც ყველა ერთნაირად მიუახლოვდება, ერთად და არა ერთმანეთის წინააღმდეგ იმოქმედებს. რასაკვირველია, არანაკლებ

მნიშვნელოვანია სოციალისტურ ინტერნაციონალთან ჰარმონიული თანამშრომლობა. მეორე მხრივ, ძალზე საშიშია, თუნდაც დამღუპველი, რუსეთის წინააღმდეგ არარუსულ ბურჟუაზიულ მთავრობებთან თანამშრომლობა. მათი წინააღმდეგობა, ვიდრე სხვა რომელიმე, ბოლშევიზმისადმი სრულიად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. მათ არა საბჭოთა რუსეთის ხალხების გათავისუფლება, არამედ მათი ჩვენთან შეუთავსებელი მიზნებისთვის სათავისოდ გამოყენება სურთ. ასეთი თანამშრომლობით, ჩვენი ამხანაგები თავს საფრთხეში იგდებენ – საბრძოლო იარაღებად იქცნენ იმ მიზნებისთვის, რომლებსაც ერთხმად თავადაც ეწინააღმდეგებიან და მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატიც არ ემხრობა.

ამით დავასრულებ. ნაჩქარევად დავწერე, რადგან ბევრი დრო არ მაქვს და თან არ მსურს ჩემს ბოლო წიგნზე მუშაობის შეწყვეტა. მოკლედ მინდოდა, შემეჯამებინა, მაგრამ ეს საკითხი ძალიან მაღელვებს. იმედია, ასეთმა ნაჩქარეობამ წარმოდგენილ მოსაზრებებს სიცხადე არ დაუკარგა. უფრო ვრცლად ზაფხულში ვისაუბროთ, როცა აქ ჩამოხვალთ, რასაც სიხარულით მოველი.

ჩემი წერილი, ცხადია, ჩვენს ქართველ მეგობრებსაც შეგიძლიათ, გაუზიაროთ. ეს ყველა მათგანს ეხება, ასევე – ჩემს რუს მეგობრებსაც, რომლებზეც წერის დროს ვფიქრობდი.

გთხოვთ, გულითადი მოკითხვა გადასცეთ ჩემს ქართველ მეგობრებს, განსაკუთრებით – ჟორდანიასა და წერეთელს. რასაკვირველია, ჩემი მეუღლეც გითვლით მოკითხვას.

საუკეთესო სურვილებით,
შენი ერთგული [მეგობარი]

მშობლებისგან რაიმე ცნობები ხომ არ მიგიღიათ? გთხოვთ, ჩემი მოკითხვა გადასცეთ. ახლაც სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს ერთობლივ მოგზაურობას ტარანტოდან თბილისში და მამათქვენის ჩვენდამი გამოხატულ მრავალ მეგობრულ ჟესტს.

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი კარლ და ლუიზა კაუცკებს[1]

პარიზი, 26 სექტემბერი, 1930

ჩემო პატივცემულო და ძვირფასო მეგობრებო,

დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენს ამბებს ვიგებ და ნაშრომი ბოლშევიზმის შესახებ მივიღე. არ ვიცოდი, რომ გამოქვეყნდა, თუმცა ჩხენკელისაგან გამეგო, რომ ამხანაგი კაუცკი მის დაწერას აპირებდა. ყურადღებით წავიკითხე. სიტყვებს ვერ ვპოულობ ჩემი კმაყოფილებისა და სიხარულის გამოსახატავად. ნაშრომი ბრწყინვალეა, თითოეული გვერდი ღირებულია. იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ნამუშევარი, რომელშიც გაბედულების ასეთი კარგი სახე და, რა თქმა უნდა, გამჭრიახობა და მაღალი იდეალიზმი ამგვარ მოცულობაში იყოს თავმოყრილი. მასში არცერთ სიტყვას შევცვლიდი. იგი დამაფიქრებელი და ჭეშმარიტია, დიახ, საფუძვლიანად ჭეშმარიტია. მეტად სასიამოვნოა, როცა ამდენს განიხილავენ. დაფიქრებულხართ იმაზე, საბჭოთა იმპერიაში ათასობით და ათიათასობით ადამიანზე რამდენად მოახდენდა გავლენას, თუ მისი წაკითხვის შესაძლებლობა ექნებოდათ? ცხადია, მტკივნეულია, რომ მსოფლიოში ბევრი პატივცემული მეგობარი მის ძირითად შეხედულებებს არ იზიარებს. თუმცა რისი მტკიცება შეუძლიათ მხოლოდ დაკარგული სიტყვით სოციალიზმის შესახებ, მხოლოდ სოციალისტების ცრუ სახელით, რომლებიც ბოლშევიკებს თავიანთ გამოსვლებში არ უხსენებიათ? ეს ხომ ფეტიშიზმია და არა მარქსიზმი!

კითხვას, რომელსაც ყველას გარკვეული მღელვარებით ვუსვამთ, 56-ე გვერდზე შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული: „ან უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი, რასაც ბ-ები (ბოლ-

1 წერილს ახლავს მიხეილ ხუნდაძის მეუღლის, პეგის, მინაწერი კიდეზე: მოგიკითხავ სიყვარულით და ვიმედოვნებ, მალე გერმანულად მოგწერ. პეგი ხუნდაძე

შევიკები) აკეთებენ, რევოლუციად უნდა მივიჩნიოთ და ვიხ-სნათ?! “ ...

ისტორია გადაწყვეტს ბოლშევიზმზე დავის საკითხს და ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ის დაამტკიცებს, რომ არა სხვები, არამედ კაუცკია მართალი, როგორც ეს სხვა ვითარებასა და სხვა გარემოებებში გამოჩნდა. დრო რომ მქონ-დეს, წიგნის თაობასა და იქ ნახსენებ იდეებზე ბევრს დავწერ-დი. მეტად ამაღელვებელია, თუმცა ამ ჯერზე, მხოლოდ ჩემს ზოგად შთაბეჭდილებას გიზიარებთ.

დიახ, სამწუხაროა, რომ წერეთელი აღმასრულებელ ხე-ლისუფლებაში არაა, ისიც კაუცკის ერთგული სტუდენტია და როგორც სხვა მრავალი ნიჭიერი სტუდენტი, ყველაფერს ვაკე-თებთ ამ საქმის ასაღორძინებლად. და უიმედო სულაც არაა. პირვანდელი საკითხის სრული სიცხადის უზრუნველსაყოფად ინტერნაციონალში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. იმედი მაქვს, მომავალ წელს ვენაში ჩამოვალ, ალბათ, ჩემს მეუღლეს-თან ერთად, რომელიც უდიდეს და ერთ-ერთ საუკეთესო „მა-ღალი მოდის“ სახლში „seconde vendensé“ ასისტენტ-გამყიდ-ველად მუშაობს; ვიმედოვნებ, რომ მომავალში იმავე სახლში ესკიზების შემქმნელის პოზიციას დაიკავებს, რადგან ამაში უდავოდ ნიჭიერია. მეტისმეტად ინგლისური ტიპის ქერა და ნათელი პირისახისაა, მალე გამოგიგზავნით კარგი ხარისხის ფოტოს. თავად მე, Citroen-ის კომპანიაში Citroen-ის მიერ ფი-ლადელფიიდან კომპანიის გაუმჯობესების მიზნით მოწვეულ ამერიკელებთან ერთად ვმუშაობ.

ჩემი მშობლები, მოცემულ ვითარებაში, შეძლებისდაგვა-რად კარგად არიან, თუმცა ასაკთან შედარებით ბევრად ხან-დაზმულებად გამოიყურებიან. იქ ცხოვრება ისეთი რთულია: ინფლაცია, მუდმივი, მზარდი ფასები, დაბალი ხელფასები, მაღალი გადასახადები, დაუცველი ყოფა. სტალინი ყველაზე კეთილსინდისიერ ფედერალისტებსაც აშინებს, რომლებსაც თავისი გიჟური პოლიტიკის გატარებაში პასუხისმგებლობას აკისრებს (რა სამარცხვინო პატივისცემას ვხედავთ ამ დღეებ-ში!) და ა. შ. / ა. შ.



ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE

გამოსცემს საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზღვარგარეთელ დელეგაციის და საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარიზის ანალგასიანი ჯგუფისაგან.

პირველი რვეული. პარიზი. მაისი 1927 წელი. Paris, Mai. Premier cahier.

ჩვენი მიზანი.

უკვე ექვსი წელიწადია, რაც რუსეთის მიერ ძალით დამყარებული რეჟიმი მძინვარებს საქართველოში. ყოველგვარ ხმებას მოკლებული საოკუპაციო მმართველობა განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას ქართველი ერის წინააღმდეგ. ვინაიდან ქართველი ერი თავისუფლების დაკარგვას ვერ ურიგდება და იბრძვის შელახული უფლების აღდგენისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენი სამშობლო არ არის განმარტოებული. საქართველოს განთავისუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ განცალკევებულ, ადგილობრივ, ვიწრო ეროვნულ პრობლემას, არამედ კაცობრიობის ერთ ერთ მიზანს, რომელიც ჩაქსოვილია დემოკრატიის მსოფლმხედველობაში.

კაცობრიობა ორ ბანაკად არის დაყოფილი: ერთი მხრით—დესპოტია და მისი გარკვეული მატარებელი ორი ძალა—ბოლშევიზმი და ფაშიზმი, თუმცა გარეგნულათ სხვადასხვა სოციალურ მინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ ორივე დაუზოგავი მტერი კაცობრიობის წინსვლის და მშვიდობიან განვითარების,—მეორე მხრით დემოკრატიული მოძრაობა, დამყარებული თავისუფლების და სამართლიანობის პრინციპებზე.

დემოკრატიულ მოძრაობის მთავარი მატარებელი სოციალური ფაქტორი არის საერთაშორისო პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი—სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც ამგვარათ წარმოადგენს ქართველი ერის გულწრფელ და ერთგულ მოკავშირეს.

მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას, და ეს ნიშნავს უწინარეს ყოველისა, რომ ერთა თვითგამორკვევას, ერთა განთავისუფლებას, და კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას აქვს მტკიცე საფუძველი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ მიზეზების გამო შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ შეუწყობს საქართველოს განთავისუფლებას ამის მოახლოვებას. პირიქით ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო კრიზისი, რომელიც თანდათან ეითარდება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას—ახლო მომავლის პრობლემათ ხდის.

დემოკრატიული პრინციპი—ერთათ ერთი ,,ცხოველმყოფელი ძალა—დღეს თუ არა ხვალ თავისას ეტიტანს და დაანგრევს სუფეველგან დესპოტიას. უმთავრესია, რომ ქართველმა ერმა შეინარჩუნოს სიმტკიცე, ერთსულოვნობა და ბრძოლის ენერგია. ბრძოლა სხვადასხვა პირობების მიხედვით მიიღებს სხვადასხვა ფორმებს. მაგრამ არ შეწყდება, არ შესუსტდება. ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველი ახალგაზდობა და კერძოთ ჩვენი ამშანაგები თავმოყრილი და მტიდროთ შეკავშირებული ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. მიიმეა მათი ტვირთი საქართველოში, მაგრამ მათი გული სიამაყით და ენერგიაშიშინ არის აღსავსე, ვინაიდან ისინი ტიდ იდეალს ემსახურებიან. ჩვენ—მათი მეგობრები, უცხოეთში მყოფი, სულით და გულით მათთან ვართ—საერთო გრძნობით. საერთო ინტერეს გამსჭვალული. იქ თავისუფლება დაბრუნდა. მათ საშუალება ეძლევა

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზღვარგარეთელ დელეგაციის ჟურნალ „ახალგაზდა სოციალ-დემოკრატის“ პირველი ნომერი. 1927 წლის მაისი.
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

კარლ და ლუიზა კაუცკები(მარცხნიდან მეორე და მესამე) მიხეილ ხუნდაძის მშობლებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი და მეორე). 1920 წ. რომი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ცენტრში კარლ კაუცკი. წინა რიგში მარცხნიდან მეორე მიხეილ ხუნდაძე. ხუნდაძის უკან ვლადიმერ ახმეტელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ბერლინში. ფოტო გადაღებულია ხუნდაძეების ოჯახში. სავარაუდოდ 1923 წელი. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

გმადლობთ მოკითხვისთვის. შევუკვეთავ, რაც დიდ სიხარულს მოგგვრით.

რაც შეეხება კოდტერს/Codter, კარგად მიმიღო და დიდი პატივისცემით ისაუბრა თქვენზე, მეტად კეთილი და სასიამოვნო პიროვნების შთაბეჭდილება დატოვა. წიგნების საფასურის გადახდაზე როცა მიდგა ჯერი – მიპასუხა: „Oh, laissez-moi faire, ne vous en inquiétez pas." [1]. მას შემდეგ აღარ მინახავს. გავიკითხავ, თუ როგორ მიდის მისი წიგნის მაღაზიის საქმეები. კიდევ ერთხელ გულითად მადლობას მოგახსენებთ.

გეხვევით სიყვარულით,
თქვენი მიშა ხუნდაძე

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძის წერილი კარლ და ლუიზა კაუცკებს

შანტიი (უაზი) ვილა ვერსაპუი.

ჩემო ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგებო,

ახლახან შევხვდი ჩხენკელს, რომელმაც თქვენი წერილების შესახებ მიამბო. ისიც გავიგე, რომ ამხანაგი ბენედიქტი პარიზში იმყოფებოდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენს სამეგობროში არავინ შემატყობინა ამის თაობაზე და არავინ იყო იქ, ვინც ჩემი მისამართი იცოდა. სიამოვნებით შევხვდებოდი მას. ვიმედოვნებ, თქვენი ოჯახიდან პარიზში კვლავ ჩამოვა ვინმე და მაშინვე შემატყობინეთ, რაც ძალიან გამიხარდება. წელიწადის უმეტეს დროს აქ, შანტიიში ვატარებ და ყოველდღე დავდივარ პარიზში, სადაც დიდ საავტომობილო კომპანიაში საკმაოდ კარგ პოზიციას ვიკავებ (ჩვენი სტანდარტებით!). ვიმედოვნებ, უახლოეს წლებში საქართველოში ვითარება შეიცვლება, თუ

[1] „ო, გთხოვთ, მე მომანდვეთ, ამაზე არ იღელვოთ".

არადა, ალბათ, საფრანგეთში დავრჩები და შევეცდები, საფრანგეთის პარტიაში დავსაქმდე.

ხშირად ვფიქრობ შენსა და შენს ოჯახზე, დროდადრო ვკითხულობ ამხანაგ კარლის წიგნებს, ახლა ფრანგულად და ინგლისურ ენაზეც კი, ბოლო ნამუშევარში, რომელიც მეხუთეა, კ. კაუცკის შემოქმედებას თავიდან, მუდამ ერთნაირი სიხარულის შეგრძნებითა და ენთუზიაზმით ვეცნობი. როდის გამოვა მისი წიგნი ისტორიის მატერიალისტური შემეცნების შესახებ?

ახლა მსურს, ცოტაოდენ უხერხულ საკითხებზე ჩამოვაგდო სიტყვა. როგორც თითოეული ჩვენგანი, მეც ძალიან უკმაყოფილო ვარ და მრცხვენია კიდეც, რომ ჩვენმა თანამემამულე თოფურიძემ ასე ძალიან შეგაწუხათ. აქედან ძლივს ვეხმარებით. ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოს, ესაა ის, რის თაობაზეც უკვე ჩხენკელმა მოგწერათ. თოფურიძე პარიზში უნდა ჩავიდეს, სადაც სხვა სტუდენტების მსგავსად იცხოვრებს. აქ შიმშილით არ მოკვდება. ჩვენი მხრივ, გთხოვთ, გადასცეთ, დატოვოს ავსტრია და აქ ჩამოვიდეს.

ძალიან სასიამოვნოა, რომ მასზე ზრუნავდი, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და აღარ უნდა შეგაწუხოთ. ერთგული მეგობრობის აღსანიშნავად თქვენ, ძვირფასს ამხანაგ კარლსა და მის დიდ ოჯახს მოკითხვას გითვლით.

თქვენი მიხეილ ხუნდაძე

♦♦♦

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ემიგრაციული საქმიანობის მიმოხილვა

ჩვენი მუშაობა უცხოეთში

(მოკლე მიმოხილვა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა (სოც.-დემ.) ორგანიზაციის უცხოეთის წარმომადგენლობის მუშაობისა მისი დაარსებიდან 1927 წლის ბოლომდე)

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა უცხოეთში დაინიშნა 1922 წელს. მისი მოვალეობა იყო კავშირის გაბმა სხვადასხვა სოციალისტურ ორგანიზაციებთან და კერძოთ ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალთან მუშაობა.

ამ დროს ახალგაზრდა სოციალისტური ინტერნაციონალი არ იყო გაერთიანებული: ახალგაზრდები შეკავშირებული იყვნენ ორ საერთაშორისო ორგანიზაციაში: მეორე და ვენის ინტერნაციონალში. მათ შორის უკვე არსებობდა ერთგვარი დაახლოება, რომელსაც შემდეგ ორგანიზაციული გაერთიანება უნდა მოჰყოლოდა.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენლობამ უცხოეთში უმალვე გააბა კავშირი ორივე ინტერნაციონალთან და ხელს უწყობდა მათ გაერთიანების საქმეს. ამ მიზნით ის დაესწრო ზალცბურგში მომხდარ ორივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა კონფერენციას, და აქ ის გამოვიდა საჯარო სხდომაზე გაერთიანებისკენ მოწოდებით, რასაც კონფერენცია დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ამავე კონფერენციაზე ჩვენ დაწვრილებით გავაცანით ევროპიელ ამხანაგებს საქართველოს ორგანიზაციის მდგომარეობა, რის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ორივე ინტერნაციონალის გაერთიანებული სხდომა პროტესტს აცხადებდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იქ ტერორის გამეფების წინააღმდეგ და საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას მხურვალე სალამს უთვლიდა.

ზალცბურგში მოხდა ჩვენი გაცნობა, დაახლოვება და დამეგობრება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ხელმძღვანელებთან. ეს განწყობილება თანდათან გაძლიერდა სხვადასხვა შეხვედრების და მუდმივ მიწერ-მოწერის დროს შემდეგში. ჩვენ ვცდილობდით მუდმივი კონტაქტი გვქონოდა ევროპის ახალგაზრდა სოციალისტურ ორგანიზაციებთან, ვაწოდებდით მათ ცნობებს ჩვენი ორგანიზაციისა და კერძოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებს ჩვენ მუდამ გვთხოვდნენ ევროპიელი ამხანაგები და მათ თავის პრესაში ავრცელებდნენ. ამავე მიზნით ჩვენ ხშირათ ვაკეთებდით მოხსენებებს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, შემდეგ საფრანგეთში. ამხ. მ. ხუნდაძე საგანგებოთ მიწვეული იყო ბელგიაში და ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მან რამდენიმე ქალაქში დიდ საჯარო კრებებზე გააკეთა მოხსენებები საქართველოზე და ბოლშევიზმის შესახებ. ახალგაზრდობა დიდი სიმპათიით უსმენდა ჩვენს წარმომადგენელს და გამოჰქონდა შესაბამისი საპროტესტო რეზოლუციები. აგრეთვე იწერებოდა წერილები როგორც ინტერნაციონალის ორგანოებში ისე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა სოც. ორგანიზაციების პრესაში. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის წერილი უცხოელ ამხანაგებისადმი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ მივიღეთ, ინტერნაციონალის ორგანოში პირველ გვერდზე დაიბეჭდა შემდეგი სათაურით „საქართველოს ტანჯვის გზა.“

1923 წელს მოხდა ორივე ინტერნაციონალის გაერთიანება ჰამბურგის კონგრესზე. მან დაადასტურა ჩვენი ორგანიზაციის მიღება ახალგაზრდათა ინტერნაციონალში შემდეგი სახელწოდებით: „საქართველოს სოციალდემოკრატიული (ახალგაზრდა მარქსისტთა) ახალგაზრდების ორგანიზაცია.“

ამ კონგრესზე ჩვენ გავგზავნეთ ოთხი კაციდან შემდგარი დელეგაცია, რომელმაც გასწია სერიოზული მუშაობა, როგორც კომისიებში ისე საჯარო კრებებზე გამოსვლებით.

აქ კომუნისტებმა მიმართეს კონგრესს წინადადებით, რომ ისინი დაშვებული ყოფილიყვნენ კონგრესზე. კონგრესმა უარჰყო კომუნისტების წინადადება და აირჩია კომისია პასუხის შესამუშავებლად. ამ კომისიაში სხვებთან ერთად არჩეული იყო ჩვენი წარმომადგენელი ამხ. მ. ხუნდაძეც. კომისიამ შეიმუშავა

რეზოლუცია, რომელიც კომუნისტების წინადადებას უარჰყოფდა და ამას სხვათა შორის იმით ასაბუთებდა, რომ ახალგაზრდა კომუნისტთა ინტერნაციონალი მონაწილეობას იღებს, იმ საშინელ დევნაში, რომელსაც განიცდიან როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სოციალისტურ მუშათა და ახალგაზრდა სოც. ორგანიზაციები. ეს რეზოლუცია კონგრესის მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

ჩვენი წარმომადგენლობის წინადადებით კონგრესმა მიიღო აგრეთვე სპეციალური საპროტესტო რეზოლუცია ტერორის წინააღმდეგ იმ ქვეყნებში, სადაც გამეფებულია დიქტატურა, კერძოთ საქართველოსა და რუსეთში, და თავისი უღრმესი სიმპათია გამოუცხადა ამ ქვეყნების სოციალისტურ ორგანიზაციებს.

ამავე კონგრესზე ჩვენმა დელეგაციამ გადასცა ბიუროს მოხსენება საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის შესახებ, იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც მაშინ ცენტრალურ კომიტეტიდან მივიღეთ. ეს მოხსენება სიტყვა-სიტყვით დაიბეჭდა კონგრესის საანგარიშო წიგნში.

შემდეგი საერთაშორისო შეხვედრა მოხდა მარსელში 1925 წელს. აქ გაიმართა სოც. ახალგაზრდათა ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო ჩვენი წარმომადგენელი ამხ. ხუნდაძე.

ამ ეკზეკუტივის სხდომაზე გაირჩა უმთავრესათ ორგანიზაციული კითხვები, განსაკუთრებით მომავალი კონგრესის და საერთაშორისო შეხვედრის შესახებ. იყო აგრეთვე მსჯელობა ომის საფრთხისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე.

მარსელის შეხვედრა იმით იყო საგულისხმო ჩვენთვის, რომ ძალიან ინტიმური განწყობილება ჩამოვარდა ეკზეკუტივის წევრებსა და ჩვენს წარმომადგენელს შორის.

უკანასკნელი დიდი შეხვედრა, რომელსაც ჩვენ დავესწარით, იყო ამსტერდამის კონგრესი და ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო დღე.

ამის შესახებ ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ცნობები „ახალგაზრდა სოციალდემოკრატის“ პირველ ნომერში.

აქაც ჩვენ მივიღეთ მხურვალე მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში. ჩვენი წარმომადგენელი მუშაობდა სამანდატო და

საზავო კომისიაში. სამანდატო კომისიის სახელით მან მოხსენება გააკეთა საჯარო კრებაზე და იღებდა მონაწილეობას საერთო კამათში სხვადასხვა კითხვების შესახებ.*

ბოლოს ავსტრიელების, რუსების და ჩვენი საერთო შეთანხმებით შემუშავდა საერთო რეზოლუცია ბოლშევიზმის და ომის საფრთხის შესახებ აღმოსავლეთში.

ამ რეზოლუციაში ნათლად არის გამოხატული საქართველოს დამოუკიდებლობის მხარის დაჭერა:

„ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი თავის საქმეთ აცხადებს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღდგენის მოთხოვნას, რომელსაც სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი დიდი ხანია იცავს.“

ამგვარათ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი გამოდის, ისე როგორც მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი, დამოუკიდებელ საქართველოს მცველათ.

1927 წელს მოხდა მეორე საერთაშორისო შეხვედრა შტუტგარდში (გერმანია) ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალის 20 წლის არსებობის დღის აღსანიშნავათ. ამ დღეს დაესწრო და წარმოთქვა სიტყვა ჩვენი წარმომადგენლობის სახელით ამხ. ნ. იმნაიშვილმა.

ამსტერდამის კონგრესის შემდეგ ჩვენ, როგორც წინათ, მუდმივი კავშირი გვქონდა და გვაქვს ინტერნაციონალის ბიუროსთან. ჩვენ გადავუგზავნეთ მასალები ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ და გადავეცით ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ მოსული წერილის შინაარსი. ამის შესახებ ჩვენ მივიღეთ ბიუროს სეკრეტარის წერილი, რომელშიაც ის თავის სიხარულს გამოსთქვამს ჩვენი ორგანიზაციის სიმტკიცის და გავლენის გამო საქართველოში.

რუს ამხანაგების და ჩვენი ინიციატივით ინტერნაციონალის ბიურომ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ინტერნაციონალის მიერ დაარსებულ კომისიაში, რომელსაც ევალებოდა პოლიტიკურ დატყვევებულთა მდგომარეობის გამორკვევა იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არ არსებობს და ამის შესახებ ცნობების გავრცელება. ბიურომ თავის წარმომადგენლათ გაგზავნა ამ კომისაში ინტერნაციონალის თავმჯდომარე, კარლ ჰაინცი.

რაც შეეხება ქართველ დატყვევებულთა მძიმე მდგომარეობას და წამებას, ამის შესახებ ჩვენ დროზე მივაწოდეთ მასალები ინტერნაციონალის ბიუროს.

1927 წლის მაისიდან დელეგაცია პარიზის ახალგაზრდათა ორგანიზაციის დახმარებით სცემს არა პერიოდულ გამოცემას „ახალგაზრდა სოციალდემოკრატს“, რომლის ოთხი ნომერი უკვე გამოვიდა და რომლის გამოცემა მომავალშიაც გაგრძლებულ იქნება.

აი მოკლეთ მთავარი ფაქტები რომელიც ახასიათებს საქართველოს ახალგაზრდა სოციალდემოკრატთა (ახალგაზრდა მარქსისტთა) ორგანიზაციის უცხოეთის წარმომადგენლობის მოღვაწეობას უცხოეთში და კერძოთ ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალში 1927 წლის ბოლომდე.

6 წლის განმავლობაში ჩვენ შევსძელით ჩვენი ქვეყნის კითხვის ფართო პროპაგანდა ევროპის ახალგაზრდა საოციალისტთა წრეებში, ამ კითხვისადმი სიმპატიის მოპოვება და მეორე მხრით საპატიო ადგილის დაჭერა ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალში და მის ხელმძღვანელებთან დაახლოება და დამეგობრება.

გასულ წელს საქართველოს ორგანიზაციამ ხელახლა აირჩია თავისი დელეგაცია უცხოეთში სამი პირისგან, მის თავმჯდომარეთ დანიშნულია ჩვენი წარმომადგენელი ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალში – ამხ. მ. ხუნდაძე და მდივნათ ამხ. შ. ბერიშვილი.

დელეგაცია შეეცდება საქართველოს ორგანიზაციის დირექტივების თანახმათ გააგრძელოს ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობა, ხელი შეუწყოს ჩვენს უფრო მეტ დაახლოვებას და დაკავშირებას ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალთან და მის სექციებთან და მეორე მხრით მიაწოდებს საქართველოს ორგანიზაციას სათანადო მასალას სოციალისტურ ახალგაზრდობის მოძრაობის და სულისკვეთების შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის
უცხოეთის წარმომადგენლობა

ჟურნალი „ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი“, 1929 წ. # 5

♦♦♦

მიხეილ ხუნდაძე, სამართლის დოქტორი

ქართული უნივერსიტეტი საბჭოთა რეჟიმის გავლენის ქვეშ

სტუდენტის წერილი

უწინ, საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, უმაღლესი განათლების მიღების ერთადერთი გზა რუსეთში წასვლა იყო – შორეულ ქალაქებში უნდა გაგვეძლო სამხრეთელებისთვის მძიმე და ხშირად დამღუპველი კლიმატისათვის, სამეცნიერო განათლება უცხო ენაზე მიგვეღო და, ძალაუნებურად, რუსული კულტურის გავლენას დავმორჩილებოდით.

ყველაზე იღბლიანებს ზოგჯერ პირდაპირ დასავლეთ ევროპაში წამოსვლის საშუალებაც ჰქონდათ, მაგრამ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო.

ასევე, ჩვენს პროფესორებს, ახალგაზრდა დიპლომირებულებს, თავიანთი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება მხოლოდ რუსულ სკოლებში შეეძლოთ და ამგვარად ამდიდრებდნენ რუსულ მეცნიერებას სამშობლოს საზიანოდ.

1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ ფართო გზა მისცა ქართული კულტურისა და მეცნიერების თავისუფალ განვითარებას და ბოლო მოუღო ამ ჩვეულებას.

განუზომელი იყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ენთუზიაზმი: უნივერსიტეტი ნიშნავდა დიდი ხნის განმავლობაში ნალოლიავები იმედის ხორცშესხმას – უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების შესაძლებლობას.

განათლების წყურვილი არა ერთი კონკრეტული კლასის, არამედ ქართველი საზოგადოების, სოციალურ კიბეზე მიჩენილი ადგილის მიუხედავად, ყველა სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ფენომენი იყო. ამაყად შეგვიძლია, ვთქვათ – ქართველ ახალგაზრდებს ვინც იცნობს, მას მსოფლიოში

სწავლის ყველაზე მოწადინე ახალგაზრდათა შორის თვლის, რომლებიც უმაღლესი განათლების მწვერვალებისკენ მიისწრაფვიან.

თავიდანვე ერთი მეორის მიყოლებით შეიქმნა ექვსი ფაკულტეტი: მეცნიერების, ლიტერატურის, სამართლის, სამედიცინო, სოფლის მეურნეობისა და პოლიტექნიკური. ისინი მალევე საუკეთესო სტუდენტებით შეივსო. 1921 წლის ნოემბრისთვის სტუდენტთა რაოდენობამ 5000 მიაღწია.

ამავდროულად, ყოფილი რუსეთის იმპერიის შორეულ კუთხეებში მიმოფანტული ქართველი მასწავლებლები ქვეყანაში ბრუნდებოდნენ, რათა ერთგულებითა და სიხარულით მიეძღვნათ თავი ეროვნული განათლების საქმისათვის, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორისამი წლის შემდეგ მედიცინის ფაკულტეტმა ლაბორატორიებითა და კლინიკებით ისეთ დონეს მიაღწია, რომ რუსეთის ძველ უნივერსიტეტებს უტოლდებოდა; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა რუსეთში არსებულ საუკეთესო ბიბლიოთეკათა შორის მოიაზრებოდა; ქართულმა სამეცნიერო წიგნებმა რუსული წიგნების ჩანაცვლება დაიწყო.

უნივერსიტეტში სწავლება და ორგანიზება თავისუფლებისა და ავტონომიის პრინციპს ეფუძნებოდა. რექტორი, დეკანები, ისევე, როგორც ახალი პროფესორები, თავად პროფესორების მიერ იყვნენ არჩეული.

კანდიდატს მხოლოდ სამეცნიერო წოდების მინიჭების შემდეგ ირჩევდნენ; უნივერსალურ კათედრებზე მეცნიერების სწავლებისთვის მოწვეული პირების არჩევას ეს ერთადერთი კრიტერიუმი განსაზღვრავდა. მთავრობას პედაგოგიურ პერსონალზე საერთოდ არ ჰქონია გავლენა.

თავის მხრივ, სტუდენტები ქმნიდნენ დემოკრატიული არჩევის პრინციპზე დაფუძნებულ ორგანიზაციასა და სტუდენტთა ეროვნულ კომიტეტს, რომელიც სარგებლობდა სრულიად სტუდენტობის ნდობით, განაგებდა მათ საქმეებს და იცავდა მათ მატერიალურ და პროფესიულ ინტერესებს.

მაგრამ საუნივერსიტეტო ცხოვრების მიღმა სტუდენტი კავშირს გრძნობდა სრულიად ერის ცხოვრებასთან და საქარ-

თველოს ახალგაზრდა რესპუბლიკასთან ერთად შფოთვით მიუყვებოდა კონსოლიდაციისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის სირთულეებით აღსავსე გზას. ვიხილეთ, ისინი როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს ტრაგიკულ წუთებში, როცა სამშობლოს თავისუფლების დაცვას ეხებოდა საქმე და ქართული ჯარის წინა რიგებში იბრძოდნენ.

ასე ხდებოდა საქართველოს ყველა, განსაკუთრებით, უკანასკნელ ომში, რომელიც ბოლშევიკების შემოჭრის შესაჩერებლად ქართველი ერისაგან თავგანწირულ (უიმედო) ძალისხმევას მოითხოვდა.

გვახსოვს, 1921 წელს ფეხით გათელეს საქართველო-რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საზეიმოდ რომ აღიარებდა და საერთაშორისო საჯარო სამართლისათვის გაუგონარი რამ ჩაიდინეს – ისე შეუტიეს ჩვენს ქვეყანას, არც ულტიმატუმი წაუყენებიათ და არც ომი გამოუცხადებიათ.

1921 წლიდან მოყოლებული, რუსეთის შემოჭრის შემდეგ, საქართველო ტერორის რეჟიმს უძლებს: თბილისის უნივერსიტეტიც კომუნისტური მთავრობის – გაუნათლებელი, მორალური და ინტელექტუალური კულტურისგან განძარცვული ადამიანების სასტიკი პოლიტიკით გამოწვეულ ტანჯვასა და დამცირებას განიცდის.

საბჭოთა მთავრობამ იცოდა, რომ უნივერსიტეტი ეროვნული ძალ-ღონის წყარო იყო და უცხოტომელთა ბატონობის მიმართ ყოველთვის მტრულად განწყობილი იქნებოდა, ამიტომ უყოყმანოდ მიიღო ყველა ზომა, რომელიც უნივერსიტეტს მისი უშუალო გავლენის ქვეშ მოაქცევდა და ამით საბოლოოდ გაანადგურებდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის უკანასკნელ ნაშთებს. ბოლშევიკებმა მისი დაპყრობა დარწმუნების გზით დაიწყეს და, რადგან შედეგს ვერ მიაღწიეს, მათთვის ჩვეული რეპრესიებით დაასრულეს.

საქართველოში საბჭოთა ქმედების მიზნების ასახსნელად უნივერსიტეტში გამოცხადებული ერთ-ერთი ბობოლა მაღალ-ჩინოსნის გამოსვლას თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები – ტანჯული სამშობლოს ამაყი მოქალაქენი – სტვენით შეხ-

ვდნენ. მაღალჩინოსანს ახალგაზრდებმა დარბაზის დატოვება განრისხებული და ზიზღნარევი ყვირილით აიძულეს.

მას მერე საოკუპაციო ხელისუფლებამ უნივერსიტეტის სტუდენტების წინააღმდეგ რეპრესიებისა და წმენდის პოლიტიკის გატარება დაიწყო.

სტუდენტთა ასოციაციის კომიტეტი დაითხოვეს და მთავრობის მიერ დანიშნული კომუნისტების კომიტეტით შეცვალეს, რომელიც უნივერსიტეტის კედლებში ჩეკას სამუშაოს ასრულებდა. ეროვნული კომიტეტის მმართველი წევრები დააკავეს.

ამ პოლიტიკურ რეპრესიებს სტუდენტებმა უკიდურესი მასობრივი პროტესტით უპასუხეს და ბრძოლა დაიწყო.

სტუდენტები, რომელთა საქმიანობა პოლიტიკური თვალსაზრისით რამდენამდე საეჭვო იყო, გარიცხეს, ასობით მათგანი დააპატიმრეს და ჩრდილოეთის პროვინციებში გადაასახლეს, მრავალი კი ცნობილ სოლოვკის კუნძულებზე განდევნეს, სადაც პოლიტპატიმრებს დღემდე რუსული ჩეკა აწამებს.

გადასახლებული ახალგაზრდა ამხანაგებიდან რამდენიმემ ინკვიზიციას ვერ გაუძლო და დანებდა.

ჩვენს დაუვიწყარ მეგობრებს შორის მრავლად არიან გასამართლების გარეშე, ჩეკას ბრძანებით, საოკუპაციო მთავრობის მიერ დახვრეტილნი. მათ ერთადერთი ბრალი მიუძღოდათ – სამშობლოს ღალატი და ბოლშევიკი ჯალათების მოწყალების იმედად ყოფნა არ სურდათ.

რეპრესიები პედაგოგიური პერსონალის წინააღმდეგაც იყო მიმართული და არ შეგვიძლია, აქვე არ აღვნიშნოთ ფაქტი, რომელმაც არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ მთელი ქართველი ერის აღშფოთება გამოიწვია.

უნივერსიტეტის რექტორი – გამორჩეული სწავლული, მაღალი მორალური ღირებულების მქონე პიროვნება, ივანე ჯავახიშვილი, პეტროგრადის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი – დაითხოვეს და შეცვალეს კაცით, რომელსაც არ ჰქონდა ერთი სამეცნიერო წოდებაც კი, არც უმაღლესი განათლებისა და არც საშუალო განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

თბილისის უნივერსიტეტის ახლანდელი რექტორის, თ. ღლონტის ერთადერთი ღირსება ისაა, რომ მეორეხარისხოვანი

ჟურნალისტია, რომლის სტილიცა და სიტყვის მოქნილობაც იდეალურად პასუხობს ბოლშევიკების მოთხოვნებს.

ამ უღირსი ქმედებით განათლების თავისუფლებისა და ავტონომიის პრინციპი საბოლოოდ გაუქმდა.

საინტერესოა ფაქტი, რომ აიკრძალა იმ მეცნიერებების სწავლება, რომლებიც მეთოდით, შინაარსითა და პრინციპების ლოგიკით საფრთხეს უქმნიდა საუნივერსიტეტო ახალგაზრდობისათვის კომუნისტური პარტიის დოქტრინის მიწოდებას.

სწავლებიდან ამოიღეს ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, – როგორც ბურჟუაზიული მეცნიერებები, შესაბამისად, გამოუსადეგარი კომუნისტური სახელმწიფოს ახალი თაობების ჩამოყალიბებისათვის. დიდხანს ვფიქრობდი ამ ბარბაროსული ზომების მოტივებზე და მხოლოდ შემდეგი ახსნა მოვუძებნე:

საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებმა ფილოსოფიური სისტემების ჩამოყალიბებით ახსნეს სიცოცხლის საწყისი, არსი და მიზანი; მორალური ნააზრევი ჩამოაყალიბეს და შეამტკიცეს გონებრივი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, პიროვნებისა და ეროვნული ორგანიზების იმ პრინციპებში, რომლებიც კომუნისტური „მორალის“ საპირისპიროა და საფუძველს აცლის რუსეთის ახლანდელ რეჟიმს.

ფაქტობრივად, კომუნისტური ტირანიის უზენაესი უარყოფაა ჟ. ჟ. რუსოს სამართლისა და პოლიტიკის ფილოსოფია, ფუნდამენტი რომ ჩაუყარა თანამედროვე დემოკრატიას. უარყვეს კანტის პრაქტიკული ფილოსოფიური სისტემის ლოგიკა, რომელსაც თავისუფლებისა და პიროვნების პატივისცემის, ადამიანთა და ხალხთა შორის მორალური თანასწორობის იდეამდე მივყავართ. კანტი ხალხს ომის წინააღმდეგ მებრძოლს, მუდმივი მშვიდობის დასამყარებლად – რაც ერთა ლიგის ამოსავალი პრინციპია – მსოფლიო ორგანიზაციაში გაერთიანებულს ხედავს.

სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების სფეროში საუნივერსიტეტო კათედრის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ პირებს შეუძლიათ, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ ფენომენებს ბოლშევიკების მიერ შემუშავებული მარქსიზმის ოფიციალური ინტერპრეტაციით ხსნიან. ვიცით, მეტრის სოციოლო-

გიური თეორიის შეცვლას თავის სასარგებლოდ ცდილობდნენ, იმ მეტრის, რუსეთის ყველა ქალაქში ძეგლებს რომ უდგამენ და რომელიც მაინც კომუნისტურ პრაქტიკასა და დოგმებს უპირისპირდება.

წმინდა მეცნიერებების – ასტრონომიის, გეოლოგიის, მათემატიკისა და მედიცინის სფეროებში მსგავსი ზომების გატარება რთულია. თუმცა, ყველა სხვა დარგში, პროგრესის, კულტურისა და გონებრივი განვითარების საფუძველი – თავისუფალი განათლების პრინციპი, რომელიც მიღებულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, – კომუნისტებთან გაუქმებულია.

მაგრამ იციან, უნივერსიტეტის კომუნისტების კერად გადასაქცევად ეს ზომები არ კმარა და სხვა ხერხებს მიმართავენ, რასაც მივყავართ უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირობების სიამდე, რომლის ოფიციალური ტექსტიც ხელთ გვაქვს. მასში ცხადად ჩანს ძირითადი მიზანი – არაკომუნისტი „ელემენტებისთვის“ უნივერსიტეტის კარის დაკეტვა.

სახალხო განათლების კომისარიატი საჭიროდ მიიჩნევს საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სკოლებში შემდეგი პრინციპების გატარებას:

1. პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უფასო ადგილებზე და გამოუცდელად მუშათა ფაკულტეტებზე კურს დამთავრებულნი.

2. ყველა დანარჩენი უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი აბარებენ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომლებიც უკვე მიღებულია თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებისა.

3. უფასო ადგილებზე მიიღებიან:

ა) ფიზიკურად მომუშავენი და მათი შვილები

ბ) უღარიბესი გლეხები და მათი შვილები

გ) საჯარო განათლების მუშაკნი და მათი შვილები

დ) პროფკავშირების წევრები და მათი შვილები თუ საერთო ჯამი მათი თვიური შემოსავლისა არ აღემატება 35 მანეთს.

ე)წითელარმიელები (საკომანდ. შემადგენლობა, ადმინ. შემადგენლობა და პოლიტ. შემადგენლობა) და მათი შვილები, აგრეთვე ფლოტისა და არმიის ინვალიდების შვილები.

4. მუშათა ფაკულტეტებზე სწავლის დამთავრებულთა ჩარიცხვის შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ვაკანსიები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) კომუნისტური პარტია (23%)

ბ) ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი (15%)

გ) პროფკავშირები (30%)

დ) წითელი არმია (20%)

ე)ფასიანი ადგილები (30%)

ამ ადგილებზე მიიღებიან:

ა)რომლებიც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების მიერ მივლინებულ იქნენ უფასო ადგილებზე, მაგრამ მიღებულ არ იქნენ.

ბ) პროფკავშირის წევრები და მათი შვილები, რომელთა შემოსავალიც საერთო ჯამში 35 მანეთს აღემატება.

გ) დარჩენილ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ არაპროლეტარი ჩამომავლობის პირნი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ და რომელთაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს საბჭოების მოწინააღმდეგე ორგანიზაციებთან, რაც დადასტურებული უნდა იქნეს ადგილობრივი აღმასკომის მიერ (კომუნისტი N181, 1924 წლის 12 აგვისტო)

აქვე უნდა დავძინოთ, რომ კანდიდატები კონკურსს გადიან. მისაღები ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ ყველა საგანში უმაღლესი ნიშანი (ხუთიანების სისტემით), ხუთიანი უნდა მიიღონ თუ კომუნისტები არ არიან. მაშინ, როდესაც კომუნისტებისთვის სხვებზე წინ ჩასარიცხად მინიმალური ზღვარი არ არსებობს.

ამ მაკიაველური გადარჩევის მიუხედავად, კომუნისტები ვერ ახერხებენ ფაქტის შეცვლას, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ანტიკომუნისტია. ამას ბუნებრივად მივიჩნევთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ ეწინააღმდეგება კომუნისტურ იდეებს და მჩაგვრელების წინააღმდეგ სიძულვილითაა განმსჭვალული. ახალგაზრდები ყველა ღონეს ხმარობენ უნივერსიტეტში მისაღებად საჭირო რეკომენდაციების მოსაპოვებლად და წარმატებით ახერხებენ ყოველგვარი სირთულის დაძლევას.

უნდა აღინიშნოს ერთი მახასიათებელი ფაქტი: პირველ კურსზე კომუნისტთა მომატებული რაოდენობა თანდათან

მცირდება მომდევნო კურსებზე არაკომუნისტური გარემოს მნიშვნელოვანი გავლენით.

ახლა გესმით, თუ რატომაა ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში საქართველოში ცხოვრება, სადაც ერთი მხრივ, ტერორია და მეორე მხრივ – სიძვირე, 300-400% უფრო ძვირი, ვიდრე საფრანგეთში?! რატომ არ ოცნებობენ ახალგაზრდები ქვეყნის დატოვებაზე და ყოველგვარ ღონისძიებას არ მიმართავენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წასასვლელად, სადაც თავისუფლად სუნთქვას, სასწავლებელში თავისუფალი სიტყვის მოსმენასა და ჩეკას ჩასაფრებული აგენტების შიშის გარეშე მუშაობას შეძლებენ?! ახალგაზრდებს სურთ საფრანგეთში ჩამოსვლა, იმ საფრანგეთში, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობთ, როგორც თავისუფალ, გულუხვ, შემწყნარებელ და სტუმართმოყვარე ქვეყანას, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია სხვების ტკივილისა და საჭიროების გაგება.

გვსურს, შემთხვევით ვისარგებლოთ და გულწრფელი პატივისცემა გამოვხატოთ სტუმართმოყვარე საფრანგეთის მიმართ, რომელსაც მეორე სამშობლოდ მივიჩნევთ. ვაცხადებთ, შევეცდებით, მისი ღირსნი ვიყოთ და მომავალში მივაგოთ, რაც მისი გვმართებს.

აქ მცხოვრები ჩვენი ამხანაგები მატერიალურ სიდუხჭირეს კარგად იცნობენ, ამიტომ სწავლაზე ვერც კი ოცნებობენ და შემოსავლის საშოვნელად სამსახურის პოვნას ცდილობენ. მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც ვპოულობთ სამუშაოს მაშინ, როცა საფრანგეთში ეკონომიკური პრობლემებია. იმის ხაზგასმა მსურს, რომ ყველგან – სხვადასხვა ოფისში, მრეწველობაში, ბანკში, სავაჭრო დაწესებულებასა თუ სახელოსნოში, სადაც უბრალო მუშებად ვმუშაობთ და ფრანგებს ვეკონტაქტებით, გულთბილად და პატივისცემით გვიღებენ. ყოველთვის ისე გვეპყრობიან, როგორც სხვა ფრანგებს. სამსახურის გარეთ თავისუფალნი ვართ და თითოეული ჩვენგანი ცდილობს, ფრანგებს შორის ყოფნით ისარგებლოს შეძლებისდაგვარად, რომ ისწავლოს ის ყველაფერი, რაც სკოლებსა და თავად ცხოვრებაში ისწავლება. მთელს ძალისხმევას სულიერი სიმდიდრის იმ ჯადოსნურ წყაროსთან ზიარებისკენ მივმართავთ, რასაც ფრანგული ცივილიზაცია ჰქვია. რათა ერთ დღესაც, როდესაც ბედი

საქართველოში დაბრუნების საშუალებას მოგვცემს, სამშობლოში გამოვიყენოთ აქ ნასწავლი.

კარგად გესმით, ახლა რა მდგომარეობაც უნდა გვქონდეს, ჩვენი მარადიული, გულმხურვალე, უცვლელი ოცნება უცხოტომელთა ბატონობისგან გათავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნება და მისი სულიერი კულტურის აღდგენისა და მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მთელი ძალისხმევის მიძღვნაა. კარგად ვუწყით, ჩვენი ქვეყნის კულტურისთვის მოღვაწეობა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო საქმისთვის მუშაობასაც ნიშნავს. თითოეული ერის კულტურა თავისი შინაგანი ღირებულებით ძვირფას ქვასავითაა კაცობრიობის ბრწყინვალე გვირგვინში. უკეთ, დიდი ფრანგის სიტყვებით რომ ვთქვათ: კაცობრიობა მხოლოდ მაშინაა მდიდარი და ცოცხალი, როცა თითოეული ქვეყანა საყოველთაო ჰარმონიაში აგრძელებს არსებობას და თითოეული ჰუმანურ ჰანგებზე მღერის.

დღეს საქართველო იტანჯება, მაგრამ რუსულ ტირანიულ ჩაგვრას უდრეკად ვუპირისპირდებით, გვჯერა მომავლის და კვლავ გვწამს, მალე დადგება დღე, როცა ჩვენი ქვეყანა დაიბრუნებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მაშინ ქართული უნივერსიტეტი თავისუფლად გააგრძელებს თავის საქმეს: გაასხივოსნებს ერის ცხოვრებას და ახალგაზრდა ქართველებს კაცობრიობის უზენაესი იდეების განხორციელებისაკენ გაუძღვება.

მიხეილ ხუნდაძე, სამართლის დოქტორი.

ფრანგულენოვანი ჟურნალი „პრომეთე“, 1928 წ. ნომერი 20

ფრანგულიდან თარგმნა ***თამარ ხეტაშვილმა***

დანართი

საგაზეთო სტატიები და წესდებები

საგაზეთო სტატიები

მ. ხუნდაძე

ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი[1]

I.

თანამედროვე ერი და ეროვნული მოძრაობა

დღევანდელმა უმაგალითო ომმა და მის მიერ გამოწვეულმა რევოლიუციამ დღიურ წესრიგში წამოაყენა ეროვნულ პრობლემის პრაქტიკულათ გადაჭრა. კაპიტალისტურ ხანაში ეს პირველი მაგალითია, – როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ ასეთი ფართო ხასიათი მიიღო. მთელ ევროპაში, რუსეთში, ვიტყვი მეტს, – მთელ დედამიწაზე დღეს ყოველი ერი ამოძრავდა, გამოიჩინა თვისი მთლიანი ინდივიდუალური სახე („მე“) და გამოხატა ცხოველმყოფელი ძალა და მისწრაფება ეროვნულ თავისუფლებისადმი.

მაგრამ რაში გამოიხატება ეს ეროვნული თავისუფლება?

რა ფორმით და შინაარსით უნდა განხორციელდეს ერის მისწრაფება? ყველასათვის ერთი პრინციპი და ერთი გეგმა არის საჭირო, თუ თვითეულ ერის მოთხოვნილება დამოკიდებულია სხვა და სხვა რეალურ პირობებზე? აი აქ დასმულ კითხვებზე გვინდა ჩვენ მოკლე თეორიული წერილით ვუპასუხოთ.

რასაკვირველია, ვიდრე თვით ეროვნულ პრობლემის შესახებ ვიტყოდეთ რაიმეს, საჭიროა გამოვარკვიოთ მეცნიერულათ, რას წარმოადგენს თვით ერი, რას ნიშნავს ცნება – ერი? სოციოლოგიაში და ფილოსოფიაში არსებობს მრავალი თეორიები, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება სწორეთ გამოარკვიონ ეს კითხვა. თვითეული თეორია ხშირათ ძალიან საინტერესო არის, მაგრამ, მეცნიერულ თვალსაზრისით, სათანადოთ ვერ სწყვეტს დაყენებულ კითხვას. 1) რასიული თეორია ავი-

---

[1] ჟურ. *ახალი კვალი*. 1918, 10 იანვარი, N1. გვ. 9.

ღოთ, მაგალითათ, რასიული თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ თვითეული ერი, ნაცია წარმოადგენს თავისებურ მატერიალურ არსებას, სუბსტანციას. ეს მატერიალური სუბსტანცია არის ის უჩინარი, მისტიური ძალა, რომელიც ქმნის საერთო ეროვნულ ხასიათს. მთელი ისტორია ამ თეორიას წარმოდგენილი აქვს, როგორც მუდმივი ბრძოლა სხვა და სხვა რასიულ არსებათა შორის. რა თქმა უნდა, ეს შეხედულება ვერ დაგვაკმაყოფილებს ჩვენ, ვინაიდან არ კმარა მარტო იმის აღნიშვნა, რომ არსებობს სხვა და სხვა რასა, საჭიროა ამ სხვა და სხვაობის მეცნიერულათ ახსნა და დასაბუთება. რასიული თეორიები წარმოადგენენ საერთოთ ეროვნულ მატერიალიზმს, რომელსაც გობინოს წყალობით ერთგვარი გასავალი ჰქონდა მე-XIX საუკუნეში. 2) ეროვნული სპირიტუალიზმი მეორეს მხრით, ეროვნულ სპირიტუალიზმის მიმდევრები იმ აზრის იზიარებენ, რომ ერი წარმოადგენს განსხვავებულ სულიერ არსებას, სულს; ერის ისტორია – ეს არის ეროვნულ სულის განვითარება; მსოფლიო ისტორია – სხვა და სხვა ეროვნულ სულთა შორის ქიშპობა, ბრძოლა. მაგრამ რა არის ეს ეროვნული სული, საიდან წარმოიშვა იგი? ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ სპირიტუალისტები ვერ გვაძლევენ. – ჩვენ არ შევუდგებით დეტალურ განხილვას სხვა და სხვა თეორიებისას, რომელნიც უახლოვდებიან მეტაფიზიკურ ფილოსოფიას და ამის გამო ვერ ძალუძთ სწორეთ გადაჭრან კითხვა. – 3) ემპირიული თეორია. გარდა ამისა არსებობს ისეთი თეორია, რომელიც ერის ცნების შემადგენლობას ხსნის რამოდენიმე ელემენტათ. 1) საერთო შთამომავლობა, 2) საერთო ზნე-ჩვეულება, 3) საერთო ენა, 4) საერთო კანონები და რელიგია, 5) საერთო ისტორიული წარსული, 6) საერთო ტერიტორია – აი ის ელემენტები, თვისებები, რომელნიც ქმნიან ადამიანთა უბრალო კრებულიდან – ერს, ნაციას. ცალკ-ცალკე აღებული მათგანი ვერ ახსნის, რა თქმა უნდა, ერთა სხვადასხვაობას. ვინ არ იცის, რომ ხშირათ რამოდენიმე ერი ერთ ენაზე ლაპარაკობს (ამერიკელები, ინგლისელები, ირლანდიელები), ან კიდევ ერში გაბატონებულია რაომდენიმე რელიგია (მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველე-

ბი) და სხვა და სხვა. ყველა ეს თვისებები, ერთათ აღებული, ობიექტიურათ კი ახასიათებენ ნაციას, მაგრამ მეცნიერებისათვის არ კმარა რამოდენიმე თვისებათა ჩამოთვლა მხოლოდ, როდესაც განმარტავ რაიმე ცნებას. გარდა ამისა საჭიროა ამ თვისებების, ელემენტების ლოგიკური და ისტორიული სისტემატიზაცია.

უამისოთ ამ თეორიას მხოლოდ აღწერილობითი მნიშვნელობა ეძლება. – სანამ გამოვთქვამდეთ ჩვენ აზრს იმ კითხვებზე, თუ რა არის ერი, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ მეტათ საინტერესო თეორიას, რომელიც ეკუთვნის ფსიხოლოგიურ შკოლას. 4) ფსიქოლოგიური თეორია ფსიხოლოგისტების შეხედულებით ერი ეს სუბიექტიური, პსიხოლოგიური მოვლენა არის.

მე ვფიქრობ, ვგრძნობ, რომ მე ქართველი ვარ, ამიტომ მე მართლაც ქართველი ვარ. თუ არ არის ასეთი ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული გრძნობა, არ არსებობს ერი. ჩვენ დავეთანხმებით ამ თეორიას, მხოლოდ იმაში, რომ მართლაც ერი ბოლოს და ბოლოს სუბიექტურათ გამოიხატება ადამიანის სულიერ არსებაში, მის ფსიხიკაში, მაგრამ ნუ თუ ეს სუბიექტური მხარე საკმარისია იმის გამოსარკვევათ, თუ რა არის ერი?

როდესაც მეცნიერი, მაგალ. ქართველი, მიდის ევროპაში და აპირებს გამოიკვლიოს, თუ რითი განირჩევა ფრანგი – გერმანელისაგან, ის მიმართავს, რა თქმა უნდა, ისეთ ობიექტურ თვისებებს, რომელნიც საერთოთ ახასიათებენ ერს. ის ვერ გადასწყვეტს, რომ ეს არის ფრანგი და ის გერმანელი მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგი გრძნობს და ამბობს, რომ ის ფრანგია და გერმანელი კი თავის თავს გერმანელათ სთვლის. მერე იბადება კითხვა, – რატომ გრძნობს ფრანგი თავის თავს ფრანგათ, რას წარმოადგენს ის უჩინარი ძაფი, რომელიც გაბმულია მის და სხვა ფრანგთა შორის? გამოდის, რომ ეროვნული თვითშეგნება არ არის პირვანდელი ფაქტორი ერისა, რომ რაღაც სხვა მიზეზები ქმნიან ეროვნული ვინაობის გამორკვევას, ეროვნულ თვითშეგნებას.

შემდეგ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ, თუ რომელიმე ნაწილი ერისა არ სთვლის თავის თავს ამ ერის შვილებათ, ეს კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ ესენი მართლაც არ ეკუთვნიან ამ ერს. თუ გამაჰმადიანებული ქართველები თავის თავს სთვლიან თურქებათ, მეცნიერებისთვის ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აჭარლები ან სხვა მაჰმადიანი ქართველები – თურქები არიან.

ამ არგუმენტებიდგან ცხადია, რომ ეროვნული შეგნება, ეროვნულ-ფსიხოლოგიური თვითგამორკვევა არ აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნილებას.

უნდა გამოვტყდეთ, რომ საერთოთ მეცნიერებაში არ არის ნათლათ გამორკვეული ცნება – ერი!

ერი – ეკუთვნის იმ ცნებათა რიცხვს, რომელთა შესახებ ინგლისელი მეცნიერი ბეჯგოტი ამბობდა: „ჩვენ ამ ცნების შესახებ ვიცით რაიმე მანამდე, სანამ არ დაგვეკითხებიან, თუ რას ნიშნავს ეს“!

თუ ლოღიკის მხრით ჩვენი ახსნა ერისა არ იქნება მთლათ დამაკმაყოფილებელი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვგონებთ, რომ მაინც დაახლოვებული ვიქნებით სრულ მეცნიერულ განმარტებასთან.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ჩვენ ვდგევართ ორტოდოქსალურ მარქსიზმის ნიადაგზე, რომელიც მეცნიერებაში გამაგრებულია ერთი მხრით დარვინიზმით, და მეორეს მხრით უკანასკნელ საუკუნის სოციოლოგიურ და ისტორიულ გამოკვლევებით.

მარქსისტულ შეხედულებამ უარჰყო ყოველგვარი მეტაფიზიკა და მოუნახა თვითეულ სოციალურ მოვლენას, მათ შორის ერსაც, ისტორიული, რეალური ახსნა. ერი არ არის ერთი დამთავრებული მოვლენა, რომელიც წარმოშვა განსაკუთრებულმა მეტაფიზიკურმა სუბსტანციამ, არა, ერი – ეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნაყოფია ისტორიულ პროცესისა, რომლის უკანასკნელ, საბოლოო მიზეზებს შეადგენს საწარმოვო ძალთა განვითარება. ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრების მოსაწყობათ, ცხოვრების სახსარის საშოვნელათ „შედიან გან-

საზღვრულ და თან უნებლიე დამოკიდებულებაში – საწარმოვო დამოკიდებულებაში“ – ამბობს მარქსი თავის ცნობილ „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში“.

ბრძოლა არსებობისათვის, მატერიალურ საშვალებათა მოპოვების სურვილი – აერთებს კერძო ადამიანებს საზოგადოებაში. ეს საზოგადოება, – რომელიც სცხოვრობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილზე, ტერიტორიაზე – დროთა მსვლელობის გამო თანდათან მჭიდროვდება და იქმნება ერთ განუყოფელ სოციალურ ორგანიზმათ. ერთ ტერიტორიაზე მობინადრენი, მუდმივ ურთიერთ დამოკიდებულების გამო დიდი ხნის განმავლობაში განიცდიან უერთიერთ პსიხიურ გავლენას. ამის გამო თან და თან შემუშავდა საერთო ხასიათი, საერთო ზნე-ჩვეულებანი, საერთო რელიგია, ერთი სიტყვით საერთო სულიერი კულტურა.

აი ეს სოციალური ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ისტორიულათ შემუშავებულ სოციალურ არსებას და არა უბრალოდ პიროვნებათა კრებულს – არის ერი.

ასე, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში, ეკონომიურ ცხოვრებაში მჭიდროთ შეერთებულნი, თან და თან იმუშავებენ საერთო ფსიხიკას, სულიერ კულტურას და საერთო ენას, რომელიც საუკეთესო გამომხატველია ერის ორგანიულ მთლიანობსა. აი ეს განმარტება წარმოადგენს ეროვნულ ცნების ობიექტურ მხარეს. მაგრამ ეს არ კმარა. კითხვის სრული გადაჭრისათვის ნუ დავივიწყებთ იმ ფსიხოლოგიურ მომენტს, რომელსაც ჰქვია ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული გრძნობა. აი ამ სუბიექტიურ მოვლენას ჩვენ ვეძახით, ეროვნებას. მაშინ როდესაც ერის შვილნი გრძნობენ, რომ რომ ისინი ეკუთვნიან ამა თუ იმ ერს, მაშინ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ არსებობს ერთი მთლიანი, განუყრელი ერი და ამ მთლიანობის სუბიექტიური შეგნება – ნაყოფია თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებასა, თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებისა. წინათ, ფეოდალურ ხანაში, როდესაც არ არსებობდა საერთო მეურნეობა, ყოველი პროვინცია, კუთხე, გვარი, ოჯახი კარჩაკეტი-

ლათ ცხოვრობდა და ცხოვრებისათვის აუცილებელ საგნებს სახლშივე ამზადებდა, მაშინ, რასაკვირველია – არ არსებობდა არც მთლიანი ერი და არც ერთი ეროვნული შეგნება. მაგალითებისათვის შორს ნუ წავალთ. ვილაპარაკოთ ჩვენ სამშობლოზე, საქართველოზე. მე-XIX-XX საუკუნემდე ქართველი ერი და საქართველო, როგორც მთლიანი რამ, არ არსებობდა.

იყო გურია და გურულები, ხევსურეთი და ხევსურები, სამეგრელო და მეგრელები და სხვა და სხვა.

საქართველოს ყოველი კუთხე – ეკონომიურათ განცალკევებული იყო. ამიტომ არ არსებობდა არც საერთო ეროვნული თვითშეგნება. გურლი თავის თავს გურულს უძახდა და არა ქართველს, თუმცა ქართულ ენაზე ბაასობდა. ქართლელის შეხედულებით, მას არაფერი არ ჰქონდა საერთო აჭარელთან ან მეგრელთან და სხვა. მას შემდეგ კი, როდესაც ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეები კაპიტალისტურ გზას დაადგნენ, განვითარდა აღებ-მიცემობდა, ხშირი მიმოსვლა, – თან და თან გართულდა ერის სხვა და სხვა ნაწილების ფსიხიური ურთიერთი დამოკიდებულება, თან და თან შემუშავდა მთლიანი ერი და საერთო ეროვნული შეგნება. თანამედროვე ქალაქმა, რომელიც კაპიტალიზმის ბურჯს წარმოადგენს, შეაკავშირა ერის გაბნეული ნაწილები და შექმნა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ეროვნულ ცხოვრების განვითარებას. ასეთი ცენტრი არის და იქნება მომავალშიაც საქართველოსთვის, რასაკვირველია, თბილისი, ჩვენი დედა-ქალაქი.

ერის გამრთელების და გაერთიანების პროცესი ყველგან ერთ ისტორიულ კანონს ემორჩილებოდა. ასეთივე კანონს ექვემდებარებოდა როგორც რუსეთი, ისე სხვა ქვეყნების ერთა ისტორიული განვითარება.

ის ერი, რომელიც უფრო ადრე შესდგა თანამედროვე კულტურის გზაზე, რომელმაც უფრო ადრე შეკრიბა და შეადუღა ერთ სხეულში თავისი ძალები – გახდა ძლიერი, გაბატონებული. მან შექმნა ეროვნული სახელმწიფო. ერი, უფრო პატარა, სუსტი, გვიან გამოსულა თანამედროვე ისტორიულ ასპარეზზე – ვერ ასწრებ თავის სახელმწიფოს შექმნას, იგი ძალაუნებურათ ხდება სხვა ერის ბატონობის ობიექტათ. მი-

სი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ამის გამო ფერხდება. დამორჩილებული ერი განიცდის ხან და ხან აუწერელ ჩაგვრას, შევიწროებას. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ეროვნული მოძრაობა. თანამედროვე ერში ეკონომიურ ინტერესთა სხვადასხვაობის გამო ხდება კლასობრივი დიფერენციაცია, ჩვენ მის წიაღში ვხედავთ უმთავრესათ სამ ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ კლასს: ბურჟუაზიას, გლეხობას და პროლეტარიატს. თვითეული კლასი მიილტვის ეროვნულ თავისუფლებისადმი, მაგრამ თვითეულს აქვს თავისი განსაკუთრებული ეროვნული პროგრამა. დღეს თითქმის სუყველგან დიდი სახელმწიფოები — მრავალ ერიანი სახელმწიფოებია, რომლებშიც გაბატონებულია მხოლოდ ერთი ან ორი ერი, სხვები კი მოკლებულნი არიან ყოველგვარ ელემენტარულ უფლებებსაც კი. მერე რა გზას ადგანან ამ დამორჩილებულ ერთა სხვა და სხვა კლასები?

მეცნიერებაში და პუბლიცისტიკაში არსებობს ერთი გავრცელებული აზრი, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში დაჩაგრულ ერის ბურჟუაზია მიისწრაფვის ეროვნულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი, რომლის საშვალებით იგი შესძლებს ერთ განცალკევებულ ტერიტორიაზე ეკონომიურათ და პოლიტიკურად გაბატონდეს. რაც შეეხება ფართო დემოკრატიულ მასას და მასთან ერთათ პროლეტარიატს, — ამათ ეინტერესებათ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-კულტურული კითხვები. პროლეტარიატი უფრო ადვილათ აწარმოებს თავის ბრძოლას ეროვნულ-კულტურის ნიადაგზე, სამშობლო ენის საშვალებით ეროვნული, გასაგები ენა შკოლაში, სასამართლოსი და ფოსტაში, მილიციაში და სხვა დაწესებულებებში, — ამ უმთავრესი მოთხოვნილება მშრომელი მასისა ეროვნულ საკითხში.

ამიტომ შეაძენიეთ დემოკრატიას ისეთი ეროვნული ორგანი, (ძალა-უფლებით აღჭურვილი, რა თქმა უნდა), რომელიც გაუძღვება ეროვნულ-კულტურულ საქმეებს, და ის კმაყოფილი იქნება. წარმოვიდგინოთ ერთი წამოთ, რომ მართლაც ეს აზრი სრულიად სამართლიანი და უნაკლოა. იბადება ერთი კითხვა.

უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული კულტურა და მისი თავისუფალი განვითარება, თუ მას დარაჯათ არ ეყოლება ერთგვარი სახელმწიფოებრივი ორგანი, რომელსაც გადაცემული ექნება უფლებები არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკურ საქმეებშიაც? ჩვენ გადაჭრით ვიტყვით, რომ არა! თუ ნაციათა სახელმწიფოში (როგორიც არის მაგალითათ, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი) პოლიტიკურ სფეროში გაბატონებული იქნება ერთი ერი, ჩვენ ადვილათ წარმოვიდეგნთ, რომ სხვა ერთა თავისუფალი განვითარება არ იქნება სრულიად უზრუნველყოფილი.

მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატია დაინტერესებულია ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებაში. მისთვის უდიდეს საჭიროებას შეადგენს ისეთი უფლების შეძენა, რომლის ძალის ის ადგილობრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებს თავის სურვილზე გადასჭრის. ამიტომ დემოკრატია მიილტვის ეროვნულ-ტერიტორიალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციისადმი, რომელიც აღჭურვილი იქნება სახელმწიფოებრივი უფლებებით განსაზღვრულ სფეროში. თავის უკანასკნელ შრომაში მარქსიზმის უდიდესი მოციქული კ. კაუცკი სწორეთ ასეთ აზრს გამოსთქვამს: „მისწრაფება ეროვნულ სახელმწიფოსადმი წარმოიშვა ერთ და იმავე დროს თანამედროვე სახელმწიფო დემოკრატიისადმი მისწრაფებასთან და მასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული.

არ არსებობს იმაზე შემცდარი შეხედულება, რომ გადააქციეთ ავსტრო-უნგრეთი დემოკრატიულ ქვეყნათ და იგი ისევ ცხოველმყოფელი იქნება. ავსტრიის გამოცოცხლებისათვის მიმართულ ნამდვილ დემოკრატიულ ზომებს შეადგენს მისი გარდაქმნა ერთ სახელმწიფოდგან ეროვნულ-სახელმწიფოთა კავშირათ“. „თვითეულ ასეთ ეროვნულ სახელმწიფოში შესაძლებელია სრული, არა მარტო ფორმალური, არამედ რეალური ბატონობა დემოკრატიისა“. პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატია, რასაკვირველია, მხარს უჭერს დემოკრატიას, ვინაიდან მხოლოდ უკანასკნელის საშვალებით შეიძლება გზის გაკაფვა სოციალიზმისაკენ. რაც შე-

ეხება თანამედროვე ბურჟუაზიას – ოცნებას შეადგენს არა ნაციონალური, არამედ იმპერიალისტური სახელმწიფო.

ეს არის უკანასკნელი სიტყვა ჩვენი მოძღვრებისა, ჩვენი მეცნიერებისა. მაგრამ სიტყვის საქმეთ გადაქცევა ადვილი არ არის! ამისათვის საჭიროა სათანადო რეალური პირობები. ამიტომ ჩვენი სიტყვა ყოველ ქვეყანაში ერთფეროვნათ და ერთგვარათ, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდება.

♦♦♦

მ. ხუნდაძე

ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი[1]

II.

სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პროგრამა.

თანამედროვე ხანაში ერი იღებს მონაწილეობას საერთო საკაცობრიო ცხოვრებაში, როგორც ერთი მთლიანი, განსაკუთრებული კულტურული ერთეული. შინაურ სამოქალაქო ცხოვრებაში ერი დაყოფილია სხვადასხვა კლასებათ, მათ შორის სასტიკი, დაუცხრომელი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლაა გაჩაღებული. ეს ბრძოლა – ბუნებრივი და აუცილებელია ისტორიულ პროგრესისათვის. კლასთა ბრძოლა – ეს ხომ ისტორიის ჩარხია. მაგრამ ეს ხდება შიგნით, ეროვნულ ფარგლებში. იმ დროს კი, როდესაც ერს გარედან ემუქრებიან, მის სასიცოცხლოს ედავებიან – მაშინ დაინახავთ, ერთ ერს, მჭიდროთ გაერთიანებულს თავგანწირულ ბრძოლაში. აიღეთ თანამედროვე საფრანგეთი, ბელგია. ბელგიის მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი დებულების სისწორისა. აი რას სწერდა ამის შესახებ 1894 წელს „კვალში“ ჩვენი პუბლიცისტი ნოე ჟორდანია: „...ხალხი გრძნობს თავის თავს ერათ,

[1] ჟურ. *ახალი კვალი*. 1918, 17 იანვარი, N2. გვ. 8.

ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის „მე“-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ. ფრანგები, არისტოკრატი იყოს, თუ დემოკრატი, ლიბერალი, თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავით ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისათვის თავსა სდებს, როდესაც მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოელის, როდესაც გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყანას წალეკას უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულოვნობა და ერთი მეორის დაუდგრომელი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან“. (კურსივი ჩვენია). აი ეს სიტყვები ნათლათ მოწმობენ იმას, რომ ერი დღეს ერთი განუყრელი, მთლიანი ორგანიზმია. და აი იმისათვის, რომ ეს ორგანიზმი სცოცხლობდეს და ვითარდებოდეს, აუცილებელია, – შეიძინოს ერმა ისეთი ორგანოები, რომელნიც გაუძღვებიან მის საერთო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

მერე რა სახის უნდა იყვნენ ეს ორგანოები, რა გვარ უფლებებით აღჭურვილნი? აი ამ კითხვაზე სხვა და სხვა ნაირათ უპასუხებენ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელნი.

არ შევეხებით ყველა მიმართულებებს, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომელიც ჩვენ ყველაზე სწორეთ და საფუძვლიანათ მიგვაჩნია.

ჩვენ ხშირათ შევხვდებით სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიათა პროგრამებში ასეთ მუხლს: „ერს ენიჭება სრული უფლება თვითგამორკვევისა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ერი თავის ბედს თვითონვე სწყვეტს, სხვის დაუკითხავათ. მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ჩვენ ვერ წავალთ. ეს იქნებოდა ერის უფლებათა უპატივცემლობა, მისი ზრახვათა შეურაცხყოფა.

ამ პრინციპის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ერის შინაურ ცხოვრებაში, აუკრძალოს მას ისეთი ეროვნული ორგანოების შექმნა, რომელნიც მას საუკეთესოთ მიაჩნია. ერს შეუძლია სრულიათ გამოეყოს კიდეც სახელმწიფოს,

შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუვერენობით, უზენაესობით აღჭურვილი.

სოციალ-დემოკრატია ასეთ გადაწყვეტილებას, როგორც ერის ნებისყოფის გადაწყვეტილებას, ვერ შეებრძოლება.

მაგრამ ამასთან ერთათ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სოც.-დემოკრატია, პროლეტარიატის პარტია, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ერთგული დამცველი ერის ყოველგვარ მოთხოვნილებისა. შეიძლება ერის უმრავლესობა გაჰყვეს ისეთ გზას, რომელიც ეწინააღმდეგება პროლეტარიატის და სოციალიზმის დღევანდელ ინტერესებს. ამიტომ ს.-დ. პარტიის მოვალეობა მშრომელი მასის წინაშე და ერის უფლება, იმ ერის, რომელიც შესდგება სხვა და სხვა კლასისაგან, არ არის ერთი და იგივე.

თუ ჩამორჩენილ ერში გაბატონებულია თავადაზნაურობის ან ბურჟუაზიის გავლენა, და ერი იცავს ისეთ ეროვნულ პროგრამას, რომელიც უპირველეს ყოვლისა ამ კლასთა ინტერესებს ემსახურება, ამ შემთხვევაში სოც.-დემოკრატია გამოდის თავისი ეროვნული პროგრამით და დაუღალავ ბრძოლას ეწევა მისი განხორციელებისათვის.

ჩვენ გამოვდივართ პროლეტარიატის ინტერესებიდგან და ამიტომ დღეს ჩვენ თავგამოდებით ვიცავთ დემოკრატიას.

ჩვენ არ ვივიწყებთ იმას, რომ მშრომელი მასა მიაღწევს სოციალიზმს მხოლოდ დემოკრატიულ წესწყობილების საშვალებით. ამიტომ დემოკრატიზმის, პოლიტიკურ თავისუფლების სრული განხორციელება – ეს არის ჩვენი უპირველესი მოთხოვნილება დღეს დღეობით.

ჩვენ უკვე ვაღიარეთ ის აზრი, რომ დემოკრატიის გაძლიერება შეუძლებელია გარეშე ეროვნულ თავისუფლებისა. კ. კაუცკის შეხედულებით, დამოუკიდებელ და თავისუფალ ერში დემოკრატია ადვილათ გაშლის ფრთებს და სამუდამოთ განამტკიცებს თავის ბატონობას.

აი ამიტომ ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა ყველაზე უფრო პროლეტარიატის და დემოკრატიის ინტერესებს შეიცავს. როდესაც ერი დამონავებული და ყოველმხრივ შევიწროებულია, მოკლებულია ისეთ ელემენტარულ უფლებასაც კი,

როგორიც არის სამშობლო ენაზე თავისუფალი ლაპარაკი – ვინ იტანჯება ამის გამო ყველაზე მეტათ? რა თქმა უნდა ფართო მასა, მატერიალურათ დაბეჩავებული, გაღატაკებული. შეძლებულ კლასებს ყოველთვის ეძლევათ საშვალება შეისწავლონ სხვა და სხვა ენა და იცხოვრონ შეუვიწროვებლათ. ხალხს კი, რომელმაც მხოლოდ თავის სამშობლო ენა იცის, მის გარეშე გასაქანი არა აქვს.

აი ყველა ეს აზრები გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, როდესაც ჩვენს ეროვნულ პროგრამაზე ვლაპარაკობთ.

ერის თვითგამორკვევის უფლება – ეს კეთილშობილი და ლამაზი სიტყვებია. ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა ამ პრინციპს რეალური შინაარსი გამოვუნახოთ.

ჩვენ გავარკვიეთ უკვე ცნება – ერი. ერი – ერთი მთლიანი კულტურული ორგანიზმია, რომელიც გაერთიანებულია ეკონომიურათ და სულიერათ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

აი ეს, ასე ვთქვათ, ეროვნული ტერიტორია, სამშობლო მიწა-წყალი დიად როლს თამაშობს ეროვნულ კულტურის აღორძინებაში და განვითარებაში. უმიწაწყლო ერი, გაბნეული მთელს დედამიწაზე ვერ განვითარდება, როგორც ერთი მთლიანი კულტურული კავშირი. რა დარჩათ საერთო ქართველ და ინგლისელ ებრაელებს? მხოლოდ ის, რომ ერთნიც და მეორენიც თავის თავს ებრაელებს უწოდებენ. მაგრამ შეიძლება ამის გამო ლაპარაკი იმაზე, თითქოს ყველა ისინი ჩაბმული იყვნენ ებრაელ ერის კულტურულ ცხოვრებაში? რასაკვირველია, არა!

ის ერი, რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული ერთ ტერიტორიაზე გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ის, რომელიც გაბნეულია სხვა და სხვა ქვეყნებში.

ტერიტორიალური ერი, განსაზღვრულ ეროვნულ ტერიტორიის პატრონი, ქმნის ეროვნულ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ ტერიტორიალურ ორგანოებს. უმაღლეს ტერიტორიალურ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია უზენაესობით (სუვერენიტეტით) და სრულიათ დამოუკიდებლათ აწარმოებს ქვეყნის საქმეებს.

აი ეს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო შეადგენს თანამედროვე პროლეტარიატის ეროვნულ მისწრაფებას. მო-

ვისმინოთ კ. კაუცკის სიტყვები ამის შესახებ: „მშრომელი მასა მიილტვის პოლიტიკურ თავისუფლებისადმი და დემოკრატიისადმი... იგი მოითხოვს ხალხის სრულ სუვერენიტეტს, მას უნდა თავისუფლათ გამოარკვიოს თავისი ბედ-იღბალი. ის ეწინააღმდეგება ყოველგვარ ძალდატანებას, როგორც პიროვნების, კლასის, ისე რომელიმე სხვა ერის მხრით.“ „ეროვნული დამოუკიდებლობა – აი ამაში გამოიხატება მუშათა კლასის მოთხოვნილება.ო კ. კაუცკის ფორმულაა – ერთი ერი – ერთი სახელმწიფო. ამ ფორმულას სავსებით იზიარებს ნ. ჟორდანია. აი რას სწერდა ის თავის ფელეტონებში ამ ომის დროს: „...მეტყვიან: განა შეიძლება წვრილ ნაციონალურ სახელმწიფოების არსებობა და თავისუფლათ განვითარება დიდ სახელმწიფოების გვერდით, რომელნიც არ ინდობენ პატარა ერთ თავის იმპერიალისტური მიზნის განსახორციელებლათ? ეს მართლაც შეუძლებელია, თუ იმავე დროს არ მოხდა ორი გარემოება: თუ წვრილი სახელმწიფოები არ შეერთდენ ფედერატიული კავშირით და არ მოისპო ევროპაში სადამოჟნო ომი.

პირველნაირი შეერთება უნდა გავრცელდეს დიდ სახელმწიფოებზედაც და ამ გზით დაარსდეს ევროპის ფედერაცია თავისუფალ ვაჭრობის ნიადაგზე. ამით იმპერიალისტურ გამანადგურებელ პოლიტიკას ფრთა შეეკვეცება და თუ იმავე დროს სავალდებულო მედიატორული სასამართლოც დაარსდება – ომი და წვრილ ერების აბუჩათ აგდება იშვიათი შეიქნება. ამ ნაირათ, ერთი ერი – ერთი სახელმწიფო სწყვეტს ნაციონალურ კითხვას და ეს იმავე დროს ეთანხმება კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას“.

ამ რიგათ ჩვენი იდეალი სრული დამოუკიდებლობაა.

მაგრამ დღეს დღეობით არსებობს ისეთი პირობები, რომელნიც ხელს უშლიან ამ იდეალის განხორციელებას.

მოვიყვანთ კიდევ ორიოდე სიტყვას კ. კაუცკის თხზულებიდან ჩვენი აზრის დასასაბუთებლათ: „როგორც ბევრი სხვა იდეალები, ისე ეს იდეალი ყველგან ვერ განხორციელდება სავსებით. ზოგიერთ ნაციათა სახელმწიფოში არიან ისეთი ერნი, რომელთაც გეოგრაფიული მდგომარეობა და ისტორიული პი-

რობები ხელს უშლიან შექმნან თავიანთი ეროვნული სახელ-მწიფოები. ამის მაგივრათ ისინი დროებით კმაყოფილდებიან ეროვნულ ავტონომიით... მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებს იმას, რომ ტენდენცია ეროვნულ დამოუკიდებლობისადმი უარ-ყოფილია“... ამ გვარათ ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ ყველ-გან ერთი პრინციპის განხორციელება, ყოველ ერისთვის ერთი ეროვნული გეგმის შემუშავება შეუძლებელია. ჩვენ მეცნიერულ სოციალიზმის მეთოდით შეიარაღებულნი ვიკვლევთ ყოველ შემთხვევაში რეალურ პირობებს და ამისდა მიხედვით ვადგენთ განსაზღვრულ ეროვნულ პროგრამას. თუ პატარა ერს საშვალე-ბა არა აქვს სრულიათ დამოუკიდებელი პოლიტიკური პოლიტი-კური არსებობისა, ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია აყე-ნებს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის პრინციპს. დღეს თითქმის ყოველ ერს მოეპოვება თავისი ეროვნული მიწა-წყალი, რომელზედაც ის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს. ამიტომ დღეს ყოველი ტერიტორიალური ერი მოითხოვს სრულს თვითმმართველობას თავის სამშობლოში, რომელიც აღჭურვი-ლი იქნება საკუთარი კანონმდებლობის უფლებებით ადგილობ-რივ საქმეებში. სხვა და სხვა ერთა პოლიტიკური ავტონომიები და მათი შეკავშირება ერთ სახელმწიფოში – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება დღეს დღეობით. ამ რიგათ უნდა გადაწყდეს ეროვნული კითხვა როგორც ავსტრო-უნგრეთში, ისე რუსეთში, იმ ქვეყნებში, სადაც მრავალი ერი ბინადრობს და ეროვნული საკითხი ასე მწვავეთ არის წამოყენებული.

მაგრამ დარჩა ერთი გარემოება, რომელიც ჩვენ ყოველ-თვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. საქმე იმაშია, რომ ყო-ველ ეროვნულ ტერიტორიაზე (განსაკუთრებით პერიფერიებ-ში) რჩება საკმაო დიდი უმცირესობა, რომელიც არ ეკუთვნის აქ დასახელებულ ერს. თუ ჩვენ ეს უმცირესობა არ უზრუნველ-ვყავით, ცხადია, ის დაჩაგრული იქნება უმრავლესობის მიერ: ამ ნიადაგზე გაჩაღდება ეროვნული შუღლი, რაც მეტათ შეაფერ-ხებს პროლეტარიატის გათვითცნობიერებას და განვითარებას. თუ პოლონეთში ებრაელთა ეროვნება არ იქნება დაცული გან-საკუთრებულ ეროვნულ უფლებებით, ამ შემთხვევაში მას მოე-ლის ყოველგვარი ჩაგვრა და შევიწროება. სად უნდა ვეძებოთ ამ უმცირესობათა უფლებების გარანტია? ეს კითხვა საკმაო ნათ-

ლათ არის გამორკვეული მარქსისტულ ლიტერატურაში. შპრინგერს და ბაუერს, ცნობილ ავსტრიელ სოციალდემოკრატებს, გამომუშავებული აქვთ პრინციპი ეგრეთწოდებულ პერსონალურ ანუ ეროვნული კულტურულ ავტონომიისა. ეს პრინციპი ემყარება იმ აზრს, რომ ერი წარმოადგენს წმინდა კულტურულ, კავშირს, რომელსაც შეუძლია განვითარდეს გარეშე ეროვნულ ტერიტორიისა.

ამიტომ თუ ერს მინიჭებული ექნება უზენაესი უფლება თავისუფლათ განაგოს თავისი ეროვნულ-კულტურული საქმეები (სკოლა, რელიგია, ხელოვნება და სხვა), ის ეროვნულ ჩაგვრისაგან უზრუნველყოფილია. ჩვენ ბაუერ-შპრინგერის პერსონალურ პრინციპს ვუფარდებთ ხსენებულ უმცირესობათა ინტერესებს. თუ ტერიტორიალურ, პოლიტიკურ კითხვებს უმცირესობა უმრავლესობასთან ერთათ სწყვეტს, თავის ეროვნულ კულტურის კითხვების გადაჭრაში ის სრულიად დამოუკიდებელია. ასეთი გეგმა გამოსადეგარია აგრეთვე ისეთი ოლქებისათვის, რომელნიც ეროვნულათ შერეული არიან და რომელნიც არ წარმოადგენენ რომელიმე ერის ნაციონალურ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში ტერიტორიალურ საქმეებს ყველა მცხოვრებელი მცხოვრებლები ერთათ განაგებენ, ხოლო წმინდა ეროვნულ საქმეებს ისინი ცალკ-ცალკე აწარმოებენ.

ასე ტერიტორიალურ ერს — ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა-ავტონომია, ეროვნულ უმცირესობას კი პერსონალური, ეროვნულ-კულტურული ავტონომია ენიჭება. ამ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის გვერდით შერეულ ოლქებისათვის უნდა დაწესდეს, ასე ვთქვათ, შერეული (არა ეროვნული) ტერიტორიალური ავტონომია საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ საქმეებისათვის; ეროვნულ კულტურის კითხვების გადასაჭრელათ კი არსდება მთელი ერის პერსონალური კავშირი, რომელსაც ენიჭება ამ სფეროში ავტონომიური უფლებები. ამ გვარათ უნდა გადაწყდეს დღევანდელ პირობების თანახმათ ეროვნული პრობლემა. ჩვენი გეგმა მინიმუმამდე ამცირებს სხვა და სხვა ერთა შორის წინააღმდეგობას და მუდმივ ურთიერთ შორის ბრძოლას, ამიტომ ის უაღრესათ დემოკრატიულია და მას პროლეტარიატი მთელი თავისი ავტორიტეტით და ძალით მხარს დაუჭერს.

აი მარქსისტული შეხედულება ეროვნულ პრობლემაზე. ასეთ პრინციპს აყენებს სოციალ-დემოკრატია, როდესაც ერს უფლება ეძლევა თავისი ბედი თვითონ გამოარკვიოს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ისი იდეალურათ სწყვეტდეს ეროვნულ კითხვას. ერი (მით უმეტეს მცირე) დღეს კაპიტალიზმის დროს, ვერ მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას.

ეკონომიური ეკსპლოატაცია, ჩაგვრა, რომელიც საფუძვლათ უდევს სხვა და სხვა კლასთა შორის დამოკიდებულებას თვით ერში, სცილდება ეროვნულ ფარგლებს და იწვევს სუსტი ერის ჩაგვრას უფრო ძლევამოსილის მხრით. თანამედროვე კოლონიალური პოლიტიკა, იმპერიალიზმი, ფინანსიური კაპიტალის ბატონობა – ეს ეროვნულ თავისუფლების უარყოფაა. მას შემდეგ კი, როდესაც დაინგრევა კერძო საკუთრებაზე დამყარებული წესწყობილება, მოისპობა ანტაგონიზმი კლასთა შორის, – ჩვენ დავინახავთ სრულიად თავისუფალ ერს. ასეთი ხანა იქნება – სოციალიზმი.

სამშობლოს მატერიალური სიმდიდრე გადავა მთელი ერის განკარგულებაში. აღარ იქნება ეკონომიური ჩაგვრა; კლასები მოისპობიან. ერი სულიერათ და, მატერიალურათ გაერთიანდება. ეკონომიურ ექსპლოატაციის ადგილს დაიჭერს შეჯიბრება, კონკურენცია სულიერ კულტურის სფეროში.

ერი გამოცხადებული იქნება სუვერენულათ. თუ ის მოისურვებს, შეუძლია თავისუფლათ შეუკავშირდეს სხვა ერებს; ამ რიგათ ის ეზიარება საერთაშორისო ძალაუფლებას.

სოციალიზმი თავდებია კაცობრიობის, ერის და პიროვნების სრულ განთავისუფლებისა.

ამიტომ დაჩაგრულ ერის დროშა ერთ და იმავე დროს არის პროლეტარიატის სოციალისტური დროშა.

♦♦♦

ჩვენს ორგანიზაციაში[1]

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ს.დ. ფრაქ-ციაში. სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტობამ დააარსა სამაცადინო წრე. წრის უმთავრესი მიზანია მარქსიზ-მის ყოველ მხრივად შესწავლა. ამ მიზნისთვის წრემ მოიწვია ხელმძღვანელებად ამხანაგები მუხრან ხოჭოლავა და ნიკიფო-რე იმნაიშვილი. მუხტან ხოჭოლავას ხელმძღვანელობით წრე-ში გადიან მარქსის კაპიტალს. ნ. იმნაიშვილი კი ჰკითხულობს ლექციებს ფილოსოფიაზე. ამასთან, წრეში იმართება დისპუტე-ბი ამა თუ იმ საკითხზე, იკითხება მოხსენებები და სხვ. 16 დე-კემბერს წრეში გაიმართა დისპუტი შემდეგ თემაზე: „მატერი-ალისტური მონიზმი სოციოლოგიაში“. თავმჯდომარეობდა ამხ. აკ. სიგუა. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. შურა დუდუჩავა; კონ-ტრმომხსენებელი იყო ამხ. ს. ტაბიძე. მომხსენებელმა დაიწყო ფილოსოფიური მონიზმიდგან . შეეხეო ონტოლოგიურ პრობ-ლემას, რადგანაც მისი აზრით მონიზმის ბუნებასთან დაკავში-რებულია ონტოლოგიური ამოცანა და არა გნოსეოლოგიურიო. შემდეგ ილაპარაკა მონიზმის სამ სახეზე – ენერგეტიული, სპი-რიტუალისტურ-დუალისტური და მატერიალისტური. აქედგან ის დუალიზმის და სინთეთიზმის გაშუქებაზე გადავიდა; შეეხო გაკვრით სუბსტანციონალიზმს და მიზეზობრივობის კატეგო-რიებს და დაბოლოს კი ილაპარაკა სოციოლოგიურ მონიზმზე. კონტრმომხსენებელი უარყოფდა კავშირს ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ მონიზმს შორის, რადგანაც მისი აზრით არ შე-იძლება კავშირი მათ შორის, რაც არ არსებობსო. დისპუტში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ირ. ხანთაძემ, (რომელმაც ენერგიის შენახვის კანონით მოიწადინა დაერღვია მატერი-ის ბუნების გაგება), ემპირიო-კრიტიციზმის მიმდევარმა დათა ყიასაშვილმა, (რომელმაც ბევრი ილაპარაკა მახიზმის და მარ-ქსიზმის კავშირის შესაძლებლობაზე). ე. ნუცუბიძემ და სხ.კონ-ტრმომხსენებლის და მომხსენებლის სიტყვების შემდეგ კრება დაიხურა.

---

[1] ჟურ. *ახალი კვალი*. 1920, 25 იანვარი, N1. გვ.16.

♦♦♦

ქალთა წრის დაარსების გამო[1]

19 მარტს შესდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-დემოკრატ სტუდენტ ქალთა კრება. დაესწრო 25 ქალი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ს. გვასალია, მდივნად ამხ. ელ. კალანდაძე. დღის წესრიგში იყო ქალთა სამეცნიერო წრის დაარსება.

იქონია რა მსჯელობა კრებამ ამ საკითხზე, ერთხმად აღიარა ასეთი წრის არსებობის აუცილებლობა და დაადგინა: დაარსდეს ქალთა პარტიული წრე, სადაც კვირაში ორხელ: ოთხშაბათობით და პარასკევობით იწარმოებს მეცადინეობა. წრის მიზანია მარქსიზმის შესწავლა. მეცადინეობის სისტემის გამომუშავებისათვის კრებამ აირჩია განსაზღვრული კომისია.

ის საფუძველი, რომელსაც დაეყრდნო ამ შემთხვევაში კრება, წრის დაარსების საქმეში, მდგომარეობდა შემდეგში: (ამის აღნიშვნა საჭიროდ მიმაჩნია, რათა ქალთა ასეთმა ნაბიჯმა არ შექმნას ერთგვარი გაუგებრობა მკითხველ საზოგადოებაში და უკვე არსებული გაუგებრობა კი (მხედველობაში მყავს ზოგიერთი სტუდენტი ქალი და კაცი) გაჰფანტოს). ცნობილია, რომ ქალი საქართველოში 3 წელზე მეტია, რაც ფართო პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ხმა მედგარი, სასურველი მისგან არ გვსმენია (ლაპარაკია აბსოლუტურ უმრავლესობაზე) თუმც ასეთი მოვლენა გულს არ გვიტეხს, რამდენადაც იგი ბუნებრივია, ვინაიდგან არამც თუ ასეთი ხანმოკლე დრო, არამედ ქ-ნ შტარს თუ დავუჯერებთ, „თავისუფალ ქალმა რომ შეისისხლხორცოს თავისუფლება და შეძლება მოგვცეს მასსა და მამაკაცს შორის, რომელიც რამოდენიმე ათას წლის განმავლობაში უმჯობესდებოდა ყოველ თაობაში, პარალელის გაყვანის ნიჭის მხრივ, საჭიროა სამი მოდგმა მაინც[2]) რა არის ამის მიზეზი? მე ამაზე ახლა არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, ვინც ოდნავ მაინც მიცნობს ისტორიულათ ქალსს ეკონომიურს და აქედან გამომდინარე პოლიტიკურ მდგომარეობასაც, როდე-

---

1 ჟურ. *ახალი კვალი*. 1920, 2 აპრილი, N3. გვ.10

2 ქ-ნ შტარის წერილები „ჩვენ ქალებს“ (*ავტორის შენიშვნა*)

საც ქალისთვის „ოჯახი იყო მთელი ქვეყნიერება, ხოლო მამაკაცისთვის მთელი ქვეყნიერება „ოჯახი“, როდესაც ქალს ნებას არ აძლევდნენ საკუთარი აზრი ჰქონოდა, უბრძანებდნენ: ყოველ ფრაზას მიუმატე „მე ვფიქრობ“ და „ამბობენო“ და სხ. მისთვის ადვილი გასაგებია თუ რატომ ჩამორჩა ქალი მამაკაცს და ისე ადვილათ იგი მას ვერ გაუთანასწორდება, თუმცა შტარის აზრი მეტად გადაჭარბებულია. აქედან, თუ ქალი მოუმზადებელია, ცხადია მისი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ იქნება აქტიური, ვინაიდან, როგორც ამას პოლიტიკურ ცხოვრების გაკვეთილები გვასწავლის, ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ნაკლებ გათვიცნობიერებულია ყოველთვის მისდევს იმ ნაწილს საზოგადოებისა, რომელიც უფრო მომზადებულია ამ შემთხვევაში და განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს არ აყენებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, არ შეგვიძლიან ქალს არ ვუსაყვედუროთ ის გარემოებაც, რომ ცდა მის მიერ განვითარების შეძენისა – უფერულია. ქალი განაგრძობს ძველი გზით სიარულს. უფრო ეს ბურჟუაზიულ წრიდან გამოსულ ქალებზე ითქმის. იგი დღიურ წვრილმანებშია ჩაფლული და საკაცობრიო იდეალები მისთვის უცხო ხილია. ეს კიდევ ამტკიცებს იმ ანტიფემინისტთა აზრს, რომლებიც ქალების ემანსიპაციას უარჰყოფენ. საჭიროა მომზადება, ენერგიული მეცადინეობა; ჩვენ დიად სოციალურ გადატრიალების ხანაში ვცხოვრობთ; თუ არა დღეს, ხვალ მაინც შეძლება უნდა გვექნეს აქტიურ მონაწილეობის მიღებისა პროლეტარულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც აღთქმის სამეფოსკენ მივყევართ და სადაც როგორც ყოველი ჩაგრული ეკონომიურად, ქალიც განთავისუფლდება. მაგრამ როგორ, რა გზით ვემზადოთ? აი საკითხი, რომელიც წამოიჭრა ერთ ჯგუფ სოც.-დემ. ქალთა წინაშე და მან წრის დაარსებით უპასუხა. ეს სრულიად არ ნიშნავს უფსკრულის შექმნას ორ სქესთა შორის, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია, პირიქით მის მოსპობას. ვინც დაჰკვირვებია რეალობას, მისთვის აშკარაა ის გარემოება, რომ ქალი მამაკაცთან მუშაობის დროს პასიურ მონაწილეობას იღებს იმ სფეროშიაც კი, სადაც ქალი საკმაოდ მომზადებულად ჰგრძნობს თავს. იგი სდუმს,

არ სჩქეფს მასში ჩვეულებრივი სიცოცხლე. ეს ფსიქოლოგიურად ასახსნელია: საქმე იმაშია, რომ ქალი მხთალია, მას სითამამე-გამბედაობა აკლია... „საუკეთესო დედაკაცად უცილობლად ის უნდა ჩაითვალოს, რომლის შესახებ არა ისმის-რაო“, ასე ამბობს „მორალური“ ტრადიცია. სითამამე კი, ჩემის ღრმა რწმენით, პირველი პირობაა უცოდინარობის გამოსააშკარავებლად და მით ცოდნის გასაფართოვებლად. როგორც ასეთი აუცილებელია მისი გამომუშავება: ეს კი შესაძლებელია არა მამაკაცებთან, ვინაიდგან პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ქალი, როგორც ნაკლებ მომზადებული, მამაკაცთან ხმას არ იღებს, ვით უძლური ძლიერთან, არამედ ისევ ქალებთან, სადაც ასე თუ ისე თანასწორი მომზადება სუფევს. ჩვენ არ უარვყოფთ მამაკაცთან მუშაობას, პირიქით ჩვენი დევიზია პროლეტარიატთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ბრძოლა დიად მომავლისათვის, სწორეთ ამით განსხვავდება ჩვენი მოძრაობა ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობისაგან, ხოლო დროებითი საშუალება, რომელიც მოგვამზადებს და გაგვხდის ღირსეულ მოკავშირეთ მამაკაცისა, მდგომარეობს იმ ნაბიჯში, რომელიც გადადგეს ს.-დემ. სტუდენტ ქალებმა.

და ეს არ არის ახალი რამ, ამ ნიადაგზე აღმოცენებულია აუარებელი მუშა ქალთა ორგანიზაციები თბილისში თუ სხვა და სხვა პროვინციებში. მაშ ვუსურვოთ ამ წრეს ენერგიული მუშაობა და მიზნის კეთილად დაგვირვგვინება.

♦♦♦

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია[1]

I. მიმდინარე მომენტი

„რუსეთში საწარმოვო ძალთა განუვითარებლობის გამო პროლეტარიატს არ შეუძლია ჯერ-ჯერობით კაპიტალისტური წყობილების დამხობა და სოციალისტური წარმოების მოწყობა. სოციალისტურ რევოლიუციის ინიციატივა მხოლოდ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს შეუძლია აიღოს ხელში. ჩვენი რევოლიუციის მიზანი და დანიშნულებაა: დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, – მუშათა და ეროვნულ საკითხების გადაჭრა, მიწის გადასვლა მშრომელ გლეხობის ხელში, და დემოკრატიული ზავის დაჩქარებით ჩამოგდება. ამ მიზნების განსახორციელებლათ დღევანდელ პირობებში საჭიროა პროლეტარიატისა და წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ერთათ მოქმედება. მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასულ სხვილ ბურჟუაზიასთან კავშირისო საბოლოოთ გაწყვეტა, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალურ უტოპიზმის უარყოფა. აი ერთათ ერთი გზა, რომელიც აღადგენს მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს და მიიყვანს რევოლიუციას სრულ გამარჯვებამდე. ბალშევიკების გამოსვლას ნიადაგი მოუმზადა ხალხის უკმაყოფილებამ, რომელიც გამოიწვია ომის გახანგრძლივებამ, ეკონომიურ ცხოვრების მოუწესრიგებლობამ, სოციალურ საკითხების გადაუჭრელობამ. ბალშევიკების მთავრობის პოლიტიკა თავისი უტოპიურობით ეწინააღმდეგება ჩვენი რევოლუციის მიზნებს, მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით გამეფდა აუტანელი ტირანია, ლენინის მთავრობით, ვითომდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ფაქტიურად გადაიქცა დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველი პოლიტი-

---

[1] ჟურ. *ახალი კვალი*. 1918, 28 იანვარი, N3. გვ. 15

კით. ეს უპასუხისმგებლო პოლიტიკა ემყარება ხიშტების ძალას. სოციალისტურ ექსპერიმენტებმა სავსებით არივ დარია ეკონომიური ცხოვრება, გააჩაღა სამოქალაქო ომი და დაშალა მთლიანი რუსეთი. ლენინის პოლიტიკა ანცალკევებს მუშათა კლასს და უმზადებს მას საშინელ დამარცხებას.

იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში, ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა პირველ კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივ განაპირა ქვეყნებში მიღებულ იქნას ყოველივე ზომები რევოლუციისა და დემოკრატიულ მოპოვებათა დასაცავად და გასაძლიერებლად. , რომ შესაძლებელი გახდეს ერთი მთლიანი რევოლუციონური ფრონტის აღდგენა რუსეთში, რაც აუცილებელი პირობაა რევოლუციის მიზნების განსახორციელებლად. ამასთანავე კონფერენცია სასტიკ პროტესტს აცხადებს დამფუძნებელი კრების გარეკვის და ამით დემოკრატიის ნება-სურვილის ფეხ-ქვეშ გათელვის წინააღმდეგ. იგი აღშფოთებულია ბოლშევიკების ძალადობით, რომელიც მათ იხმარეს ხალხის წარმომადგენლებზე და მოითხოვს დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, რომელიც აღადგენს რუსეთის მთლიანობას და გადასჭრის რევოლუციის მიერ წამოყენებულ ძირითად საკითხებს.“

♦♦♦

მომენტი და პარტიული კონფერენცია.[1]

დღეს, 6 იანვარს ქ. ტფილისში დაიწყება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მეორე თავისუფალი კონფერენცია, რომელსაც მრავალი საყურადღებო და მეტად მნიშვნელოვანი საკითხები აქვს განსახილველი. [...]

ჩვენი პირველი კონფერენციის შემდეგ, რომელიც მაისში იყო მოწვეული, ბევრი რამ შეიცვალა, სულ სხვაგვარი ურთიერთობა და ვითარება დამყარდა, როგორც რუსეთს, ისე

[1] ჟურ. *მებრძოლთა ხმა*. 1918, N14

ჩვენი ერის ეროვნულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კი მოითხოვს ტაქტიკის შეცვლას და შექმნილ ვითარებასთან და შეცვლილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან შეფარდებულ ტაქტიკის შემუშავებას.

მექანიკურად შექმნილ და უხეშ ძალაზე – ხიშტებზე დაყრდნობილ რუსეთის მთლიანობის რღვევის პროცესი დღითი-დღე იზრდება და ერების გამოთიშვის, გამოცალკევების ტენდენცია თანდათან ძლიერდება და რევოლუციონურ მოძრაობის ნაკადი ეროვნულ ჩარჩოებში იწყებს ამოხეთქვას. [...] ეს განკითხვის დღეები [...] უძლიერეს ენერგიის გამოჩენას, არაჩვეულებრივ ამოქმედებას და შორს-გამჭვრეტ პოლიტიკის წარმოებას მოითხოვენ ჩვენგან, რომ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობა შევინარჩუნოთ და კარზე მომდგარი განსაცდელი ავიშოროთ.

ჩვენი შინაგანი ცხოვრებაც მეტად უიმედო ფიქრს აღგვიძრავს: ეკონომიურ ცხოვრების კრიზისი, საზოგადოებრივ ცხოვრების არევ-დარევა, უსურსათობა, და სიმშილი – აი რა გვაახლოებს საშინელ განსაცდელს თუ დროზე ჩვენი ერის პოლიტიკური ბედი არ გადასწყდა ეროვნულ თავისუფლების განხორციელებით.

ეროვნულ ყრილობის მოწვევა და ეროვნულ საბჭოს დაარსება ამ მხრივ თითქოს მკრთალ იერს იძლევა. [....]

♦♦♦

ამხანაგებს![1]

ყოველ მხრივ დევნილი შევიწროვებული დამცირებული ქართველი მოწაფე დღეს პირველად იმაღლებს ხმას თავის შელახულ უფლებების აღსადგენათ და სოციალ-პოლიტიკური რწმენის გასამტკიცებლად. ამიერიდგან ქართველი მოწაფე არ იქნება იარაღი იმ ძველ, დახავსებულ ანტიპედაგოგიურ პოლიტიკისა, რომელიც მის ჯერ კიდევ ახალგაზრდულ გულს და

[1] ჟურ. *მებრძოლთა ხმა*. 1917, 24 სექტემბერი, N1. გვ. 14

ნორჩ საღ, ჯერ კიდევ გაუშლელ გონებრივ სალაროს შეუბრალებრივ რყვნიდა...

დღეიდგან ქართველი მოწაფე სრულ უფლებიანი წევრი იქნება მშობლიურ ერის თავისუფალ სკოლისა.

დღიდგან მის მოწამლულ გულს გამაკურნებელ მალამოთ დაედება თავისუფალი სკოლის თავისუფალი აღზრდა.

დღეს განსაკუთრებული სიფხიზლე და ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს ქართველმა მოწაფემ... მან სამუდამოთ უნდა უარყოს ძველი ცხოვრების მიერ მის გულში ჩანთხეული გრძნობა დაუდევრობის და სიზარმაცისა და სავსებით უნდა შეიგნოს სიდიადე დღევანდელი მომენტისა ქართველი ერის ცხოვრებაში, და სრულის შეგნებით, და შეუდრეკელ ენერგიით უნდა დაეწაფოს თანამედროვე ცხოვრების იმ წმინდა წყაროს, რომელიც გააღრმავებს, მასში კეთილშობილურ გრძნობას, სულის სიფაქიზეს და მშობლიური ერის სიყვარულს.

რათა ქართველმა მოსწავლემ ახალგაზრდობამ დღევანდელი მეტათ სერიოზული რევოლუციონურ მომენტს სათანადო ანგარიში გაუწიოთ და მომავალ ჩვენს ცხოვრებაში სათანადო მომზადებული გამოვიდეთ, საჭიროა, საფუძვლიანად გაცნობა და შესწავლა ჩვენი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობისა.

ამხანაგებო! ჩვენი სიძლიერე იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად მტკიცე და ძლიერია ჩვენი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციათა კავშირი.

ყოველივე სასწავლებლის მოწაფეთა კოლექტივები უნდა ცდილობდეს სასწავლებლებში წრეების დაარსებას რათა მოსწავლეთა ფართო მასამ მიიღოს მონაწილეობა და გაეცნოს ჩვენ პოლიტიკურ მრწამსს. ნურც ერთი შეგნებული მოწაფე ნუ დარჩება წრის გარეთ.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის სოციალ-ფედერალიზმის იდეა იმდენად ძლიერია თანაც ისეთი ცოცხალი იდეაა, რომ მის გარეშე არც ერთი ქართველი მშრომელი ხალხის შვილი არ უნდა იდგეს...

ის ბრწყინვალე იდეა სოციალ-ფედერალიზმისა, რომლის რწმენითაც დღეს სათანადო აღჭურვილი ქართველი მოსწავლე

ახალგაზრდობის გათვიცნობიერებული და შეგნებული ნაწილი გამოდის – სრული მაჩვენებელია იმისი რომ მრავალტანჯულ ქართველ ერის სრულ განმანთავისუფლებელი იქნება ის წმინდა დროშა, რომელიც ჩვენ ახალგაზრდებს გადმოგვცა ჩვენმა მასწავლებელმა არჩილმა და გიორგიმ...

ამხანაგებო, ჩვენი ვალია ეგ წმიდა დროშა ქართველი მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა რაც შეიძლება მტკიცეთ ვატაროთ, რადგან პოეტის თქმის არ იყოს „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი. ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!“ ძლიერია ის ერი, რომელსაც ძლიერი და შეგნებული ახალგაზრდობა ყავს.

ამხანაგებო! თქვენი სიძლიერე, ქართველი ერის სიძლიერეა.

ხონელი მონაფე

♦♦♦

ქართული უნივერსიტეტი[1]

თუ დამაბრკოლებელმა გარემოებებმა ხელი არ შეუშალა მომავალ იანვრიდან გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი ჩვენ დედა ქალაქ ტფილისში. საუკუნოებით ჩამქრალი ქართული მეცნიერება აღორძინდება, განახლდება. მრავალი წლობით შებოჭვილ-შებორკილი ქართული ენა მკვეთრად ამეტყველდება, ლაღად ფრთებს გაშლის, უმწვერვალესად განვითარდება. მართლწერა ქართულ ენისა სწორ ნიადაგზე დამკვიდრდება და მტკიცე დონეზე დაეფუძნება. გამომჟღავნდება და გაიფურჩქნება დიდის ხნით დაფარული მაღალი ნიჭი, სულიერი ძალა და გონებრივი ენერგია ჩვენი ერისა. მთელი ჩვენი კულტურა ამაღლდება და წარმატების გზაზე დაადგება. სინამდვილის იმედით იმოსება ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი. უკვე სრულდება და ხორცს ისხამს ნატვრა-სურვილი ქართველ მეცნიერ-მეცენატთა და ერის გულშემატკივარ მოჭირნახულეთა.

[1] ჟურ. *მებჰძოღთა ხმა*. 1917 წ. 29 ოქტომბერი, N6. გვ. 1

უღრმესად გვწამს ქართულ მეცნიერების ტაძარში განსპეტა-კებულ-განწმენდილი მშობლიურ ნიადაგზე და ქართული სულით აღზრდილნი ახალგაზრდანი წმინდა მეცნიერებით გატაცებულნი და ჭეშმარიტი მამულიშვილნი იქნებიან.

დღემდის ახალგაზრდობა უმაღლეს ცოდნის შესაძენად შორეულ რუსეთის ცივ ქალაქებში მიდიოდა. დიდი ნაწილი ამ ახალგაზრდობისა მშობლიურ კერას მოწყვეტილნი რუსულ ნიადაგზე აღზრდილნი საბოლოოდ კავშირსა სწყვეტდენ მამულთან და სამშობლოს გარედ ეძიებდენ ცხოვრებას, იქ ეძლეოდათ წარჩინება. უმცირესი ნაწილი უბრუნდებოდა თავის ბედით განაწამებ სამშობლოს და ეროვნულ კულტურის ასაღორძინებლად მოღვაწეობდნენ, თუმც ხშირად ამ ახალგაზრდათა უანგარობა, ტლანქი და უხეში ძალით ითრგუნებოდა. მაგრამ მაინც უძლებდენ თვითმპყრობელის უსასტიკეს რეპრესიებს და ჩვენი კულტურა დღევანდელი სახით მოსჩანს. დანარჩენი ნაწილი ჩვენი თაობისა ვერ უძლებდა უცხო ქვეყნის ცივ ბუნებას და უდროოდ ესალმებოდენ წუთი სოფელს. დღეს ტლანქი ძალა განადგურებულია, გზა ხსნილია: ქართული ენის საშუალებით თავისუფლად შეგვიძლია დავეწაფოთ კულტურას, უმაღლეს ცოდნას და მეცნიერებას.

აგრეთვე ადასტურებენ იმასაც, რომ იანვრიდანვე იხსნება მეტოქე ჩვენი კულტურისა, გადამგვარებელი ჩვენის ახალგაზრდობისა – მთავრობის რუსული უნივერსიტეტი ქ. ტფილისშივე. რადგან უკანასკნელი უნივ. „დიდ“ რუსეთის მფარველობის ქვეშ იქნება, სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილი და ამასთანავე წარჩინების მრავალი გარანტიით აღჭურვილი, ბევრ გადაგვარებულ ქართველს მიიზიდავს. ჩვენი ვალია, ყველა ის მახინჯი ქართველი, რომელიც მშობლიურ უნივერსიტეტს ზურგს შეაქცევს და რუსულში შევა, საქვეყნოდ სასტიკად გავკიცხოთ და დავგმოთ.

ჩვენს უნივერსიტეტს ის უპირატესობა ექნება რუსულთან, რომ იქიდან გამოსულ ახალგაზრდობას გონივრულ აღზრდით ექნებათ სწავლა-მეცნიერება საღად შეთვისებული. რუსული უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით გამსჭვა-

ლავს, რუსული ინტერესით შეასწავლის ყველაფერს და თავის მიზნის იარაღათ გაიხდის.

მაშ ამხანაგებო მხურვალე სალამი და მარად გამარჯვება ქართულ უნივერსიტეტს. მოწიწებით მიტანა მცირე წვლილისაც კი მის წმინდა საკურთხეველზე და ყოველგვარ შესაძლებლობით დახმარება მას. ამას გვიკარნახებს მშობლიური ნორჩი მეცნიერება, ერის დიადი მომავალი, ჩვენი კულტურის ინტერესი და წარმატება.

♦♦♦

ქართული უნივერსიტეტის დაარსება[1]

26 იანვარს ჩვენს უძველეს დედა ქალაქ ტფილისში საძირკველი ჩაეყარა ქართულ უნივერსიტეტს. ეს დღე შესანიშნავი და სამარადისო სახსოვარი იქნება ქართველი ერისათვის, ვინაიდან ამ დღეს აღსრულდა, სინამდვილედ იქცა დიდი ხნის ნეტარი და სანუკვარი ოცნება საქართველოს საუკეთესო შვილთა. ყოველი ქართველის გული, რომელშიც ოდნავ მაინც ღვივის მშობლიურ ერისადმი სიყვარულის წრფელი გრძნობა და მისი სულიერ-კულტურულ აღორძინების და წარმატების სურვილი, დღეს ზეიმობს და ნეტარ სიხარულის განცდას ეძლევა.

საქართველოს ერთი საუკუნის პოლიტიკურმა მონობამ დააქვეითა ჩვენი ეროვნული კულტურა, დაახშო კარი წინსვლისა და წარმატებისა კულტურის შემოქმედების ასპარეზზე, ჩააქრო დიადი ლამპარი უმაღლეს მეცნიერებისა, სწავლა-განათლებისა რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ძლიერად ბრწყინავდა სხვა მოწინავე ერთა შორის.

უფრო მეტად საამოა და სიხარულით ზეაღმტაცი ქართული უნივერსიტეტის დაარსება განსაკუთრებით დღეს – ეროვნულ მონობის ბორკილთა მსხვრევის ხანაში, დღეს როდესაც მრავალ ერთა თავისუფლება იჭედება... დეე ქართული უნივერსიტეტი წინამორბედი იყოს საქართველოს ეროვნულ-პო-

[1] ჟურ. *მებრძოლთა ხმა*. 1918 წ. 28 იანვარი, N16. გვ. 2

ლიტიკურ ზრახვათა და მისწრაფებათა ხორცშესხმისა – ეროვ-ნულ-კულტურულ მონობით საბოლოოდ განთავისუფლებისა.

ქართველი ახალგაზრდობა განმსჭვალული ძლიერის სურ-ვილით დასწაფებოდა სწავლა-განათლების და მეცნიერების ცხოველ-მყოფელ წყაროს იძულებული ხდებოდა მოსწყვეტო-და ჩვენს ტურფა, ყვავილოვან სამშობლოს გულ-მკერდს და ცივ, ყინულოვან ჩრდილოეთში გარდახვეწილიყო. ისინი ვერ ეთვისებოდენ სრულიად უცხო ბუნებას, უცხო მხარეს და მრა-ვალი მათგანი ჯან-ღონით აღსავსენი უდროოდ ესვენებოდ-ნენ ცივ სამარეში... რამდენი საუკეთესო შვილი დაჰკარგა ბედ-კრულმა სამშობლომ, რომელთა კეთილშობილური მისწრაფე-ბანი და უწმინდესი ზრახვანი მის გასანთავისუფლებლად და ეროვნულ კულტურულ ასაღორძინებლად იყო მიმართული. ამიერიდან ქართველ ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა სწავლა-განათლებას უმაღლეს მეცნიერებას აქვე დაეწაფოს, მშობლიურ მხარეში და აქვე იმოღვაწეოს მრავალ-ტანჯულ სამშობლოს საკეთილ-დღეოდ და საბედნიეროდ.

ქართულ უნივერსიტეტის დაარსებით გონებრივ-სული-ერ შემოქმედების ენერგია და მაღალი ნიჭი ქართველი ერისა ეროვნულ კულტურის ქმნადობაში გამჟღავნებული ფრთებს გაშლის, უმწვერვალესად განვითარდება, ამაღლდება და წარ-მატების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს...

სრული იმედი გვაქვს, რომ ქართული უნივერსიტეტი მტკიცე და ურყევ საძირკვლად დაედება ჩვენ დაბეჩავებულ და დაძაბუნებულ ერის სულიერ კულტურულ ცხოვრების აღორძინებას და აყვავებას.

ქართული უნივერსიტეტი – ჩვენი მეცნიერების ტაძარი, ვით ბრწყინვალე მანათობელი ვარსკვლავი, ისე უნდა დაკაშ-კაშებდეს ჩვენს დაფერფლილ და ჩამქრალ კერას კულტურისა და გააღვივოს, გააძლიეროს...

დეე ყოველმა ქართველმა მიზნად დაისახოს ქართულ უნი-ვერსიტეტის წარმატება და დაეხმაროს ყოველ მხრივ, რათა მან თვისი დანიშნულება პირ ნათლად შეასრულოს ჩვენი ერის წინაშე, ამასთანავე უძღვნით გულ-წრფელ და მხურვალე სა-

ლამს იმ პირთ, რომლებმაც თავისი ზრუნვით და თავ-დადებულ მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს მეცნიერების ტაძარს...

სალამი ქართულ უნივერსიტეტს!.. გაუმარჯოს ჩვენი ერის აღორძინების და წარმატების ლამპარს – ქართულ უნივერსიტეტს!

♦♦♦

მიხ. ხერხეულიძე

„ახალი ძალა“[1]

ზღვის სივრცესთან ჯერ მთლიანად არ ამოგორებულა გულსავსე რგოლი, რომელსაც „მთლიანი საქართველო“ აწერია...

ქართველთა თვალის შუქს ჯერ განწმენდით არ წარმოსდგომია ლამაზი ჭაბუკი, რომელიც ახალი ძალით არის აღსავსე...

ზღვაში დასაღუპად ჩანარცხებული რგოლი ახალი ძალით მხოლოდ ეხლა უახლოვდება დაშორებულ ნაპირებს...

გადასაგვარებლად ჩირქმოცხებული ჭაბუკი სხვა სახეობას იშლის და ქვეყნის წინაშე მზიურობით წარსადგენად ემზადება...

პირველიც და მეორეც – ერთი სხეულის ერთი სულია... მათი უერთმანეთობა შეუსრულებელი ოცნებაა... ჩვენი რწმენის ყოველი ნაკვთი აშკარად გვამხელს, რომ პირველიც და მეორეც ქვეყნის გულს მოიგებენ...

ისინი დღეს ახლად იზრდებიან... მათში ახალგაზრდული განცდა და სული ვითარდება, ისინი უძლეველ ძალად იქმნებიან...

თუ არის ვინმე, ვისაც სამშობლოს დამცველი ახალი ძალა უმნიშვნელოდ მიაჩნია, ვისაც თავისი კუნთები სხვა ქმნილე-

---

[1] ჟურ. *ახალი ძალა*. 1918, 24 ნოემბერი, N 1. გვ. 3

ბის გაძლიერებისათვისა სურს, – იგი ამ გვარ აზრებისაგან უნდა გათავისუფლებდეს და თავისი შეძლება ერის კეთილდღეობის შემქმნელ ძალას შეალიოს, შეუერთოს...

და ასეთი „ძალა“-კი უკვე არსებობს... იგი ერის გადაგვარებით სვლის დროს დაიბადა... ამ ახალ ძალამ თავისი სახე გამოიჩინა... თუმცა იგი ჯერ სავსებით არ გამოკვეთილა...

ახალი ძალა – ერის დამღუპველ მორევს გასცურავს...

ახალი ძალა – სამშობლოს მტრობისათვის ყველას მოიმდურებს...

ახალი ძალა – სამშობლოს სიმდიდრისათვის ღონეს მოიკრეფს... იგი ჰხედავს, რომ ამ უმაგალითო დროთა სრბოლაში საქართველოს გაკაფული სახე აქვს, მაგრამ, ამავე დროს, სწამს კიდეც, რომ მის სივრცეზე არის ზოლები, რომელსაც ჯერ გმირთა სისხლი არ მოხვედრია... და ეს ზოლები კი სისხლით დალბება მაშინ, როცა მთელი საქართველო გასწყდება...

ახალი ძალა კი – საქმეს აქამდე არ მიიყვანს...

გულსავსე რგოლად გამოსახული ჩვენი ქვეყანა შვების ნაპირს უახლოვდება...

ლამაზი მზე-ჭაბუკი მალე შეიქმნება ქვეყნის სიწმინდის გამომსახველი...

ახალი ძალა – ამ გვარ ვითარების მერცხალია... იგი გვიახლოვებს სიამის დღეებს...

♦♦♦

ვახტანგ ზაალიშვილი

ჩვენი მრწამსი[1]

ახლო წარსულ ისტორიის ფაქტები გვასწავლის, რომ ერი როგორც მთლიანი მოვლენა ცხოვრებაში კრიტერიუმად უძევს მთელი ხალხის ჯგუფურად დაყოფას. თანამედროვე გამწარებული ბრძოლა მთელი ქვეყნის თითქმის ყველა სახელმწიფოებისა არის ბრძოლა წმინდა ეროვნული და არა კლასიური. დღევანდელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, კლასობრივი იდეალები იჩრდილება და უკანა ხაზზედ გადადის. წინა ხაზზედ დღეს ეროვნული იდეალები იჭერს ადგილს. ერის მთლიანი სახის: ეროვნულ სახელმწიფოს, ტერიტორიის, ენის და მის კულტურის მთლიანად შენარჩუნება და ხელშეუხებლობა არის ჭეშმარიტი საგანი თვითეულ ერისა, რომელიც კი ჩართულია დღევანდელ ომში. ის იდეალები და ოცნებანი რომლითაც სცხოვრობდა და რომელთაკენ მიისწრაფვიდა ყოველი ას წლობით ტანჯული ერი, გამოაშკარავდნენ. დაინგრა მონობა და მოხდა ობიექტაცია ასე და ათას წლიანი იდეალებისა. ეროვნულმა იდეალებმა გაიმარჯვეს – ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა და გზა ჰპოვა.

მარტო თანამედროვე მომენტი არ გვასწავლის ამას. მთელ ჩვენ ისტორიას რომ თვალი გადაავლოთ თქვენთვის აშკარა იქნება ეროვნულ იდეალების და თავისუფლების განმტკიცებისთვის ბრძოლა, ინსტინქტი ეროვნული თავდაცვისა წინათაც ამოძრავებდა ყოველ ერს. ყველა თავის თავს რჩებოდა, ყველა ცალკე ცხოვრებას არჩევდა. მთელი ისტორიის სივრცეში ქრისტეს წინათაც და შემდეგაც არ ყოფილა ისეთი ისტორიული პერიოდი, რომელშიაც მთელი ხალხი ყოფილიყო მოქცეული ერთ მთლიან სოციალურ ფორმაში. არსებობდნენ თავისებურ ფსიხიკის მატარებელი ჯგუფები, რომელიც შემდეგ ღებულობს დღევანდელ ერის სახეს.

---

[1] ჟურ. *ახალი ძალა*. 1918, 24 ნოემბერი, N 1. გვ. 3

ამით ჩვენ ვამბობთ ერთი მხრით: ხალხის გაერთიანება ერთ სოციალურ ფორმაში, რომელსაც ზოგი კაცობრიობას ეძახის და რომელიც გვწამს ჩვენ მხოლოდ აბსტრაქციაში შესაძლებლობასთან შორსა სდგას, მეორე მხრით ვამბობთ: გარეშე ერისა და ეროვნულ სახელმწიფოს ფორმისა არ არსებობს და არც იარსებებს არც ერთი ფორმა სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში.

ჩვენ გვწამს ერი, როგორც ერთი მთლიანი და ყოვლისაგან დამოუკიდებელი ორგანიზმი პოლიტიკურ სოციალურ ცხოვრებაში. ამ მოსაზრებით ვიცავთ ჩვენ ქართველს ერს, როგორც ერთ მთლიან ერთეულს, როგორც ერთს მკაფიოთ გამოკვეთილ ორგანიზმს. საქართველოს აწყმო და მომავალი, მისი აღმაშენებლობა, მატერიალურ და სულიერ კულტურის შექმნა, ტერიტორიის, ენის და ისტორიის ხელშეუხებლობა არის ჭეშმარიტი საგანი ჩვენი პრაქტიკულ ცხოვრებისა. ამ იდეალების გასამტკიცებლათ ჩვენ გვწამს ორი ჭეშმარიტი საშუალება. პირველი: ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და განვითარება, და მეორე: საქართველოს სუვერენული არსებობა. ამ ორ ჭეშმარიტ საფუძველზედ უნდა მტკიცდებოდეს საქართველოს ახალი ცხოვრება. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება-გადამუშავება და ვაჭრობა უნდა ხდებოდეს ეროვნული ენერგიით. ამ სფეროში სხვა რომელიმე ერის გაბატონება და საქმის სათავეში მოქცევა სიკვდილი იქნება ქართველის ერისათვის. აი ამ მოსაზრებით ვიცავთ ეროვნულ კაპიტალის შექმნას და დაგროვებას, ეროვნულისავე ბურჟუაზიის საშუალებით. ეროვნული ბურჟუაზია, რომელსაც ბევრი ებრძვის აქ და სძულთ კიდეც, არის უპირველესი ფაქტორი ყოველი ერის სიმდიდრის დაგროვების და მთლიანობის ხელშეუხებლობისა.

გარეშე ამ მოვლენისა არ არსებობს არც ერი, რაც გინდ პატარა იყოს იგი; ამ მოსაზრებით დამცველნი ქართველი ერის და ეროვნულ ბურჟუაზიისა, მტრები ვართ და ვებრძვით იმათ, ვინც მტერია და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიასა. ვინც წინააღმდეგია ეროვნულ ბურჟუაზიისა და ან ვინც იზიარებს ამ აზრს ის თავის თავად მოზიარეა თვით ქართველი ერის დაქ-

ვეითების და დამარცხებისა. საქართველოს სუვერენული არსებობა და მის საკუთარ დაკარგულ ადგილების დაბრუნება, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. გარეშე ამ მოვლენათა ერი და მისი ვაჭრობა მრეწველობა სამუდამოდ კვდება. ასეთი არის ჩვენი მრწამსი. ამისათვის ვიბრძოლებთ ჩვენ ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით ყოველთვის და ყველგან. ამისთვის მოუწოდებთ ყველა ჩვენ იდეურ ამხანაგებს, მოგროვდნენ ჩვენ დროშის გარშემო იდეურ ბრძოლისთვის.

♦♦♦

სახელმწიფო უნივერსიტეტი[1]

აწმყო მომავლის ხიდია

ჩვენს სამშობლოს ეღირსა ტაძარი მეცნიერებისა, რომელშიც გაისმის სიტყვა ქართული, რომელშიაც ჰღაღადებენ მეცნიერნი ქართველნი და რომლის კედლებს შორის ქართველი ახალგაზრდობა მუშაობისათვის ემზადება.

სარბიელი ფართეა, საქმე აუარებელი, ბრძოლა კულტურული დიდი დასჭირდება ახალგაზრდობას, მაგრამ მას ამ ბრძოლის არ ეშინიან, ვინაიდან პერსპექტივებში სდგას ნათელი სანახაობა: ბედნიერი საქართველო.

უნივერსიტეტში მუშაობის სიმხურვალე თანდათან ზევით იწევს. ენერგია დიდი აქვთ დაგროვილი, როგორც პროფესორებს, ისე სტუდენტობას. ლექციების კითხვა სუყველა ფაკულტეტებზე დაიწყო.

პროფესორების შემადგენლობა, მსმენელთა მიერ საგნებისადმი სიმპათია, თავდებია იმისი, რომ ეს წლები ჩვენთვის უნაყოფოდ არ ჩაივლიან.

დღეს მოხდება არჩევნების სტუდენტთა საერთო გამგეობისა (25 კაცი). რასაკვირველია ყველა პარტიები ირაზმებიან,

[1] ჟურ. *ახალი ძალა*. 1918, 24 ნოემბერი, N 1. გვ. 13

ჩვენც ეროვნულ-დემოკრატებს, რამდენჯერმე გვქონდა კრება ამის შესახებ. ჩვენი მიზანია შეთანხმებით ვიმუშაოთ ყველა პარტიებთან, საერთო სტუდენტთა საქმეებში. ამ მხრივ ჩვენ თვალსაჩინო ნაბიჯები გადავდგით, და მე მგონია, რომ ამ ნაბიჯებმა კარგი ნაყოფი უნდა მოიტანოს. როგორც ზევითა ვსთქვი, საქმე თანხმობით თავდება და საარჩევნო აგიტაციას, ამაზე ენერგიის და დროის დაკარგვის ადგილი არ ექნება, მით უმეტეს რომ ეს ენერგია და დრო უმაღლეს სასწავლებელში სხვა რამეზე უნდა იყოს დახარჯული და განაწილებული. მაგალითად – ყველა ფაკულტეტთან არსდება სამეცნიერო წრეები. ამ წრეებმა დიდი და სიმპატიური მიზნები დაისახეს. ამ წრეებმა უპირველეს ყოვლისა უნდა გამოსცენ პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები. ეს უდიდესი საქმეა, ვინაიდან ამ ჟამად თბილისში არავითარი წიგნები არ მოიძებნება.

ვინც ახლოს სდგას სტუდენტების ცხოვრებასთან, დამეთანხმება, რომ ამ დუხჭირ დროს მას ნამეტნავად უჭირს თბილისში ყოფნა და წასვლა. ორმოცი პროცენტი ქართველი სტუდენტობისა მოკლებულია შესაძლებლობას ემსახუროს სამშობლოს და თანაც პატიოსანი შრომით ლუკმა პური სჭამოს და სწავლა განაგრძოს.

ლექციებს გარეშე ხალხიც ესწრობა ... ეს ძალიან კარგია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება სტუდენტის პირ და პირ მოვალეობის ასრულებას ძალიან ხელს უშლის.

ერთი სიტყვით, ჩვენი ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მეტი შეძლება აღმოგვიჩნდეს სამეცადინოთ. მართალია პირველი წლები ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს, და ჩვენი ახალგაზრდობაც მის კეთილ დღეობას მტლად უნდა დაედოს, რათა მომავალ თაობას მისცეს უმაღლესი სასწავლებელი, უნაკლო და ევროპიულად დასრულებული.

გოგლი

♦♦♦

წ ე ს დ ე ბ ა

ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა[1]

I.

ორგანიზაციის მიზანი და საშუალებანი.

§1. ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიზანია: ა) ყოველმხრივი შესწავლა მარქსიზმისა. ბ) მარქსიზმის იდეების გავრცელება ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა შორის; გ) ამ ახალგაზრდების შეკავშირება; დ) წევრების პოლიტიკური აღზრდა.

§2. პირველ პარაგრაფში აღნიშნულ მიზნების მისაღწევათ ორგანიზაცია ა) აარსებს სამეცადინო წრეებს; ბ) იმუშავებს ამ წრეების სახელმძღვანელო პროგრამას; გ) სისტემატიურათ აწყობს ლექციებისა და რეფერატების კითხვას; დ) სცემს ერთს ან რამდენიმე ბეჭდვითი ორგანოს (იხ. §31); ვ) აარსებს ბიბლიოთეკებს; ე) დამოკიდებულებაშია რუსეთის სოციალ-დემორკატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებთან.

II.

ორგანიზაციის შემადგენლობა.

§3. ორგანიზაციაში წევრათ ჩაწერა შეუძლია ყველა პროფესიის ახალგაზრდას 15-25 წლამდე.

შენიშვნა 1. ახალი წევრი მიიღება ორგანიზაციის სამი წევრის თავდებობით.

2. წევრათ მიიღება 15 წელზე უმცროსიც, მაგრამ ამისთვის საჭიროა ადგილობრივი კომიტეტის ნებართვა.

§4. ორგანიზაციის წევრათ ითვლება ის, ვინც რეგულიარულათ იხდის საწევრო გადასახადს და იღებს მონაწილეობას ორგანიზაციის მუშაობაში.

---

[1] ჟურ. „ახალი კვალი“. 1918, 25 თებერვალი, N 6. გვ. 14

შენიშვნა 1. ორგანიზაციის წევრი, რომელის სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია საპატიო მიზეზით, ორგანიზაციიდან გარიცხულათ ითვლება.

2. წევრები, რომლებიც დაარღვევენ დისციპლინას, წესდებას ან თავისი მოქმედებით ჩირქს მოსცხებენ ორგანიზაციის ღირსებას, გამოირიცხებიან ორგანიზაციიდან საერთო კრების დადგენილებით.

III.

ორგანიზაციის ნივთიერი საშუალებანი.

§5. ორგანიზაციის ნივთიერი საშუალება შესდგება ა) ორგანიზაციის მიერ გამართულ წარმოდგენების, ლექციების და სხვ. შემოსავლიდან.

§6. საწევრო გადასახადი ა) ქალაქებში 1) ერთდროული -1მ.; 2) თვიური – 50 კ. ბ) სოფლებში 1) ერთდროული – 50კ. 2) თვიური 25კ.

IV.

ორგანიზაციის გამგებლობა.

§7. ორგანიზაციის საქმეებს განაგებს ა) საერთო კონფერენცია; ბ) ცენტრალური კომიტეტი; გ) ადგილობრივი კომიტეტი; დ) საერთო კრება; ვ) რაიონული კოლექტივი.

ა)საერთო კონფერენცია

§8. საერთო და ყველა ორგანიზაციებისათვის საყურადღებო კითხვებს არჩევს საერთო კონფერენცია.

§9. კონფერენცია იკრიბება ყოველ წლობით,

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში ცენტრალურ კომიტეტს და საკონტროლო კომისიას (იხ. §29) აქვს უფლება მოიწვიოს საგანგებო კონფერენცია.

2. თუ რომელიმე ორგანიზაციამ აღძრა საკითხი მოწვევის შესახებ, ცენტრალური კომიტეტი უნდა შეეკითხოს ყველა ორგანიზაციების და შეასრულოს უმრავლესობის სურვილი.

§10. კონფერენციის მუშაობის საგანია ა) ცენტრალურ კომიტეტის მოხსენება; ბ) მოხსნებები ადგილებიდან; გ) ცენტრალურ კომიტეტის და საკონტროლო კომისიის წევრთა არჩევა და სხვ.

§11. კონფერენცია კანონიერათ ითვლება, როდესაც წარმოდგენილია არა ნაკლებ ორ მესამე ორგანიზებისა.

ბ) ცენტრალური კომიტეტი

§12. კონფერენცია ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მოქმედებს შემდეგ მორიგ კონფერენციის მოწვევამდე.

შენიშვნა: ცენტრალური კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნების შეიძლება მოხდეს საგანგებო კონფერენციაზედაც, თუ ამას მოითხოვს ერთი მესამედი დელეგატებისა.

§13. ცენტრალური კომიტეტი განაგებს ყველა ორგანიზაციის საერთო საქმეებს.

§14. ცენტრალური კომიტეტი იწვევს საერთო კონფერენციას, როგორც მორიგს ისე საგანგებოს.

§15. ცენტრალური კომიტეტი სცემს ბეჭდვითი ორგანოს და ნიშნავს სარედაქციო კოლეგიას.

§16. ცენტრალური კომიტეტი ირჩევს თავის შემადგენლობიდან სარევიზიო კომისიას, რომელმაც კონტროლი უნდა გაუკეთოს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

§17. ცენტრალური კომიტეტი აცნობებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს მიმდინარე საყურადღებო კითხვების შესახებ თავის დადგენილებებს.

§18. ცენტრალური კომიტეტის ქვორუმი უნდა შესდგებოდეს იმ ორგანიზაციის წევრთაგან, სადაც თვით ცენტრალური კომიტეტი მოქმედობს.

§19. ადგილობრივი ორგანიზაციები ცენტრალურ კომიტეტის სასარგებლოთ სამ თვეში ერთხელ იხდიან თავის შემოსავლის 25%.

გ) ადგილობრივი კომიტეტი.

§20. ადგილობრივ ხასიათის საქმეებს განაგებს ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც ნახევარი წლით ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

შენიშვნა: ადგილობრივ კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნები მოხდეს ნახევარი წლის გასვლამდეც, თუ ამას მოითხოვს წევრთა 20%.

§21. ადგილობრივ კომიტეტის დანიშნულებაა: ა) მეორე პარაგრაფში აღნიშნულ წრეების მოწყობა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა; ბ) ლექციების და რეფერატების მოწყობა; გ) ბიბლიოთეკის მოწყობა; დ) ადგილობრივ ს.დ. ორგანიზებთან კავშირის დაჭერა; ვ) ადგილობრივ და საერთო საყურადღებო ამბებზე გამოხმაურება; ზ) საერთო კრების მოწვევა;

შენიშვნა: საერთო კრება უნდა იქნას მოწვეული აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამას წევრთა საერთო რიცხვის 10% მოითხოვს.

§22. კომიტეტის სხდომა კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრო არა ნაკლებს წევრთა საერთო რიცხვის ნახევრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაინიშნება მეორე სხდომა, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

დ) საერთო კრება

§23. ადგილობრივ ორგანიზაციის საერთო კრება განიხილავს ორგანიზაციის ყველა საყურადღებო კითხვებს და ირჩევს დელეგატებს საერთო კონფერენციაზე დასასწრებლათ.

§24. საერთო კრება ირჩევს ადგილობრივ კომიტეტს და სარევიზიო კომისიას, რომელიც ავტონომიურათ მოქმედობს.

§25. საერთო კრების პრეზიდიუმს ირჩევს თვით კრება თავის შემადგენლობიდან.

§26. საერთო კრება კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრება არა ნაკლებ წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედისა.

შენიშვნა: ხელმეორეთ დანიშნული საერთო კრება კანონიერია, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ვ) რაიონული კოლექტივი და ორგანიზაცია.

§27. საჭიროების მიხედვით ადგილობრივი ორგანიზაცია იყოფა რაიონულ ორგანიზაციებათ.

§28. რაიონული ორგანიზაციები ირჩევენ რაიონულ კოლექტივებს.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ადგილობრივი კომიტეტი შესდგება რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

V.

საკონტროლო კომისია.

§29. კონფერენცია აირჩევს საკონტროლო კომისიას, რომელიც თვალყურს ადევნებს ცენტრალურ კომიტეტის მუშაობას.

§30. საკონტროლო კომისიას აქვს უფლება მოიწვიოს საერთო კონფერენცია.

VI.

ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო.

§31. ორგანიზაციას აქვს ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანო. (ერთი ან რამოდენიმე სხვა და სხვა ენაზე – შეძლებისა და საჭიროების მიხედვით).

შენიშვნა: რამდენი ან რომელ ენაზე გამოიცეს ბეჭდვითი ორგანო, ამ საკითხს ყოველ ცალკე შემთხვევაში სწყვეტს საერთო კონფერენცია.

♦♦♦

წესდება

სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოწაფეთა კავშირისა[1]

I.სოც.-ფედერალისტ მოწაფეთა კავშირის წევრად ითვლება ყველა ის მოწაფე, რომელიც იზიარებს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის ძირითად მუხლებს, ემორჩილება მოწაფეთა კავშირის დისციპლინას და განსაზღვრულ საწევრო გადასახადს იხდის.

შენიშვნა: 1) მინიმუმი საწევრო გადასახადია 25 კაპ. თვეში.

2) თუ წევრი კავშირისა ზემო მოყვანილ დებულებებს არ ემორჩილება კავშირიდან გამორიცხვის უფლება ეძლევა ად-

[1] ჟურ."მებრძოლთა ხმა". 1918, 25 თებერვალი, N19. გვ. 16.

გილობრივ ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებას, ხოლო უმაღლეს მსჯავრის დამდები არის კონფერენცია.

II. სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა კავშირი იზიარებს რა ფედერატიულ პრინციპს საორგზაონიზაციო წყობილებისა, იყოფა ავტონომიურ, მაგრამ ურთიერთ კავშირში მყოფ ორგანიზაციებად: თითოეულ სასწავლებლის კომიტეტი, ქალაქის კომიტეტი და სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოწაფეთა კავშირის გამგეობა.

ა) სასწავლებლის კომიტეტი

თითოეულ სასწავლებელს ჰყავს თავისი კომიტეტი, რომელიც ავტონომიურად მოქმედებს. კომიტეტი სცდილობს თანამოაზრეთა რიცხვის გადიდებას, ყოველ წლის დასაწყისში ახდენს რეგისტრაციას, კრეფს ამხანაგებში საწევრო გადასახადს თვალ-ყურს ადევნებს და შეძლებისამებრ თვითონაც უძღვება მოწაფეთა პოლიტიკურ მეცადინეობას.

ბ) ქალაქის კომიტეტი

ქალაქის კომიტეტი შესდგება ქალაქის ყველა სასწავლებლების თითო წარმომადგენელთაგან. ამ რიცხვს ემატება საზოგადო კრების მიერ არჩეულნი წევრი, რამდენიც საჭიროა ადგილობრივ პირობების მიხედვით. ქალაქის კომიტეტის მოვალეობას შეადგენს: მოწყობა სისტემატიურ მეცადინეობისა მთელ ქალაქის ორგანიზაციებში, პარტიულ გადასახადის შეგროვება და რეგისტრაციის სისტემაში მოყვანა.

შენიშვნა:ყოველი ორგანიზაციის კომიტეტი 25% მთელ თავის თანხისა მოწაფეთა კავშირის გამგეობას უგზავნის.

გ) კავშირის გამგეობა

კავშირის გამგეობა შესდგება შვიდი წევრისაგან. იგი თავის შემადგენლობიდან ირჩევს წევრ სარედაქციო კოლეგიისას.

კავშირის გამგეობა უძღვება და თვალ-ყურს ადევნებს ყველა ქალაქების და სასწავლებლების კომიტეტების მოქმედებას, ცნობებს კრეფს ყველა ორგანიზაციების შესახებ და ამასთანავე უდგას სათავეში მოწაფეთა პარტიულ ორგანოს.

კავშირის გამგეობა ნიშნავს სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოწაფეთა კონფერენცი-

ას. კონფერენცია ისმენს მოხსენებებს პარტიულ ორგანიზაციების მოქმედების შესახებ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა და სხვა საკითხებზე და საჭიროებისამებრ ცვლის ზემომოყვანილ წესდებას. კონფერენცია ირჩევს კავშირის გამგეობას და სამ წევრს სარევიზიო კომისიისა.

♦♦♦

ინ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა ორგანიზაციებისა.[1]

1. მთელი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდობას ჰყავს თავისი მთავარი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს ახალგაზრდათა კონფერენცია და რომელიც თბილისში ბინადრობს.

2. საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში არსებობს ახალგაზრდათა ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან მთავარ კომიტეტს...

3. დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციათა ცენტრად და მთავარ კომიტეტთან მათ შუამავლად ითვლება ქუთაისის კომიტეტი.

4. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრად იგივე მთავარი კომიტეტი ითვლება, ხოლო ამის გარდა თბილისში არსებობს მოწაფეთა ცენტრალი კომიტეტი, რომელიც მოწაფეთა ადგილობრივ წვრილ კომიტეტებს მთავარ კომიტეტთან აერთებს.

5. ორგანიზაციებში წევრად ჩაწერვა შეუძლიან პარტიის პროგრამის მაღიარებელ ყველა ახალგაზრდას (სტუდენტს, მოწაფეს, არასტუდენტს, არმოწაფეს და სხვ. განურჩევლად სქესისა), ვინც ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციებში არა სწერია ან თუ სწერია, ამოეწერება.

შენიშვნა: ჩაწერის დროს საჭიროა თავმდებად ერთი წევრი.

6. ყველა წევრი იხდის საწევროს თვეში 1 მანეთს,

7. დასავლეთ საქართველოს კომიტეტები თავისი ყოველ-

[1] ჟურ. "ახალი ძალა". 1918, 24 ნოემბერი, N1. გვ. 14.

გვარი შემოსავლის ნახევარს უგზავნიან ქუთაისის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ეს კი მთავარ კომიტეტს თავის შემოსავლის 25% უგზავნის.

8. აღმოსავლეთ საქ. კომიტეტები მთავარ კომიტეტს უგზავნიან შემოსავლის ნახევარს.

შენიშვნა: თბილისის მოწაფეთა კომიტეტები თავის ცენტრალურ კომიტეტს შემოსავალს უგზავნიან მთლიანად, ხოლო ეს კი მთავარ კომიტეტს შემოსავლის ნახევარს აძლევს.

9. საჭირო ხარჯებს ადგილობრივ კომიტეტები ეწევიან, უსახსრობის დროს ცენტრალურ კომიტეტს სთხოვენ, იგი კი, თუ არა აქვს, მთავარ კომიტეტს მიჰმართავს.

შენიშვნა: მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს.

გარეკანის დიზაინერი: მარიამ ებრალიძე

წიგნი გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობამ

თბილისი, 2024

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house